

პრილი



№1 (208)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

იანვარი


ფასი 1.50 ლარი

1134
2005

#1, 2005

როგორც სტერეო

პოპულარული სიგეტიდან
თეატრალური
პოპულარიზაცია



არლი

საზოგადოებრივი-ლიბერალური
ასოციაცია "არლის" გამოსევა

The Literary Magazine ARLI

არლი - დასავლენებელი სემინდეთა(ნი)
საულჯან-საბა

არლი - შხის შუქი, რამეზე დამდგარი
ძარღული 260ს
ბანგარბაიითი ლეჟსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მაღლაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)

რატი ამალლობელი

ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი

ანდრო ბუაჩიძე

ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე

ეთერ ვიზიანი

ზაზა თვარაძე

ზურაბ კვინაძე

ვახტანგ კომახიძე

ვასილ მაღალაფერიძე

ზვიად რატიანი

ირაკლი სამსონაძე

გულსუნდა სიხარულიძე

სოზარ სუბელიანი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ჭილაძე

ბესო ხვედელიძე

მინეავერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამაზ ჩხაიძე

ელისო კალმახელიძე

მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№1, იანვარი, 2005

პროზა

გელა ჩქვანავა
ერთი დღე რამაზოსთან1

თონა დოღენჯაშვილი
იანვრის მღინარა.....40

პოეზია

ზვიად რატიანი
ლექსები.....19

გივი ალბაზიშვილი
ლექსები37

დალილა ბედიანიძე
ლექსები.....49

ქრიტიკა

ეკა ცხადაძე
ქაშვარბიძეაბ ტაძეშვიდა ანუ ახალი ზღაპრუბანი.....26

აკაკი ხინთიბიძე
"მემორღგომა შუაღარკელი".....53

დილოგი

პარუკი შურაკაპი
"წარს იბიპეა, რაც სიზმარი ცხადღი".....55

"ილირიღდან იორღანეღღე, იორღანეღდან სტიქსაღღე..."
ინტიერვიუ რობერტ სტურუხსთან.....63

თვალსაზრისი

ანდრო ბარნოვი
უპულტურო სახელმინიფო?.....74

ყდაზე: ბესო გულაშვილის ფოტო

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მელა ჩქანავა

ერთი დღე რამაზოსთან


"Труп - живой пример того,
что делает с человеком жизнь!"

ციკლიდან "ზვიჩა ზარანდიას
ჭაქუისსანსავლელი თავგადასავლები"

...რამაზოს რომ იხსენებენ, ყველა იმას ამბობს, გრძნობდა მალე რომ მოკვდებოდაო. მე თუ მკითხავ, არაფერსაც არ გრძნობდა. დღევანდელი დღით ცხოვრობდა, როგორც ყველა ზღვისპირელი ბიჭი და სშირად იმეორებდა ხოლმე მაშინ სოხუმში ძალზე მოდურ გამოთქმას, "совесть моя чиста, так как мы ей ни разу не пользовались"-ო, თანაც ისეთი ტონით, თითქოს მეტად ორიგინალურ რამეს ამბობდა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა ხელში ჩაქუჩ-მომარჯვებული კაცითაა. ხომ გახსოვს რამაზოს დამკვიდრებული ის გამოთქმა, "когда в руках молоток, все вокруг кажутся гвоздями".

ერთმა სოხუმელმა შენზე მითხრა კარგი მწერალიაო. მართალია, თვითონ კითხვა არ უყვარს, მაგრამ მისი ცოლი და ცოლისდაც კითხულობენ რალაცებს. განსაკუთრებით ცოლისდა აქტიური მკითხველი - გაუთხოვარია და სხვა არაფერი აქვს საქმე - სერიאלების მაგვარ ლიტერატურას ეტანება და ამიტომ, შენ რომ დაგიწყო ქება, ცოტა არ იყოს მეწყინა, მაგრამ დამამშვიდა, საპნის ოპერებზე უკეთეს და უფრო სერიოზულ რალაცებს წერსო, თანაც იხვენება და იზრდებოა. სოხუმლობას თავი რომ გავანებოთ, კაფე "ლედნიკის" აკადემია გაქვს გავლილი რაც არ უნდა იყოს, პოდა, არ გაქვს უფლება არ გამოზარდო ("ლედნიკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თანამდებობაც კი მოგიგონე გუნებაში)... ჩემი და რამაზოს ერთი დღის თავგადასავალს, თუ თავგადასავლებს მოგიყვები. ის დღე კარგად დამამახსოვრდა გარკვეულ გარემოებათა გამო. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ღირსსახსოვარი ის იყო, რომ სწორედ იმ დღეს ზანგ ქალს შევაგულე ხელი ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად. შენც ადექი და გადააკეთ-გადაიკეთე რასაც მოგიყვები, სიმძაფრე შესძინე, როგორც მწერლებს სწევიათ ხოლმე და იქნებ გამოგივიდეს, საინტერესოდ რომ იკითხებოდეს ისეთი რამე. სხვა თუ არაფერი, "ლედნიკელებს" მაინც გაუხარდებათ. მწერლობა, ახალგაზრდობისა არ იყოს, ხელში ჩაქუჩის ჭერასავითაა: ყველა-

23411



ფერი რაც ირგვლივია, დასაწერ მასალად გეყვენება. ქალთან რომ წვებით, მაშინაც იმაზე ფიქრობთ ალბათ, ხომ არ დაწერო ეს ყველაფერიო (მოთხრობაზე ვამბობ). არტისტიკით როლში ხართ სულ...

ონამჩირეში უნდა გავმგზავრებულიყავი, ჩემი ბიძაშვილი ცოლს ირთავდა. ერთ კვირაში ქორნილი იმართებოდა და მე წინასაქორნინო სამზადისში უნდა მიგვევლებოდი ბიძაჩემს. წინასაქორნინო სამზადისი კი უმთავრესად სახლის კოსმეტიკურ რემონტს გულისხმობდა. სამღებრო სამუშაოების გამოცდილება არ მქონდა (სიმართლე რომ ითქვას არც მინდოდა მქონოდა), მაგრამ მამაჩემმა არ მომასვენა, ფუნჯს მაინც მიანვდი მღებავსო.

ძიძარას ქუჩის დასაწყისში რამაზოს შევეჩეხე. ხსიათზე არ იყო. ტალახიანი წყალი დავლიოთო, შემომთავაზა. ტალახიან წყალს ყავას ეძახდა. სადგურზე გავიდეთ და ყავა იქ დავლიოთ-მეთქი. რამაზომ "ლედნიკში" შევიდეთო. არ მინდოდა იქ შესვლა. დღეს აუცილებლად უნდა გავემგზავრო ონამჩირეში, კაფეში რომ შევიარო, ვიცი ჩემი გამგზავრება განუსაზღვრელი დროით გადაიდება-მეთქი. მაინც გაყვევი "ლედნიკში" ("ლედნიკი" პირდაპირ ქუჩაში გამოტანილი კაფე იყო და ამიტომ მეორე არაოფიციალური სახელი, "სკვანბნ-

აკი" ერქვა. სულ რაღაც ოციოდ ნაბიჯში ცენტრალური ტრასა გადიოდა. ავტ. შენ).

მე ნახევრად ტკბილი ყავა შევეუკეთე, რამაზომ უშაქრო მოისურვა როგორც ყოველთვის. მოგვიხარმა ალამ ყავა (ქვიშაზე ხარშავდა და საკმაოდ გემრიელად) და ამ დროს "ბუდუღლი" გამოგვიცხადა ვიღაც შებერტყილი ლიმილიან ტიპთან ერთად. ჩემი ზუგდიდელი მეგობარი, გაგვაცნო ბუდუღლიმ თანამგზავრობით.

შებერტყილი ლიმილიანი (ზალი ერქვა, ბუდუღლი ზალიკოს ეძახდა) კაფეს გვერდით სპარკმახეროში შევიდა, წვერს გავიბარსავ და დაგებრუნდებით.

- სტუმარი სოჭში უნდა წავიყვანო! - ისე გვითხრა ბუდუღლიმ, თითქოს სოჭში კი არა, ყველაზე ნაკლები, პირდაპირ პარიზში მიაქანებდა, - ზუგდიდში რომ ყვავდი სტუმრად, მაგრა მაშარავა... ჰოდა, ხომ იმსახურებს სოჭში განავარდნება?! - კითხვა დასვა და თითები გაატაკუნა სახსრებში. ნაბახუსევზე ან იზმორებოდა და ამოქნარებდა, ან თითებს ატაკუნებდა. თითების გატაკუნებაზე ამბობდა პატარა გაზმორებაა.

- რა თქმა უნდა! - ვუპასუხე მე, - ვალდე-ბულიც კი ხარ, კაცმა რომ თქვას!

ბუდუღლიმ შემომხედა და როცა დარწმუნდა, რომ არ დავცინოდი (ძალიან კი გამიჭირდა ირონია დამეფარა), ისე მორიდებულად გაიღიმა, მე და რამაზო მაშინვე მივხედით საითაც მიჰყავდა საუბარი.

- ჰოდა, მაშოვინით ფული და თქვენც წამოდით თუ გინდათ!

- სასწაული დამთხვევა და გამართლება ამას ქვია... სწორედ ახლა ვინატრეთ, ნეტა ვინმე ისეთი ღვთისნიერი გამოჩნდეს, რომ ჩვენი ფულით სოჭში წავიყვანოს-მეთქი... სიმართლე რომ გითხრა, არც გვეჯეროდა შენისთანა კეთილი კაცი თუ გამოჩნდებოდა! - უთხრა რამაზომ.

- თქვენ გექნებათ-მეთქი ფული არ. მითქვამს... მაშოვინით-მეთქი ის გთხოვთ! - იწყინა ბუდუღლიმ.

- კაც რაზ ხარ მოსული. ფულს გასესებთო გვეცვენებიან და ვერ ვიშორებთ, იქნებ შენ მაინც გვიშველო! - ბუდუღლის წყნისათვის ყურადღება არ მიუქცევია რამაზოს.

ბუდუღლიმ (როცა ბრახდებოდა ტუჩებს გადათეთრებამდე მოკუმავდა ხოლმე და სახეც

მუშტვივით ეკუმშებოდა თითქოს) ხელი ჩაიქნია, აქაოდა უიმედოები ხართო.

- მეც ვნახე რა ხალხი! - ამჯერად საკუთარ თავს გაუბრაზდა ბუდუღლი, თანაც უფრო საფუძვლიანად, ვიდრე ჩვენი.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ბუდუღლი თავის სტუმარს უკვე დაპირებოდა სოჭში წაყვანას და სწორედ ამიტომ გაიტყა ისიც ასე დილაადრიან წვერის გასაპარსად. ამას მე და რამაზოც მივხედით, რა თქმა უნდა, მაგრამ ირონიული ლიმილისაგან თავი შევიკავეთ შეძლებისდაგვარად.

- საქმე გვაქვს მე და კურუს აღებულები... ათას მანეთს გვაძლევთ ერთ კატერში. ოჩამჩირეში უნდა ჩაიყვანოთ ერთ მეთევზეს. ფულს მაშინვე იძლევა... კატერიც დავარაზვედკეთ უკვე, დავებრუნდებით თუ არა სოჭიდან, საქმის გასაკეთებლად მივდივართ. სამ, მაქსიმუმ ოთხ დღეში დავებრუნებ ვალს...

- მერე მაგას რა ჯობია! - უპასუხა რამაზომ და თავი ჩემკენ გადმოაქნია, - ესეც ოჩამჩირეში მიემგზავრება და გაიყოლეთ ბარემ, რაკი კატერით მიდისართ!

ბუდუღლიმ გამომცხადებდა შემომხედა (როცა სახეზე შემპარავ ლიმილს ირგებდა ცხვირზე ნაოჭები უჩნდებოდა), მაგრამ მე დავასწარი:

- ათი მანეთი მაქვს, მეტი კი არა!

- იყოს ათი მანეთი... მძლოლს მე ვთხოვ და უფასოდ წავიყვანს...

რამაზოს გადაეხედა.

- უშველის შენს გაჭირვებას ათი მანეთი? - ჰკითხა რამაზომ ბუდუღლის.

ბუდუღლიმ ამოიხსრა და არ უშველისო, აღიარა.

დავლიეთ ჩამწარებული ყავა მე და რამაზომ და გავედით ტრასაზე. ოჩამჩირისკენ მიმავალ პეტროპოლის გავაჩერებდით, რამაზო სუბტროპიკული მურენობის ინსტიტუტთან ჩაშვიდლოდა ქალაქის ბოლოსკენ, მე გზას გავაგრძელებდი.

- ფული რომ გვეკონდეს ხომ წავიდოდით სოჭში? - თქვა რამაზომ.

- ორმოცდაათ მანეთსაც ვიმყოფინებდით! - გავიოცნებე მეც მოკრძალებულად, - გაქვს შანსი?

- Надежда Константиновна умирает последней! - ლოზუნგით წამოისროლა რამაზომ.

- არადა, სამი-ოთხი დღე არავინ მომისაკვლისებს, ეგონებოთ, რომ ბიძაჩემის სახლს ვღებავ, - ვთქვი მე.

- სველ კატერში ათას მანეთს მიძღვევინო, ასე არ თქვა?! - როგორც იქნა გაამულავნა გაღიზიანების ნამდვილი მიზეზი რამაზომ, - ამას ლენჩებო ვგონივართ... მოპარულ კატერში ათას მანეთს ვინ მოგვცემს?

“ლენჩისკენ” გავიხედე, ბუდუღლაი საპარიკმახეროსკენ მიემართებოდა, მანამდე კი ალას ესაუბრა. შორიდანვე ეტყობოდა, რომ ალამ უარი უთხრა ფულის სესხებაზე. ალას თავის დღეში არავისთვის უსესხებია ფული.

მაშინდელი საბჭოური სერიალის (სახელი არ მახსოვს, ბოშათა ცხოვრება იყო აღწერილი) ერთ-ერთი წვერებიანი და, ქალების აზრით, ვითომდა ჭკვიანთავლება გმირს ბუდუღლაი ერქვა. ჩვენი ბუდუღლაი იმ ბუდუღლაის გავედა წვერებითა და ძალიან უნდოდა თვალების გამომეტყველებაც ჭკვიანური ჭქონოდა, ამიტომაც შეარქვეს ასეთი მეტსახელი.

- როგორ გვასიფანტებდა ეს შაკალი! - ნელა, მაგრამ ტყვადად იბოღმებოდა რამაზო, - ათასი მანეთი სველ კატერში!... გადაყვანაში დახარჯულ ბენზინის ფულსაც უნაზღაურებენ ალბათ... მართლა შაკალი ვიყო, თუ ამის ჯინაზე არ ვიშოვი ფული!

- გაქვს შანსი? - ვკითხე მე მეორედ.
- “ბალეტმისტერთან” მივდივართ! - მამცნო რამაზომ.

“ბალეტმისტერი”, ანუ იგივე კოტე, რამაზოს უფროსი ძმის ცოლისძმა იყო, ცეკვის მასწავლებელი. ორჯერ იყო საფრანგეთში წამყოფი გასტროლებზე თავის ანსამბლთან ერთად. რამაზოს ვარაუდი გამართლდა - კოტე სახლში დაგვხვდა. კურჩნევოს პარკის უკან ცხოვრობდა. არაქორეოგრაფიული აგებულების, დაბალი და ღიმიანი ვინჩე იყო. თუ ნაბახუსეზე ბრძანდებოდა, რეპეტიციებზე მედოლეს დოლს გამოართმევდა და თვითონ უკრავდა. ამტიციებდა, დოლის ბრახუნს “პახმელიდან” გამოეყვარო. ხშირად არ სვამდა, მაგრამ სამდღიანი “პახმელია” ჩვეოდა. ფრანგული უნდა ვისწავლოო, ამბობდა და სწავლობდა კიდევ შეძლებისდაგვარად. მუღლელ ჭყავდა ჭკვიანი - სტუმრებს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მორჩილი ცოლი ყოფილიყო, არადა პირიქით იყო. ნუნუნით ასერხებდა ქმრის მოთვინიერებას. განსაკუთრებული ტაქტიკა ჭქონდა შემუშავე-

ბული: იმის დიდი ნიჭი და უნარი მოსდებოდა, მოზომილად და კბილის მსუბუქი ტკივილით გულის გამაწვრილებელი მეთოდურობით ეწუნუნა და სანაცვლოდ “ოლონდ გაჩუმდი და როგორც გინდა ისე მოიქეციო” მიეღო. ქმრის ტკბილი სიტყვით დაყოლიების ხელოვნებას ვერ ფლობდა და ნუნუნით ფონს გასვლა უფრო ეადვილებოდა. იმ დროისათვის ძალზე მოდური ქოშები ეცვა (საფრანგეთიდან ჩამოუტანა ქმარმა) და მთელ სახლში ისეთივე თავდაჯერებული მეთოდურობით დაპაკუნობდა, როგორც ნუნუნებდა ალბათ. ესეც მისთვის ნუნუნის შემცვლელი მანევრი იყო, ოღონდ კოტეს იმ დღეს ცოლისთვის არ უთქვამს, ოღონდაც შენ გაჩუმდი და მეტს არ დაველო.

- დღეს რეპეტიცია რომ გაქვს ჩასატარებელი არ დაგაგინყდეს! - რამდენჯერმე უთხრა კოტეს ცოლმა.

- ისე ვამეცადინებ, სულ დედებს ვუტირებ! - პაუზობდა კოტე.

წავიდე, უხერხულია დილიდანვე სუფრაზე რომ შემოვუსკუპდით მასპინძელს-მეთქი, ვუთხარი რამაზოს. აბა ის კარგია, სახლში რომ მენწვევა და მაშინათვე ყანწეს ითხოვს ყოველგვარი შესავლის გარეშე და უპარდონოდო (“უპარდონო” კოტეს ტერმინი იყო, “უპრაგონო” კი მისი ცოლის). ჩემს დისშვილს ამეცადინებს უფასოდ და ამიტომ ჰგონია, რომ მამაჩემის დაყენებული ღვინის ნახევარი მისი დასალევეა და თანაც ჩვენი დასაყოლებელითო, მომიფო რამაზომ და თან იქვე დამმოძღვრა, არაფრის მოგერიდოს, შენ მხოლოდ ის გვაპლებს, მასპინძლის უკბილო ხუმრობებზე გაღიმიო. ამ სიტყვების მერე კოტეს დავაკვირდი და მართლა შევატყვე უბადლო ხუმარას სახელის დამკვიდრების დიდი სურვილი. გაიხუმრებდა რამეს გაცვეთილი კალამბურების მოშველიებით და თვალეში შემოგაცქერდებოდა, აბა როგორი ეფექტი იქონია ჩემმა ენაშაბანებულულობამო. თუ აღვრთოვანდებოდი, კმაყოფილი რჩებოდა და თავდაჯერებული ხდებოდა. ზომ კარგი ღვინოაო, გვეკითხებოდა ნამდაუნუმ. მამაჩემისას ვერ ჯობიაო, თითქოსდა ხუმრობით პასუხობდა რამაზო. კოტემ ყანწები გამოიტანა, თუ ამის დაღვეაზე უარს მეტყვით, ვიფიქრებ, რომ დიასახლისმა განყენინათო. ყანწის შემდეგ თავისი საფრანგეთში ყოფნის ამსახველი ფოტოსურათები, მედლები და სიგელები მოასვავა. ეიფელის კოშკის ფონ-

ზე ბარემ ცხრაჯერ გადაელო სურათი, უმთავრესად ხელებგაშლილი იდგა. ბოლოს ის პაკეტიც გახსნა (ბოლოსთვის შემოენახა), სადაც ფრანგ მანდილოსნებთან გადაღებული ფოტოსურათები ჰქონდა გადაბეჭდილი. იმ ფოტოებზე კოტეს ან შამპანურის ბოთლი ეკავა ხელში ან კონიაკის და მთვრალი კაცივით აეჭუჭუნებინა თვალები, არადა, დაკვირვებული თვალი მაშინვე მიხვდებოდა, რომ არც ისეთი მთვრალი იყო, როგორსაც თამაშობდა. მეოთხე დოქი ლვინოს მოსატანად რომ წამოდგა, ავდექი და წინ გადავუდექი.

- ლამინა! - განიარსული ხმით იყვირა კოტემ (დაავიწყდა მაგიდაზე ფრანგ მანდილოსნებთან გადაღებული ფოტოსურათები რომ ეყარა).

მოვიდვარო, მშვიდად გამოეხმაურა ლამინა და მართლა მოვიდა ოპერატიულად, ქოშების მორიდებული პაკა-პუკით. დადგა შემოსასვლელში და ისე გაიღიმა, თითქოს ფოტოკამერების წინ პოზიორობს.

- არ მიშვებს ლვინის მოსატანად, რა უნდა უთხრა? - რბილად მიმართა კოტემ ცოლს.

- გაუშვით, მაინც მოიტანს და რა აზრი აქვს... რომ არ მოატანინოთ, მერე მე მომდგება, შენ გამიქციე სტუმრებო, ამიხირდება, - თქვა ლამინამ. ეს მსგავსი შემთხვევებისათვის, იდილიური თანაარსებობის სადემონსტრაციოდ ცოლ-ქმრის მიერ შეთამაშებული (სცენარი ქმარს რომ ეკუთვნოდა ყველა მიხვდებოდა და არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი) და ხშირი განმეორების შედეგად დახვეწილი სარიტუალო სცენა იყო ეტყობა და დიასახლისიც სრულიად უემოციოდ ასრულებდა თავის კუთვნილ როლს. აქნილი წარბები ჰქონდა, მწვანეფოთლებიანი აბრეშუმის ხალათი ეკვა (პარიზიდან ჩამოტანილი), - დღეს მეცადინებოდა ჩაიშალა. რა აუვა მშობლების ნუნუნს!... წავალ და გადავურეკავ, გავაფრთხილებ, რომ ბავშვები არ გამოუშვან... თუმცა, ზოგი მათგანი პირდაპირ სკოლიდან მიდის რეპეტიციაზე. სად სდიონ ახლა ბავშვებს, სკოლებში ხომ არ მიაკითხავენ ჩვენი გულისთვის?

- ისე ვამეცადინებ, რომ დედებს ვუტირებ! - თქვა კოტემ და ლვინის მოსატანად გაემართა.

ლამინამ მაგიდაზე დახვავებულ ფოტოსურათებს გადახედა და გაიღიმა, აქაოდა მიუტყვევო ჩემს ქმარს ბაქაიობაო, თან ამავე ღიმილით

ისიც გვამეცნო, კოტეს ფრანგ მანდილოსნებთან გადაღებულ ფოტოსურათებს საფუძვლიანად. გაცნობილი რომ იყო.

- ასისტენტიც ყავს ერთი, მაგრამ რათ გინდა, მკვდარი სულია, - მითხრა ლამინამ, - ფულს კი ძალავს, გაგინახარია, მაგრამ არაფერი იცის. ერთ პას ვერ ასწავლის ბავშვებს, - სიტყვა "პა" ისე წარმოთქვა, თითქოს ბალეტზე საუბრობდა და მეც მივხვდი რატომ შეარქვა რამაზომ უფროსი ძმის ცოლისძმას "ბალეტმეისტერი", - ყველა ჩემი ქმრის სათრევია. ბედი აქვს ასეთი, - ამისხნა ლამინამ და რამაზოს მიანერდა გარკვეული და დაკონკრეტებული მოთხოვნით, მაგრამ რამაზო ისტიბარს არ იტყვდა: ჯიუტად არ ამხელდა დილაადრინი ვიზიტის მიზეზს, - თქვენ რომელ სკოლაში სწავლობდით? - მკითხა უცებ.

- მეჩვიდმეტეში, - ამყავდა მივუგე მე. მეჩვიდმეტე სკოლა პრესტიჟულ სკოლათა რიცხვში არ შედიოდა და წინასწარ ვიცოდი, ჩემი სამოსწავლო წარსული დიასახლისში ირონიას რომ გამოიწვევდა.

- გაზაფხულის ჩვიდმეტი გაეღვება! - ეს კოტე ყვიროდა. ჩქარობდა, არ იყო დარწმუნებული, რომ ცოლი ქმრის მიმართ გამოჩენილ, ცუდად დეკლამირებულ მორჩილებას თავის სასარგებლო ინტერპრეტაციას არ გაუკეთებდა თანამეცხედრის არყოფნაში, - შენი ისწავლის დროა! - მიმართა კოტემ მეუღლეს. ესეც ცოლის მორჩილების სადემონსტრაციოდ გათამაშებული სცენის დამამთავრებელი აქტი იყო.

- ნუ დაათრობ ამ ბიჭებს, - თქვა ლამინამ, - ამათაც საქმე ექნებათ...

- საქმეს მოუკვდა პატრონი! - გაიხუმრა კოტემ და თვალებიც ხუმრობით გადაუბრიალა მეუღლეს, - ახლა დოლზე ნუ დამაკრევივინებ! - ნუ გამაგებებ შენი ზედმეტი კომენტარებითო, ასე უნდა გეთარგმნა მისი ბოლო ფრაზა.

ლამინა გატრიალდა და ქოშების პაკა-პუკით დაინუნუნა აქტიურად, ლამის იყო აგრესიულადაც.

კოტეს სახლიდან რომ გამოვედით, პირველის ნახვარი იყო. უნივერსიტეტთან შევისვენეთ, რამაზო პურჭყებას მოჰყვა - წესი ჰქონდა ასეთი, შეთვრებოდა თუ არა, პურჭყებას იწყებდა. ხალხი გვიყურებს, ნუ იპურჭყები-მეთქი და ისიც დროებით გაჩერდა. სენტენციების ფეიერვერკად გადაიქცევა-მეთქი,



გავიფიქრე, მაგრამ შევცდი: მხოლოდ ერთი სენტენცია გადმოაფრქვია და ისიც დეკლამაციის გარეშე.

- **Налгость - второе счастье!** - განაცხადა რამაზომ და საჩვენებელი თითი ზევით აფიქსა, თანაც ისე აგრესიულად, თითქოს რაღაც უხილავის, მაგრამ მაგარის გახვრეტა განუზრახავსო. ბუდუღალის უნდა ვუზადლოდეთ ამ პურ-მარჩის... აბა რა ეგონა კოტეს, სახლში რომ მენწევა და ყვირილს იწყებს, ყანწი მომართვითო, ერთხელ თვითონაც ხომ უნდა გაიხარჯოს?.. დიდი ამბავი, მამაჩემს მისი შვილიშვილის ნამეცადინებ ფულს თუ არ ართმევს!

- შინაარსიანი დილა გამოდგა, - ვთქვი მე, - შენ დაუჯა გამოვიდა!

- მშვენიერი დასაწყისია! - ბექზე ხელი ისე დამკრა, თითქოს მე დამესლოკინებინოს და არა იმას.

- ნავალ ოჩაჩირეში! - ვთქვი მე. თან რამაზოც გამოვცადე, სოჭში წასვლის სურვილი თუ შერჩა-მეთქი და თან საკუთარ თავსაც შევასხენე დედაჩემისთვის მიცემული პირობა იმის შესახებ, რომ სახლიდან გამოსული პირდაპირ ოჩაჩირეში გავემგზავრებოდი, იქ მისული კი კარგად მოვიქცეოდი, ანუ სასმელს არ გავეკარებოდი.

- არავითარი! - გაბრაზდა რამაზო, - დღეს ფულს ვიშოვით და ხვალ სოჭში მივდივართ აფერისტების ჯინაზე... ორჯერ მოვითხოვე ყაბა და არ მომიდულეს! - დააყოლა გაბრაზებულიმა.

- ფული რატომ არ თხოვე? - ვკითხე მე.

- მომეროდა, - აღიარა მან, - დისშვილს უფასოდ ამეცადინებს და ფულიც რომ მოსთხოვო, თუნდაც სასესებლად, რაღაც არ გამოდის... ასე არ არის?

- როსტობაისთან მივდივართ! - ვთქვი მე. ახლა ჩემი რიგი იყო და ჩემი თანაკლასელი როსტობაია გაემიზნე.

ცენტრისკენ წავედი. ფეხით მივდიოდი. რამაზო კოტეს დაოჯახების ისტორიას მიყვებოდა:

გვიანი შემოდგომა იყო და კოტეს ძმა გამოცდას აბარებდა კარატეში - მეორე თუ მესამე დანის ასაღებად კატებს ასრულებდაო (ისიც კონტრასავით დაბალი და გოდორა კაცი იყო, მაგრამ ცოლები ორივეს მძლეობი და მათზე საგრძნობლად გამხდრები ჰყავდათ). კა-

ტა კარატეს იღეთების კომპლექსს წარმოადგენს. სხვას არ ვიცი და მე პირადად კარატეს კატები პანტომიმის წარმოდგენას მაგონებს. გამოცდას ვილაც იაპონელი იბარებდა თურმე, პირდაპირ იაპონიიდან საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩამოსული. კოტეც დასწრებია ძმის გამოცდას. ნასვამი იყო და ძმის მწვრთნელს დაეძინაღვა ერთ კარგ პურ-მარჩზე რესტორანში, შენი განრთვნილი კარატისტები რომ დაფხაკურობენ, ისეთ ცეკვას მე უკეთ შევასრულებო, თანაც ისე, რომ ის შენი თვალები-რიბა და მინიატურული იაპონელი (კოტეზე ტანდაბალი ყოფილა) ვერაფერს მიხვდებოდა და შემაქებს კიდეც, ოღონდ ჯერ ცოტა ხანს დავაკვირდები სხვებს, რომ მოძრაობების თანამიმდევრობა დავიზნაოფროო. იმდენი ესვენა კოტე, მწვრთნელი კინალამ დათანხმდა, მაგრამ საქმეში ერთი აყლაყუდა და თანაც ინტელიგენტური უშიშროების წარმომადგენელი ჩაერია, იაპონელს თითქოსდა ინკოგნიტოდ რომ დაეყვებოდა. დაიბარეს კოტე და მწვრთნელი სადაც ჯერ არს და კარგა გვარიანად აჯანჯლარეს. კოტეს მცდელობას, უწყინრად გახუმრებულყოფო, პოლიტიკური საარჩული მიაკერდა. დილიდან საღამომდე დაკითხვაზე ჰყავდათ ორივე. მეორე დღეს კოტე მწვრთნელს სახლში ბოდიშის სათქმელად ეახლა, ეს რა ხათაბალას გადაგყარეო. სახლის აივანზე იდგნენ და კოტე ბოდიშს რომ იხდიდა, სწორედ "ხათაბალაზე" გაუწყდა სიტყვა, იმიტომ რომ ლამინა ხასა. ლამინა მწვრთნელის მეზობელი იყო და იმ დროს ინსტიტუტიდან ბრუნდებოდა. ტაქტიკის თეორი ულაში ეცვა, კოჭებამდე სწვდებოდა მისი კალთები. კოტემ მოახერხა და მაინც შეამჩნია, რომ თეთრულაშიანს უზადო ფეხები ჰქონდა. ტყუილუბრალოდ უყურებ იმ გოგოს, საქმრო ჰყავს უკვე, დაგაგვიანდაო, უთხრა მწვრთნელმა კოტეს. მოერიდა ალბათ ისიც აღენიშნა, ლამინა შენზე ოცი სანტიმეტრით მაღალი მაინც იქნებო. კოტეს სიყვარულის სენი შეეყარა, ღამეები არ ეძინა. დოღგარმონზე უკრავდაო, მითხრა რამაზომ. ლამინამ აბუნარი თაყვანისმცემელი რომ ვერ მოიშორა თავიდან, საქმრო და თავისი ნათესავი თანაკურსელი ბიჭი ჩარია საქმეში. ლამინას ნათესავმა სხვა თანაკურსელ ბიჭებთან ერთად საკამოდ სწრაფად და ეფექტურად განუმარტა კოტეს, თუ რატომ არ ღირდა ლამინას შენუხება. კოტე ამის შემდეგ ტაქტიკა შეიც-

ვალა, მწვრთნელს უძერებოდაო, თქვა რამა-ზომ, მთელ მის სანათესაოს ბავშვებს უფასოდ ამეცადინებდაო თავის ქორეოგრაფიულ სტუდიას. იმდენი ქნა, რომ მწვრთნელი დაითანხ-მა, ლამინას გულის მოგებაში დაგეხმარებო. ლამინას საქმრო ლაბორანტი ყოფილა, სამეც-ნიერო ხარისხის მისაღებად მოწოდებული მე-ტად იმეცისბომცემი ახალგაზრდა, ნახევრად ვუნდერკინდი ბავშვობაში. ქალები ხომ ვუნ-დერკინდულ ბავშვობაგამოვილი ახალგაზრ-დებზე გიყუდებიან, განსაკუთრებით მაშინ, რო-ცა ახალგაზრდა მეცნიერებს მშობლივც მეც-ნიერები ჰყავთ და თანც ფულიანები (რო-გორც ლამინას საქმროს). დაწუნებული კავა-ლერი დოლ-გარმონით დადიოდა ძმის მწვრთნელის სახლში და მალაყებს გადადიო-და ცეკვის ილეთების დემონსტრირებისას. ერთხელ, მწვრთნელის დაბადების დღეს, მწვრთნელის ცოლმა ლამინაც გადმოიპატიფა თავის სახლში, სუფრის ვაშლაში მომქმარეო. სულ მუხლებზე ჩოქვით იცეკვა იმ დღეს კო-ტემ (მისი აღნაგობის კაცისაგან სრულიად მო-ულოდნელი სიმსუბუქითა და შთაგონებით იც-ოდა ცეკვა), კარატისტული კატების პაროდი-ული ქორეოგრაფიული იმპროვიზაციაც შე-ასრულა, რამაც უნიჭიერესი და უგარდაამახვი-ლესი პაროდისტის რეაუტაცია დაუმჯვიდრა. გარდა ამისა ლექსებიც წაიკითხა - "ტანო, ტა-ტანო"... და ა. შ. და ესეც პაროდიული პათო-სით. პაროდის ობიექტად და სათვალსაწირო მაგალითად ამ შემთხვევაში საკუთარი ტანი და აღნაგობა შესთავაზა აუდიტორიას. ამ თვითკრიტიკულმა გამოსვლამ საბოლოოდ მო-ხიბლა ლამინა. ერთი სიტყვით, ჯერ მოხიბლა და მერე მოიტაცა კოტემ ლამინა. ოღონდ გო-გოს მშობლები არც კოტეს სცნობდნენ სიძედ და არც საკუთარ ქალიშვილს, "დაგვაჯულ კაცზე" გათხოვების შემდეგ, შვილად. ხოლო რაც შეეხება კარატეს მწვრთნელს, რომლის წყალობითაც ლამინა ახალგაზრდა მეცნიერს კი არა, თავისზე ერთი თავით დაბალ "შენდა-უკას" მისაზოვდა; მილიციაში უჩივლეს. ლა-მინას მშობლების გულის გასახეთქად ბავშვიც კოტეს დაემსგავსა სიმაღლით და სანკვირიკო-ბით, უფრო სწორად ცხოვრებისადმი რალაც-ნაირი ზედმეტად გამარტივებული, ფამილარუ-ლი მიდგომით. კოტე ამით ნიშნს უგებდა თით-ქოს სიდედრ-სიმამრს (განსაკუთრებით სი-დედრს ალბათ, როგორც ჩვეულებრივ ხდება

ხოლმე). არც ლამინა იყო დამთმობი ქალი და თავისი ქოშების პაკა-უტეს ღრმა შინაარსობ-რივ დატვირთვას ანიჭებდა, მათ შორის სინა-ნულის გამობატვასაც ხეწნებდა იმის გამო, რომ ინტელექტუალურ მეცნიერ საქმროს ჭკუ-ამხიარული "შენდაუკა" ამჟღავნებდა. მე პირადად ამ წყვილს მაშინ ძალიან მოდურ მომღერალ-თა დუეტს, ასევე ცოლ-ქმარს რომინა პოუერ-სა და ალბანოს ("ველიჩიტა", თუ რალაც ამ-გვარს მღეროდნენ რამდენადაც მასსოვს) ვადა-რებდი. ალბანო ცოლზე ერთი თავით დაბალი იყო, მაგრამ კოტესავით საკმაოდ დიდგულა და თავდაჯერებული ვინმე გახლდათ.

არ მქონდა იმედი, რომ გოჩა როსტომიას ფული ეწებოდა, მაგრამ მაინც მივაკითხე ქა-ლაქის სახანძროში, იქ მუშაობდა.

კარგა ხანი იყო, რაც გოჩა არ მენახა. სა-ხანძრო რაზმის ათმეთაური იყო. ეს ადგილი ბიძამისმა უშუბა, ასაკით თავისზე გაცილებით უფროს ხალხს მბრძანებლობდა და განაგებ-და და ეს ისე სიამოვნებდა, რომ მის შემხედ-ვარეს არ შეიძლებოდა არ გეფიქრა, თავისი ადგილისთვის მიუგნია ცხოვრებაშიო. განსა-კუთრებული მონდომებით თამაშობდა მიმტე-ვებელი უფროსის როლს, ნაადრევად წამოზრ-დილ ლიპზეც მბრძანებლური ტონით ითათუ-ნებდა ხელს. სკოლაში სწავლით თავს არ ინ-უსებდა, მერვე კლასიდან სულ იმას ამბობდა, ბიძამემა სახანძროში უნდა მომანყოსო და "ცეცხლთან უნდა ვითამაშოო". ხუმრობდა თითქოს და თურმე სერიოზულად ემზადებო-და სინეკურისთვის. ძალიან მალე მიადნია ათ-მეთაურობას, მაგრამ შემდეგ წინ არ წაუწვია, აქაც შესანიშნავად გრძნობდა თავს. ასაკით პა-ტარას სახანძრო რაზმის მეთაურად ვინ დე-ნიშნავდნენ. სახანძრო სამსახურის ჩირონჯიო ბიძა პირდაპირად ხუთიოდ წელში რაზმის უფ-როსად გაგამწესებო და აწილ ისეთი კმაყოფი-ლი იყო, მეტი რომ არ შეიძლება. მეპურმარი-ლე კაცის სახელის მოხვეჭაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდა (ალბათ მამის ნაბაძვით) და აღ-წევდა კიდევ თანდათან ამ სიმაღლესაც. მე-ქალთანვე ვისი ნაბაძვით გახდა ვერ ვიტყვი, მაგრამ, გარკვეული წარმატებები იმ სფერო-შიც ჰქონდა. პლასტიკად პირდაპირ სახანძროში მოჰყავდა ტურისტები ქალები და როგორც თვი-თონ ამბობდა, "სიყვარულის კოცონს აგიზგი-ზებდა". ცოლი არ ჰყავდა და არც აპირებდა ახლო მომავალში დაოჯახებას. ცეცხლთან და

ხანძართან რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდაო ვერ იტყვოდი, მხოლოდ იმის აღნიშვნა უყვარდა, ცეცხლი სტიქიაო და ეგონა, ძალიან ღრმავაროვანი და თანაც ორგინალურ აფორიზმს ვასმენინებ მოსაუბრესო. მისი უფროსი და (ელისო ერქვა) თითქმის მთელი კლასის ბიჭებს მოგწონდა გოჩასგან მალულად. გოჩა უფრო სიმპათიური იყო თავის დაზე, მაგრამ ელისოს სხვანაირი ხიბლი ჰქონდა - პირველი ნახვისას გულუბრყვილო და ადვილად დასაბრკილებელი გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებდა და მაშინათვე აქტიური ფლორისტის აზარტის აღვიძებდა მამაკაცებში. სინამდვილეში არც გულუბრყვილო ყოფილა და არც შეუცდენინებია თავი ვინმესთვის. პირდაპირ სკოლის მერხიდან გათხოვდა, ათი წლით უფროს კაცს გაჰყვა ცოლად. ელისოს ქმარი - "პეტრუშკა", ერთ-ერთი იმათგანი იყო, მივლი ცხოვრება ძველ ბიჭად რომ რჩებიან. ღმერთის იმისთვის მოველინა, რომ "ლისიჩკა" ეტრიალებინა ხელში და კრიმინალ ავტორიტეტთა ბიოგრაფიები მოეყოლა. ქურდული სამყაროს მთარული (უფრო სწორად კი მობირთავე) მემბრინანე იყო, ზეპირად იცოდა, რომელი ავტორიტეტი რომელ წელს და ვინ "მონათლა", ვინ რუსეთის რომელ ქალაქში მუშაობდა, როდის, რატომ და როგორ იჯდა და რამდენი ხანი. "მუჟიკი" ვარო ამბობდა და განსაკუთრებით სიამოვნებდა, როცა მოზარდები მიადგებოდნენ და საქმის გარჩევას სთხოვდნენ. როცა პეტრუშკა საქმეებს არჩევდა, თავის სტიქიაში იყო, გაუთავებლად მოძღვრავდა მოზარდებს, ქურდული ცხოვრების წესებსა და ქვეყნის ნორმებს ასწავლიდა, თან ქალაქში გახმაურებული საქმის გარჩევას სრულ სიუჟეტურ სცენარს ჩამოკაკლავდა და, რაც მთავარია, ცოლის განათლებაზე ზრუნავდა. ელისომ სწავლის გაგრძელება მოინდომა. პეტრუშკა ამბობდა, ყველანიარად ვუნყობ სწავლაში ცოლს ხელსო - ხელშეწყობაში იმას გულისხმობდა, რომ ინსტიტუტში სიარულს არ უშლიდა. ელისო კი თავის მხრივ მართლა სწავლობდა, თანაც მთელი მონდომებით. პეტრუშკას თქმით ცალი ხელით აკვანს არწევდა და ცალ ხელში ნიგნი ეჭირა.

- მე ჩემი დედამინა!... - ასეთი სიტყვებით შეგვხვდა გოჩა, - ეს ვის ვხედავ!

აჩაჩულ-დაჩაჩული ვინმე იყო, განსაკუთრებით გაკრიალებული სახანძრო მანქანების

ფონზე.

- სტუმრები მყავს! - ამცნო გოჩამ ხელქვეითებს და ისინიც უმალ მიხვდნენ რაც უნდა გაეკეთებინათ: პატივისცემით გადმოგვხედეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა პატივისცემით ეპყრობოდნენ ისინი თავიანთ უფროსს. როგორც ელისო ახვევდა თავბრუს სკოლის მამლაციანა ბიჭებს და თავის ნებაზე დაატარებდა, ასევე გოჩასაც ასაკით უფროსი ხალხის დამორჩილება და დაყოლიებაც შეეძლო. რატომღაც რცხვენოდა იმის აღიარება, რომ სამსახურს სერიოზულად ეკიდებოდა.

- ასი მანეთი გვინდა ერთი კვირით! - ვუთხარა მე.

- მე როცა ასი მანეთი მაქვს ან "დიოსკურიაში" ვზივარ და შამპანურის ცარიელ ბოთლებს ვყრი ზღვაში "შშ"-ის პონტზე, თუ არადა სოჭში მივდივარ! - თქვა გოჩამ (არც ტყუოდა) და პიჯაკის ლაცკანზე დამქანა (დედაჩემმა მამაჩემის ახალი პიჯაკი ჩამაცვა და ისე გამომიშვა სახლიდან, რათა ბიკოლაჩემისთვის, თვითონ "ნირიახას" რომ ეძახდა, თვალი დაეყენებინა თავისი აკურატული და ინტელიგენტური გარეგნობის ვაჟიშვილით), - წაგებული ხომ არა გაქვს, ბიჭო?

არა-მეთქი, მივუგე. დელიკატურად, მხოლოდ მზერით მომთხოვა, განმეშარტა, რისთვის დაგვჭირდა ფული, მაგრამ მე არაფერი განმმარტავს.

- "დიოსკურიაში" დავესოსოთ ერთმანეთს, - დაგვაბატიყა გოჩამ, - ნისიად მენდობიან!

"შშ"-ი ქეიფის განსაკუთრებულ რიტუალს წარმოადგენდა. "დიოსკურია" ძველი ქალაქის ნანგრევებზე, პირდაპირ ზღვაში გაშენებული რესტორანი იყო. "შშ" ხმარებაში ერთმა ლეგენდად ქველმა სოსუმელმა შეიგანმა შემოიღო და ეს ტერმინი ქეიფისას შამპანურის დაცლილი ბოთლების ზღვაში გადაყრას გულისხმობდა.

მიპატიუებაზე უარი ვთქვით. მაშინ აქ გაეშალოთ სუფრაო, არ ცხრებოდა გოჩა. ბოლოს შევთანხმდით, რომ სამუშაო დღის ბოლოსთვის მე და რამაზ გოჩას გამოუვლიდით და სახლში ნავეყვობდით საქეიფოდ. იცოდეთ, სახლში ვრეკავ და დედაჩემს ვაფრთხილებ, რომ სტუმრები მომყავს და არ დამალატოთო, გაგაფრთხილა. დედამისი კიდევ, თავისი მოქეიფე ქმრის წყალობით ისე შექვეოდა სტუმრიანობას, უსტუმროდ მოიწყენდა

ხოლმე.

სანაპიროზე გავედით და მასიური თუჯის ფეხებიან სკამზე მოვკალათდით. ზღვამ თავისი სუნი დუღელში გამოსანვევდა მოქნეული თეთრი ხელთათმანით გამოგვიღალუნა ცხვირი-პირში დემონსტრაციული და გამომწვევი სიზანტით. სასიამოვნო იყო თითქოს, მაგრამ მერე ძილი მომერია.

- მეძინება, - თქვი მე.

- მე არ ვიყო, თუ ბუდუღაის ჯინაზე ფული არ ვიშვოვო! - დაიქაუნდა რამაზომ.

- რას ავიხირეთ სოჭი?... ოჩამჩირეში წავიდეთ. ერთკვირიანი გადაბმული ქეიფი გარანტირებული გვაქვს... ყოველთვის არ მოგვეცემა ასეთი შანსი.

- ჯერ სოჭში წავალთ! - ბრძანებდასავით ისროლა რამაზომ. წამოდგა, პერანგი აკურატულად ჩაიყოლა შავ ჯინებში (თეთრი პერანგი და შავი ჯინები ეცვა თითქმის ყოველთვის), საჯდომი ორივე ხელით ჩამოიფერთხა და წავედითო, თქვა.

ცენტრალურ ბაზართან სამთავრობო ბინები რომ იყო, იქ მივედით. პრესტიჟულ საცხოვრებელ კორპუსად ითვლებოდა, მინისტრთა საბჭოს აპარატის წარმომადგენლებისთვის აუშენებინათ. რამაზოს მამის ბიძაშვილი, ჯონდი, მინისტრთა საბჭოში მუშაობდა. რამაზოს მამას ჯონდის დედის ძუძუ ჰქონდა ნაწოვი, ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ, მაგრამ მერე რძლებს - ჯონდის ცოლს და რამაზოს დედას, ნიურას შეეტანათ მათ ურთიერთობაში მცირეოდენი დისონანსი, ერთ დროს უბრადაც კი ყოფილან ერთმანეთთან, მერე შერიგებულან და ისევ ძველებური სიახლოვის აღდგენას ცდილობდნენ.

კაცი არ ვიყო თუ ჯონდის ფული არ ავახიო, თქვა რამაზომ. ჯონდის და მის ცოლსაც შორიდან ვიცნობდი. ციალა (რამაზოს ბიძაშვილი) სტიმატოლოგი იყო და ითვლებოდა, რომ კბილებს ვირტუოზულად იღებდა. თავიდან კბილებს პლომბავდა, ანუ არემონტებდა, როგორც რამაზომ აღნიშნა, მაგრამ მერე ამოღებაზე გადაკვალიფიცირდა, რადგან კბილების ამოღება მათ გარემონტებაზე უფრო სარფიანი გამოდგა. დახედვდა თუ არა დაზიანებულ კბილს, მაშინათვე "ამოსალეზა, ორი აზერი არ არსებობსო", იტყოდა. ამასთანავე სხვათა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის დიდი უნარი ჰქონდა. ჯონდის სახლში უფროსებიდან

არავინ დაგვხვდა. ერთმა ყაჩაღანა გოგომ გავვილო კარი, რვა-ცხრა წლის იქნებოდა. ორისამი წლით უმცროსი ბიჭი მოკრძალებულად გვიღიმიოდა, გოგოს კი თვალები უტიფარი და შეუშოვარი ჰქონდა.

იქიდან "ელბრუსში" წავიდით. რამაზომ ყავა დალია, მე გლასე ვწრუბე, შემდეგ მზესუმზირაზე გადავედით. "ელბრუსი" მზესუმზირა-მოყვარულთა კაფე იყო. ერთგვარ სავეზიბტო ბარათსაც კი წარმოადგენდა ამ კაფესთვის მზესუმზირის გამყიდველი ქალები, მაგიდებს შორის რომ დადიოდნენ და შემოთავაზებული საქონლის ყიდვაზე უარს თუ ეტყოდნენ, ეჭვანი მზერით გაგინაპინძლდებოდნენ, აქაოდა, თუ მზესუმზირას არ მიირთმევ ამ კაფეში რა გინდაო. მზესუმზირის კნატუნით ყებები რომ დაგველალა, "ელბრუსიდან" წამოვედით და ეშმაკის ბორბალს მივადექით.

ეშმაკისმებორბლე ბარნაბა ანთია ადგილზე დაგვხვდა. ბარნაბას თავზე თმა ცალ მხარეს მთლიანად ჭალარა ჰქონდა, მეორე მხარეს მხოლოდ ოდნე შეჭაღარავებული. ძრავა გადაეწვა ერთხელ და ამ დროს ვიღაც მთვრალი, ბორბალი რატომ გააჩერეთო და პროტესტის ნიშნად გადმოსტიმას აპირებდა თურმე ზემოდან. სწორედ მაშინ გაუჭაღარავდა თავის ცალი მხარე ბარნაბას. ისე ნათლად წარმოვიდგინე, რა მოუვიდოდა იმ მთვრალს მართლა რომ გადმომსტირაციო, რომ თმა ერთბაშად გამიჭაღარავდა, თან ისე სწრაფად, რომ ერთ ქალს გული წაუვიდაო, ამბობდა ბარნაბა. ბილეთებს რომ არიგებდა, საჩვენებელ თითს ენის წვერზე აისვამდა კოხტად და ასე ისველებდა, რომ საერთო დასტიდან ადვილად გამოეცალკავებინა. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ბორბალზე გასეირნების მოსურნენი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბარნაბას ნატურტლარ ბილეთებზე ცხვირს არ იბზუებდნენ.

ბარნაბას ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამ სამსახურში გაეტარებინა და ბილეთების თითის დაუსველებლად ერთმანეთისაგან განცალკევება მინც ვერ ესწავლა. განსაკუთრებული სისათუთით ქალადლის ფულს ეყვრობოდა (რკინის ფულს თუ მიაწვდებდა ვინმე, ისე შეხედვდა, როგორც გონებაბრველიებს უყურებენ ხოლმე ინტელიგენტები - ყსადიდ და თავშეკავებული ირონიით), ერთმანეთზე ფრთხილად აწყობდა ხოლმე ღირებულების მი-

ხედვით, თუ დაჭმუჭნული იყო, ხელით ასწორებდა და აუთოებდა - ჯერ ფულს დახედავდა, მერე მის მომწოდებელს (დაკუჭული ფულის მომწოდებელსაც დაახლოებით ისეთი მხერით უმასპინძლდებოდა, როგორითაც სადისტებს უყურებენ პროკურორები), თითქოს ფულის შენახვის მანერითა და სტილით წვედებოდა კლიენტის ხასიათს. ფულს სხვადასხვა ჯიბეში იდებდა და ამ დროს შემოსავლის გადანაწილების რა კრიტერიუმით სარგებლობდა, არავინ იცოდა. სულ ქალებში ტრიალებდა, მაგრამ ერთხელაც ვერ გამოიჭირა თავისით რომელიმე მათგანი, მეზობლები ან შვილის მეგობრები უთმობნენ, ამბობდნენ. თან "პრიცეპიანი", ანუ ბავშვებიანი ქალებისკენ იყო მიდრეკილი. ქალების ქმრებისაგანაც ბევრი უსიამოვნება შეხვედრია. შეხედავდი თუ არა, მაშინვე მიხვდებოდი, ჰყავდა თუ არა იმ დროისათვის ვინმე. თუ ჰყავდა, ძალიან კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა და სხვა ქალებისკენ თითქმის არც იხედებოდა, რადგან დროებითი მონოგამიის აფეთქებები ნააოუვლიდა ხოლმე ეპილეფსიურ შეტევასავით.

ერთი ბიჭი ჰყავდა - ალიკა. რომ დათვრებოდა (თითქმის ყოველდღე თვრებოდა) ყოველთვის ერთსადაიმთხვე ფრანზას იმეორებდა, "დედას ვუტყვირებ ლუბოისო" გაიძახოდა. საიდუმლოდ რჩებოდა ვის და რატომ ემუქრებოდა და ამ დროს სულაც არ იყო კონფლიქტური. "ჩერდაკვი" უყვარდა ქეიფი. ქუჩაში შემოხვედრ "ზალიოტნი", ანუ ტურისტ ქალებს განსაკუთრებული მანერით ეკურკურებოდა: პირდაპირ თვალებში მიაშტერდებოდა ყურებამდე გაღიბებული, თითქოს დიდი ხნის უნახავი ნაცნობი ენახოს და ძალიან უხარიაო. ქალები გავაფიცებდნენ, დაიძაბებოდნენ და იზნეოდნენ, ვერ იგონებდნენ მათი ნახვით აღფრთოვანებულ და გულწრფელად გაღიბებულ ალიკას მანამდეც იცნობდნენ თუ არა და რომ არ გაწბილებინათ, თვითონაც ისე გაუღიბებდნენ, როგორც ძველ და სასიამოვნო ნაცნობს. ეს უკანასკნელი კი გაუხსნორდებოდა თუ არა ქალებს, სერიოზულ და გულგრილ სახეს მიიღებდა, განზე გაიხედავდა და ისე აუქცევდა გვერდს, თითქოს ქალებს ვერც ხედავდა, თან ნაბურტყუნებდა, ეს რა უცნაური მოდა შემოვიდა, ცალ საყურეს რომ ატარებენ ქალებიო. ქალები ანგარიშშიცემლად ყურებზე ნაივლებდნენ ხელებს. ალიკა გადაიხარხა-

რებდა. ეს იყო მისი მთავარი გასართობი.

რამაზო აბორდაჟზე წავიდა.

- რამდენი დღით შეგიძლია გვასესხო ორმოცდაათი მანეთი? - ჰკითხა ბარნაბას.

ბარნაბამ პერანგის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. კიტელისმაგვარ ხალათებს იცვამდა და სიგარეტის მოწვევის უდინჯესი მანერა ჰქონდა. სანამ სიგარეტს პირისკენ წაიღებდა, ხელს წინ გამოსწევდა პოზიორულად - მეორე მკერდზე ჰქონდა მიდებული ამ დროს - ანთებული სიგარეტის ბოლოს შეათვალიერებდა, დაფერფლავდა, დაარტყამდა ნაფაზს, სიგარეტიან ხელს მკერდზე მიდებულ ხელზე ჩამოაყრდნობდა და განზე გაბზიკავდა, როგორც კინოებში იცინა არანსტოკრატმა ქალებმა. მაშინაც ისე მოიქცა. თავისი წვრილი მოძრავი თვალებით შეგვათვალიერა და დინჯად გაგვიღიმა. მიაშიტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა განგებ, თითქოს მოსაუბრეს აიძულებდა; რომ ქედმაღლურად მოქცეოდა, რომ მერე მისი ქედმაღლობა დაეძლია და ამით დამტკბარყო, თითქმის ისეთივე ნერვებმომშლელი სიდინჯით, როგორითაც იმის ყურებით ტკბებოდა, თუ როგორ იწვოდა სიგარეტი (ღრმა ნაფაზებს არ არტყამდა).

- ფული რათ გინდათ, ბოზებში უნდა დახარჯოთ? - ორივეს ერთად გკითხა ბარნაბამ, თუმცა უპირატესად მე შემომამჩერდა, თითქოს რამაზოზე უფრო საიმედოდ მე მივანდი. მაგრამ, ამ ანკეს არ ნამოვეგი.

- Каждый судит по мере своих испорченности! - უპასუხა რამაზომ, - ჩვენ ქალებს ფულს არ ვახარჯავთ... პირიქით, აქეთ ვწველით!

- ჰოდა, წადით და მოწველეთ თუკი ასეა, მე რას მომადექით? - გულსგარეთ გაბრაზდა ბარნაბამ და შემპარავად გაგვიღიმა, - იმ ჩემმა მოუთმავარებელმა მოგაგზავნათ? (მოუთმავარებელს თავის ვაჟიშვილს ეძახდა, ეტყობა რალაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი დავაკელი და ბოლომდის არ მიმიყვანია საქმე, როცა ვაკეთებდიო, ამბობდა).

- თანაკურსელმა გოგონებმა დაგვაპატიჟებინეს თავი ახალ ათონში! - ჩემდა მოულოდნელად ვთქვი მე.

- გვიშველეთ რა ლავრენტისი! - შეხვეწა რამაზო და ხელი ჩემკენ გამოიშვირა, - ამის საცოლევ იქ გველოდება, სასეირნო კატერთან... სამგზავრო ფულიც კი არა გვაქვს! - ლამის ატირდა რამაზო და მე გავიფიქრე, ახ-

ლა ბარნაბამ თუ ჩვენი დაიჯერა, დედაბატონ-ბულ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს მივატოვებ და სამსახირობურ ჩავაბარებ-მეთქი.

- **До четвертака могу!** - თქვა ბარნაბამ. მთელი ცხოვრება თავის რუსულს ხვეწდა. დარწმუნებული იყო, უაქცენტო რუსულს თუ ვისწავლი, რუსის ქალები თავისით გამომაჭერინებენ თავსო, - მოიცათ! - თქვა უცებ, - თქვენ თანაკურსელები ხართ?

- არა, მაგრამ, ამას რომ უყვარს, ის გოგო ჩემს კურსზეა, - უთხრა რამაზომ. ბარნაბას ჩვენი თითქმის არ ჯეროდა, მაგრამ ფულის მოცემას უკვე დაპირებული იყო და სხვა გზა არ რჩებოდა. ჩვიდმეტი მანეთი მოგვცა. მეტი არა მაქვსო და რაც მქონდა, უკანასკნელ კაპიკამდე ჩაგიკაკლეთო.

- ხურდა ფული დავიტოვე, დანარჩენი თქვენ მოგაშავეთ! - გვაძინო მან. ზუსტად იცოდა რომელ ჯიბეში რამდენი ედო. შუალამისას რომ გაგაღვიძებინა და გეთქვა, აბა ზეპირად ჩამომიყაჭე, რომელ ჯიბეში რამდენი გიდევსო, ერთი კაპიკითაც არ შეცდებოდა, - ხომ იცით როგორ პატივს ვცემ იმათ, ვისაც სწავლა უყვარს!

მართლს ამბობდა: იმათ, ვინც სწავლის სურვილს ავლენდა, ლამის მონივნებით ეპყრობოდა. მეც ძალიან მინდოდა ნასწავლი გამოე-სულიყავი, მაგრამ მშობლები არ მიწყობდნენ ხელს, რადგან სწავლის ფასი არ იცოდნენო, ამბობდა. ორჯერ ჩარიცხა ვაჟიშვილი ინსტიტუტში და ორივეჯერ გამოურიცხეს "აკადემიური მოუსწრებლობის და ლექტორების დედაზე გინების გამო", როგორც თვითონ აღი-კა აღნიშნავდა. ბარნაბას მიელი ყურადღება ქალიშვილზე ჰქონდა გადართული. ქალიშვილი იმდენს მაინც ახეხებდა, რომ ინსტიტუტიდან არ რიცხავდნენ. რალაცნაირი უეშმაკო გოგო იყო და როცა კეკლუცობდა მაშინაც ისე კეკ-ლუცობდა, თითქოს ფლირტის ეს ფორმაც სა-გამოცდო საგანივით დაზუთხული ჰქონოდავს საგნის არსსა და დანიშნულებში ჩაუნდომ-ლადა. შემოგაჩერდებოდა თვალებში და თავი-სი პირდაპირობითა და უბრალოებით მისი მოტყუების კი არა, არსიყის სურვილსაც გა-გიქრობდა. პირდაპირ ესმოდა ნალაპარაკევი.

- ჩემ გოგოს ხომ იცნობთ? - გვეითხა ბარ-ნაბამ, - სტუდენტია ისიც! - დააყოლა სიამა-ყით და ამ დროს თითქოს მოეშვა, არც ეჭვი-ანი იყო და არც ბოზიორულად ირონიული, -

მამაშენმა იცის ცოლი რომ მოგყავს? ისე მკითხა, თითქოს მამაჩემის ძმაცატი ყოფილი-ყოს, არადა არც იცნობდა.

ჯერ არ იცის-მეთქი, ვუპასუხე.
- მაგარი ხარ! - უთხრა რამაზომ ბარნაბას. სიამოვნებდა ეშმაკისმებობლეს როცა ახალ-გაზრდები, როგორც თანატოლს ისე მიმართა-დნენ.

ერთხელ ბიჭებს უყურებიათ როგორ ეფე-რებოდა ქალს მთვრალი ბარნაბა - შამპანურ-ით უწუნავდა სახეს და მკერდს და მერე უკ-ოვნიდაო. ამიტომ ზურგს უკან არაღვალური მეტსახელიც ჰქონდა "ზასოსოსი", ეს მეტსახე-ლი ქალაქში გავრცელებულ ქეიფის სახეობა-საც გულისხმობდა ("SOS") და ჩაწუნვებითი კოცნის რუსულ შესატყვისსაც (ЗАОС). ერთხელ ციხეშიც ჩააყუდეს თოხმეტი თვით უკანონო მიშენებისთვის. დაბრუნდა იქიდან და გამოთვალა, ციხეში ყოფნა უფრო იაფი დამიჯდა, ვიდრე იმათი მოსყიდვა დამიჯდო-და, ვინც სახლის მიშენების ნებართვას გასცემ-სო. იმასაც ამტკიცებდა, ციხეში ყოფნისას ვის-ვენებდითო.

ასე და ამდაგვარად ოცდაოთხ მანეთამდე გვექონდა მე და რამაზოს.

- ოცდაოთხ ოცზე მეტია! - თქვა რამაზომ. უყვარდა ფლირტოვობობა, - დრო ფულია... ახლა საით მივდივართ?

- აღინასთან, - ვუთხარი მე.
აღინასთან წავედით, ჩემი ძმის, ბახვას საყ-ვარელთან. ლამაზი ქალი იყო, მაგრამ შავგე-რემანი და ამიტომ სულ თეთრ ფერებში იც-ვამდა. უცნაური ვინმე იყო, ჩემს ძმას მისი რუსეთში გადაბუნვის შემდეგაც ერთგულობდა. დედა აღინას "ტარაკანას" ეძახდა (მე "ლას-ტოჩკას") და ამბობდა, რომ თავს მოიკლავდა, თუკი ბახვა აღინას ცოლად შეირთავდა.

მაღალ და წვრილქუსლებიან ფესსაცმელებ-ზე უყვარდა ყელაობა. ქუჩაში რალაცნაირ და-ძაბულ გამომეტყველებას დაატარებდა თავის უზადო თედობვის მრგვალი პირისახით (რო-გორიც დედების მაღალქუსლიანებზე შემდგარ ბავშვებს აქვთ ხოლმე), ოდნავ გადმობურცუ-ლი - ბავშვურად გაბუტული ტუჩებით, თით-ქოს ეშინია ფესსაცმელებიდან არ გადმოვარ-დესო. ნაბიჯებსაც გამოზომილს ადგამდა, მაგ-რამ როცა კლიენტს დასტრიალებდა თავს (ქალთა პარიკმახერი იყო), დაძაბული გამო-მეტყველება უქრებოდა - მთელი ყურადღება

კლიენტის ვარცხნილობაზე ჰქონდა კონცენტრირებული და ისე ილიმებოდა, თითქოს წინასწარ სცოდნოდეს, რომ მისი ნახელავი მონონებას დამისახურებდა. შევლოდა კიდევ ასეთი მანვერი - კლიენტებიც იძულებულები იყვნენ აღინას გულწრფელად მლიქვნელური მოლიდინი არ გაეწილებინათ და "ოქროსხელებას" ეპოიეტებით გადატვირთული კომპლიმენტები წარმოეთქვათ. ჩემი ძმა სულაც არ გახლდათ ისეთი მიაბიტი, როგორც დედას წარმოედგინა, ოღონდ ეგ იყო, რომ საშინლად ზარმაცი იყო და როგორც ამ კატეგორიის ხალხს მოსდგამთ ინიციატივიან და ლიდერობის მოყვარულ ქალებს ანიჭებდა უპირატესობას. აღინაც ინიციატივიანი იყო. მე მათ რომანს "წითელი და შავი" შევარქვი, იმიტომ რომ ბახვა მწითური გახლდათ. დედაჩემის წინასწარმეტყველება ბოლომდე ვერ ახდა: რუსეთში ბახვამ აღინა გადაივიწყა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ - როცა დათრეობდა აღინას ურეკავდა სოსუმში და ეუბნებოდა, რომ მოენატრა და მალე მის წასაყვანად ჩამოვიდოდა. აღინა რუსეთში ვერ მიდიოდა - ლოგინად ჩავარდნილ დედას ვერ ტოვებდა, სამაგიეროდ ფულს უგზავნიდა ბახვას და თან იმედს არ ვერგავდა, რომ ის ფული საქარბეას მართლა სოსუმში ჩამოსასვლელად სჭირდებოდა და არა წამალში გადასახურდავებლად.

ქალთა სალონში რომ შევედით აღინა სავარძელში იჯდა და ძალიან ჭკვიანური გამოიმეტყველებით ჟურნალს ათვალერებდა - ფეხი ფეხზე გრაციოზულად გადაედო და ტრიალა სავარძელში ტისტიისმაგვარ რალაცას ცეკვაფდა - აი იმ მოსკატს, ფეხები და კორპუსი ადგილზე რომ რჩება და თქოებს ასავსებუნენ.

- თქვენო აღმატებულებავ! - ყოველთვის ამ სიტყვებით მხედებოდა.

ბავშვობაში ერთი ბულდოგი მყავდა, "გრაფი" დავარქვი. ყველა იმას მეუბნებოდა, ბულდოგს ასეთი სახელი არ უხდებო. მე მაინც გრავეს ვეძახოდი. აღინა მაშინაც (ჩვენი ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა) თქვენო აღმატებულებას მეძახდა. მე გბრზადებოდი და ნანწავებზე ვქაჩავდი, თუკი დავწეოდი (საკმაოდ სწრაფად გარბოდა). მაშინაც იმიტომ მბრზუნებდა, რომ ბახვას ყურადღება მიეყრო. ებრანჭებოდა, მაგრამ ბახვა და, მით უმეტეს მე, ამას მაშინ ვერ ვხედებოდი.

- ბახვას ხომ არ დაურეკავს? - მკითხა აღ-

ინამ. ქმრად მიაჩნდა და თავს მის კანონიერ ცოლს უწოდებდა.

არა-მეთქი, ვუპასუხე. აღინამ არ თქმა უნდა დედაჩემისთვის განკუთვნილი საყვედურიანი მზერა შესროლა. "რაზე ფიქრობს ის ქალი, თავი უჭკვიანეს ვინმედ რომ მოაქვს, მისი ვაჟი სანამ საბოლოოდ არ განარკომანებულა, მანამ არ უნდა ჩამოიყვანოს?!" - დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო აღინას თვალთა მეტყველება.

- უნდა მიშველო. გაჭედილში ვარ! - ვუთხარა აღინას (პირველად მივედი ფულის სათხოვნელად), - ოღონდ არ მკითხო, ფული რისთვის მჭირდება... რამდენიც შეგიძლია. ერთი კვირით. შენ თუ არა გაქვს, ვინმეს უნდა ესესოს!

აღინას მზერას თვალი გავაყოლე და ფანჯარაში რამაზო დავინახე. ტუჩები ისე მოემართა, კაცს ეგონებოდა ან სტვენას აპირებს ან გადააურჭყყბასო. ასე იცოდა ხოლმე, როცა ლოდინით გატანჯულ კაცს განასახიერებდა. ამ დროს შემოვიდა კიდევ ის, ვისაც მე ნახვისთანავე "ყვითელჟაკეტიანი ანგელოზი" ვუწოდებ. საკუთარი თავით კმაცოფილის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თითქოს ეს-ეს არის კომპლიმენტი ესროლესო. ასეთ თავდაჯერებულ ღიმილს მათი პატრონები თავიანთი გარეგნობით ოდნავ მაინც თუ აკმაყოფილებენ უმაღლ განიტრიგებენ.

აღინა მოსულს მიელაქუცა და მაშინვე სავარძელში ჩასვა.

მოყვითელო ჟაკეტიანს მზია რქმევია. ჩემს აღფრთოვანებულ მზერას რომ გადააწყდა, ღიმილი ერთი წამით კიდევ უფრო სასიამოვნო გახდა, რის შემდეგაც ზერულედ დაიმორცხვა და თქვა, რომ ძალიან ეჩქარებოდა. გავალ და ნახევარ საათში გამოვივლი-მეთქი.

- მე მანამდე გოგოებში გავიკითხავ და აუცილებლად დავიზუსტებ, - მიპასუხა აღინამ. თითქოს ფულის სათხოვნელად კი არა რალაც ამის გასაგებად ვიყავი მისული. მომეჩვენა, რომ ყვითელჟაკეტიანი მიხვდა, ფულის სათხოვნელად რომ ვიყავი მოსული და შემრცხვა კიდევ.

მზიამ თავისი მოყვითალო ჟაკეტი გაიხადა და აღინას მიანოდა მბრძანებლურად.

- იცი ეგ ქალი ვინ არის? - მკითხა რამაზომ მზიავზე.

- ჩემს სტილში ზის! - მივუგე მე.



- ჩემი დეკანის ცოლია...

- შემეგინებია შენი დეკანისთვის ცოლი და ეგ არის... რა ხნისაა შენი დეკანი?

- შენ ნუ გეშინია: ასაკოვანია, მაგრამ ინსტიტუტის ქალების ნახევარი ანოიკებულნი ჰყავს...

- ...და ცოლს ვერ აკმაყოფილებს! ხდება ხოლმე... მაშინვე მიგვხედავ. ისე აქვს ძუძუები გადმოყრილი, ლამისაა კერტები გამოუჩნდეს. დაკმაყოფილებული ცოლები ასე არ იქცევიან!

- მე ასე არ ვიტყვოდი.

- ძვირი უჯდება ალბათ დაუკმაყოფილებული ცოლის ქნახვა. ზედვე ეტყობა, რომ პრეტენზიული შენაა. ასეთი ქალი ან საკუთარი ძალებით უნდა დააბა ან ფულით! - გავაგრძელებ მე, - ფრანგული სუნამოს სუნს აფრქვევდა, ბეჭედი ბრილიანტის თვლიანი ჰქონდა. ოქროს სამაჯური მინიმუმ სამასმანეთიანი მაინც ვეთა...

- კარგადაც ხვტავს ჩემი დეკანი, უფულოდ უცოდინარზე ნიშანს არ დაწერს, - დამემონა რამაზო, - ერთი უცნაური წესი აქვს: წელიწადში ორ წიგნს მაინც წერს და თავის სტუდენტებს ავალდებულებს ის წიგნები თუმნად იყიდონ. თუ წიგნების მყიდველთა სიაში არა ხარ აღნიშნული, გამოცდაზე ნიშნის მიღების იმედი არ უნდა გქონდეს...

- ჯერ ცოლი დანეროს როგორც საჭიროა. ვარიანტი არ არის ამ ქალს საყვარელი არ ჰყავდეს!

- არა მგონია! - თავდაჯერებულად განაცხადა რამაზომ.

პარკისკენ გადავიწადავ და გავაბოლოეთ. მე ისე მზიაზე ვფიქრობდი. ნიკაპი ჰქონდა ოდნავ უხეში და სახის სხვა დახვეწილი და ნაზი ნაკვთების ფონზე უცებ გხვდებოდა თვალში. ჩვეულებრივ პირისახეზე რომ ჰქონდა ასეთი ნიკაპი, იქნებ არც მოგჩვენებოდა უხეში.

- შენ როგორ გგონია, რამდენს გვიჩაღიჩებს ალინა? - მკითხა რამაზომ თავისი სიგარეტი ფილტრამდე რომ დაიყვანა და ნაშენის გადასაგდებად მოეზადა. სიგარეტის ნაშენს ნკიპურტით მოისროდა ხოლმე, ნაშენის გადაგდებად გადასაგდებად ადგილს ირჩევდა საგულდაგულოდ წინასწარ და მერე შერჩეულ ადგილზე ზუსტად რომ დააგდება კმაყოფილება ეუფლებოდა.

- ასე მგონია, იმ ქალს ცელულიტი არ ექნება...

- შვილი არ უჩნდებათ, - თქვა რამაზომ.

- ასეც ვიცოდი! - ვთქვი მე. ასე მომეჩვენა რომ ამას მანამდეც ვიყავი მიხვედრილი, - რომ დაარაზვეტკო ეს ქალი და ჩააკარტოჩკო, როცა საყვარელს ხვდება, ფულსაც მოწველი და ლოგინშიც ჩაითრევა!

ორივე სალონის გამოსასვლელს მიგწერებოდა და ისეთი გამომეტყველება გექონდა (შეგხედე თუ არა რამაზოს, ჩემი გამომეტყველებაც მაშინვე თვალწინ დამიდგა), თითქოს მზიას გამჩინებს მხოლოდ ალინას გამო ველოდი...

- რას გაჩუმიდი? - მკითხა რამაზომ და ირონიულად გაიღიმა, - გულში ხომ არ ჩაგივარდა?

- არ ექნება იმ ქალს ცელულიტი, - ვთქვი მე.

- ნუ გგონია შენ იყო პირველი ვინც ასე დააფიქრა.

სალონიდან გამოსულ მზიას ჟაკეტი ხელით მოჰქონდა და საკმაოდ გრაციოზულად მოარწევდა თქოვს. მთლად ისე ვერა როგორც მოდელზე იცინა, მაგრამ საკმაოდ ეფექტურად. კაბა ისე შემოტყვევდა ტანზე, მთელ მის სხეულს მზერითაც ცხადად შეიგრძობოდა, თითქოს ხელით ეხებოდა, იმასაც ხედავდი, როგორ უთახთახებდა სიარულისას მკერდი. მშვენიერი მკერდი ჰქონდა, ნამდვილი შედევრი.

- ნახე რა გახარებული სიფათი აქვს. მართლა საყვარელთან ხომ არ მიდის ეს ნაბოზარი! - თქვა რამაზომ, - მოდი მე უკან გავყვები და დავბრუნდები, შენ მანამდე ალინა დაეყარა...

- შენთან წამოველა, - ვთქვი მე.

- შენ ნანახი ყავხარ და რომ შეგაშინოს, დაეჭვებოდა. მე იმდენად ვერ მიცნობს. მაგისტრის სტუდენტები ზანგებოვით არიან - ყველა ერთმანეთს ჰგავს და ერთი შემოხედვით ვერც მიცნობს, - თქვა რამაზომ.

რამაზო წავიდა, მე დავრჩი. ვაცალე ალინას, სანამ გოგოებს ჩამოურბენდა ფულის სასესებლად და მერე სალონში შევედი.

ალინას სამოცი მანეთი ეშოვა. მე ვუთხარი ერთ კვირაში ბიძაშვილის ქორწილია და შეიძლება ბავსა ჩამოვიდეს-მეთქი. ახლა უკვე დავალბებული ვიყავი მისგან და ამიტომაც ის საყვედურიანი მზერა - "რას ფიქრობს ის ქალი, თითქოს მე რომ ჩამომავშორა შვილი და თვითონაც დაკარგა" უფრო დაურიდებლად მეს-

როლა. თვალებიც (შავი თვალები ჰქონდა, ირ-
 იბ ჭრლებს მიღმა თავდაჯერებით გამოზი-
 რალნი) აუნწლიანდა, ოღონდ ამ ცრემლმორე-
 ულობით პოზიორობდა კიდევ, ქმარვერგამარ-
 თლებულ ქალს თამაშობდა. იქნებ უკვე ნანობ-
 და, რომ ჩემს ძმას შეაცდენინა თავი. შეიძლება
 მაშინ, როცა თავი შეაცდენინა, მართლა უყ-
 ვარდა ჩემი ძმა და მერე, როცა იმან მისი ფე-
 ხებზე დაკიდება სცადა, კიდევ უფრო შეუყ-
 ვარდა. ასეც ხდება ხოლმე. ალინას მამა კალა-
 ტოზი იყო და ის პატარა სახლი, დედაჩემის
 ინიციატივით რომ მოუდგა ჩვენს დიდ სახლს
 მამაჩემმა, ალინას მამამ აგვიშენა. ამის შემდეგ
 ალინას მამა სულ მალე გარდაიცვალა, მშენ-
 ბარე კორპუსის ხარაჩოდან გადმოვარდა. პა-
 ტარები ვიყავით მაშინ, მე თითქმის არ მახ-
 სოვს ალინას მამა. დედას ალინას მამის მიერ
 აშენებული ის სამოთახიანი სახლი გასაქირა-
 ვებლად უნდოდა. პრაქტიკული ჭკუის ქალის
 პრეტენზია ჰქონდა. სამ ოთახში სამ ოჯახს
 დავაყენებ ქირითო, ამბობდა. სამი არა, მაგრამ
 ორი დავაყენებ და სახლის აშენების ხარჯები
 ერთ ნელინადში ამოიღო, მაგრამ გაუთვალის-
 წინებელი რამ მოხდა. დედას მოეჩვენა, რომ
 მამამ ერთ-ერთი მდგმური ოჯახის ტაქსისტი
 თავკაცის (ტაქსი შემორჩა მესსიერებას, მისი
 პატრონის სახეს ვერ ვისწვებ) სტუმრად წვე-
 ულ დას დადგა თვლი. მეზობლები ალაპარა-
 კებულან, რომანი აქეთ ერთმანეთში. დედამ
 მდგმურები დაითხოვა, სამაგიეროდ ის სახლი
 ჩვენთან გაჩერებული, სოფლიდან ჩამოსული
 სტუდენტი ნათესავების საცხოვრისად იქცა,
 მათ შორის იმ ბიძაშვილისაც, ვისი სახლის შე-
 საღებდაც უნდა გავმგზავრებულიყავი. ძალით
 რთავდნენ ცოლს. ბახავს მაგალითით
 დამფრთხალი ჩემი ნათესავები სულ ძალით
 რთავდნენ ცოლებს თავის ვაჟებს.

ალინა თავის შეცოდების ხასიათზე დადგა
 და დანალელიანდა. ბოლოს ცემას მოჰყვა და
 მზერა ისევ დაბებული გაუხდა, თითქოს მა-
 ლალქუსლიანი ფესსაცმლებიდან გადმოვარდნის
 ემინიაო. მაგრამ მე დავასწარი და შევეცადე
 საუბარი სხვა გზით წამეყვანა.

- ის მკვდარიშვილებული ქალი, თმა რომ
 დაუთოვე ახლახან, შენი მუდმივი კლიენტია?
 - ვკითხე მე.

- ტყუილად ირჯები, პატიოსანი ქალია.

- ეჭვიც არ მეპარება, - ვუპასუხე მე, - ქმა-
 რი წიგნიწერია დეკანი ჰყავს, თავისაზე გაცი-

ლებით უფროსი. ასე არ არის?

- რამაზომ გითხრა? - მკითხა ალინამ და
 ქუჩაში გაიხედა, თვლებით რამაზო მოიძია
 და ვერსად რომ დაღანდა, ისევ თავის სევდას
 მიეცა, ამჯერად უპოზიოროდ. ლოყაზე ვაკო-
 ცე და ნამოვედი. პარკში დავჯექი და რამა-
 ზოს დავლოვედი. ჯანდაბას სოჭში წასვლა, ოჩ-
 ამჩირეში მოვუსვამ-მეთქი, ვფიქრობდი. ხასია-
 თი მომიშხამა ალინას სევდამ. რამაზო რომ
 მოვიდა უკვე მტკიცედ მქონდა გადანყვეტილი
 ოჩამჩირეში წასვლა.

- ნავედით! - მოსვლისთანავე მესროლა რა-
 მაზომ.

- სად მივდივართ?

- რაზეტკაზე. სახლში წავიდა ის ნაბოზა-
 რი, აშკარად სხვაგან აპირებდა წასვლას. მერე
 მობრუნდა და სახლში წავიდა. სანამ ეზოს
 კარში შევიდოდა, მოტრიალდა და პირდაპირ
 მე შემომხედა! - თქვა რამაზომ და უცებ გაბ-
 რაზდა, - არამგონია ვეცნე, მაგრამ პირდაპირ
 მე შემომხედა!

- მზერა იგრძნო ალბათ, - დავამხვიდე მე.

- სადღაც აპირებს წასვლას... მაშინვე მიხვ-
 დები, რომ სადღაც უნდა წასულიყო და გადა-
 იფიქრა.

- ამ ერთ ციცქნა ქალაქში საყვარელთან
 ერთად ქუჩებში ხომ არ დანიწყებს ხეტიალს?!

- რა იცი!... შეყვარებული ქალი ისე ამძიმე-
 ნდება ხოლმე, არაფრის ერიდება! - აფორიზ-
 მივით წამოისროლა რამაზომ, - ნავედით... იმ
 ქალის სახლსაც შევევლოთ თვალი. მაინც იქ-
 ითკენ გვაქვს გზა... ჯონდი ხომ უნდა დავაყა-
 ჩალოთ?

დაახლოებით ათ წუთში ოჩამჩირეში წასვ-
 ლა გადავფიქრე. ცენტრალური ბაზრის უკან
 კერძო სახლებისკენ დავაღორეთი. მზიას, უფრო
 სწორად კი მზიას ქმრის სახლი სოხურით ტუ-
 ფის ქვით იყო ნაშენი. რამაზომ თქვა, მზიას
 მათხოვარმა ქმარმა, მას შემდეგ რაც ფული
 იშოვა, ეს სახლი ერთი მდიდარი სოხისგან
 იყიდა, მანამდე ნაქირავებში ცხოვრობდაო.
 გზაჯვარედინზე ვიდექით და შორიდან შევც-
 ქეროდით სახლს.

- მაინცდამაინც მე შემომხედა იმ ნაბოზარ-
 მამ! - არ ცხრებოდა რამაზო (ყოველ ხუთ წუთ-
 ში ამ ფრაზას იმეორებდა), არ ამხელდა, თო-
 რემ ეჭვი არ ასვენებდა, რომ მზიამ იცნო, -
 ინტიუციანი ქალია ის ნაბოზარი!

კერძო სახლების ამ რაიონში დიდხანს

ყურყუტი საეჭვო იყო. აქ უცხო იშვიათად შემოხატებოდა ხოლმე და მაშინვე იქცეოდა ყურადღებას.

ჯონდისკენ განემართეთ. რამაზო აღგზნებულ იყო, ამბობდა, კონგენიალური კომუნიკაცია შევიმუშავო: მზიას უნდა ჩაუფუძვინო, საყვარელთან ერთად დავაფიქსიროთ ვიზუალურად, უმჯობესი იქნება ფოტოაპარატით და მერე დავაშანტაჟოთო. აქედან ორ კურდღელს დავიჭერთ, ანუ ორმავე მოგებებს ვნახავთ, ჯერ ერთი მე მზიას დავაგემოვნებ და, ამას გარდა, საიდუმლოს შენახვისთვის ფულსაც შევანერთო. ჩემს მიერ მიწოდებულ იდეას ხელახლა აყალიბებდა და მის აღსრულებას იჩემებდა.

ჯონდის, ორმოც წლამდე ზორბა მამაკაცს მელოტი თავი ზეთნასმულივით უბზინავდა. იმ მამაკაცთა კატეგორიას ეკუთვნოდა, ყოველთვის ფორმაში რომ არიან, უდარდელად იცინიან და მათ შემხედვარეს ასე გგონია, ადვილად აღწევენ ყველაფერსო. მე და რამაზომ ჯონდისთან მისვლამდე დავსახეთ მოქმედების გეგმა: მე მოგონილი სახელი და გვარი უნდა დამესახელებინა და ჯონდისთვის უნდა მეთხოვა, გაესხენებინა, ხომ არ იცნობდა ამ ადამიანს ან სადმე გაგონილი ხომ არ ჰქონდა მისი სახელი. ჯონდი, ჩემს მიერ დასახელებულ პიროვნებას, რა თქმა უნდა, ვერ გაისხენებდა. მე ვიტყოდი, რომ ვილაც აფერისტს ვეძებდი, რომელმაც რაღაც საქმეში გადამაგდო ნახევარი წლის წინ. ასე და ამდაგვარად მასპინძელი თავის სტიქიაში აღმოჩნდებოდა, რადგან რამაზოს თქმით ძალიან უყვარდა სტუდენტობისა და, საერთოდ, რუსეთში ყოფნის წლების გახსენება.

არც შემცდარა რამაზო: ჯონდი გულუხვად გაგვიმასპინძლა სტუდენტობის დროინდელი მოგონებებით (ღვინოსაც არა უშვავდა). სტუდენტობისდროინდელი მოგონებები ჯარის მოგონებებივითაა - მთლიანად გიპყრობს და გგონია რომ მსმენელსაც ძალიან აინტერესებს. მე და რამაზო ჩვენს მოგონებებს არ მივძალავებართ. კაცმა რომ თქვას სტუდენტობა ჩვენთვის სიზმრად ქცეული სახამაშო მოგონება კი არა, ჯერ კიდევ ცხადი, ყოველდღიური და ლამის მოსაბეზრებელი ყოფა იყო.

ჯონდის ღვინის სმის თავისებური მანერა ჰქონდა. პირველ ყლუპს მიპარვით მოსვამდა, თითქოს ემინია არ მოენონოსო, შემდეგ თვალებში კმაყოფილება უდგებოდა, დინჯად

ცლიდა ჭიქას - ბოლოსკენ უკვე სიამოვნებით. ცხოვრებასაც ასეთივე მანერით და თანამიმდევრობით ატარებდა - მოსინჯვით, დაგემოვნებით, ტკბობით. რამაზომ თქვა, არავინ წახმარებია, თავისით მიაღწია ყველაფერსო. ცოლად მაშინ შეირთო, როცა ღარბი იყო. ცოლად ენერგული ქალი შეერჩია (ერთ ქალაქში უსწავლიათ, მაგრამ სტუდენტობის მოგონებებში არ უხსენებია რატომღაც). ციპირის ქალაქებში ჯგუფური ჩსუბები ძალიან მომგებიანიაო, ყვებოდა ჯონდი, იმიტომ რომ ჩსუბის შემდეგ ბუნვის ქუდები, "უშანკებს" რომ ეძახიან ძირს ცვივა თურმე და ჩსუბნაგებულენი გაქცევისას ადგილზევე ტოვებენ (ძალის ბუნეკანი "უშანკები" სამას მინთამდე ლირებულა). იყო შემთხვევები, რომ ამათი ნათლაფერი ქუდი შეგვიგროვებია და ამათი გაყიდვით რამდენჯერმე გვიქეიფიაო.

მასპინძელი ყველაზე უფრო შვილებით ამაცობდა - ყაჩაღანა, დედამისივით ენერგიულ გოგონას პიანინოზე აკვრევივებდა, ბიჭს უფროსებთან, სტუმრების გართობის მომიზეზებით სადღერძმელოების წარმოთქმის უფლებას აძლევდა, მაგრამ ის ამ პრივილეგიით ნაკლებად სარგებლობდა სიმორცხვის გამო, სამაგიეროდ მისი და ტლიკინებდა ძმის მაგივრადაც. არ ვიქაროთ, სადაცაა დასახლისიც შემოგვესწრება და საქმელს შემოგვმატებოსო, გვეუბნებოდა წამდაუნძემ მასპინძელი (ციალა გვიანობამდე რჩებოდა თავის მასახურში). ჩვენ ვქარობდით, რადგან გვარიანად შეუთვრით. ბარემ ოთხჯერ აღმანერინა ჩემს მიერ დასახელებული მოგონილი პიროვნების გარეგნობა. მეც არ დავიბენი, კოტეს აღწერდი ზედმინევიითი სიზუსტით - "ბალეტმისტერს", ვისთანაც დილით ვიქეიფეთ. დავიყენებდი თვალწინ და არა მარტო გარეგნობას, მანერებსაც ვუკაკლავდი დანვრილებით, მეტი დამაჯერებლობისათვის. რამაზომ მეორე ჯერზე იეჭვა, რაშიც იყო საქმე (თავიდანვე უნდა მიმხედარიყო, როცა ოქროს კბილები ვახსენე) და ელიმებოდა. ბავშვი რომ ვიყავი, ჩვენი ერთ-ერთი მდგომარი, ტაქსისტის ორსული ცოლი, ჩვენს ეზოში, როგორც საკუთარში ისე რომ დაბავჯავებდა, დროს იმით კლავდა, რომ ჩვენ საოჯახო ალბომს ათვალეიერებდა დაუსრულებლად - რატომღაც ძალიან აინტერესებდა შვილები პროცენტულად ვის ემსგავსებოდა უფრო ხშირად, დედას თუ მამას. ჩვენი ნათე-

სავეებიდან რომელიმეს თუ ვერ აღმოაჩენდა ფოტოსურათზე, აღმინერე როგორი არისო, მისოვდა და მეც თხოვნას ვუსრულებდი. ასე, რომ ამ საქმეში გარკვეული გამოცდილება ბავშვობიდანვე მქონდა.

ჯონდი ლენის მოსატანად რომ გავიდა აივანზე, რამაზოც უკან მიჰყვა. სუფრასთან მასპინძელზე ადრე დაბრუნებულმა თვალი ჩამიკრა, თან ხუთი გაშლილი თითი მაჩვენა და თითქმის მაშინათვე იმავე ხელით თმბეი გადავიარცხნა, რადგან მასპინძლის ყაჩაღანა გოგოვით მხოვრა თვალი და გაცილებული მისჩერებოდა, რატომ ფარჩხავს თითებსო. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რომ რამაზოს ორმოცდაათი მანეთის მიცემას დაჰპირდნენ.

წინაპრების სადღეგრძელოზე ჯონდის გამზრდელი ბებია გაახსენდა, არ დაიზარა და მოგვიყვა, თუ როგორ ინახავდა თავადის თუ აზნაურის შვილი ბებიამისი რუსეთში სტუდენტ შვილიშვილს. ამისთვის სამოცდაათს მიღწეული მოხუცი ჩაის კრეფდა (გამწარებით პუტავდაო, ამბობდა ჯონდი), ხელები უუხეშდებოდაო. ბოლოს თითებიც დაგრეხვია ანტიკვარული ავეჯის ფეხებივით (ამგვარი შედარება მოიყვანა მასპინძელმა, ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ისეთ მაგიდას უყსხედით). ამ დროს მოგვისწრო კიდევ ციალამ. საკმაოდ ნაზი ხელები ჰქონდა (ჩაის კრეფვითა და საერთოდ ჯავით გაუხეშებულ ხელებზე რომ ვსაუბრობდით, იმიტომ მივაპყარით ალბათ განსაკუთრებული ყურადღება მის ხელებს), რომ არ გცოდნოდა, არც დაიჯერებდი, რომ კბილების ამოღებით არჩენდა ოჯახს. საკმაოდ ჭკვიანი და დაკვირვებული ქალი იყო, ქმარს არ უშლიდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს ცოლზე მბრძანებლობდა. რამაზომ თქვა, მხოლოდ უცხოთა თანდასწრებით კი არა, ყოველთვის ასე იქცევა და არც იმას აყვედრის მოქიფევი ქმარს, სამასურში ქრთამს რომ არ იღებს და შინ ცოლისაზე ლამის სამჯერ მცირე ჯამაგირი მოაქვსო. იქნებ უყვარდა ქმარს. დიპლომატიური დიმილი ჰქონდა, ვერც შევატყვევ გაუფუჭა თუ არა ხასიათი სამასურში დაღლილს შინ სტუმრების დახვედრამ. მე რომ მეცნობოდა სუფრას გადაავლო თვალი. წინასწარ ეცოდინებოდა, რა თქმა უნდა, რა იქნებოდა სუფრაზე - ის, რაც თვითონ დატოვა მაცივარში, მაგრამ აინტერესებდა როგორი სახით გამოიტანა ქმარმა. მეც სუფრას გადავა-

ლე თვალი ჩემდა უნებურად, ნასვამი ვიყავი (რამაზოზე ნაკლებად, ბოლომდე არ ვცვლიდი ჭიქებს), მაგრამ მაინც შევიწხე, რომ იმავე რესურსებით ჭკვიანი დიასახლისი სერვირების უფრო დახვეწილად გამოყენებით ისე გააწყობდა სუფრას, რომ გაცილებით მდიდრული გამოჩნდებოდა.

- რამაზო ცოლს ირთავს! - ესროლა სამაზარეულოში გამავალ ცოლს ჯონდომ და თვალი ჩავვიკრა, აქაოდა ვეხუმრებო. თითქოს სხვისი ადვილად დარწმუნების ნიჭის დემონსტრირებას ახდენდა. მაშინვე მივხვდი, რომ ჯონდის ღიმილის სტილი ცოლისგან გადაელო, მაგრამ საკუთარი ინტერპრეტაციით - შიგადაშიგ გარეული სიჯიუტით.

- ჯერ მთლად მასე არ არის საქმე, - წინასწარვე გასცა პასუხი რამაზომ იმ კითხვას, რომლის დასასმელადაც ცილა ემზადებოდა, - გოგომ ჯერ არ იცის და არც ნიურამ... - გოგი და ნიურა, რამაზოს მშობლები, ის ძალიან გავდნენ ერთმანეთს, და-ძმა გეგონებოდა, - ოღონდ ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია ბოლომდე, - ისეთი ბუნებრივი დამორცხვებით წარმოთქვა, რომ ჯონდის ეგონა, მართლა ფიქრობს ცოლის შერთავზე, - გოგო კარგია. კარგი ოჯახიშვილი... მოკლედ ვნახოთ! - ოფიციალური ტონით დაასრულა სიტყვა, აქაოდა ამ თემაზე ლაპარაკს მოერჩია და რაც ვთქვი, იმაზე მეტს ვერ წამომაცდევინებო.

- მე კიდევ ისეთი კარგი გოგო მყავდა შენთვის შერჩეულ... - სინანულით წარმოთქვა ციალამ. ერთი წმინდად პროფესიული ჩვევა ჰქონდა, მოსაუბრეს კბილებზე აკვირდებოდა, დაახლოებით ისე, ჩვენ რომ ვაკვირდებით თვალბეში ერთმანეთს იმის ვასარკვევად, სიმართლეს გვეუბნებიან თუ არა. იქნებ ვამეტებ და სულაც არ იყო ასე.

- მერე და მაგას რა ჯობია ბიცოლა... აგერა გვეყავს კარგი ბიჭი! - თქვა რამაზომ და ნიკაპი ჩემკენ გამოაქნია. ალბათ ამონებდა, მართლა იზრუნა თუ არა ციალამ მასზე და მართლა მყავდა თუ არა მისთვის საცოლედ ვინმე შეგულებული, თუ ისე, სიტყვის მასალად დააბრუნევა.

ციალამ ამხედ-დამხედა, დაახლოებით იმ მზერით, რომლითაც ქმრის მიერ გაშლილი სუფრა შეათვალეირა უწინ და აშკარად სერვირება, ანუ ამ შემთხვევაში, ჩაცმულობის სტილი მომიწონა.

- ლექსებს წერს ამას რომ უყურებ, - დაახეუბა მოულოდნელად რამაზომ.

- მართლა? - გულწრფელად დაინტერესდა ციალა, - საინტერესოა...

- ჭკუა ეკვებებათ გოგოებს ამის ლექსებზე... ტირიან. ცრემლებით ახრჩობს ერთი სიტყვით... დეზდემონა რომ დაახრჩვეს იმისი არ იყო! - კიდევ უფრო დადინჯდა რამაზო, - გოგო თუ მეყოლა, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ლექსები არ შეუყვარდეს...

ლექსი ჩემს დღეში არ დამინერია, მხოლოდ ესწავლობდი და ისიც მხოლოდ საპიონერო ასაკში, თუკი დედაჩემი ძალიან დამაძალბდა.

საინტერესოაო, კიდევ ერთხელ აღნიშნა ციალა. ჩემდა მოულოდნელად, დიასახლისი, დამაალი კბილებისა და მათი პატრონების ტკივილისაგან დამანჭული სახეების ყურება ცხოვრების წესად რომ ჰქონდა გადაქცეული, პოეზიის მოყვარული აღმოჩნდა.

- ასეთი ნიჭიერი, პატიოსანი და ოჯახისშვილი ბიჭები გზებზე არ ყოფი! - არ ცხრებოდა რამაზო. უკვე მეორეჯერ გააკეთა აქცენტი ოჯახიშვილობაზე და აქედან გამომდინარე მიხვდით, რომ ციალასეულ ფასეულობათა სისტემაში ამ ცნებას პირველი ადგილი ეჭირა.

- ჩემი თანამშრომლის შვილია, - გაგვაფრთხილასათვის ციალამ. ნათქვამის განსაკუთრებული მნიშვნელობის მისანიჭებლად სახეს გაიმკაცრებდა ხოლმე ახალი მასალის ახსნით გართული მათემატიკის მასწავლებელივით.

- კარგი რა, ბიცოლა, ასე მიცნობ? - უსაყვედურა რამაზომ...

რა ვიცოდი მაშინ, რომ ციალას თანამშრომლის ქალიშვილი ჩემი ცოლი გახდებოდა. ხუმრობით დანწყებული საქმი სერიოზულად დამთავრდა (ჩემ სიდედრს სიკვდილამდე ჯეროდა, რომ ლექსებს ვწერდი მალულად).

ჯონდისგან რომ ნაშოვედით, რამაზო უკვე ბანკალბდა. ქალაქის ძველ სტადიონთან, ჭადრების ჩრდილში გამოიმჩყდა, მზია ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარსო. ისე მიყვარდა, რომ მისი მოკვლაც მინდოდა, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი არ გახდებოდაო. ისიც კი მითხრა, მკერდზე ამოსვირინგებული წარწერა "Молилась ли ты перед сном, Дездемона?!". მზიას მიუძღვნეო (ოღონდ ეგ იყო, რომ სიტყვები "перед сном" ერთმანეთს იყო გადაბმული ერთ სიტყვად და ამის გამო ბიჭები ამაყირებდნენ ხოლმე). დღეს, შენ რომ აღინას-

თან იყავი შესული, გენიალური კომბინაცია მოვიფიქრე - დავამანტაჟებ იმ ქალს და საყვარლად გავიხდიო. მართლა ასე გაგიყვებით უყვარდა თუ არა, არ ვიცი. იმ დღის მერე არაფერს ვეკითხებოდი, თვითონ არაფერს მეუბნებოდა. იქნებ არც ახსოვდა სიმთვარისას რამეში თუ გამოიმჩყდა. არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. მაშინ კი მომეჩვენა, რომ მართლაც ამბობდა. თან ჭადრიდან ჩამოცვენილ კაკლუჭებს სრესდა ფესხაცმლის ჭვინტით, ჭვინტით თუ ვერ დაძლევდა, ქუსლით მისდგებოდა. გიჟს ჰგავდა. გაბრაზებულზე ისევ ბუდუღაი წამოაკონდა, "ლენინკი" წავიდეთ, კუჩუ ბერია მინდა ვნახო, მითხრა.

კატერის შოვნა ერთმა ჩემმა ნათესავმა მთხოვა, არავითარ ათას მანეთს არ იძლევა, უბრალოდ კარგ პურ-მარილს და ცოტა "ვზრევს" - ჩემი ვარაუდით ორასიოდ მანეთის ოდენობით - დამპირდაო, გვითხრა კუჩუმ. დაავლო რამაზომ კუჩუს ხელი და ბუდუღაის საძებნად გავემართეთ სამივენი. "ჩერდაქ" მივგავენით, სტუმარს აქეიფებდა ნისიად, ქალებიც ჰყავდათ. რამაზომ კინალამ ცემა, ვის გაუბედვ გაბრიყვება, თვალში ხომ არ გეპატარავებითო. "Поднимй глаза" ერთი სიტყვით. რომ მოვიწოდოო გაგაფუჭებო, უთხრა რამაზომ ბუდუღაის. გავრიანად დაფრთხა ეს უკანასკნელი. ახლა მთვარიანი ვარ და ხვალ გავაგრძელოთ საუბარიო. მიხვდა, რომ გაუბა და მომდევნო დღისთვის შამპანურით ქეივის კისრება არ ასცდებოდა.

კუჩუ ბუდუღაისთან დარჩა, მე და რამაზო სანაპიროზე გავედით (რამაზოსაც უნდოდა დარჩენა, მაგრამ როსტობაიასთან რომ არ მივიდეთ, არ შეიძლება, გველოდებიან-მეთქი, ვუთხარი და ისიც დამყვა). საკუთარმა მოხერხებულობამ იმდენად ალაფრთოვანა, რომ ბავშვივით ცუნდრუკობდა - გული მიგრძნობდა, რომ ბუდუღაის ერთ კარგ "ზასოსს" ვაკისრებინებდიო. მზია წამოაგონდა ისევ, სანაპირო კაფეები დავიაროთ, გული მიგრძნობს რომ სადმე წავანყდებით, დაქალებთან ერთად კაფეებში სიარული უყვარსო. ამასობაში ზანგი ქაღალც ვნახეთ, ვიღაც ინტელიგენტური რუსთან ერთად სეირნობდა. რუბიკის კუბიკი იყო მაშინ მოდამი, ლამის გენიალურ გამოგონებად ითვლებოდა (ძეგლიც კი დაუდგეს შემქმნელის სამშობლოში), სოხუმში იშვიათობას წარმოადგენდა. რუბიკის კუბიკი ეკავა ხელში

იმ ზანც ქალს, მე რომ ხელი წავავლე. ორმოც წლამდე იქნებოდა, შოლტივით მოქნილი ტანი და სქელი ტუჩებივით ჩამოდღეული, მაგრამ მაინც ეზნინი ძუძუები ჰქონდა. ზანც ქალს თუ შეხებინარო, მეთხა რამაზომ. არა, მაგრამ ახლავე შევეხები-მეთქი, ვუპასუხე. უზრალოდ ხელი შევასე (მსუბუქად. მკლავზე), იმან კი ყვირილი ატყა. როგორც მერე გაირკვა, ცოტა ხნით ადრე ვიღაც რქიანს მისთვის რუბიკის კუბიკის ხელიდან გამოგლეჯა უცდია და აქედან გამომდინარე მცე ყაჩაღი გონებისგარ მასაც და მის თანმხლებ რუს მამაკაცსაც. ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ მილიციამ ჩავავლო (უფრო სწორად "მერვე პოლიკის" პატარულმა). ის ლამე გამოსაფხიზლებელში გავატარეთ მე და რამაზომ (სიცოცხლეში პირველად და იმედია, რომ ჩემთვის უკანასკნელად, თორემ რამაზო უკვე ამქვეყნიურ გამოსაფხიზლებელში რომ არ მოხედება, ფაქტია). როსტობაია იჩაილისა და იმან გამოგვიყვანა მეორე დღით - მე და რამაზოს მიერ წინა დღით ნაშოვნნი ფული არ გვეყო, როსტობაიას ვაშოვნინეთ ასი მანეთი სასწრაფოდ და მოვატანინეთ.

კოტე ომში დაიღუპა. მზვერავობდა. იმაზე უფრო გულადი აღმოჩნდა, ვიდრე სხვებს ეგონათ. ერთ-ერთი სადასვერეო ოპერაციისთვის რომ ემზადებოდა, სნაიპერმა ესროლა გულში, მაგრამ გადარჩა - გულისჯიბეში ოთხი, თუ ხუთი კაცის, მთელი მას დაქვემდებარებული ჯგუფის საბუთები ედო (ოპერაციაზე წასვლის წინ საბუთებს შტაბში აბარებდნენ). ამ ინციდენტის შემდეგ ოპერაცია გადაიდო, კოტე სახლში გაუშვეს დასავენებლად. ეზოში შესულა და ამ დროს მოხვედრია კიდევ შორიანხლო მდგარ ლევის ხეს ნაღმტყორცნის ჭურვი. ჭურვის ერთადერთმა ნაშესვრემა იმსხვერპლა კოტე, აივანზე მდგარი ცოლ-შვილის წინ ამოხდა სული. უმცროს ვაჟიშვილს ფსიქიკა შეერყა. ახლაც ვერ არის დალაგებული, ამბობენ.

როსტობაიაც დაიღუპა სოხუმის დაცემის დღეს, ადიღეელთა რაზმთან შეტაკებისას, კოტეს სახლიდან ორ ნაბიჯში. ორჯერ დაუსაფლავებით სომხებს - პირველად არც ისე ღრმად და გახრწნილი გვაპის სუნს შეუწუხებიათ. ახლაც არ ვიცი, იცნობდა თუ არა როსტობაია სიცოცხლეში კოტეს.

ბუდულაი ომის შემდეგ თავისი ზუგდიდე-


ლი მეგობრის ზალიკოს სახლში ცხოვრობდა და დრო და დრო პარტიზანობდა. მოწინააღმდეგეც "ბუდულაიდ" იცნობდა. სულ იმას ამბობდა, პარტიზანობას თავს დადანებდა და სოჭში წავალ საცხოვრებლადო. ათას დოლარად იყო შევსებული მისი თავი, ზალიკო ამბობდა, ხუთ კილო ოქროდო და ძალიან ეამაყებოდა ხუთ კილო ოქროდ შევსებულ კაცს რომ მასპინძლობდა (ლიმილი ჰქონდა აფერის ტული, თორემ სინამდვილეში ძალიან ალალი ტიპი იყო). დაღუპვამდე ორი კვირით ადრე მინახულა ბუდულაიმ, ანაკლიაში წამიყვანა "სახასაოდ". მისგან შევიტყვე რამაზოს ბიკულას ამბავი. სვანეთის გზაზე ბიჭი გაეყინათ და ციალამ თავი მოიკლა - შუალამეს კარვიდან გამოპარულა, სახელდახლოდ გათხრილ შვილის საფლავამდის ვერ მიუღწევია, ნახევარი კილომეტრი დარჩნოდა კიდევ გასავლელი. საზაფხულოდ ჩაცმული მიდიოდა თურმე. ქმარი ამბობდა, ტანზე იმიტომ გაიხადა, რომ თავი მოეკლაო, სხვები ამბობდნენ, გაგიუდა და იმიტომო. ბუდულაის თავისი თვალით უნახავს გარდაცვლილი ციალა - დაკრუნწული ეგდო და მაინც ლამაზი იყო, იმაზე ლამაზიც კი, ვიდრე სიცოცხლეშიო; რამაზო გამახსენდა, წამლის კაიფში გაპარულს, სახეზე თეთრი ფერი რომ ედო ისიც ლამაზი იყო, ყველას მის სილამაზზე წყდებოდა გულიო...

როგორ დანერ ყველაფერ ამას, რაც ახლა მოვეყვი არ ვიცი, არც ის ვიცი, წავიკითხავ თუ არა შენს დანერილს. ჩემი ნება რომ იყოს, ორ სხვადასხვა მწერალს მოვუყვებოდი ამ ამბავს, სამი თუ იქნებოდა კიდევ უკეთესი. სხვადასხვანაირად დანერილს ერთ მოთხრობად გავაერთიანებდი, საინტერესო რალაცა გამოვიდოდა... ახლა კიდევ იმას ვფიქრობ, როგორ მოყვებოდა რამაზო იმდღევანდელ ამბავს ცოცხალი რომ იყოს-მეთქი. ხომ შეიძლება, რომ მართლა უყვარდა ის ქალი, ლექტორის ცოლი, ჯერ კიდევ ომამდე რომ გაექცა ქმარს ალიკა ანთიასთან ერთად რუსეთში. რითი მოხიბლა ალიკამ ის ქალი, დღემდე ვერ გამიგია - შეიძლება უზრალოდ გაეცევა უნდოდა ლექტორმას და დიდი არჩევანი არ ჰქონდა. ალიკამ ბარნაბას მიერ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები ფულებიც გაიყოლა და ბარნაბაც ამ ამბავს გადაყვა. შვილი ქმარსწართმეულ ქალთან ერთად რომ გაიქცა, იმაზე მეტად ფულის დაკარგვა ინერვიულო, ამ-

ბობდნენ ავი ენები, მაგრამ არა მგონია მართალი იყოს. ის კი მართალია, რომ ამბობენ, ალიკა იმიტომ გალოთდა, რომ მამის სიკვდილში თავს იდანაშაულებდაო. სულ ერთსა და იმავე სიზმრებს ნახულობდა თურმე: თითქოს მიცვალებულის სული იყო და დაფრინავდა მამამისთან ერთად, მერე და მერე "ზელია გარაიჩის" დროს ეს სიზმარი ელანდებოდაო. ერთხელ კიდევ ვილაცის ბინაში შეპარულა სპილოს ძვლის მოსაპარად. ერთ კოლექციონერს შეუკვეთია, შვიდი ცალი უნდა ყოფილიყო შემკვეთის თქმით, მაგრამ სინამდვილეში სუთი აღმოჩნდა. ალიკა დაბნეულა, ბინაში რაღაც ვისკი უყლურნია, თანაც იმდენი, რომ ჩასძინებია. პატრონს შეუსწრია, ისიც მთვრალი ყოფილა, ტყვიით მოუკლავს ალიკა ცხელ გულზე (ძილში ყველაზე პატარა სპილოს ეფერებოდა თურმე, როგორც ბავშვი თოჯინას) და ბოძებების სასაფლაოზე დაუკრძალავს მერე თავისი ხარჯით - პროზექტურიდან გამოუსვენებია მილიციის ნებართვით და კუბოს შეკვეთაც მიუცია. მერე ღვთისმოსავს გამხდარა, სპილოები მუზეუმისთვის ჩაუბარებია. მუზეუმში ყველაზე პატარა სპილოზე, მიკროსკოპით რომ სინჯავდნენ ალიკას სისხლის ნაკვალევს გარდა კიდევ ბევრი მასეთი ნაკვალევები აღმოუჩენიათ - ანტიკვარულები, ძველი დროის მომპარავების ალბათ - პეტრუშკა ამბობდა, წინა საუკუნეების ნაკვალევები იყო, ასე რომ ალიკამ თავისი სისხლი ანტიკვარულ სისხლებს შორის დააფიქსირაო. პეტრუშკამ ხომ ყველაზე ყველაფერი იცოდა, ალიკას მკვლელის მოკვლა მოინდომა, მაგრამ ვერ მოკლა - ისე იყო გასაცოდავებული, მაგისტვის სიცოცხლე სიკვდილზე მეტი ტანჯვა იქნებო. ახლა ცოლისძმის მკვლელ ადილელებს ეძებს. ან მოაგნებს ან არა... ბავშვამ კიდევ აღინა ცოლად შეირთო და ეს ამბავი მე დამბრალდა. აღინას ერთხელ ვილაც ტიპი აეკიდა, მიყვარხარო, ეუბნებოდა. აღინამ მოსოვა მომაშორეო. მე ის ტიპი მუცელში დავეჭერი (დავასწარი) და დამიჭირეს. ბავშვ რუსეთიდან ჩამოვიდა, თან ფულიც ჩამოიტანა ჩემი ცხიდან გამოსაყვანად. ცხიდან გამომიყვანა და აღინა ცოლად გამოაცხადა. მერე ომი დაიწყო და ბავშვ მოკლეს. მე ის ტიპი რომ არ დამეჭრა, ბავშვ სოსუმში არ ჩამოვიდოდა და არც ომში მოხვდებოდა-მეთქი ვფიქრობ ახლა, მაგრამ ალიკასგან განსხვავებით მე ბავშვა იშვიათად თუ დამესიზმრება (და


არც "ზელიას" დროს ამტორლიალება ისე, როგორც ალიკას სტალინისკიტელიანი მამამისი), ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ბავშვა სიზმრებს არ ნახულობდა საერთოდ - ისეთი მაგარი ნერვები ჰქონდა, არც ერთხელ არ უნახავს სიზმარი. მხოლოდ ის გვარდელი მესიზმრება, ბავშვა რომ მოკლა ჩხუბის დროს, გული მიგრძნობს, რომ მკვდარია და მისი მოკვლა მე არ მომიწევს...

გაბოზდაო, ამბობენ მზიაზე. ნეტა რამაზო თუ ახსოვს. ალბათ არ ახსოვს, მაგრამ შენ თუ გინდა ისე დანერე, თითქოს ახსოვდეს... ისე კი, შენც გეცოდინება, ის ცნობილი სვირინგი, დეზდემონაზე, სიგარეტით რომ ამოიშნათ რამაზომ - გრამატიკული შეცდომის გამო მოვიშორე, ყველა დამცინოდა, "პატარა ასოიან ოტელოს" მეძახდნენ და თავი მომაბერესო, ამბობდა... უცნაური რამ არის ცხოვრება, ძალიან უცნაური. ადრე თუ გვიან ყველა ვკვდებით, ვის როგორ შეგვიძლია, ვინ - ვის ვასალებინებთ ხოლმე თავს, რომ დაუფიქრდე, გაგიჟდები კაცი... "Трупы в крематорий поступают в порядке живой очереди"-ო, იტყოდა ხოლმე რამაზო - მენატრება, ხომ გახსოვს როგორ შავი იუმორის ანდაზებს მოთხრინდა ხოლმე და "ლედნიკში" ამკვიდრებდა. ცოტა პოზიორიც კი იყო, ჩვენში რომ დარჩეს... სხვა კაფეში თუ დათვრებოდა, მაგიდაზე ავიდოდა, "от «Ледниковского» Информбюро"-ო, გამოაცხადებდა ლევიტანის ხმით და მერე "ლედნიკის" სადღეგრძელოს იტყოდა. სასწაულად ბაძავდა ლევიტანს...



სხვა ნაპირი. ფრაგმენტი

მზე ჩადიოდა საღდაც განზე, ზღვაში არა,
 და ზღვაც იყო სწვანაირი, ჩრდილოური,
 ზედაპირის უჩვეულოდ გლუვი ქსოვილით
 და თითქმის მოუსხელთებელი, სიფრიფანა ჰორიზონტით,
 რომლის ზოლი გაცილებით ახლოს ჩანდა,
 ვიდრე იმ მეორე, ერთადერთ ზღვაში,
 რომელიც მენახა. და მე, ცხრაშეტი წლის
 და ცოტათი გაკვირვებულიც, რომ თურმე ზღვებიც კი არ გვანან ერთმანეთს,
 სიხარულით შევფურებდი ულამაზეს რუს გოგონას,
 რომელიც წყლიდან ნაპირისკენ გამოდიოდა
 ნელა, ბორძიკით - რადგან ქვიანი იყო ფსკერი; მზე ჩადიოდა
 და აბრწყინებდა ზღვის მლაშე წყლით მოსარკულ სხეულს,
 მე კი ვიყავი ცხრაშეტი წლის, უწარსულო, და ვერ ვხვდებოდი,
 რომ სულ ესაა სილამაზე: რამდენიმე თბილი ფერის
 იღბლიანი შეხამება, სხვა არაფერი...


ცხომრება ძვივში

გასაგებია ყველაფერი.
 მეც სწორედ მსგავსი სიბრძნეებით ვისულებლებდი
 ჩემს გულს, მაგრამ გაიწვლა -

ეს ჟამი ქვების შეგროვების - სწორად ვამბობ? - ჰოდა ეს ჟამი
 უსაშუალოდ, სამარცხვინოდ გაიწვლა:
 შეგერ, კილია ყველა ლოდი და ყველა კენჭი,
 უზარმაზარი გალაყანი ამოშენდა
 ჩემს გარშემო,

და იმშიმალღე -
 რომც მოვიდეს ჟამი სროლის,
 ალბათ ყველაზე მსუბუქ კენჭსაც ვერ გადავაცდენ,
 ვერ გადავავლებ გალაყნის მიღმა.

განძრევისაც კი მეშინია - შეიძლება ჩამოიშალოს
 ეს ჩემი წლობით ნაგროვები მეტყველი ქვები
 და მომსრისონ. ვზივარ უძრავად

და ყველა ქვას სათითაოდ ვათვალიერებ;
 ზოგიერთი მიფვარდება,
 მაგრამ ვერ ვუმხელ.



მცირე ელემბი გამისათვის

აი, ეს ხეა მამაჩემი.

გაგიკვირდა?

მუხას ელოდი?

არა, ეს ხეა მამაჩემი,

ეს ტანწვრილი

და არც ისე ხანდაზმული,

რომელსაც ფხიზლად ძინავს ზამთარში

და გაზაფხულზე პირველივე სითბო აღვიძებს;

ის არ ჩრდილავს ნახევარ ეზოს,

არ აბნელებს დანარჩენ ხეებს,

მისი ჩრდილი მსუბუქია და თვინიერი -

მას შემოდგომის სუსტი მზეც კი

სულ ადვილად ატრიალებს ღერძის გარშემო,

ხოლო ზაფხულში, როცა ჩვენში უზომოდ ცხელა,

მისი ჩრდილი, მეტს თუ არა, ხუთ-ექვს ჩვენგანს ნამდვილად იტევს

და ჩვენ ეს გვყოფნის. მეტი არც ვართ.

მეტი არც გვინდა.

რამდენიმე წუთი

გვიან მივიდა; კარი ღია იყო,

მოხურული, მაგრამ ღია. არავინ ჩანდა

არც შესასვლელში, არც ოთახში, სადაც მკვდარი მარტო იწვა

ყვაილების აგრესიულ სურნელში. ალი

ოღნავ შეირხა სანთელზე და გათანაბრდა. არავინ ჩანდა

და საჭიროდ არ ჩათვალა, კუბოსათვის შემოეარა.

მალე ვილაცამ გამოხედა.

არ იცნობდა, მაგრამ მაინც მიუსამძიმრა.

მან კი გაიყვანა სამზარეულოში,

სადაც ისზნენ კაცები და ლაპარაკობდნენ

სახვალის საქმეებზე, სამარხვო სუფურის ნაკლოვანებებზე,

ზეინდელ მატჩზე, ნებისმიერი მთავრობის დედაზე.

გადაიხედა ფანჯრიდან: ბნელოდა.

სადარბაზოსთან იდგა მანქანა ჩართული ფარებით,

სიგარეტისანი ხელი მოძრაობდა.

"ეჩქარება", გაიფიქრა, "უნდა ჩავიდე".

არავის დამშვიდობებია. ვიდრე გავიღოდა,

ერთხელაც გახედა გარდაცვლილის ახალგაზრდობისდროინდელ სურათს

და სადარბაზოს ჩაბნელებულ კიბეს დაუყვა.

გაახსენდა, როგორ ვანიცდიდა ადრე,

რომ მისი ლექსები არ ჰგავდნენ ცხოვრებას.

გაეცინა საკუთარ თავზე.

მთვარე სვალისტვის

წყლის ყურადღება მიიპყრო მთვარემ
 და გაჩნდა რალაც, პირობითად - სიყვარული. ხიდზე იდექი
 და დაჭყურებდი შუალამის მდინარეს. მთვარე,
 წყლის ზედაპირზე არეკლილი,
 იწყებოდა, იმსხვერვოდა, ნაკუნდებოდა
 და შემდეგ ისევ იკვრებოდა, მხოლოდ წამით, ერთ მთლიან დისკოდ,
 და ძნელი იყო მოხელთება იმ ერთი წამის,
 რათა მოგესწრო თვალის დახუჭვა
 და შეგენახა მთვარე სვალისტვის,
 როცა აღარ იქნები გარეთ,
 როცა აღარ იქნები
 მთვრალი,
 როცა იჯდები მაგიდასთან
 და ეცდები, გადმოწერო გუშინდელი მთვარის ლიცლიცი
 შავი მდინარის ზედაპირზე. და როგორც მთვარე,
 როგორც მისი ანარეკლი ღუნე ტალღებზე,
 გაიწელება, დაიმსხვერვეა, დანაკუნდება
 და შემდეგ ისევ შეიკვრება, მხოლოდ წამით, ერთ მთლიან სიტყვად
 შენი ფიქრი, მთვარისაგან განსხვავებით, ვერარეკლილი
 თეთრ ფურცელზე. და შემდეგ ისევ,
 ვიდრე მოასწრებ თვალის დახუჭვას,
 ვიდრე მოასწრებ წერტილის დასმას,
 გაიწელება, დაიმსხვერვეა, დანაკუნდება
 და შემდეგ ისევ, მხოლოდ წამით... გუშინ ხიდზე დიდხანს იდექი
 და დაჭყურებდი შუალამის მდინარეზე არეკლილ მთვარეს,
 რომლის შესახებ ხვალ ვერ დაწერ. ხვალ იჯექი მაგიდასთან
 და დიდხანს წერდი ლექსს მთვარეზე,
 რომელიც გუშინ არ გინახავს.

ბარემი გაცეცვა


1

წვერს წავუთლიდი ფერად ფანქერებს,
 გავერთობოდი.

ვიქნებოდი არანაკლებ სამოცდაათის.

საბავშვო ბაღის ბინადარი კეთილი სული.

რატომაც არა, მორჩილი და კეთილი სული.



ეზოს დამგველი, ფანქრებისთვის წვერის წამთლედი
 და ხანდახან ხეებისანაც მოლაპარაკე,
 უმეტესად - ზამთრის თვეებში.

შუადღეობით,
 როცა ბავშვებს,
 ერთიორის გამოკლებით,
 დასაძინებლად გაიყვანდნენ მასწავლებლები
 და თვითონაც ჩაეიდოდნენ სასადილოდ,
 დარჩენილები როცა წყნარად მისწდებოდნენ ლბილ ხალიჩაზე
 და ჩუმად, ჩუმად ითამაშებდნენ,
 მოვიდოდა ტკბილი სიმშვიდე -

მე კი სკაშს და ნაგვის ვედროს ფანჯარასთან მივიდგამდი და ვთლიდი ფანქრებს, წითლებს, ყვითლებს,
 ლურჯებს, მწვანეებს, და ფანჯრის ნათელ მართკუთხედში ერთიორად დაბერებული, მარცხენა ხელში
 ფანქრითა და მარჯვენაში პატარა დანით,

იმის მაგიერ, რომ მეფიქრა არყოფნაზე, რაღაც ასეთზე, - საგნებზე, ადამიანებზე, რომლებიც გაქრნენ,
 - იმის მაგიერ, რომ მეზრუნა მომავალზე - ღმერთზე მეფიქრა,

- ვიჯდებოდი უსურვილოდ, ფანქრითა და პატარა დანით, და ხშირ არა, მხოლოდ გულში, მაგრამ ტუ-
 ჩების აყოლებით, ვიღიღინებდი რომელიმე ძველ სიმღერას, ვთქვავთ, სიყვარულზე, - რატომაც არა, სიყვარულზე, - ვიდრე ჩამთვლემდა.

2

თვალებს მაგრად დავხუჭავდი
 და თავს მოვიმძინარებდი მოკლე საწოლში,

ვიდრე ლამაზი, ახალგაზრდა მასწავლებელი,
 დარწმუნებული, რომ ყველას გვიძინავს,
 გავიღოდა საძინებლიდან,

ვიდრე თვითონ დავრწმუნდებოდი, რომ დანარჩენ ბავშვებს სძინავთ
 და ვერავინ დამაბეზლებდა,

და საწოლიდან მხოლოდ შემდეგ ჩამოვძებოდი,
 ორივე ხელით ჩამოვწვევდი კარის სახელურს
 და ფეხშიშველი, ფეხაკრეფით, შიშველფეხაკრეფით
 ჩავუვლიდი მთვლემარე მოხუცს,

მაგრამ ფანჯარას,
 ფეხისწვერებზე აწეულიც,
 ვერ შევწვდებოდი.

და ვერც გაქცევას მოვასწრებდი - აახელდა მოხუცი თვალებს,
 დანას და ფანქრებს გადაღებდა ფანჯრის რაფაზე,

ჩამისვამდა, უსიტყვოდ და უღიმილოდ, თავის კალთაში

და ჩვენ ერთად გაიხედავდით.

3

რაც შეეხება აწმყოს, მე არ ვიცი
 რა არის აწმყო. უფრო სწორად, რა უფროა -
 წარსული თუ მომავალი. ნუთუ არცერთი?

ჩემი სიჩვარული

ეს ძალი,
 რაც თავი მახსოვს,
 ყოველდამე ყეფდა ჩემს სახლთან.

რამდენჯერ დაიკარგა - მაგრამ უშედეგოდ,
 რამდენჯერ მოკვდა - ისევ უშედეგოდ,
 ყოველდამე ყეფდა ჩემს სახლთან.

რამდენი სახლი მოვიცვალე,
 ყოველდამე ყეფდა ჩემს სახლთან.

*ერთხელაც იყო, თვითონ მოეკვდი.
 მზიარული დავდიოდი ბნელ გვირაბებში.
 ვუტებდი და ვპოულობდი ჩემზე აღრე გარდაცვლილ ჩემებს.
 მიკვირდა, თუკი მიხსენებდნენ.*

სადაც ცხოვრება გრძელდებოდა.

მასში ჩარჩენილი ჩემები მტிரოდნენ.

ყოველდამე სულ სხვა ძალი
 ყეფდა ჩემს სახლთან.

სიზმარი სამშობლო

ეს ძველისძველი სიზმარია
 და ვინც იგი პირველად ნახა,
 მოკვდა კი არა, ისე წმინდად ჩაინაცრა,
 რომ ნიაგა ვერც კი იგრძნო, ისე წაიღო.

დღეს ეს სიზმარი აბრეშუმის ჭიასავით უვნებელია;
 მას უჩვენებენ ყველა მოზარდს, დიდ ეკრანებზე, გარკვეულ ასაკში,
 და ზოგჯერ კიდევ აღწევენ მიზანს:

ზოგიერთში აღვივებენ მეტნაკლებად ჯანსაღ ინტერესს -
 თუ ვინ წარმოთქვამს დასკვნით სიტყვას
 ჩვენების შემდეგ.

თოვლი, თოვლი. ცხოვრება მშვენიერია

ცხოვრება მშვენიერია. გამელვიძა შვილის წუთებზე
 და გაგანათე ნაძვის ხე, კარგია
 მისი ფერადი ნათურების ციმციმი. ცხოვრება
 მშვენიერია. ბავშვებს ძინავთ. პირველი თოვლი,
 თუ არ მეშლება, ამ სეზონზე პირველი, მოდის.
 მოდის თოვლი და თენდება. ოცდაათობმეტი -
 ვამბობ ჯერ გულში და არ მომწონს. ოცდაათობმეტი -
 ვიმეორებ ხმამაღლა და ისევ არ მომწონს.
 რაღაც არ მომწონს მე ამ რიცხვში,
 მე დღეს სწორედ ამდენის გაეზღი. მინიმუმ საათნახევარი
 ჩემს ხელშია, შემოდგომა ვიჯდუ და ვწერო.
 არ შემოდგომა. გარეთ ძალი იხე აყვფდა,
 ვიფიქრე, ბევრი ჰქონდა საყვფი,
 მაგრამ მალევე მიჩუდა. ცხოვრება
 მშვენიერია. სწრაფად თენდება
 და წინასწარ მეზარება ეს კონკრეტული
 დღე. ცხოვრება მშვენიერია. მე ცხოვრება
 არ მეზარება. მეზარება
 მხოლოდ ეს დღე,
 ეს თოვლჭყაპში სიარული,
 მოლოცვები, არმოლოცვები, უთვალავჯერ სათქმელი "მადლობ"
 და საამსაქმოდ შესაფერი მიმიკები. სწრაფად თენდება
 და დღის შუქზე აღარ არის ისეთი კარგი
 ჩვენი ნაძვის ხის ნათურების ციმციმი. ცხოვრება
 მშვენიერია. ჩემი ვოგო მირბის ფანჯარასთან
 და ძახილით "თოვლი, თოვლი" აყრუებს მთელ სახლს,
 მისი ძმა კი პატარაა, არაფერი
 ჯერ არ ესმის, მაგრამ მასაც
 უზარია
 და ხტუნავს საწოლზე. მე შემოდგო მევარაუდა
 დღის ასეთი დასაწყისი,
 რადგან ავდექი შვილის წუთებზე
 და პირველმა გაიხეხე ფანჯრიდან. შვილო,
 ეს არ არის კარგი თოვლი -

ერთ საათში ჩაშავდება, ატალახდება,
 ისეთივე უღიმღამოა, როგორც რიცხვი ოცდაათხმეტი,
 როგორც ნაძვისხის ნათურები დღის სინათლეზე,
 როგორც მამაშენი საწერ მაგიდასთან,
 როგორც სამყარო შვიდი წლის წინ, შენამდე. ცხოვრება
 მშვენიერია. და ეს თოვლიც,
 ჩემო შვილო, მშვენიერია.
 და მამაშენიც, სხვათაშორის.
 ვიდრე იგი სახლიდან გაევა,
 ვიდრე თეთრ გზას მანქანები ააჭყაბებენ,
 ერთხელ უთხარი, ჩასწურჩულე, "ოცდაათხმეტი",
 - ისე კი არა, სიხარულით,
 როგორც დიდხანს გაიძახდი "თოვლი, თოვლიო"
 და ძმას, თუმცა არაფერი არ ესმოდა, მაინც უხაროდა,
 - არა, უბრალოდ ჩასწურჩულე "ოცდაათხმეტი"
 და მამაშენი გალამაზდება,
 და მსუბუქად გატოპავს თოვლჭყაპს,
 მიიღებს მოლოცვებს, მოიხდის მადლობებს
 და ერთხანს იქნებ არც გაახსენდეს,
 როგორ გართულდა ცხოვრება,
 როგორ გამარტვდნენ ოცნებები. ცხოვრება
 მშვენიერია.



კაკი ხსენაძე

ჭეშმარიტება ტიქსტშია ანუ ახალი ზღაპრობანი...

უახლესი ქართული მწერლობის ტენდენციების სიმწირეს ან მრავალფეროვნებას სხვადასხვა ქვედინებები ასაზრდოებს, მასში გარე და შიდა პროცესები აქტიურად აისახება. შორიდან მაყურებლისთვის შესაძლოა ყველაფერს ერთგვაროვნების იერი დაჰკრავდეს, მაგრამ გააჩნია რომელი პოზიციიდან და რა კუთხიდან უყურებ მოვლენებს. ისიც მნიშვნელოვანია, თავად დამკვირვებელი ან შემფასებელი უშუალოდ არის ჩართული თუ არა პროცესებში. ნებისმიერი ადამიანისთვისებაა შეირწყას და შეისისხლხორცოს იმ წრის შეხედულებანი და მისწრაფებები, ვისთანაც თავს აიგივებს, რომელ გარემოცვაშიც მისი რეალიზება ხდება. განსაკუთრებულ შემთხვევაში შემოქმედი ცალკე ორბიტას ქმნის და ასეთი გამორჩეული ხელოვანი მაშინვე იძენს მიმბაძველ ეპიგონებს. მიმბაძველთა გაჩენა მთავარი ნიშანია იმისა, რომ დროს თავისი სახე ჰყავს და სათქმელიც შესაფერისად არის გადმოცემული.

ჩვენს თვალწინ ფორმირდება პოსტსაბჭოური ქართული მწერლობა, ხდება მტკივნეული დაშორება და განცალკევება ძველთან, ყალიბდება ახალი ტიპის თავისუფალი მწერალი, მიმდინარეობს გადაფასების შეუქცევადი პროცესი...

როდესაც სამჯგაეროზე აკა მორჩილაძის "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" გამოჩნდა, ყველამ აღიარა, რომ ჩვენს არაერთგვაროვან დროებას ამსახველი გამოუჩნდა. გამოჩნდა ახალი თაობის გმირი, რიგითი ქართველი ჟურნალისტი, რომელიც მძაფრად განიცდიდა ყველაფერს, მაგრამ მსუბუქი იუმორით "იცილებდა" გამეფებულ ტრაგიკოსს. აკა მორჩილაძის გმირი ზაზა კობახიძე ახალი ტიპია, მისი ქცევა, მისი ლაპარაკის მანერა, მსუბუქი და ტკივილიანი ურთიერთობები მართლაც ახალი სახის შემოჭრის მაჩვენებელია. ამიტომ აიტაცა აკა მორჩილაძე 90-იანი წლების ცვლილებებს ამოწყურებულმა საზოგადოებამ, რომელსაც არ აკლდა სახსლეები, მაგრამ სასიამოვნო მათში თითქმის არაფერი იყო.

აკა მორჩილაძე საჭირო დროს გამოჩნდა, ზუსტად გვითხრა ის, რისი მოსმენაც ასე გვჭირდებოდა და სწორედ ისეთი გმირი წარმოგვიდგინდა, რომელიც ჩვენს თანაგრძნობას დაიმსახურებდა.

"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებს" კომპოზიცია აკ კარგად შერჩეული და დახვეწილი გამოდგა. მან ერთგვარად გაიმეორა "მოზაიკური" პრინციპი, როცა ერთი და იგივე პირო ან ერთი და იგივე ამბავი მრავალი რაკურსით გადაგვეშლება



და სხვადასხვა პოზიციიდან ფასდება. სითბო, სინანული და ყოფიერების ტრაგიაში შეირწყა, შეიქმნა ეპოქისთვის ნიშნული ფატალურობისა და გარდუვალობის აუცილებლობა და სწორედ ისეთი ფინალი, რაც გაუნონანსწორებელ 90-იან წლებს შეეფერებოდა.

აკა მორჩილაძის მომდევნო რომანების ფინალებიც ძალიან საინტერესოა და თავისთავი. ბევრგან ორმაგი ფინალია მოცემული, თითქმის ჩვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული, თუ როგორს ავარჩევთ. მწერალი ამით მკითხველის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და საკუთარ შესაძლებლობებსაც ააშკარავებს.

ჩვენ უკვე ბლომად წავიკითხეთ აბსოლუტურად განსხვავებული ეპოქის პრობლემებზე შექმნილი აკა მორჩილაძის რომანები, უკვე შევეჩვიეთ მისგან მოძღვნილ სიურპრიზებსაც და ერთგვარად განებივრებულებიც კი ვართ. სწორედ აქ ისმის საჭოჭმანო კითხვა რაოდენობასა და ხარისხზე, პროდუქტიულობასა და მნიშვნელოვნობაზე. დღეს კი თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ აკა მორჩილაძის სტილზე, პერსონაჟთა ხატვის თავისებურებებზე, განსხვავებულობასა და მსგავსებებზე. მიუხედავად იმისა, რომ აკა მორჩილაძე ჩვენი თანამედროვეა და სწორედ მისთვის ვინცებთ უახლესი ტენდენციების გამოყოფას, მის შემოქმედებასა და აზროვნებაში მეგვიდრობი-

თობას და ტრადიციონალიზმს დიდი წილი უძვეს.

აქა მორჩილადის პროზას ტრადიციულის სახეს XIX საუკუნის თბილისის თემატიკა აძლევს, რაც იმდროინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნაზეა დაფუძნებული. ფაქტობრივი მასალის სრულყოფილი გათავისება მწერალს საშუალებას აძლევს მოგვითხროს, რა მოხდა და როგორ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქა მორჩილადის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლასტიკა ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხიათია" შთაგონებული. მწერალი ჩვენი თანდასწრებით ხელახლა "კითხულობს" ჭაბუას უკვდავ რომანს. იგი "ერთობა" და "თამაშობს" აბრაგზე დაწერილი ამ ნივინთ, რომელიც წინგზე მეტია ჩვენი თაობისთვის. შეიძლება ითქვას, რომ აქა მორჩილადის "გადაფრენა მადათოვზე და უკან" და "გაქრები მადათოვზე" ქმნიან "ახალ მითოლოგიას", რომელიც ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჭაბუა ამირეჯიბთან და, ამავ დროს, დამოუკიდებელია მისგან.

"გადაფრენა მადათოვზე და უკან" არის ლამაზად მოთხრობილი "ამორალიები". დაწერილებით მოყოლილია ხაფო მხატვრის მკვლელობის გამოძიებაზე, რასაც გრაფი სეგედის დავალებით ყორღანოვ-ბაიარდის წყვილი აწარმოებს. გამოძიება გრაფს საგანგებოდ დაავალა მათ, რათა ამ საქმეს არასოდეს მოჰყვნოდა სინათლე. სინამდვილეში კი სრულიად შუუშწვეველი და "რიგითობას შერიგებული" კაცი ნამდვილი პროფესიონალი აღმოჩნდება. მართალია, საზოგადოება ვერასდროს შეიტყობს სიმართლეს ხაფო მხატვარზე, მაგრამ ყორღანოვ-ბაიარდისთვის ყველაფერი ცხადი ხდება.

"გადაფრენაში" აქა მორჩილადე შუუდარებულია, ბრწყინვალედ ერთობა და ჩვენც გვართობს. თითქოსდა "დათა თუთაშხიას" გამოტოვებულ ეპოქებს ასრულებს, აღადგენს დეტალებს და "ავსებს" იმ წიგნს, რომელიც იმ საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა და შექმნის უმალ "გადაფრენა" XX საუკუნეს.

აქა მორჩილადის ხაფო მხატვრად იწოდება, სინამდვილეში მღებავია. მხატვარი და მამათმავალი ხაფო უმწიკრო გროტესკია იმ დიდი რენესანსელებისა, რომლებიც საკუთარ თავს ელინთა ცხოვრების წესს არ უკრძალავდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ელინები ამორალურები იყვნენ, მაგრამ ჭეშმარიტების და სილამაზის ძიებამ გენიალურებად აქცია ისინი. რენესანსი გამემორებს ელინთა ცხოვრების წესს, ხლო აქა მორჩილადე

XIX ს. დასასრულის თბილისში "აღმოაჩენს" მას. ერთგან ფინდლა ფირუზაზე, ღორების დაღალზე, წერია: "ის იყო ოსტატი ღამაზი თხრობისა და ღამაზი ამბისა. თუმცა ღამაზად ჰყვევოდა ამორალიებიც. მისთვის სკაბრები იყო სილამაზე. ამორალია - კატეგორია. რადგან ამორალია - ყოფა გახლდათ" (გვ.34). ჩვენი აზრით, ამ სიტყვებით ყველაფერია გაცხადებული, ნათელია თავად აქა მორჩილადის კრედოც, რომლისთვისაც ყველაფერი არის საინტერესო და ყველა არის ასახვის ღირსი.

"ამორალიები" და მასზე აქა მორჩილადისეული მსჯელობანი არა მარტო მხატვრული ტექსტისთვის არის საინტერესო, არამედ მთელი ჩვენი დღევანდელი მწერლობისათვის.

დღეს ძალიან პოპულარულია თანამედროვე მწერლობის ნიმუშებიდან ამოკრებილი "ამორალიები" შეთავაზება მკითხველისათვის. რიგითი მკითხველი სრულიად ბუნებრივ რეაქციას ავლენს მათზე და "იზაფრება". განსაკუთრებით პოპულარულია მამუკა ლეკიაშვილის სტროფები სატროფოც და მთავარეოდ, დიანა ვაჩნაძის (შითაშვილის) საფეროსნო წარმოსახვები, ზაზა ბურჭულაძისეული და ღამაზ ბულაძისეული პასაჟები... სწორად მიფიქრია, რატომ არ იყენებენ ციტატებს აქა მორჩილადის ტექსტებიდან, ფირუზას მიერ დაზახული სცენა თბილისის ბანაოში ნაკლებად მთავრდება? ან ოთარ ჭილაძის "ავეღუბი" ან "გოლორი" არ იძლევა "სამაგალითო" ნიმუშებს? რატომ ვერ შეჰხედდეს ოთარ ჭილაძეს ანდა რატომ ერიდებიან აქა მორჩილადეს? თუ ჩვენება და მხილება, ხომ ყველა თანაბრად უნდა გავიყვანოთ სამზოვზე? ან ოსტატობაშია საქმე, ამ მავანთა მიკერძობაში, ანდა სულაც ერთიცაა და მეორეც: მგონი, არ შეიძლება უკომენტაროდ მივანოდოთ მკითხველს ტექსტიდან ამონარიდი საჩოთირო მაგალითები. საჭიროა მათი კომენტირება მაცინც, თუ მთელი ნაწარმოების ანალიზი ვერ მოგვიხერხებია. ერთი რამ ფაქტია, ცხოვრება გააფრთხილები ამორალიებით, მწერლები ცხოვრებისეულ ტენდენციებს ასახავენ და ჩვენს სინდისსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ვის როგორ გამოვიყვანოთ ან "გამოაწყენებთ". ჭეშმარიტება მთლიანად ტექსტშია და არა მარტო მისგან ამორალიებულ უხამს ფრაგმენტში.

ზოგადა, ძველი ემპათიანენი ამ მწერლები ნაკლებად უხამსები იყვნენ, სულაც არ ხმარობდნენ უდიერ გამოთქმებს ან არ ჰქონდათ "ამორალიებისადმი" მიდრეკილება. არც ისე გლუვად და სწორსაზოვნად არის საქმე, ყველ დროს თავისი სკაბრები და ამორალი-

ბი "ამშენებდა". ხოლო "ქართლის ცხოვრება" ვახტანგ გორგასლის ასეთ ფრაზას აუკვდავენს: "... სადაცა მიმოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა. და მოგუნი და მზირნი მათი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტს..." ("ქართლის ცხოვრება", I, თბ, 1955, გვ.179). დღეს ვინმე თავის რომანში გმირად ვახტანგი რომ შემოიყვანოს, შემდგომ ზემოთ წარმოდგენილი ფრაზა თანამედროვე ქართული წარმოათქმევინოს, ხომ წარმოგიდგენიათ რა ვაიუშველებელი ატყდება და როგორ მკრეხელად ჩათვლიან. კიდევ უფრო პიკანტურია თეიმურაზ მეორის ტექსტები, განსაკუთრებით მექსე მეფისწულს რომ სარცხვინელს შუთფალიერებს და... ასე რომ, დღევანდელი მწერლები ტრადიციებს აგრძელებენ, მიწაზე მყარად დგანან და არაფერს მიწიერს უყურადღებოდ არ ტოვებენ.

საკმაოდ გავცდით "მადათოვს", სადაც ერთი დეტალი უნდა გამოვყო: როგორც რომანიდან ჩანს, გრაფმა სევედმა იცის, სად ასაფლავია დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მისმა პროტექტემ და ჟანდარმერიბის მთავარმა ქართველმა ვარსკვლავმა არც დიმიტრი ყიფიანის პიროვნების მნიშვნელობა იცის და არც ის, თუ სად არის დასაფლავებული. მთელი ეს ცნობა ერთ მცირე ეპიზოდშია ჩატეული. მწერალს სურდა ეჩვენებინა ქართული წარმოშობის ჩინოვნიკების გაუცხოება მშობლიური გარემოსადმი, მათი სრული გულგრილობა ეროვნული საკითხისადმი.

გარდა ამისა, აკა მორჩილაძემ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა ამ პერსონაჟისადმი, რომელიც ხასიათის მრავალი ნიშნით ძალიან მოგვაგონებს ცივ და ანგარიშიან იოსებ ჯულაშვილს, რომლისთვისაც კარგია უზენაესი რამ იყო.

"გაქრები მადათოვზე" კვლავ ძველი თბილისის კოლორიტს გვაგრძნობინებს. აკა მორჩილაძის თბილისური ყოფის ქსრათები მსუყეა და რეალისტური, მისეული სტატიკა არის აღმოსავლეთურისა და რუსულ-ბიზანტიურის ნახავე. ყველაფერი ქართული, ეროვნული მხოლოდ აპირებს ძალა მოიცეს, ქალაქი არის და არც არის ქართველების, იგი ამიერკავკასიის ადმინისტრაციის ცენტრია. აფთიაქი და კონტა მებაფთიაქე იმისთვის სჭირდება ავტორს, რომ მრავალ დახლარეულ ამბავს მათ გარშემო მოუყაროს თავი. მიუხედავად ჩახლართული ისტორიების მრავალსახეობისა, რევოლუციური სულისკვეთებისა და ჟანდარმთა მიუღწერებელი მოქმედებების სიმრავლისა, "გაქრები მადათოვზე" თემატურადაც კი აგრძელებს "გადაფრენას", მაგრამ მხატვრული

სიძლიერით აშკარად ჩამოუყვარდება მას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ "გაქრები მადათოვზე" დათარიღებულია 2000 წლის 2-28 ოქტომბრით. ფაქტობრივად 26 დღეში შექმნილა საკმაო მოცულობის რომანი, სადაც ისიც უნერია ავტორს, რომ წერა ჭადრაკის ერთ უბრალო, სალაღობო პარტიასა ჰგავსო.

აკა მორჩილაძე საოცრად გულახდილია რომანის დათარიღების საკითხში. შეიძლება გულუბრყვილოდაც მივინჩიოთ... თავად კი სურდა დაენახებინა ჩვენთვის, თუ როგორ მოსძაძლებია სათქმელი, როგორ "დაუმუდამებია" სქემები ახლართულ-ჩახლართული სიუჟეტისა... მაგრამ ხომ შეიძლება სწორედ ამ დათარიღებამ შექმნას არასასურველი დასკვნების მთელი კასკადი... რაღაც ძალიან ჩქარ-ჩქარა, იოლად და თვალსაჩინო სიმსუბუქით იქმნება მისი რომანები თუ მოთხრობები.

ჩვენ კვლავ მივუბრუნდებით აკა მორჩილაძის ტექსტებს, მაგრამ ამჯერად კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას მივაპყრობთ ყურადღებას. ახლახანს გამოცემულმა ბაკურ სულაკაურმა განახორციელა პროექტი - "ყველა დროის მატყაფესო მცირე რომანი". ჩვენი მწერლობის მთავარ სიახლეს სწორედ "მცირე რომანი" წარმოადგენს, რომელიც მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. "მცირე რომანი" დროის მოთხროვნად უნდა მოიქცინოს, რადგან ცხოვრების რიტმი მართლაც მოქმედებს ტექსტების მოცულობაზე და თანამედროვეობა "მოზილურ" რომანებს მოითხოვს.

"მცირე რომანი" ერთობ მიმზიდველია იმ "ზარმაცი" მწერლებისათვის, ვინც მოთხრობების ავტორები არიან და მოულოდნელად ეძლევათ შანსი იმისა, რომ ეს მოთხრობები რომანებად გამოაცხადონ. ტერმინი ერთობ მახვილგონივრულად და დროულად მოგვეწოდა, მაგრამ მისი დამკვიდრება და მისთვის მეცნიერული ანტურაჟის შექმნა ჯერ კიდევ სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს.

აკა მორჩილაძის "უდაბნოს გლახები" ორჯერ გამოქვეყნდა, პირველად 2001 წელს მოთხრობათა კრებულში "შობა ღამის ალქაჯები", როგორც ერთ-ერთი მოთხრობა და მეორედ ზემოხსენებულ პროექტში, როგორც საუკეთესო "მცირე რომანი". არის ამაში რაღაც დამახინველი და დამაინტრიგებელი. ბაკურ სულაკაური იმიტომ არის კარგი გამოცემელი, რომ შეუძლია სათანადოდ წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობანი და აზროვნების სიციხოველე, მაგრამ თავად აკა მორჩილაძე, ეტყობა, ისე "გაუცნობლად" "უშვებს" თავის ტექ-


სტუმს, რომ უკვე ერთმანეთში ერევა, მოთხრობა დაწერა თუ რომანი.

მიგრაციას და სხვათა ქვეყნებში ბედნიერების ძიების თემატიკას ეძღვნება "ძირს სიმინდის რესპუბლიკა!", რომელიც მართლაც შეიძლება თანამედროვე ზღაპრად მივიჩნიოთ, რადგან ნინო ბოლოს მაინც მიიღებს მისთვის განკუთვნილ ბრილიანტს, დიდი დავიდარაბისა და თავგადასავლების შემდგომ. რომანის ძირითადი ხაზი არის ჩვენებურთა ცხოვრების წესი, რომლებიც იქაც აქაური ჩვევებით განაგრძობენ არსებობას. დინამიკური და დაძაბული სასიყვარულო თუ კრიმინალური ურთიერთობანი ორგანულად ნაეწყობა ურთიერთს და სრულიად მართებულია ქვესათაურიც - "ერთმანეთზე გადაწებებული ამონაჭრების კრებული".

უცხოეთში გადასვენებულ ქართველებს მიეძღვნა მისო მოსულიშვილის "ფრენა უკასროდ". ამ რომანით ავტორმა დაგვიმტკიცა, რომ მისი მწერლური შესაძლებლობები მრავალმხრივია, მას ძალუძს იყოს სრულიად ტრადიციულ სტილში გააღმყვებელი რომანის "უფამო ჟამის რაინდის" ავტორიც და ამავედროულად "ფრენა უკასროდ" შემოგვთავაზოს.

მისო მოსულიშვილის "ფრენა უკასროდ" "ფაუსტი" არის შთაგონებული, მასში სათავადასავლო ჟანრი და მისტიკა გაერთიანებულია. ტექსტში "ქართველთა ხელონის" სპეციფიკა დაწვრილებით და ამომწურავად არის გადმოცემული. მისო მოსულიშვილის "ფრენა უკასროდ" ნამდვილად შეიცავს ზღაპრულ ელემენტებს, მისი გმირებისთვის დაუძლეველი სივრცე და ფათორაკები არ არსებობს. მოქმედების არეალი გადაშლილია აფრიკიდან აზიაზე. ხშირია კომიკური სიტუაციები, რომლებიც აქმედებიდან გამომდინარე ამოიზღვებიან რომანში და აცოცხლებენ გმირთა ერთფეროვან სურვილებს. დიტო ქიქელაძე მერიშკას მოსაძებნად გერმანიაში ჩადის. მისი ევროპული ცხოვრება თანამედროვე ჭაბუკისთვის მეტად მძიმე და დამქანცველია. იგი თავდაპირველად აღსავსეა სურვილით, მიაგნოს და დაიბრუნოს ძვირფასი პიროვნება, მაგრამ სასტიკი რეალობა ელემენტარული ადამიანური გრძობებისაგან დაცლის და ბოლოს იძულებულია ემსახუროს მას, ვინც მთავარი დანაშავეა მისი ცხოვრების გაუკუღმართებაში.

"ფრენა უკასროდ" ისევ და ისევ პიროვნების პრობლემას უტრიალებს, ახდენს ჩვენებურთა იდენტიფიკაციას უცხო და შორეულ სამყაროსთან. ზღვარი და ტაბუ აქ არ არსებობს, ყველაფერი



"დაშვებულია" და მისაღები, ყველაფერი საოცრად რეალისტურია და ამავე დროს ბურუსშია გახვეული. ნიგერიელებიც და ქართველებიც ევროპაში მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს, ეთიოპიან ყოველდღიურობას და ამავე დროს საშინელი ძალით მიიღტვიან საკუთარი ძირებისაკენ.

ძირებისადმი მიბრუნება, მისი კიდევ ერთხელ განწხრევა და ახალი რაკურსით წარმოდგენა ჩვენი თანამედროვე შემოქმედებითი პროცესების სრულიად ბუნებრივი ტენდენციაა. ქართული მწერლობა ყოველთვის მძაფრად განიცდის წარსულს, ისტორიულ მოვლენებს და უკავშირებს მას დღევანდელს. ჭაბუა ამირეჯიბის "გიორგი ბრწყინვალე" ამ კუთხითაც შესანიშნავი ქმნილებაა. მწერლის ახალი რომანისთვის ნიშნულია პოსტმოდერნისტული სტილური მონაცვლეობანი და დროის აბსოლუტური გაუმოქანაობა. შეიქმნა ერთიანი, მთლიანი სივრცე, სადაც სხვადასხვა ეპოქის გმირები "ესმარებიან" ერთმანეთსაც და მწერალსაც. რაც ყველაზე მთავარია, "გიორგი ბრწყინვალე" გაუღწეოთილია გარდუვალი გამარჯვების განწყობით და მოახლოებულ ტრიუმფის განცდა შარავანდედად ადგას მას.

ჭაბუა ამირეჯიბისათვის ისტორია "სიზიფეს ლოდია", შესვენების და წელის გამართვის შემთხვევები იშვიათია, მაგრამ ეს იშვიათი წუთები იძენენ სწორედ სიხარულისა და განუმეორებლობის ელფერს. "გიორგი ბრწყინვალე" ეგზისტენციონალურიზმის იერს დაიკარვს და იგი თორს ცდნება ენ. "ისტორიული რომანის" ცნებას. "დათა თუთაშიაში" დილოგის, ანონ-დანონის, საუბარში აყოლიების სოკრატესებრი ხერხით მიიღწეოდა მიზანი, ხდებოდა დათას მიერ დილოგში აყოლიებულ კაცის "მოქცევა", "გიორგი ბრწყინვალეში" ეს ხერხი მინიმუმამდე დაეყვინილი. "მძლეს" არ სჭირდება მოპირდაპირესთან სტიკვიერი დისკუსიების გამართვა, მას მხოლოდ დროისა და შემთხვევის ურთიერთმორგება



და მიზნის მიღწევა სურს. მიზანი აუცილებლად მისაღწევია, მაგრამ ზნეობრივ მომენტებს ენიჭება პრიორიტეტი და ჭაბუა გვეუბნება - ყველაფერი არ უნდა იკადროო. მიაღწევ გამარჯვებას ტყუილით - დაისჯები; მიაღწევ გამარჯვებას ღალატით - დაისჯები; თანაც ლოდინი დიდხანს არ მოგიწევს, სამაგიერო აქვე, ამავე ცხოვრებაში გარდაგხდება. პოლიტიკური ცხოვრება რთულია, ყოველი მომდევნო ნაბიჯი გაუთვალისწინებელი წინააღობით დაბრკოლებული, მაგრამ სხვადასხვა მოქმედების ერთობლიობა ჯამში განსაზღვრავს საბოლოო ხვედრს.

“გიორგი ბრწყინვალე” არ არის დიდი მოცულობის და ჭაბუა ამირეჯიბი ფორმის მხრივაც ესმინება თანამედროვეობას, იგი მოკლე და სხარტად მოგვითხრობს, დაუყოვნებლივ გადადის ერთი სურათიდან მეორეზე, თანაც მოქმედების დინამიზმს ღრმა განსჯას უდებს საფუძვლად. კრიტიკოსებს განსაკუთრებით უყვართ ასეთი ტექსტები, რადგან მაღიან ვრცელი და მიმზიდველი მასალა საანალიზოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭაბუა ამირეჯიბი ტრადიციული ისტორიული რომანებისთვის დამახასიათებელი “დადებითი გმირის” ტიპზე არ ამბობს უარს და “უსისხლო” გმირობის აპოლოგიას ქადაგებს.

თუკი ჭაბუა ამირეჯიბი ორათასწლოვან ისტორიას ერთ მთლიანობად მოიაზრებს, ოთარ ჩხეიძე თავის ბოლო რომანებში ორასი წლით იფარგლება. მისთვის რუსული იმპერიის სათარეზო დროა განსაკუთრებული დაკვირების საგანი.

ოთარ ჩხეიძეს ყოველთვის აქვს “ძირითადი ღერი” რომანში, მაგრამ ეს “ძირითადი” ყოველთვის იჩრდილება დოკუმენტური მასალით. ტექსტში რეალობა შემოდის ისე, როგორც მოხდა, ფაქტი თავად შედგება და ეს “შედეგი” შეფასებასაც თავისთავად შეიცავს. ანუ ხდება რაღაც “მედოურის მიღმური”, ოთარ ჩხეიძემ ფაქტი უკომენტაროდ გადამოკცა, მაგრამ შეფასება მინც

მოახდინა. პირველადი მასალა, ფაქტი, იმდენად ტვეადია, რომ მწერალს მხოლოდ მისი ფიქსაცია უხდება. იცის, ზედმეტი “ჩარევა” რომ არ სჭირდება...

ოთარ ჩხეიძის “თეთრი დათვი” საესეა ყოვერებით, საესეა სისხლით, რომლის გამოშვების პროცესიც თვალნათლივ არის აღნუსხული. რომანის დიდი ღირსება არის ის, რომ მან სრულად მოიცვა მოსახლეობაში არსებული განწყობილებები, მოიცვა მხატვრულ-დოკუმენტურ სივრცეში. თანაც “თეთრი დათვი” ისეთი რომანია, რაც უფრო მეტჯერ წაიკითხავ, მით უფრო გეძალბება მარადისობის წინაშე შიში. სრულიად კანონზომიერია ისიც, რომ “თეთრი დათვისმიერი” ყოვერების ტრავიზში, იქ აღწერილი თავდადებითი ბუნებრივად უნდა შემობრუნებულიყო აღმართით, გამარჯვებისადმი ნოსტალგიით და დიდი მოლოდინის ახდენით.

“თეთრი დათვის” დაღმართი სრულიად ორგანულად შეიცვალა “გიორგი ბრწყინვალისეული” აღმართით შენაცვლების აუცილებლობით. ამ მაჟორულ ტონალობას ვერაფერი შეცვლის, ამგვარი მოლოდინით დამუხტულია მთელი ქვეყანა, თანაც დაღმართის გაგრძელება დაღმართი ვერ იქნება, რადგან დაღმართი ერთი მთლიანობაა, რომელსაც უკანმოუხედავად ჩაათავებ და აუცილებლად აღმართის საწყისს მიაღწევი.

ოთარ ჩხეიძემ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ “დისტანციის თეორია” დღეს სრულიად უადგილოა და გამამართლებელ მიზეზად არავის გამოადგება. “თეთრი დათვი”, “არტისტული გადართილება” და “ბერძენის საპკუთხედიც” სწორედ ცინცხალი მასალის გამო არის მნიშვნელოვანი და თვალნათლივ გვისაბუთებს ყოველგვარი ყოყმანისა და დისტანციების უმართებულობას. ფაქტობრივად ოთარ ჩხეიძემ არ “დაიგუბა” განცდილ-ნანახით გამოწვეული შთაბეჭდილებანი და ეპოქის სული დეტალურად წარმოაჩინა.

“თეთრი დათვი” ინტელიგენციის წვრილმანობას, მოშურნეობას და ზერელობას კარგად გვისურათხატებს. ოთარ ჩხეიძე ერის შემფერსებლად და წარმონაქმნად მიიჩნევს მოქალაქეთა იმ ფენას, რომელსაც ქვეყნისთვის საბედისწერიო ჟამს მხოლოდ პირადული გრძობები ამორჩავებს და ლაქლაქილა შეუძლია. აკა მორჩილაძის “ავვისტოს პასიანსში” ინტელიგენცია რუსულ მოვლენად არის მიჩნეული და მის მოვალეობად მმართველი კლანის ამაღლება და კეთილშობილების ილუზირება რჩება. ოთარ ჩხეიძემ “გოდოლონი” გვიჩვენა “ცირკის ცხენებით” დაწყობილი მწერლები, რომლებიც პატივად მიიჩნევდნენ კა-

შელებთან სტუმრობას და ბალის მირთმევას "ენ-ისელთან" ერთად. "გოდორში" ძალიან საყურადღებო აზრია გამოთქმული, სადაც ეჭვის ქვეშა დაყენებული ნებისმიერი მოქმედება და მოღვაწეობაც საერთოდ: "ყველა ჭეშმარიტი პოეტი ან მკვდარია, ან უგულბებელიყოფილი. ვინც იბეჭდება, ხელისუფლებას ემსახურება, რადგან ნებისმიერი ხელისუფლება მხოლოდ იმის დაბეჭდვის ყულებას იძლევა, რისი დაბეჭდვაც, უპირველეს ყოვლისა, თავისთვის მიანიჭებს სასარგებლოდ და არა პოეტისათვის" (გვ.166).

იმპერიის ძლევამოსილების უკიდურესი გამოვლინებები ყოველთვის იყო ოთარ ჭილაძის დიდი რომანების განსჯის საგანი. "გოდორში" მწერალმა ექვსასწლიანი სიბნელისა და დამცრობის თაობაზე გვაძინო. მისი აზრით, უკანასკნელი ექვსი საუკუნე საქართველო სრულ ქოხსა და ჭაობში იმყოფებოდა. სიმბოლურია ისიც, რომ "გოდორში" კომბალს დაყრდნობილი მწყემსი დამცირებული და ღონეგამოცლილია, უცხო თვალისთვის იგი ანტიკური გარეგნობის ბუკოლიკის გმირს შგავს, ხოლო რუსისთვის მორიგი დასაჩაგრია და დასაბეჭავებელი სუბიექტია.

"გოდორი" შეიძლება ისტორიულ რომანად ჩაითვალოს, თუ ამ ტექსტით ვისელმძღვანელებთ პოსტილიასეული საქართველოს გაგებისათვის. ახლა აღინიშნოს, რომ ოთარ ჭილაძისთვის მისაღებაა გალაკტიონისეული გამიჯვნა ძველი და ახალი ეპოქებისა - "წინამურში რომ მოკლეს ილია"... მისი მხატვრული სამყარო გაჯერებულია ბოლშევიზმის არსის გაშიშვლებით, საბჭოური ყოფის ნიუანსებში ყველაზე უარყოფითის გამოკვეთით. "გოდორი" ახალგაზრდული სითამამით, ტემპერამენტით და სრული უკომპლექსობით გამოირჩევა. თუკი "აველუში" დაღლილი და აღსასრულისაკენ მიდრეკილი კაცის განწყობას გამოხატავდა, "გოდორი" რადიკალურად განსხვავდება მისგან. აღსანიშნავია მწერლის მოურიდებლობა "საჩოთირო" ეპიზოდების აღწერისას. თანაც კონკრეტული ოჯახის ისტორია, ოთხი თაობის ცხოვრება, ამომწურავად გვიჩვენებს მთელი ქვეყნის ბედისწერას; ხელშესახებს ხდის და განაზოგადებს იმპერიის დამორგუნველობას, მის სრულ უადგილობას თანამედროვე სამყაროში.

იმპერიათა შორის ჩვენთვის ყველაზე აუტანელმა რუსეთის იმპერიამ ამოწურა თავი, მისი არსებობა არავისთვის, თავად რუსებისთვისაც კი არ არის აუცილებელი.

"გოდორი" მრავალ საჭირობოტო მოვლენას ეხება, მაგრამ მთავარი მასში სათაურის სიმბოლიკა და მისი მნიშვნელობის განვრცობაა. გო-

დორში მყოფი ადამიანის თვალსაწიერი ვინროა, ჭუჭყრუტანიდან დანახული არე სწორი ორიენტორის არჩევის საშუალებას არ იძლევა. გოდორში "ჩამუდრება" მხოლოდ კაშელის ხედვით როდია, ფაქტობრივად ქვეყანა მოექცა მარნუხეში, საქართველოს დაეშო არე და მისი მზერის რადიუსი უდიერი იმპერიების სალტეში მოექცა. ოთარ ჭილაძის "გოდორი" ჩაკეტილობას, შეზღუდულობას, სამოქმედო არეს მოშლას ამხატვრულებს. ვერ ვიტყვით, რომ "გოდორი" ადვილად გასაგებია და აღსაქმელი წიგნი იყოს, მეტწილად მან შეიძლება "შეგაცაბუნოს" კიდევ, მაგრამ ყველაფერი უკანა პლანზე ინევს გადარჩენის დაუოკებელი სურვილის ფონზე. ოთარ ჭილაძემ სწორედ ამ პათოსს მიაგნო, რაც მისთვის საუკეთესო წლებში იყო დამახასიათებელი. ოთარ ჭილაძე მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველომ რადიკალურად უნდა იმოქმედოს და თავის თავში გამოიხახოს ძალა იმპერიული სინდრომების აღმოსაფხვრელად, ამისთვის გარდუვალია უღმობელი და საბოლოო ქმედება: "სრულიად საქართველომ სასწრაფოდ მოიშალოს მუცელი, უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, გაიკეთოს აბორტი - დაუნენებლად, დაუნდობლად, როგორც არ უნდა დაირღვეს ჩვენი გენეტიკური ფონდი, გამოიფხიკოს თავისი წიაღიდან, იგივე წარსულიდან, ანუ გონებიდან, სულიდან - საიდანაც გნებავთ - კაშელის თვსლი, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნიტი უკუნისამდე, თუკი მართლა აპირებს გადარჩენას..."

როდესაც ეპოქის სულისკვეთება და ხალხის მისწრაფებები გამოდის წინა პლანზე, მაშინ მწერლის მკვეთრად გამოხატული იდეების დეკლარირებისგანაც არ არის დაზღვეული... ქართული მწერლობა საკმაოდ სწრაფად თმობს პათეტიზმს, მყვირალა პატრიოტულ ფუქსიციკავობას... სამაგიეროდ, იძენს ახალ გამოუმსხველობით საშუალებებს, სრულიად არ თაკილობს სკაბრებს, ფარგონს, გულარინოდ პასაფებსაც კი. ჩაკეტილობის ეპოქის პურიტიანიზმი და ქუჩის აკადემია თუ სუფრის აკადემიები ჩარჩა XX საუკუნეში.

სამწუხაროდ, ბევრი ვინმე დარჩა ბევრ რამესთან ერთად XX საუკუნეში, ყველა როდი აღიარება და განიცდის პროგრესს. ბევრს არც შეუძლია, ახალს გულდანიდობილად შეხედოს და კეთილი უსურვოს. გაბოროტებული და დაბოდიშილი პიროვნება ასეთივე შემოქმედი და ტექსტიც გულარინილი და მიმე გამოსდის. ეს განსაკუთრებით შესაძინევი ახლა გასდა, როცა სახელმწიფო სათბურის პირობებს არ უქმნის ცალკეულ "რჩეულ" მწერალს თუ ხელოვანს. ოდეს-

დაც პრივილეგირებულთ მთელი სერიოზულობით შგონიათ, რომ საქმე ძალიან ცუდადაა მთელი ტყვეებისთვის და არა მარტო მათთვის. როდესაც ისინი უკეთეს შემთხვევაში ყასიდ თანაგრძნობას აწყდებიან, ამოად დაიმედებულნი ილიუზიის ტყვეობაში რჩებიან. ყველაზე "ნელი ამქვეყნად არასასურველი რეალობის მიღება და მისთვის თვალის გასწორებაა. როდესაც ამ მიძიმ მდგომარეობას ვაკვირდებით და ჩვენი "ყოფილი" ავტორიტეტების სახეებს ვხედავთ, უმაღ ვიგებთ, რას ნიშნავს - "წარსულით მოჯადოება".

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე მთელი არსებით ცდილობდა მიძინებული ერის გამოღვიძლებას, მაშინ ხალხს სრულიად დაგინყებულნი შქირდა წარსულიც და ოდინდელი ღირსებაც... მაგრამ დღეს გამოსადვიძებელი ერი განსხვავებულ მდგომარეობაშია, მას წარსულზე შიპერბოლიზებული წარმოდგენა აქვს და მოჯადოებულია მისი ელვარებით. ყველაფერი ახალი აშინებს და აფრთხობს, შიშის გრძნობით მსჭვალავს. ქართველთა უმეტესობა "ცრუ ცოდნის" ტყვეობაშია.

აკაკი ბაქრაძე ცოდნის ორ სახეს არჩევდა - ნამდვილს და ცრუს. ნამდვილი ცოდნა ძალისხმევით მიიღება, განსჯას, შედარებას და დასკვნებს ეწყობება. ცრუცოდნა სხვათა აზრების უყოყმანოდ მიღებას ნიშნავს, როცა ინდივიდი აბსოლუტურად არ იწუხებს თავს ფიქრისთვის და მზამზარეული შთაბეჭდილება აქვს შექმნილი მოვლენებზე. ასეთ ადამიანს ვილაცის ნათქვამი სჯერა, ხშირად საკუთარიც კი შგონია.

მეოცე საუკუნეში ჩარჩენილებსა და საბანაშივილი გაწყობაზე ნაკლებად არის საზოგადოება მომართული. ცხოვრება თავისი გზით მიდის და უკვე მერამდენედ საქართველო "იხსნება" მსოფლიოსათვის, ცდილობს დაძლიოს ჩამორჩენა და გაათავისუფლდეს ბორკილებისაგან. "აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით, ბორკილის მეტს ის არაფერი კარგავსო", - წერდა ოფელსაღვ ცალკეტიონი და "მსოფლიო მუსიკას" აფურადებდა. არასოდეს დაუწყებია, გინდა თუ არა, ილიას გზას ვადგავარო, ისედაც ყველა ნამდვილი ერისკაცის გზა მეტწილად იმეორებს ილიასეულს.

"მსოფლიოსთან მისვლის" თანამედროვე ტენდენცია უპირველესად ჩვენივე თვისადმი დაკვირვებას გვაიძულებს. ხელახლა უნდა გავიაზროთ "რა ვაკეთებ, რას ვშვრებოდი" და, რაც მთავარია, როგორ მოვედით აქამდე. ქართულმა მწერლობამ სწორედ ამ კუთხით მიმართა მზერა. რევაზ ჭყვიციანი "რკინის სასკოში" არის სერიოზული შედეგობა, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი საბედისწერო პერსონაჟი ამ ეპოქის თვალსაწი-

ერზე ხელახლა გაიხსნას. ეს პრეცედენტი იმითაც არის სამაგალითო, რომ ხშირად ცნობილი და პირველხარისხოვანი ოსტატები ერიდებიან ისტორიული გმირების ხელახალ გაწვრთბას და ღოკუმეტური პროზის ჟანრში მუშაობას. საზოგადოებასთან მიახლოებულ გააზრებას იოსებ ჯუღაშვილის თუ მის მეგობართა სახეებისას. დღევანდელი სწორედ ახლებურ გააზრებას ითხოვს, ოღონდ ახლებური მართალს ნიშნავს და არა შელამაზებულს.

შეულამაზებელი და თანამიმედვერული სიმაართლით გამოირჩევა ზაურ კალანდიას "ძეგლი ყველასათვის", სადაც ერთმანეთს უპირისპირდება "ლაცე" კომუნისტების დროინდელი ვითომ უზრუნველი ყოფა და პოსტკომუნისტური ცხოვრების სიძნელები. ზაურ კალანდიამ დაწერილით აღწერა რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანის ორგვარი ცხოვრება - პირველი, როცა პერსონაჟი რიგითი მოქალაქეა და მეორე, როცა პერსონაჟი უწინდება იარაღი, უპირატესობის შეგრძნება და ძალაუფლება. ზაურ კალანდიამ "უპირატესობის" საბედისწერობაზე აკაო თავისი რომანი და არც შეშეცდარა. ძალაუფლება არის მაპროვოცირებელი არაჩვეულებრივი ამბებისა და პირველების გამოცდისა. გახსოვთ ალბათ ფოისტვანგერის "ცრუენრიხი", სადაც მექოთნის გაიმპერატორების ანუ ძალაუფლების მორგების და შეფულების ტრაგედიაა მოცემული. ზაურ კალანდიას ჭიჭე შეიძლება ამ მექოთნეს შევადაროთ, რომელიც ისე მოერგო როლს, რომ მართლაც მიჰყო ხელი ახლობლების სოცვა-ჟღეტას. ყველა დროში ძალაუფლება ადამიანებს სხვა განზომილების "სიამებს" გადაუშლის და ისინიც ნამდვილ ბუნებას სწორედ მაშინ ავლენენ. ზაურ კალანდიას "ძეგლი ყველასათვის" სწორედ ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი ჩვენთვის.


ქართული პოსტსაბჭოური სინამდვილე და ადამიანად დამოკიდებულება იარაღისადმი, ძალისმიერი ქმედებებისადმი არის მთავარი თემა დაურ ნაჭყებიას მოთხრობისათვის "შვედარი". ტექსტში აქცენტირებულია მამაკაცის მარადიული ლტოლვა იარაღისადმი, მისი მარადი შემართება მონინაღმდგვის მოსაგერიებლად თუ თავდასახმელად. მოთხრობა მნიშვნელოვანია იმ ტენდენციით, რომ მასში უაზრო და ამაო სიკვდილის შემთხვევა შთაბეჭდვად და დახატული. ჩვენ, ადამიანები, სწორედ ამგვარ ამაო აღსასრულს ვუფრთხობთ, სწორედ ეს არ გვინდა არც ჩვენთვის და არც ჩვენი მოკეთებისთვის, დაურ ნაჭყებია ამ მოთხრობით მაღლებდა ვინოო კუთხით ინტერესებზე და ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერე-

სო თვალთახედვას აფიქსირებს.

ქართულ მწერლობაში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, როცა მხატვრული ტექსტი პუბლიცისტურ იერს იძენს და ჟანრის განსაზღვრა ძნელდება. ხშირ შემთხვევაში თხრობა მოვლენის განსჯას და შეფასებასაც ითავისებს და ახალ თვალსაზრისს გვიზიარებს. მხატვრული ტექსტის სწორედ მხატვრულობისაგან განძარცვისა და მისთვის ლიტერატურული ნიუანსების მინიჭების ტენდენცია წარმატებით განხორციელდა ლაშა იმედაშვილის "იმიტაციურ მწერლობაში". მისი კრედიო მოცემულის ხელახალი ინტერპრეტაციისა სრულიად ახალ "რეალობას" ქმნის. შესაძლოა ამ ახალ რეალობას სინამდვილესთან საერთო ცოტა აქვს, მაგრამ ალბათობის თეორიის მიხედვით და ფანტაზიის გათვალისწინებითაც შეიძლება სწორედ ასეთი რამ მიგველო. ძველი ტექსტების ხელახალი გაცოცხლება ძალიან მაცდური პოსტ-მოდერნისტული ხერხია, რასაც ლაშა იმედაშვილი მომხიბვლელად ახორციელებს.

თუკი ლაშა იმედაშვილი "ასწორებს" ტექსტებს, აახლებს ბიოგრაფიებს და "აღადგენს" მიჩქმალულ რეალობას, ზაალ სამადაშვილი მთლიანად მიმდინარე პროცესების მთლიანობის წარმოსაჩენად არის მომართული. თავის "ბოშებში" იგი უბრალოდ მთხრობელი, მწერალი კი არ არის, არამედ ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსია. ზაალ სამადაშვილის "კომპინირებული ტექსტები" მოხდენილად წარმოაჩენს თანამედროვე ცხოვრებას. კრედიულის ორი მოთხრობა: "მემოთხრობებსა და თხრობაზე", "სამაგილო წიგნებს მხოლოდ მამაკაცები წერენ", აშკარა კრედიულ იერს ატარებს. "მემოთხრობებსა და თხრობაზე" იმდენად ზუსტი დაკვირვებაა ქართულ პროზაზე, რომ შეიძლება იგი ესესედაც მივიჩნიოთ.

ლაშა იმედაშვილის და ზაალ სამადაშვილის ტექსტებიდან აშკარაა, რომ შემოქმედი თითქოს "გამოდის" ჩვეული მდგომარეობიდან, ხდება დამკვირვებელი და შემფასებელი მთელი იმ ორომტრიალისა, რომელის ერთ-ერთი მონაწილე თავადვეა. სათავისო გარემო განგებ იქცევა საარეოსოდ, რათა ობიექტური სურათი თვალნათელი გახდეს. ფაქტურად ლაშა იმედაშვილიც და ზაალ სამადაშვილიც ერთსა და იმავე მიზანს ესწრაფვიან, ოღონდ თავთავიანთი ხერხებით. შეიძლება ამგვარ ტენდენციას სულ ახლო მომავალში მიმბაძველებიც ბლომად გამოუჩნდნენ, მაგრამ გაათვალისწინებელია ერთი რამ, დასაწყისში რაც ახალი და საინტერესოა, შემდგომ და შემდგომ ნაკლები ინდივიდუალობის გამო მოსაწონად შეიძლება სულაც არ მოგვეჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, ამ ნუთას მოწმენი ვართ მხატ-



ვრული ტექსტების ინტელექტუალიზაციისა და იგი მოსაწონად მიგვაჩნია.

დღევანდელ მწერალს მარტო ამბავი და მისი მიმზიდველი გადმოცემა არ მოეთხოვება, იგი ამავე დროს კომენტატორიცაა და იმიტატორიც. მწერლობას დღეს ერთგვარი ზენოლაც მოეთხოვება მკითხველთა ინერტულ მასაზე, რომელთაც მხოლოდ განსაკუთრებული პიკანტური თემატიკა თუ ააღელვებს და "მოქმედებაში" მოიყვანს.

დღევანდელი მხატვრული ტექსტი მრავალდუნაშრევიანია, მისი ავტორიც რთული პიროვნებაა - მოსურნე არსებული მდგომარეობის სათანადოდ ასახვის და საკუთარი მრწამსის მრავალფეროვნად წარმოჩენის. თანაც ყველას საკუთარი ეშმაკუნა უზის, მოსურნე აღმატების, ჯიბრის, ჯობნის. თანაც ასპარეზი, ასე თუ ისე, საკმარისია პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ყველა ჯიბრზე სასტიკი ლიტერატურული ჯიბრია, აქ მონაწილე მხარეებს შემფასებლები არასოდეს მოაკლდებათ.

დიდი ლიტერატურული სკანდალები არც დღევანდელიობას აკლია. ყველაზე გახმაურებული ავტორი კი ლაშა ბულაძეა, რომლის ყოველმხრივ ნატრიალებ და ყბადაღებულ "პირ-

ველ რუსს“ ამჟამად გვერდს ავუვლით და თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ მხატვრული ღირსებით გამოირჩეულ სხვა მოთხრობებს. დღესდღეობით ლაშა ბულაძე სამი კრებულის ავტორია და სამივე დიდი სითამამით გამოირჩევა. ლაშა ბულაძე იოლად პოულობს საჩოთირო და ტაბატირებულ თემებს, საგანგებოდ ამზეურებს მათ და შედეგებსაც მშვიდად ხვდება.

ლაშა ბულაძე ავტორია მეტად მნიშვნელოვანი მოთხრობების, რომელთა უგულებელყოფა და დაუნახაობა ცოდევა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი “პირველი რუსის“ ავტორია. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ლაშა ბულაძის ხედვაზე, რომელიც “კლიშეების“ მსხვერვაზეა ორიენტირებული.

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობაზე შექმნილი მოთხრობა “ქართული ზღაპარი“ გამოირჩევა პოსტმოდერნისტული დროში თამაშით, დროით თამაშით. ამ მოთხრობაში ილია ჯერ მხოლოდ აპირებს საგურამოში გამგზავრებას, მაგრამ მისი ნეკროლოგები უკვე იბეჭდება. მთელმა თბილისმა იცის, რომ ილიას აუცილებლად მოკლავვენ, ეს თავად ილიამაც იცის. არტურ ლაისტიც კი მოდის სავიზიტოდ და გასაფრთხილებლად, მაგრამ ყველაფერი ფუჭად ჩაივლის. ილია სრულიად უდრეტიწველად აკვირდება გულშემამტკივართა “ქოთქოთს“. სიტყვიდან საქმეზე გადასვლა არავის აგონდება, არადა ელემენტარული რამ არის გასაკეთებელი, მხოლოდ ეტლია გასარიდებელი და ილია ვედარსად წავა. ყველანი მხოლოდ ლაპარაკს უნდებინან... “ქართული ზღაპარი“ ჩვენს ეროვნულ ცრუქაქუნობას და საქმემცრობას ურტყამს. თანაც ამ მოთხრობით დეკლარებულულია ზოგადკაცობრიული სწრაფვა მსხვერპლშენარვისაკენ. ოთარ ჭილაძემ ეს ტენდენცია ასე გადმოსცა: “ხალხს ახალახალი გმირი სჭირდება ყოველდღე, ცოცხალი, სისხლით დატვირთილი“ (იხ. “გოდოლი“, გვ.312). როგორც ვხედავთ, ქართულმა მწერლობამ საგანგებოდ გამოიყო ნებისმიერი ხალხისა და ნებისმიერი დროისათვის ნიშნული თვისება - განირონ, შეინირონ, ითავცემონ ანუ ჰქონდეთ სალაპარაკო.

ერთ-ერთ მოთხრობაში ლაშა ბულაძემ მოხდენილი ტერმინი შემოგვთავაზა - “ტექსტი მუტანტი“ და ასეთი მსჯელობა მოაყოლა: “მკითხველს ლოგიკური დასასრული უნდა მიეჩქნოს, თორემ განრისხდება და იტყვის: ამ ტექსტს, ვითარცა მუტანტს თავი კი აქვს, მაგრამ ფეხები არა ჰქონიაო. მე კი წარმოვადგინე არა მაქვს, რა ვქნა! როგორ შევკრა?“ ამ ირონიულ და სახუმარო ტექსტში მშვენივრად ჩანს ავტორის დამოკიდებულ-

ება სინამდვილისადმი, რომელიც სწორედ ირონიის მოითხოვს, რათა ცოტათი მაინც ასატანი გახდეს.

“ტექსტი მუტანტი“ შესანიშნავი სახელდებაა პოსტმოდერნისტული თამაშის პრინციპით შექმნილი ნაწარმოებებისათვის, სადაც ტექსტი ტექსტშია მოთავსებული, სადაც დრო დროშია ჩანულ-აღრეული და სადაც გზადაგზა კვლავ ვუმრუნდებით მთავარ სათქმელს, ოღონდ ახალ-ახალი ვარიაციებით.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ქართველებს წარსულით თრობა თუ ტყობა, სიამაყე და ფუჭი თავმოწონეობა ძვალ-რბილი გვაქვს გამაჯდარი და უცებ ლაშა ბულაძე გვთავაზობს “ისტორიას“, რომელიც მაიკო ორბელიანის “შენიშვნის“ თანამედროვე ვერსიაა. ეს “ისტორია“ იმდენად სამარცხვინო, იმდენად საჩოთირო და საჩუმათო ფაქტზეა, რომ მინიშნებაც კი გამაწილდება. სამაგიეროდ როგორ გამაგრლებულ საშუალებად გამოდგება გახურებულ-გაზულუქებულითათვის, რომლებიც დღეცისმარე მოსთქვამენ: “ჩემი ერთი გადაშენების პირასაა მისული - პატრიოტები “კოკა-კოლასთან“ ბრძოლაში დაგვმარცხდითო” - ეს ფრაზაც ლაშა ბულაძეს ეკუთვნის “ოსტატის სიკვდილიდან“.

მოგონილი და გაზღაპრებული გმირები თუ სიტუაციები მშვენიერი საშუალებაა ეპოქის ნამდვილი სულის გადმოცემისათვის. როდესაც “ოსტატის სიკვდილს“ ვკითხულობთ, თითქმის ვხედავთ მათ, ვისზეც ეს მოთხრობა დაინერა... ისინი ლეგიონები არიან, ისინი ჩვენს მისწრაფებებს და აზროვნებას გარკვეულ კალაპოტში აქცევენ და ალბათ არასოდეს ფიქრობდნენ წუთი სოფლის ცვალებადობაზე. ახლა, როცა ლაშა ბულაძე დანერა: “მაინც ბედნიერი და ამაყი მიდიოდა იმ ქვეყნად, - განავლით საესე წარსულით ამაყი“-ო, სრულიად ბუნებრივი რეაქციის მხილველნი ვხდებით.

ასე რომ, ლაშა ბულაძის ანალიტიკური გონება სცილდება წმინდა პროზაულ-ბელეტრისტულ არეს და განსჯით-შეფასებით ხერხსაც იერთებს.

სწირად ერთი ფრაზა მთლიანად იტყვს მთელს ეპოქას, მთლიანად განსაზღვრავს ეროვნულ ხასიათს, სრულყოფილად გვიჩვენებს მოვლენის ტრაგიკომიკურობას. შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი შემოგვთავაზოთ და თავად მიხვდებით, რას ნიშნავს ტყეადი ფრაზა ანდა სიტყვიერი აღწერის სრულყოფილება:

1. “შეირე დღეს თავადები ამაყად აცხადებდნენ: პატივისცემა ისეთი უნდა, ჩვენ რომ ვიცითო, ხოლო პატრიოტები თავს იმშვიდებდნენ, გუშინ იმპერატორი ისე დამთვრალა, მაიკო კი ეცადა,

მაგრამ ვერაფრით გააღვიძაო...“(ლ.ბულაძე, მესამე სართული, თბ; 2003, გვ.13).

2. “ოთახში მუშლი ირევა, ისევე როგორც მთელ საქართველოში. მთელ საქართველოს დასტრიალებს მუშლი, როგორც გადამწიფებულ ხილსა თუ სიდამპლევამჯდარ ბოსტნეულს“(ო.ჭილაძე, “გოდორი”, თბ;2003, გვ.197).

3. “მადლობა ღმერთს, უფროსად სეგედი არა მყავს. იცით რა არის ყველაფერზე საშინელი? ნასწავლი ხალხის უფროსობა. მეცნიერი ხალხის მმართველობა...” (აკა მორჩილაძე, “გადაფერენა მადათოვზე და უკან”, თბ; 1998, გვ.155).

4. “ქართველსა ინტელიდენტობა რუსთა უბოძის, ადრე არა ყოფილა. ან კი გასაქანი ჭქონდა უამსა სტალინ-სოსულოსასა, ახლა შაური არცა ღირს - ქვევრის “ირამდინ დასულა” (აკა მორჩილაძე, “ავგვისტივს პასიანსი”, თბ;2001, გვ.7).

შეგვეძლო კიდეც პარაერთი მაგალითი წარმოგვედგინა ჩვენი მწერლების ნაწარმოებებიდან, მაგრამ ეს ოთხი ფრაგმენტაც შესანიშნავად გვიჩვენებს ჩვენს რეალობას - ტრაგიკულ და კომიკურ პასაჟებსაც. ჩემთვის დღემდე უსაყვარლეს ფრაზად ოთარ ჩხვიძის რომანიდან დასხობილი რჩება, რომელიც ასე უღერს: “როგორ მელაპარაკები, ცხრა აკადემიის ნეერი ვარ და აქედან შვიდი ჩემი დაარსებულიაო”.

რიკით ქართველის ცხოვრებას, ჩვენი ყოფიერებას სხვადასხვა მხარეს დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე მწერლობაში. ირაკლი ლომოური ამ რეალობას ავანტიურის ელფერს აძლევს და ასე ახერხებს ერთფეროვნების მარნუხებიდან დასხლტომას. მისი “ექსლიბრიოს” საუკეთესო ნიმუშია ვირტუალური და რეალური სინამდვილის მორიგების. ირაკლი ლომოურის ფანტაზიები, მისეული მრავალფეროვანი სიუჟეტები, მისი პერსონაჟების სერიოზულობა და შეურიგებლობა უმალ იპყრობს ყურადღებას. მას აქვს იშვიათი უნარი აიყოლიოს მკითხველი და მთელი წიგნის მანძილზე თან გაიყოლოს ნებისმიერი მიმართულებით. “ერთტომანის ჩანაწერები” ირაკლი ლომოურის საუკეთესო მოთხრობაა, მისი ყველაზე წარმატებული მისტიფიკაცია. ამ ტექსტში მთელი შრეებია გამოგონილი ამბების, რომელთა ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ შეგეპარებათ, სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხავთ. ჩვენი აზრით, ირაკლი ლომოური ოთხმოციანელთა თაობის საუკეთესო წარმომადგენელია, რომლის ტალანტიც სწორედ მისტიფიკირების დამაჯერებლობაშია.

ყოველივეს შეულამაზებლად თხრობა ირაკლი სამსონაძის სტილია, არანაირი მისტიფიკირება და ილუზორულობა მას არ სჭირდება, რომ თავის გმირებს დამაჯერებლობა მიანიჭოს. მთელი



მისი ყურადღება რიგითი ქართველის ირგვლივ კონცენტრირდება. ირაკლი სამსონაძის ბოლო წიგნი “გარეუბანი” სვედით, შეგუების აუცილებლობით და უდაბნოს ფერებით არის გაჯერებული. თუკი ირაკლი ლომოურის ფანტაზია ავანტიურის ბურანში ახვევს ჩვეულებრივს და ერთფეროვანს, ირაკლი სამსონაძე საერთოდ არაფრის ცალამაზება-გაფორმებას არ ცდილობს. იგი მკაცრად ამაართლიანი მწერალია, მისი მზერა ჭკრეტასთან ერთად შეფასებასაც შეიცავს. “გარეუბანი” მოთხრობათა კრებულია, რომელშიც უბრალო ადამიანების ნაცრისფერი ყოფა და მოსაბეზრებელი ერთფეროვნება განსაკუთრებულად სიძლიერით ვლინდება. “ის მზერა” ერთი ჩიაკაცის სიჯუტეზე, მის ოცნებებსა და “მიღწევებზეა”. გმირს მიუგნია თავისი საკეთებლისთვის და ღირსებით ატარებს კუთვნილ ჯვარს. შეუძლებელია, არ თანაუგრძნო ბავშვთა საფეხბურთო გუნდის ამ წვრთნელს, რომელიც: “სწორედ იმიტომ იყო მოვლენილი, რათა დაცინვა ეტკირთა სიჯუტისაგან დაკოჟრილ მხრებზე”. ირაკლი სამსონაძე ზუსტად გვიხატავს რიგითი ქართველის ხასიათს, რომლის “სიჯუტისგან დაკოჟვრა” გადარჩენად მიაჩნია.

ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვან მოვლენათაგან აღსანიშნავია “ანტირომანის” გამოჩენა. “მინერალური ჯაზი” ზაზა ბურჭულაძის ტექსტია და ავტორმა საკუთარი ტექსტისა და ხასიათის თავისთავადობიდან გამომდინარე მას - ანტირომანი - უწოდა.

“მინერალური ჯაზი” კარგად გვიჩვენებს ავტორის თამაშისადმი მიდევნებელ ხასიათს, მის ფანტაზიებს და ქართული სინამდვილის არაჩვეულებრივი კუთხით დანახვის უნარს. წიგნი ცირკის გასტროლებით იწყება, სადაც მთავარი პერსონა უმალ აღსრულდება და ავტორიც სწორედ აქედან იწყებს... სხვა მწერალი თავის წიგნს მნიშვნელოვანი პერსონის სიკვდილით

დაასრულებდა, მაგრამ ზაზა ბურჭულაძე იმიტომაც არის პირველი ქართული ანტირომანის ავტორი, რომ ყველაფერს უცნაურად იწყებს, აგრძელებს და ასრულებს კიდევ. ზაზა ბურჭულაძის კრიტიკისტიურ აზროვნებას სრულყოფილად მისივე ფრაზა ახასიათებს - "კაცობრიობის გამოცდილება სრულიად საპირისპიროს გვეკარნახობს, ანუ მზეთუნახავს აკოცებ და ბაყაყი შეგრჩებ" (გვ.41).

ცირკიდან გაქცეული დათვი არჩინად ამოიგლის უნივერსიტეტის აღმართს და ოჩიგავების ოჯახს ეწვევა. გამომძიებელი შამუგია ცირკში ნივთბუცებივებს აგროვებს და საქმეს შეუდგება. ჩემს თვალწინ პეტო ოჩიგავა, ჯაზზე შეყვარებული ბიჭი იქცევა პეო ოჩიგავად, ნიმფეტად. "უკულო კატა" ზაზა ბურჭულაძეს რადაციო "გურჯისტანს" აგონებს. ქართული სოფელი კი წელიწადის ოთხივე დროს სასურველია და საამო, რადგან:

გაზაფხულზე ხეში წყალი იმდენია, პეშვით ვეღარ ამოხაპავ.

ზაფხულში ჭერში სათვლელი ბუზი გვიმრავლებდა.

შემოდგომით ლოგინს ლესაც და ჯაშს ლოკავ. ზამთარში ნაცარს ქეპავ.

შესანიშნავი მიზეზია ოთხივე დრო "მიმზიდველი" იყოს და სწორედ ასე მოგინდეს მთელი ცხოვრების გატარება. ზაზა ბურჭულაძეს კარგად აქვს შეძენილი თანამედროვე საზოგადოების თვისება, რომელსაც პირდაპირ და გულახდილად ვერაფერში დაარწმუნებ და მისთვის სწორედ ირონიად და ცინიზმი აქვს მომარჯვებული.

"მინერალურ ჯაზში" გურჯისტანული ყოფის უკიდურესობანიც კარგად არის დანახული, ვიღაც ქვას თლის იყალთოსთვის; ვიღაც მეჭურჭლეთუხუცესობს, განძს ინახვს და თავად შიმშილით კუჭვი ეწვის; ვიღაც წყალწაღებულის გადასარჩინად დაუფიქრებლად წყალში გადაეშვება, თავად კი ამ დროს ცურვა არც იცის...

"ცნობიერების ნაკადი" შეიძლება სხვათა ნაწერებში დამამძიებელი იყოს, მაგრამ ზაზა ბურჭულაძისთვის არანაირად არა, კომპენსაციად იუმორი და სარკაზმი გვევლინება, რომელც მთელ ტექსტს გაუნელებელი ინტერესით გაკითხებთ.

სარკაზმი "მინერალური ჯაზის" ავტორის მთავარი იარაღია, ხოლო მთავარი სარკასტული დაკვირვება ასეთია: "დღევანდელ დღეს, საბაზრო ეკონომიკის ჯუნგლებში სხვა არაფერს აქვს ისევევარად დიდი გასავალი, ვით უღვთო ბილნსიტყვაობას, და მეტადრე, მხატვრულ ლიტერატურაში. მეტიც, ერთადერთი, რაც კი აცოცხლებს

დღემდე ამ გადასაშენებელ დარგს, მხოლოდ ბილნსიტყვაობაა. ბილნსიტყვაობა და პორნოგრაფიული ეპიზოდების დეტალური აღწერილობა: სასქესო ორგანოთა ხახუნი, თესლის ნთხვა - გარკვეული სპაზმებისა და ოხერების თანხლებით" (გვ.92).

ძნელია არ დაეთანხმო ზაზა ბურჭულაძეს, როცა სილიდურ ლიტერატურულ პრესაში სწორედ "პორნოგრაფიულ ეპიზოდთა" ციტირების ბუშია. ადრე გრ.რობაქიძე წერდა, ევროპა წალეკა ამერიკანიზმმა, ხალხი კითხულობს "მოდუნებული სექსის გასაღიზანებლად". ესეც ტენდენცია?

როდესაც უახლესი ქართული პროზის ტენდენციებს გადავდევნებთ თვალს, ერთი რამ ხდება ცხადი - ნებისმიერი ჩვენი პროზაიკოსი ცდილობს დროზე აუღოს არაო რეგვივ დატრიალებულ მოვლენებს და არა მარტო აღწეროს არსებული, არამედ ფეხდაფეხ მიჰყვეს სამომავლო ორიენტირებს. სახელის ძიება, საკუთარი თავის დამკვიდრება იოლიცაა და ძნელიც. იოლია მათთვის, ვისაც შეუძლია მკითხველის მოპოვება და შენარჩუნება; სწორედ "აღიან" წელიწად იმათთვის, ვისთვისაც მხოლოდ საკუთარი "მე" გამხდარა სამყაროს ცენტრი, ვინც ამ "მეს" ყოველგვარი რეგლამენტის გარეშე გეაჩეჩებს ანუ მოსაბეზრებელ წიგნებს გვთავაზობს. ხშირი შემთხვევაში მათ არ ან ვერ კითხულობენ, მაგრამ "ინონებენ".

კარგი და ცუდი ნიგნის გარჩევა ძალიან იოლია და მარტივად ხდება იმის მიხედვით, თუ რა "დაგვრჩა" ან რა დაგვამახსოვრდა ნაკითხვის შემდგომ. ოსკარ უაილდი მიიჩნევდა, რომ კარგი მკითხველი რამდენიმე გვერდის შემდგომ უკვე ხვდება, როგორ ტექსტთან აქვს საქმე და ღირს თუ არა მისი ბოლომდე წაკითხვა.

დროის მოკვლის უთვალავი საშუალება არსებობს, ბლომად მოგვეძებება "ერთჯერადი" ნიგნები, რომელთა მხატვრული ღირსება ნულს ქვემოთაა, მაგრამ "ზღაპრობანას" გარკვეულ წილთან ერთად რეალობის დიდ დოზასაც შეიცავენ. ყველა დროში მასას სჭირდება და მიეწოდება კიდევ სასურველი "ზღაპრობანი", რომელთა მთავარი ღირსება ისაა, რომ მათ შინაარსს მოჰყვები.



დეკემბერი

სანთელი პარპალებს:
ბარბარე, ბარბარე!

ვის უხმობს პიკოლო? -
ნიკოლოზ, ნიკოლოზ!

მეცნობა ეგ ტემბრი
სუსხიან დეკემბრის.



ტალღები ბრწყინავენ,
კუყურებ მათ ლივლივს.
რა დარჩა შობამდე? -
დღეები დათვლილი.

სანთელი პარპალებს,
ვის უხმობს პიკოლო? -
ბარბარე, ბარბარე!
ნიკოლოზ, ნიკოლოზ!

* * *

ბავშვის სიცილი ისევ გამხნევენს,
გუშინდელივით არ იზაფრები,
რაც თავი გახსოვს, ამჩნევ ამ სუებს -
დაფარულ ზრახვას ცაში გაფრენის.

დაგესიზმრება, არაბებრულად
რომ ჩამოაწვობ რაფას გრძელ მკლავებს,
ეს გუბები, სულ უნებურად,
მხოლოდ შენს სიზმრებს აირეკლავენ.

შორსაა, თანაც მუდამ შენშია,
ის, რაც შენშია, მუდამ შორს არის,
ღრუბელი არა, აღრეც შეკმლია,
იქ დედაბერი თვლემს შაოსანი.

რაღაც იწყება პირველ ბგერიდან,
ცდილობ ნაფიქრალ სიტყვის შეკრებას,
ვევლა დანარჩენს რომ გაერიდა
და გამოედო ხანას ეკლებად.


მზრინავი სამკუთხედი

სხვაა თბილისი. ვათვალდებ
მასივს - აწვობილს რუხი კორპუსით,
თავისთვის ყველა მართალი არი -
ყავლაშვილია თუ კორბუხეი.

ოქტომბრის ქარში ტანგოს ცეკვავენ,
ფრენენ ფთოლები ფერად-ფერადი,
მოხუცი წვეილი - ბებრულ ხელკავით,
წუთი - გაბმული დაღმარენამდი...

გზა ყველგან მიდის, თანაც, აღარსად,
შეგრძნება: ნებაჲ, ვილას ჭირდები?!
თავისუფლებას, შე რომ მელირსა,
შენი მკლავებით ჩავეჭიდები.

ვინც დამესიზმრა, ღმერთო, აკურთხე,
მათი ძვლებივით ვესვლაჲ ამ ყორეს
და წეროების მფრინავ სამკუთხელს
დედაჩემივით თვალს გავაყვალებ.



ნკაიი

მასსოვს, ოდესღაც მე ვიყავ წვეთი,
როცა ვისწავლე მზის მოგროვება
და ჩემი ბრწყინვითი რასაც კი ვწერდი,
არ სჭირდებოდა მოოქროვება.

არ იყო სიტყვა, არც შუბის წვეტი,
ულაბნოს ქვეშა იყო ქალღლი
და ცის და მიწის მოძრავი წრედი
მშლიდა მომავალ ღროის ნახვამდი.

დღეს კი წყურვილი მტანჯავს იმ წვეთის,
უნებლიეთ რომ თვალში გაკრთება
და ბედნიერი ვარ ამგვარ სვეთი,
ვხედავ ხილვათა ჩამონაკეთებას.

რაღა გამამო ამაზე მეტი,
არც დამთასებელს ვეძებ ამ შრომის,
როგორც ოდესღაც ვარ წვიბის წვეთი
სიტყვების სუნთქვით ამოსაშრობი.

ჭინის სახელი

ყველა ნაყოფი ჭინის სახლია,
ნაადრევად რომ ქარი ჩამოკრეფს,
ეს უკვე იყო, თან სიახლდა,
ვკითხულობ სურათს, როგორც აპოკრიფს.

მაგრამ ცხოვრება ისევ დახლია,
ბზე ეყიდება ყვეწს, კმაყოფილს,
ის უფრო მეტად ჭინის სახლია,
რადგან არაა ცაში ნაყოფი.

ჭა იმეორებს ხელს ანემებულს
და ცას ირეკლავს, რადგან სასვეა,
ამ ჭიან ზალხშიც ვეძებ ჩემებურს
და თავს ვარიდებ თვალებს ნაუსიანს.

რად შემომყურებს ვიღაც დაცინვით,
ლოდს რომ მივათრევ მთისკენ ხელახლ
ახლა სიჩუმეც დადის კაცივით,
რადგან ვერ შეძლო ჩუმაღ ენაღვლა.



წიგნით მოვაჭრა მწერლის სიმღერა

ჯონდი ქირაჯიანს და გელა კიკოლაშვილს

ცრემლი, რაც უნდა ბევრი ვაპკურო,
ცრემლით სტომასქს ვერ ამოვიყორავ,
მჩრება გროშები სალუკმაპურო,
როგორც იყო და არა იყო რა.

ვეყიდი მაღარმეს, ვყიდი ფუკოსაც,
რომ შეგეშველო ჩემო ნაგრამო,
რადგან ცხოვრება იქცა ფოკუსად -
სალუკმაპურო და საასგრამო.

ღამით ვბრუნდები სახლში გვიან, რვის
ნახევრამდე თუ გზას ავივლი და
თითებს მიკოცნის სუსხი იანვრის,
ბუჭუჭავს თვალები ბნელ აივნდიან.

შეშა - სამი თუ ოთხი ნაპობი,
სულ მალე დუმელს ავაგუზგუზებ,
ალარაფერი მაქვს საამბობი,
ცოლი ღობიოს ქვაბთან ფუსფუსებს.

ხვალ თუ გავეყიდი ერთ ცალ პოდ დე მანს,
ლაკანს, ბოდრიარს, მუშტარს მე ვვლი
და ჩემი "ასტრა" რომ აბოლდება,

ვერ შევდრება სხვა საკმეველი.

ლოცვით, იმედით დიღას მოველი,
თუკი გათენდა ზვალაც, ცხაღია,
ღვთით ნაბოძები წუთი ყოველი,
რაც დამჩნა, ანუ რაც მაბაღია.

სიზმარშიც წიგნი, წიგნის სტენდები,
თავი უჭირავთ სნობებს დენდებად,
ღამეც, რა ნელა-ნელა თენდები,
ზოგჯერ არ მჯერა, რომ გათენდება.

მტვერი მზის სხივში

ჩავიშმის ოთახს ბელურების დილისპირული,
უმკაცრესია სიმღერა ზამთრის,
თვალში ლივილივებს იღამინდელ ღვინის ბინული
და ჩურჩულებენ ფურცლები დაეთრის.

ცივია სხივი, რომ ანათებს მტვერის ნაწილაკებს,
მათ, მტვრადქცეულებს, ზომ ჰქვია მტვერი?!
შენ ზი ბავშვივით, უახროდ რომ გაასილაქეს
და სიტყვებს ეძებ თითების მტვერვით.

შენ შეეზარდე სამყაროებს და სამყაროთა
სივრცეს ირეკლავს თვალები ჭრილი,
ისიც განიბნა, უშურველად ვინც დავგაროდ
და შეგატოვა ქვეყანა ჭრელი.


უმარტივესად ნათელია და იოლია,
როგორ შეერწყა სიბერეს სიყრმე,
იარე შენთვის, შენ სიჩუმემ ავიყოლია
და დაგამუნჯა სათქმელის სიღრმემ.

მიყუჟულია ღრუბლის ურემზე
და მიზოზინებს უცნაური მზე.

სახლები კვამლით ცას გამოეზენენ
და სუსხის სუნი დაკარავს ნოემერს.

წვეთები მისხალ-მისხალ ანთია
და გრძნობ რა ცივი სიხალავათია.

ტყე მენხერია, ცა უნაპირო
მეგობარივით ეძებ პაპიროსს



და ერთადერთი, რასაც პოულობ,
ცას - ამოუცნობ ღრის პაპირუსს.

ცაზე კი მალე ასონიშნებად
ვარსკვლავთა შრიფტი ამოიშლება.

ხოლო ღარღს ყველას გამო ის ათრევს,
ვინც ვერასოდეს გამოიზამთრებს.

ლექსი ძაცვიას თქმული, ერთ ცნობილ მივსახვეს რომ მიუძღვნა

მუღამ ის ხდება, ახლა რაც ხდება,
ყველა საკუთარ კედელს აწყვდება.

ფიქრშივე ანგრევს ფიქრში აგებულს,
ცას ეძებს ხომლით მოფარდაგებულს.

კარს ჩაკეტავს და ეძებს გასასვლელს,
წლებს ითვლის, წლებმა რომ გადასანსლეს.

თუმცა სიმშვიდე ისე ახლოა,
რაც სიძველეა, ის სიახლეა.

ესენი კედლებს თავებს ახლიან
სარფისთვის, რადგან ყოფა დახლია.

იგივე ფიქრი ტანჯავს მევახშეს,
მამა-პაპურად ვლანძღავ შე, ვახ, შენ,

მოგიტან ყველას, კარგსაც, კარგებსაც,
მე რომ მოგიტან, რა გეკარგება?!

"სიკვდილშიც ხეირს ნახავ, ისა კა,
მტვრად რომ იქცევი არაფრისაგან". *

* გამოყენებულია პერიფრაზი ლესინგის ეპიგრამიდან, რომელიც თარგმნა ლევან ბრეგვაძემ.

* * *

შემოდგომისკენ, შემოდგომისკენ
დაღვება წუთი შენ რომ მომისმენ.

როცა ყვითლდება ბოლო ფოთოლი,
შისით შეპყრებს მთებს ჩამოთოვლილს.

ჩემი სიცოცხლე ძაფზე ჰკიდია,
ძაფის გორგალი ქვეყნის კიდეა.

ვინც არ შობილა იგი არ კვდება,
ვაგრძელებ ყოფნას, ანუ აქ გვდება.

უცხოა, ვიდრე არ დაბერდები,
შენთვის სიკვდილის ალავერდები.

დაღვება წუთი, შენ რომ მომისმენ,
როცა წამოხვალ შემოდგომისკენ.



ჯერ მაინც ღვინო, თანაც მანავი,
მონატრებული დასამალავი.

წასულან, თანაც არსად წასულან,
გაქრნენ და მაინც აქვე არიან,
ყოველდღიურად ვხედავ ამ სურათს -
ცოცხალს, რომელიც უკვე მკვდარია.

ჩამუქებულა დასალიერი,
ვაძინევ ორივეს შეწყმულს ნაკეთებად,
სარკეში თავს რომ ვაივალღიერებ,
ხანდახან მათი მზერა გაკრთება.

მკვდრებმა მასწავლეს ეს ანა-ბანა
და მათზე ფიქრი აშლის საღერღელს,
ჩემში მუსიკა ვინც განაბნია,
იმის მიგნებას სიტყვით ვახერხებ.

მე შენს თვალებში ვაძინევ დასავლეთს,
აღმოცენებულს ბინდის ხავსიდან,
გარდაცვლილებმა რაღაც მასწავლეს
მკერღზე ბალახის სიხასხასითა.



თეონა დოლენჯაშვილი

უკვე ოთხი დღეა ამ საკანში ვარ გამოძე-
ვდელი. ვინრო, მწვანედ შეღებილი სა-
კანია. ერთი ბენო სარკმლიდან ცის ფრაგმენ-
ტი მოჩანს. თვალებს ვსუჭავ. ვცდილობ დარ-
ჩენილი ცა აღვადგინო. ისევე აღვადგინო, რო-
გორც ჩემი შეშლილი და დაუჯერებელი ამ-
ბავი... ბავშვობაში ერთმანეთში არეული კუ-
ბიკებისგან ნახატის შედგენა არ გიცდია?
სწორედ ისე... მთელი სამი დღე ჰაერის წარ-
მოსახვითი ნაფლეთებისგან ხან ლურჯ, ხან
ტყვიისფერ ზეცას ვანებუბდი. მერე მომბეზრ-
და და ამ წერილის წერა დავიწყე. ძალიან
მინდა ყველაფერს მოგიყვებო. მერე რა, რომ
მკვდარი ხარ. წერილების წერა და კითხვა
ხომ მაინც შეგიძლია. ჰოდა, მომისმინე.

ყველაფერი იმ ზამთრიდან დაიწყო, შენი
ნასვლის შემდეგ რომ ჩამოვდებო.

მე არასოდეს მენახა ასეთი ცივი, ბუნდოვა-
ნი და გაწვლილი ზამთარი. ფიქვები ზედ
ოთახის კიდეზე ცვიოდნენ, აივანსა და წინ-
კარს ავსებდნენ და ჩემს საყვარელ, სარწმე-
ვლა სავარძელზე ქანაობდნენ.

ეგ კი არა, რომელიღაც ჩაწუმქრულ დილას
ყავა რომ ავიდულე, საშაქრეშიც თეთრი, გრე-
ხილი ფანტელები აღმოვაჩინე. დღემ, ყველა-
ფერს სამდვილი დასახლისის შეუძცდარი
თვალით რომ უყურებს, ფანტელები ფაიფუ-
რის თეფშზე დააწყო და შაქარყინულებად აქ-
ცია. მე ცხელი ყავით სავსე ფინჯანში ჩავიყა-
რე და მივხვდი როგორი გემო აქვს ზამთარს
- სურვილივით სველი, ვაფლივით ხრაშუნა და
ხაჭოს ბლინივით, შიგ მთვლემარე ქუჩები და
დათრთვილული ეზოები გახვეული.

მთელი ზამთრის მანძილზე ვქსოვდი. მისა-
ლები ოთახის საკრმელთან ვიჯექი და იატაკ-
ზე ძაფის ფერადი ბურთები მენყო. ქალაქი
სრულიად თეთრ, უწრდილო და უნაოჭო ტი-
ლოს დამსგავსებოდა. გარეთ სულმოუთქმე-
ლად ბარდნიდა, მე შეუსვენებლად ვქსოვდი,
რადგან მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ასე ვა-
ჯობებდი ზამთარს. ნაქსოვი შალი უკვე ყვე-
ლაზე უგრძესი შალი იყო დედამინის ზურგ-
ზე, ზამთარი კი ყველაზე დაუსრულებელი
თეთრი ეპოქა ჩემი არსებობის ისტორიაში.

სწორედ მაშინ დამირეკა ანრიმ და რიოში
მასთან ერთად გამგზავრება შემომთავაზა. ან-

იანვრის მდინარე



რი ჩემდამი მწველ და ენაყოფო სიყვარულს
განიცდიდა, ჩემი გული კი ისეთივე ცივი იყო,
როგორც მოყვარჭებული თოვლი სარკმლის
რაფაზე...

ანრი ყველაფრის მიუხედავად იმედს არ
კარგავდა და როდესაც რიოში წასვლაზე
თანხმობა განვეუცხადე, მეორე დღის საღამოს
ხუთ საათზე ჩემი სახლის კარებთან იდგა. ეს
მისი მხრიდან ნამდვილი გმირობა იყო, რად-
გან ყინულით მოსარკულ ქუჩებსა და უკვალავ
თოვლში ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში გა-
დაადგილებას სამი დღე მაინც სჭირდებოდა.
რა მანქანებით მოახერხა ანრიმ დროის შემოკ-
ლება, ჩემთვის დღემდე უცნობია. კარებთან
იდგა, ხელები იცივისგან გალურჯებოდა,
თვალები კი ისე უბრწყინავდა, რომ მზისგან
მივიწყებულ ოთახებს ერთიანად აშუქებდა.
ჯიბებშიც თოვლის ფანტელები ეყარა. რო-
გორც ჩემი გული არ გამძვავა, ისე ის ხისტი
და ნვეტიანი ფიქვები არ ქცეულა წყლად და
ორთქლად და ალბათ დღემდეა მიმოფანტული
შემოსასვლელი ოთახის ბინდიან კუთხეებში.

მაშინ კი ანრიმ რიოს რეისზე თვითმფრე-
ნავის ორი ბილეთი გამომიწოდა:

- იპანემაზე, მფრინავ სასტუმროში ვიცხოვ-
რებთ. ჩვიდმეტში შეშლილი კარნავალი იწყე-
ბა, - ხმა უთრთოდა, ემინოდა არ გადაიფიქ-
რებინა.

მე ყველა კარნავალი ფეხებზე მეკიდა. მთა-
ვარი იყო ამ მართლაცდა შეშლილი თოვლის

გაუვალი ლაბირინთიდან გამეღწია... როდისმე ხომ უნდა გამეღწია...

ბარგს ვალაგებდი. დედა სამზარეულოში იჯდა და ზამთრის მარაგიდან შემორჩენილ ბრინჯსა და მუხუდოს არჩევდა. რაღაცნაირად სევდიანად იჯდა და მუხუდოს მარცვლებს ცრემლებივით კრეფდა. ონკანიდან წყალი წკაპუნებდა: წკაპ... წკუპ... ხაზის რადიოში სიმფონიური ორკესტრის კონცერტს გადმოსცემდნენ. ვიოლონოებისა და ვიოლონჩელოების ხმა თოვლიანი ლამის ბნელ სიჩუმეში იკარგებოდა.

სინდისი მქენჯნიდა. თითქოს ზამთრიდან ზაფხულში გადაფრენით მხოლოდ დროს ვატყუებდი, რადგან ვგრძნობდი, იმ მოვადობულ ზამთარს მაინც ვერსად გავეცეოდი, ისევე ნავათრევი, როგორც ახლადჩაღაგებულ, მუცელგამობერილ ჩემოდანს.

მერე, როდესაც თვითმფრინავის რბილ სალონში ვისხედით, ანრი კონიაკს წრუპავდა და თან მალულად მაკვირდებოდა, ვიგრძენი, როგორ ეშინოდა ჩემი. როგორ ეშინოდა ჩემი ფიქრების, ჩემი სიტყვების, ჩემი სიცივის. დატყვევებული ნადირის მფრთხალი თვალები შექონდა. სამუდამოდ, საუკუნოდ დაბმული და დამონებული ჩიტის პატარა გული უწყებდა. იქნებ სწორედ ეს შიში აიძულებდა ჩემს ლანდად ქცეულიყო. ძვირფასი გროშებივით ეგროვებინა იშვიათად ნაწყალობები ღიმილი. ძლიერი მონინაღმდეგე ვიყავი - უნდო და სახიფათო, დასაკუთრებისა და დაუფლებისათვის გაჩაღებულ ომში რთულად დასამარცხებელი.

რიოში გვიან ღამით ჩავფრინდით. მაგრამ იქ ღამეც კაშკაშა დღესავით გაენათებინათ. იპანემას პალმების ხავერდოვანი, პრიალა ფოთლები ზანტად ირხეოდნენ, ნაზამთრალ ლოყებზე თბილი, მომთენთავი სიო მელამუნებოდა. ნაირფერად მოხატულ ქვაფენილებზე ფეხშიშველი მივბრუნებდი და გზადაგზა აღტაცებული, რიოს მზით მათრალი ადამიანები მხედებოდნენ. ოცდაოთხი საათის განმავლობაში განცდილმა სხვაობამ, სიცივისა და სიცხის მკვეთრმა მონაცვლეობამ ჩემზე უჩვეულოდ იმოქმედა. ამრია და გამაბრუა. და ალბათ ამის ბრალი თუ იყო... მფრინავი სასტუმროს უღამაზეს ტერასაზე, წყალში მიღვივლივე სანთლებითა და ზღვის ვარდებით განწყობილ

ვასზამზე, როდესაც ანრიმ მაგიდაზე დასვენებული ჩემი მკვლავისკენ ხელი გაუბედავად გამოაცოცა და მკრთალი თითები თავის ცხელ, აკანკალებულ მუშტში მოიქცია, შემცბარმა უმწეოდ გაუვლიძე...

ტყუილად ბრაზობ. მას ჩემგან იმ ტკივილიანი, ათასწლოვანი სიყვარულის სანაცვლოდ თითებზე მითრთოლვარე შეხების მეტი არაფერი მიუღია...

ორ დღეში შეშლილი კარნავალი იწყებოდა. ქუჩები უკვე მომღერალი გირლიანდებითა და უდროოდ დაღუპულ კენგურუთა ცრემლით ანთებული ლამპიონებით მოერთოთ. ჰაერში დაბზანგველი ყვითელი ყვავილისა და სადღესასწაულო მითრთილავი ნივთიერების სურნელი ტრიალებდა. მინის მალაზიებში შეშლილი ნიღბები იყიდებოდა. იისფერ რესტორნებში გამაბრუნებელ სასმელთა უზღვავე რაოდენობა ისმობდა.

ქალაქი სიგიჟისა და თავდავიწყების წრეგადასული ზემისათვის ემზადებოდა.

მე კი რიოს ჩყეტელა ქუჩებისა და მბრწყინავი შენობების სიღრმეში, აღტყინებული რესტორნებისა და ტურისტებით გადაჭედილი სასტუმროების მიღმა ჩემი, უცნობი და მშვენიერი ქალაქი აღმოვაჩინე. ეს ქალაქი ისევე იყო მიმალული საკარნავალო ციბე-ცხელებით შეპყრობილ რიო-დე-ჟანეიროში, როგორც ადამიანთა ცოცხალი სახეები საზეიმოდ მოხატული ნიღბების ქვეშ.

სწორედ იქ, რიოს იატაკქვეშეთში ვნახე პრესიტორიული ბიბლიოთეკები, დაღარული მანუსკრიპტებითა და ჩრჩილებით, ჩაძირული ხომალდებივით მდუმარე და მივინყებული მუხუშები, ბუკინისტური წიგნებით მოვაჭრე ფარდულები და მოხეტიალე მუსიკოსებით დასახლებული მომღერალი, ღატაკი უბნები.

მეტისურ გარეუბნებში ხეტიალისას გადავანყდი ანტიკვარულ მალაზიებს ნაოჭასხმული, დაბურული სარკვებით, ჭრელი ფარდაებით, მაგიდის ლამფებითა და ხავერდოვანი სამეულებით.

და კიდევ, ვიპოვე ძველისძველი კინოთეატრი, რომლის სიღრმეშიც კვირაობით საქველმოქმედო საღამოები იმართებოდა, დანარჩენ დღეებში კი ყავღასულ ვესტერნებსა და ცრემლისმომღენ მელოდრამებს აჩვენებდნენ. დარბაზის ბოლო რიგებში შეყვარებუ-

ლი წყვილები შეყუჟულიყვნენ, კინოსაპროექციო ოთახიდან გამომავალ მოზუზუნე, ცისფერ შუქზე კი მტვრის ნამცეცები ლივლივებდნენ.

როის აღმოსავლეთით, იქ, სადაც გასულ საუკუნეებში ოკეანის ნაპირი სილამ დაფარა და ოკეანის ნასახლარზე საცხოვრებელი დაბები გაშენდა, მონარქის პეპლების ყველაზე ვრცელი და მასობრივი გადაფრენა ვისილე. შავ და ნარინჯისფრითიანთა მოფარვატე არმია ატაკამას უდაბნოსკენ მიემართებოდა. საოცრება იყო! ვგრძნობდი, სადღაც მიწის სიღრმეში როგორ ხმაურობდა დამარხული ოკეანე, სოლო მიწის ზემოთ დარჩენილი სამყარო მონარქის პეპლებს სიფრიფანა ფრთების შრი-აღით გაჰქონდათ.

და მაშინ, როდესაც პეპლების ნაზმა ქარიშხალმა ლამის მეც თან გამოყოლა, მივხვდი - ადამიანები და პეპლები ერთი მოდგმისანი ვართ. ჩვენც ასეთივე დაჟინებით მივისწრაფვით გამოუსწორობი და შეშლილი მიზნისაკენ, მაშინ, როდესაც ერთი დღე-ღამის სიცოცხლე გვაქვს ბოძებული. ჩვენი შთამომავლებიც რომდესმე მიაღწევენ დანიშნულების ადგილს, მაგრამ რა დახვდებით იქ? - იქნებ მხოლოდ შიშველი და უდაბური უდაბნო...

მთელი დღეები დავხეტიალობდი. ანრი სასტუმროში იჯდა და ცხელ სიესტასა და მარტოობას ყინულიანი ვისკით ებრძოდა. ყველაზე ნაკლებად მისი ნახვის სურვილი მქონდა, ამიტომ როდესაც ღამდებოდა, სანამიროზე ვიჯექი და ცვალებად ჰორიზონტს ვუცქერდი.

უჩუმარ ოკეანეს უზარმაზარი შუქურები ანათებდნენ. და მაშინ, როდესაც შუქურები წრეს არტყამდნენ და მათი მკვეთრი ნათება ცისკენ მიემართებოდა, ოკეანე სრულიად ბნელდებოდა და ეს უსასრულო თხევადი სივრცე ჩემს თვალწინ ქრებოდა... იქამდე, სანამ სინათლის მძლავრი ტალღა ხელმეორედ არ განათებდა მის მდორედ მღელვარე, უკიდევანოდ გაშხლართულ სხეულს. ასე რომ, ოკეანე ხან იყო, ხან არა... თამაშს ჰგავდა. ჩემი ბავშვობის თამაშს, დამლობანას, რომელსაც ყველგან და ყოველთვის უსასრულოდ გვეთამაშება ვილატ. და ჩვენც ასე ვმონაცვლეობთ სიკვდილისა და სიცოცხლის წრეზე: სინათლეში მოყოლილები ვიბადებით, მისგან ზურგ-შექცეულნი კი სამუდამოდ ვუჩინარდებით...

და იქნებ არც ვუჩინარდებით, იქნებ ისევე ვრჩებით, როგორც ეს ოკეანე. უბრალოდ ვედარ გვეხდავენ, რადგან სიცოცხლე აღარ გვანათებს.

იქნებ შენც იქ იყავი - უჩუმარი ტალღების ჩრდილში, ლამის და შუქურის მიერ დატირი-ალეულ წრეში დამლობანას მეთამაშებოდი. ცოტას ხომ ყოველთვის მატყუებდ... იმ დღესაც მითხარი მოვალო და დამემაღე.

მე "ლურჯ მთაში" ვიჯექი. სწორედ იქ, ოს-შვირადენილ, პატარა კაფეში, ჩემი ქუჩის კუთხეში ერთ დიდ ყავადანში რომ ხარშავდა ფიქრსა და ნუხილს. კედლებზე სეზანი და პი-სარო ეკიდა, მაგიდებზე ლურჯი მთის ნისლი ინვა...

გულადებოდი, კიანტის ესამდი და თილის-მას ვეზუმრებოდი. გახსოვს, თილისმა? ყავის ნალექზე რომ მკითხაობდა და ყრუდ მობუტბუტე ლოცვებიც იცოდა. ხომ იცი, მკითხაებისა და ამდაგვარების არასოდეს მჯეროდა. უბრალოდ, შენ დაავიანე და მეც დროის გასაყვანოდ ვკითხე "თილისმა, ზუსტად მითხარი სანდრო როდის მოვა-მეთქი".

"ალარასოდესო", - მითხრა და რომ წავიდა, დავინახე, როგორ მიჰყვნენ უკან ლეროგრები-ლი, მწვანეზოლიანი ყვავილები.

მართლაც აღარასოდეს მოსულხარ. წვიმიანი გზიდან მოცურებული შენი "როვერი" გვიან საღამოს ამოიყვანეს ხევიდან. იქ იყო შენი ძვირფასი, მაგრამ უკვე ძნელადსაცნობი სხეულიც.

მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ გნახე. არა, კი არ გნახე, მომეჩვენა, მეგონა, რომ შენ იყავი... ესეც აქ, რიოში. პლაჟიდან სასტუმროში რომ ავედი...

შუქჩამკრალ ოთახში ვინეკი და ხანგრძლივი მგზავრობის, დავიწყებისა და გაცრუებული იმედების მტვერი მეყარა.

მჭახედ განათებულ ქუჩებში ზალპებს ისროდნენ, ჟრიამულისა და მოხეტიალე მადრიგალების ჰანგები მოისმოდა. ალბათ სჯობდა, მეც იანვრის მდინარის* თავბრუდამხვევ მორევს მივწებებოდი... იქნებ დროებით მაინც მივეტოვებინე ჩემს მეამბოხე ტკივილებს, იქნებ წამით მაინც გადამკვროდა განურჩევლობის ბლანტი ბინდი თვალებზე...

ცხელოდა... კარები სასტუმროს მომსახურე ბიჭმა შემოაღო. ნახევრადშიშველი სხეული

ვერცხლისფრად მოეხატა და ღია კარებიდან შემომავალ შუქზე გლუვი და განიერი მხრები უპრიალებდა. მან თეთრი კონვერტი გამოიმინოდა, მე კი მომჩვენა, რომ ძალიან გგავდა და გული მომაკვდავი ჩიტივით შემიფრთხილდა. მაგრამ შემდეგ გაისკროვებულ დერეფანში მიმავალს რომ დავაკვირდი, მღელვარება მოსალოდნელმა იმედგაცრუებამ შეცვალა - ხორბლისფრად მანუფური სახეო დანავადაც არ მიუგავდა შენს თბილსა და მომწუსხველ ნაკეთებს. მაგრამ ის ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა ჩემი ბრმა წარმოსახვებისა და ფუჭი იმედების გასაღვივებლად, იმ მწარე სინამდვილის დასავიწყებლად, რომ აღარ ხარ...

ოთახში შევბრუნდი. სრულიად თეთრი, უშტამპო და უწარწერი კონვერტი გაეხსენი. შიგასეთივე თეთრი, ფარატინა ფურცელი იყო და ზედ ასოების მუქი, რბილი ხნული გაველოთ: "ანა, შეშლილი კარნავალი სახიფათოა. არ წახვიდე. არ წახვიდე, გთხოვ! სანდრო"...

ტამბამებს სცემდნენ: ბუმ... ბუმ... დოლებს ურტყამდნენ გახურებულ ზურგებზე: ბუმ... ბუმ... ბუმ... ბარაბნებს უბრაგუნებდნენ, ჯერ ნელა, მერე უფრო სწრაფად და სწრაფად - ბუმ, ბუმ, ბუმ, ბუმ - თითქოს ათასობით გული ფეთქავს ერთდროულად.

კონდომების ყურისწამებმა აფრიკულმა რიტმმა დილიდანვე მოიცვა რიოს ქუჩები და მოედნები, პლაჟები და სამბადრომები.

კარნავალი იწყებოდა!

საყოველთაო ზეიმის მაუწყებელი გუგუნი ხდოდა სახლებს სახურავებს, ხსნიდა კედლებსა და კარებებს, იჭრებოდა ოთახებსა და კუთხე-კუნჭულებში, აშთობდა სიმშვიდესა და კეთილგონიერებას, ვნების ჟინიან ცეცხლს უკიდებდა გულებს და სხეულებს. შეუძლებელი იყო მის გიჟურ რიტმს არ აჰყოლოდი, აელვარებულ ქუჩებში არ გაჰყოლოდი, შენი თვალით არ გენახა, რა ხდებოდა მის მაგიურსა და თავბრუდამხვევ ლაბირინთებში.

ასე მოხდა. ის უცნაური ბარათი და შენი გაფრთხილება არად ჩავაგდე. დოლების ბაგაბუგში ვისაუბმე და გარეთ გავედი.

რიოს ქუჩებს ხალხი მოარღვევდა. ოკეანის თბილი, ხმაურიანი ტალღებივით ავსებდა მის მგზნებარე და მზით დამწვარ მიწას. ნაირფე-

რი საკარნავალო ნიღბებით ანთებული ჩირაღდნებითა და მოფრიალე ბაირალებით მოაპობდა სივრცეს. ხალხი... ხალხი... უამრავი, უთვალავი ადამიანი ერთიანად აჭრელებულ, ერთსახოვან საკარნავალო თოჯინად ქცეულიყო.

და კარნავალი... ოო, რა იყო...

სამბადრომების ირგვლივ წითელი, ყვითელი, ლურჯი კოცონები დაინთო, ჰაერში ცისფერი და ორნაფერი ცეცხლი აბრიალდა, დაფდაფებს ორჯერ უფრო სწრაფად დაცხებს და მასკარადი გიგანტური მარიონეტების აღლუმით გაიხსნა.

მარიონეტების ალეგორიული ფიგურების კვალდაკვალ დედიშობილა ლამაზმანებმა შემოაბიჯეს. ეროტიული წარმოდგენა დაიწყო და სცენა სამბას სკოლებმა დაიპყრეს. და მაშინ, როდესაც მოცეკვავეებმა ჭრელი ბუმბული შემოსილი და ბრწყინავი ფიფქით დაცვარული სხეულები ერთიანად ააიძიკიკეს, მთელი ქალაქი შეიშალა, მეტროპოლისი გრანდიოზული საკარნავალო ფაბრიკა ერთ ჯადოსნურ წრეზე ჩაირთო და დატრიალდა... მთელი სამყარო სამბა-რუმბას რიტმებზე აცეკვდა და დაიწყო.

თვალები ამიჭრელდა!

ყველგან ეგზოტიკური ფასკუნჯებისა და შხამიანი ტარანტულების ფიტულები დაცურავდნენ. რკინის უზარმაზარ, მანათობელ კონსტრუქციებზე აკრობატები დაფრინავდნენ. ვერცხლის ბურთებით სავსე ტიკინები სკდებოდნენ. შეველმფრენებიდან ფანფანები, ოქროსფურცლოვანი ყვავილები და მოციმციმე ფიფქი ცვიოდა.

მფრინავი დრაკონის ჩრდილში თვალი ანრის მოვკანი. ცისფერი ჯინსი ეცვა და კოლომბინას ჭრელ ნიღაბს მიწვდიდა. მასთან მიახლოება და ხალხის ტალღის გარღვევა ვცადე, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

რადგან ამ დროს პირველი მაშხალა გაისროლეს, ჩვენს ირგვლივ ცეცხლოვანი ნისქეილები დატრიალდა და ოდნავ შებინდებულ ზეცა საფეიერვერკო შუშუნებმა დაკანრეს. ნაირფრად აფეთქებულ ზეცას ვუცქერდი, ქალაქი გამაყრუებელმა გრუხუნმა რომ შეძრა. მოშორებით ცეცხლის დიდი ბურთი ავარდა. იმპროვიზებულ ჭურვებს თუ ხეთქავენმეთქი, გავიფიქრე. მაყურებელიც ახალ სა-



ნახაობას ველური ყიფინით შეეგება, მაგრამ მეორე ჭურვი უკვე ჩვენს შორიასლოს გასკდა და ახლა თვალნათლივ დავინახე, როგორ აფრინდა ჰაერში ადამიანთა დაფლეთილი სხეულები და ნამდვილი ალიც აგიზგიზდა...

ღმერთო, რა ხდებოდა!

თითქოს ფერადოვანი ცხადიდან კოშმარულ ზმანებაში გადამისროლეს. მიწის სიღრმე ვილაცას ერთიანად დაენალმა. ეს ნაღმები ახლა ერთმანეთის მიყოლებით წულით სკდებოდნენ და თან ათასობით სიცოცხლე მიჰქონდათ. მოზიემე, მოცეკვავე ხალხს იმქვეყნად ისტუმრებდნენ, მასობრივად, განურჩევლად ჟღეტდნენ და ანადგურებდნენ. თავზარდაცემული ადამიანები უმისამართოდ გარბოდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ერთმანეთზე გადადიოდნენ, ფეხებით ქოლავდნენ... მუსიკა და ბარაბნები გაგუზნი სასიკვდილო გიმინამ და კვილიმა შეცვალა, სამბადრომები სისხლიან სასაკლავოებად იქცა, საკარნავალო რეკვიზიტები და დასახიჩრებული სხეულები ერთმანეთში აიზილა...

შევეცადე გაგიჟებული ბრბოსა და მფრინავი ნამსხვრევებისაგან შეძლებისდაგვარად თავი დამეცვა. დასისხლიანებული ხელებით რკინის კონსტრუქციას მოვეჭიდე. ტკივილისაგან დაბინდული თვალებით ვხედავდი, როგორ იწ-

ვოდა ჩემს ქვემოთ მიწა, ჰაერში ცეცხლისა და კვამლის უზარმაზარი სოკოები იშლებოდნენ.

მერე ჭახანი გაისმა და რკინის კონსტრუქციაც ჩამოინგრა. სხეულების ზედსორაში ჩავიქეთე. ყველგან სისხლში მოსვრილი გვამები და სულთამბროლი ადამიანები ეყარნენ. მათი სახეები საღებავით მოხატული იმღილით მიცინოდნენ, მაშინ როდესაც თვალებში სიკვდილის შიში ედგათ, სულები მოახლოებულ ადსასრულს დაეღმიჭა... ასეთი იყო კარნავალის დასკვნითი ნაწილი, მისი ნამდვილი არსი - ყველაზე შემზარავი და შთამბეჭდავი შოუ პლანეტაზე...

ბოლოს რაც დავინახე კორკოვადოს მთაზე აღმართული ქრისტეს მშვიდი, ხელეგაშლილი მონუმენტი იყო. რკინა-ბეტონის იესო მკაცრად მიცქერდა. მე მინდოდა... მეთხოვა დამაბრუნე-მეთქი, მაგრამ თვალებში ნისლი ჩამონვა... ტკივილი გაქრა და მომავკვავთა კვილიც მიწყდა...

სად მოვხვდი? სად?... აჰა... აქ მგონი ადრეც ვყოფილვარ. უხილავე ქალაქია, ქალაქი-მორენება, მაგრამ მე და შენ ვხედავთ, რადგან გვევრა, რომ არსებობს.

გრძელი გზა გამოვიარეთ, ამაზონიის დაბურულ ტყეებსა და გაუვალ ჯუნგლებში მოვდიოდით და როგორც ექნა, აქამდეც ჩამოვდინეთ. ჯერ ძველი, დახეთქილი გალავანი გამოჩნდა, მერე ნისლის მერყევი სითეთრიდან შენობები ამოიზარდნენ, ფერები და კონსტურები გამკვეთდნენ და ნაგებობებმა სიმყარე და წონა შეიძინეს.

- ეს მანოსა სამეფოა. უჩინარი, ლეგენდარული მანოა, - ირწმუნები შენ.

მე არ გეკამათები. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ცდები. ეს წარმოსახვითი, ირეალური ქალაქია. ის ყველგანაა და მას სახელი არ აქვს.

წელა მივაბიჯეთ. მზიან გამზირებზე გაუდივართ. უკაცური ქუჩებია, გაშლილი და უდაბური ქუჩები. ყველგან თეთრი და ვარდისფერი კაცისსიმაღლე შროშანები ყვავიან. მათი მძლავრი, მიწიდან ამოზრდილი, მკვრივი და ხაოიანი ფოთლები ჰაერს ისრუტავენ და სანაცვლოდ მძაფრ, მოტკბო სურნელებას აფრქვევენ. ზოგიერთი ტანზე მეკერის და მენებება. ალბათ იმიტომ, რომ ცხელა... ძალიან ცხელა...

რა გვინდა აქ? ჰო. გამასხენდა. შენ აიჩემე, მანოა ვნახოთო. ეს იგივე იყო, ატლანტიდის აღმოსაჩენად წამოვსულიყავით, მაგრამ შენ გიყვარს ჩაძირულ და დაკარგულ კუნძულებზე ოცნება.

და ახლა აქ ვართ. არა მანოაში, არამედ უბრალოდ აქ და ქალაქიც თავის მოჩვენებით სიღრმეებში გვტყუებს. უკვე ყვითელი ქვის მონასტრებიც გამოჩნდა, კედლებზე ათასწლეულების წინ დატანებული ფრესკებით.

- ეს ტაძარი უფრო ძველია, ვიდრე ის მინა, რომელზეც დგას, - ამბობ და ტაძარში შედიხარ.

მეც ფეხდაფერ მოგყვები. წარმართულ ფრესკებზე ინკებისა და მაიას ბრტყელი ღმერთობა გამოსახული. ყავისფერი სახეები უცინით. ხელები გაუშლიათ, რომელიღაც რიტუალურ ცეკვას თუ ასრულებენ.

“ალბათ იქაც კარნავალია”, - ვფიქრობ და ყველაზე მონუმენტურ ფრესკას ვაკვირდები. ნახატის კედლებზე საკრალური ფიგურები, ციფრები და ციური სხეულები ამოუტყვიფრავთ.

კალენდარი ყოფილა...

იმ დროს დავეებ, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. აი, აქ... კალენდრის მიხედვით თებერვალს ცეცხლის ღმერთი - ჰიუტეკუტლი მართავს. ნახატს ხელს ვაყოლებ და ვგრძნობ, როგორ მითბება ხელისგული. ფრესკას შინაგანი სიმშურვალე და სიღრმე აქვს. ფიქრით თუ დააკვირდები, მოცულობას იღებს და შეგიძლია გარს შემოუარო.

ეს კალენდარი ალბათ დროსთან ერთად შექმნეს უძველესმა ადამიანებმა. მანამდე მხოლოდ მარადისობა არსებობდა. მთელი, დაუნანვერებელი მარადისობა.

- შეხედე, სანდრო, - გეძახი - კალენდარია. აქ შეგიძლია დაინახო, როგორ დაიყო დრო. პირველად როდესაც ტოტი - ხის წამი დაინვა, წუთი გაჩნდა. წუთები აგობიზიდნენ და საათები მოიტანეს. საათებს თვეები მოჰყვით, თვეებს - წლები... დამწვარი დრო უკვე წარსულია, მოგონებები - ფერფლი და ნახშირი. კალენდარი ადამიანებმა გამოვიგონეთ, მაგრამ დროზე მაინც ჰიუტეკუტლი ბატონობს.

კალენდარს ვუცქერი. მინდა დავიმახსოვრო. და... უცნაურ ბიძგს ვგრძნობ. თითქოს ვიღაცამ სიცოცხლის მოტრიალე კარუსელი გა-

მორთო და ჩვენც ამ მოჩვენებითი ტაძრის საკრალურ კედლებში გამოგვეკიდეთ.

თითქოს ყველაფერი შეჩერდა.

ჩვენი დროც ჩაქრა და მიინავლა.

თავში ათასგვარი ფიქრები მიტრიალებს. ვიძაბები და დასასრულის შიში მიპყრობს. ვინა, აქაურობას უნდა გავცვალოთ, თორემ ამ წამში ჩავრჩებით, სამუდამოდ გავჩერდებით..

- ნავიდეთ, - გთხოვ და ტაძრიდან გამოვდივარ.

სალამოვდება.

შროშანები თეთრ და ვარდისფერ ყვავილებს კეცავენ და ბალახის სასთუმალზე აღავებენ. ქალაქი ძილისათვის ემზადება. სადაცაა მისი მოჭრილე კარიბჭეც დაიკეტება და დაბზარული გალავანი ღამის უნდა და მოუხელთებულ სიბნელეში ჩაინთება.

ნაბიჯს ვუქქარებ, მაგრამ შენ ველარ გხედავ.

- სანდროო! - გეძახი.

არსად ჩანხარ.

- სანდროო...

როგორი სიჩუმეა. ყრუ, უდაბური მდუმარება. ხმა ტალღასაც კი არა აქვს, არანაირი ვიბრაცია. სიტყვები უნდა ჩემს ბაგეებთან ცვივიან და ილუშებიან.

- სანდრო... - ცრემლები მასრჩობს. ვხედავ, იქ დარჩი. წარსულ დროში დაივანე, წუთებსა და საათებთან ერთად ანთე და ჩაიფერფლე.

მე კი აქ ვდგავარ. მოჩვენებითი ქალაქის სამუდამოდ დაგმანულ ჭიშკართან. სიბნელისა და სინათლის გზაგასაყართან, შუქისა და ჩრდილის მარადიული ნრებრუნვის პირისპირ.

მე შუქისკენ მივილტვი, აბსოლუტური სინათლისაკენ. ვიღაც კი უკან, სიბნელეში მექაჩება, უხილავი ხელით მენევა, ძალით მიმართავს. მხარზე ზურგჩანთა მიმიძიდება. მეც უსაშველოდ ვმძიმდები. ტკივილის შეგრძნება ჩნდება. სიბნელე კიდევ უფრო მუქდება. მერე ნელ-ნელა ბაცდება...

თვალებს ვახელ!

- ანა... როგორ ხარ, ანა! - ჩამესმის შორიდან.

ჩემს თავზე თეთრი ჭერი ჰკიდია. სახეები ირევიან. ყავისფერი, ბრტყელი ღმერთები. არა... არა, ეს სხვა ქალაქია, სხვა ტაძარი.

- საავადმყოფოში ხარ, ანა, - მომესმის

ისევ ალბათ ის არის, უკან ვინც მომართე-
და. უკან, სიბნელეში. აი, გამოჩნდა. შეშფოთე-
ბული სახით დამცქერის... ანრი!

ნელ-ნელა გონს მოვდივარ. მასხენდება.
კარნავალი. ცეკვები. შუშუნები. ბომბები. სიკ-
ვდილი.

ანრი მედდას ესაუბრება.

- უნდა გადაიყვანოთ, - ეუბნება თეთრსა-
ლათიანი, - სერიოზული არაფერია. ჩვენ კი
დაჭრილებსა და მომაკვდავებს ვერ ავუდი-
ვართ. ყველგან ლაზარეთებია გახსნილი. ად-
გილი აღარ არის.

წამოდგომას ვცდილობ. არაფერი გამომ-
დის. დაღურჯებულ თითებს დავცქერო.

-დამშვიდდი, ანა. კარგად ხარ. ყველაფერი
კარგად იქნება, - მეუბნება ანრი და პალატას
გასცქერის. პალატა გადარჩენილი სიცოცხლე-
ებითაა სავსე.

- რა მოხდა? - ეს ალბათ ჩემი ხმაა. სიტყ-
ვები სუსტად, მაგრამ მინც ისმის.

- ტერაქტი! სასტიკი, გაუგონარი, - მპასუ-
ხობს მედდა - შვიდი ათასამდე დაღუპული...
და კიდევ ათასები, ათი ათასები შველას ით-
ხოვენ.

დაღუპული... თვალნინ შენი სახე მიდგება.
იქ, ტიპარში, ჩემს სიკვდილსიცოცხლისწინა
ხილვაში და შენი წერილი... ის მისტიკური,
დაუფერებელი წერილი...

რიო-დე-ჟანეიროს ჟანდარმერიის ოთახებ-
ში, ფანჯრის რაფებსა და მაგიდებზე კაქტუ-
სები აწყვია. კაქტუსები ტელეფონებსა და სა-
ქალაღდეებს შორის ჩადგმულ თიხის ქოთნებ-
ში ხარობენ, თავიანთი ბასრი, მწვანე და ყა-
ვისფერი ეკლებით ჩხვლეტენ შეგებებულ ჰა-
ერს. უწყლო და უპრეტენზიო არსებობით ავ-
სებენ ჟანდარმერიის მონოტონურ, ჩახერგილ
სივრცეს.

სქელი, მჭიდროდ ჩამანული ფანჯრების
იქით კი ქალაქის ცენტრალური მოედანი მოჩ-
ანს. იქ აფეთქებებისგან აყრილ და დანგრეულ
ქუჩებს ასწორებენ და დახოცილთა სისხლისა-
გან რეცხენ.

მე ჟანდარმერიის ოფიცრის - მაღალი, მუქ-
კანიანი მამაკაცის პირისპირ ვზივარ. კაქტუ-
სების აჯაგროული თავების უკან გაშლილ
გულისშემალონებელ პეიზაჟს გავცქერი და
ვგრძობ, რომ ჩემს ცხოვრებაში კინოფირი-

ვით დატრიალებული მისტიკურ-აბსურდული
კოშმარი გრძელდება.

- ქალბატონო ანა, რამდენიმე კითხვა უნდა
დაგისვათ, - სვენებ-სვენებით ლაპარაკობს გა-
მოძიებელი და მაღალი, გამჭვირვალე ჭიქი-
დან მინერალურ წყალს სვამს, - თქვენ ამ-
ბობთ, რომ რიო-დე-ჟანეიროში 14 თებერვალს
ჩამოხვედით.

თანხმობის ნიშნად თავს ვაკანტურებ.

ჭიქაში მოშიშინე პატარა გაზიანი ბუშტუ-
კები სკდებაინ.

- კარნავალზე მოსალოდნელი ტერორისტუ-
ლი აქტის შესახებ რამე თუ იცოდით?

გაოგნებული ვუცქერო.

- არა. რა თქმა უნდა, არა.

ოფიცერი ჩუმდება. მაგიდის უფერიდან
სრულიად თეთრ, უშტამპო და უწარწერო
კონვერტს იღებს და იქიდან პატარა, ორად-
გაკეცილი წერილი ამოაქვს.

- ეს კონვერტი თქვენს ნომერში ვიპოვეთ.
იგი სასტუმროს პორტიემ 16 თებერვლის სა-
ლამოს გადმოგცათ. წერილი თქვენს სახელზე
მოიტანეს და აქ... - ფურცელი გაშალა და
ჩემს წინ, მინერალური წყლით სავსე ჭიქასა
და კაქტუსის ქოთანს შორის დააფინა, - გაფ-
რთხილებენ, რომ კარნავალი სახიფათოა!

ის არის!

შენი ბარათი... რომელიღაც არარსებულ მე-
რიდიანზე, მიღმიერ სამყაროში ჩემს გადასარ-
ჩენად შექმნილი შეტყობინება ახლა მიმართუ-
ლებას იცვლის და ჩემს წინააღმდეგ ამბოხს
აპირებს.

- მოკლეთ, არ უარყოფთ, რომ წერილის
ადრესატი თქვენ ხართ. სანდრო ვინ არის?
განაგრძობს გამოძიებელი.

- მე ერთადერთ სანდროს ვიცნობდი და
ისიც ორი წლის წინათ ავტოკატასტროფაში
დაიღუპა.

- პორტიე ვერ იხსენებს ვინ მოიტანა წე-
რილი. თქვენ კი ამბობთ, რომ მისი ავტორი
გარდაცვლილია.

- არაფრის თქმა არ შემიძლია, ოფიცერო.
ეს ჩემთვისაც გამოცანაა.

გამომძიებელი დგება და ფანჯარასთან მი-
დის. შენობებიდან შავი ფლასებია გადმოფე-
ნილი. კანდელარიიდან ზარების განუწყვეტე-
ლი გუგუნის ისმის. მე კაქტუსებს ვუცქერი და
ვვიქრობ, რომ ეს ალბათ ერთადერთი მცენა-

რეა, რომელსაც ჟანდარმერიის დახშულ კედლებშიც შეუძლია აყვავდეს.

- ქალბატონო ანა, - ოფლით დაცვარულ შუბლს ინმენდს გამომძიებელი - მე ახლა ჩემს ცამეტი წლის გოგონას უნდა ვგლოვობდე. ჯერ კიდევ გუშინწინ ის კარნავალზე ცეკვავდა. დღეს მისი სხეულის ნაფლეთიც არსადაა... გირჩევთ, დამხმაროთ გამოძიებას. გვითხრათ ვინ არის და სად იმყოფება წერილის ავტორი, რა იცოდით ამ შემზარავი დანაშაულის შესახებ, რამე კავშირი ხომ არ გქონიათ რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან და თუ არაფერი იცოდით... რატომ ნახვედით კარნავალზე? თქვენ ხომ წაიკითხეთ წერილი?

- დიას. მაგრამ უკვე გითხარით, ის, ვისი სახელითაც წერილს ხელს აწერენ, ორი წლის წინანდ გარდაიცვალა.

- წერილები საიქიოდან? - მწარედ, ბოლმიანად იღიმება - მამატიეთ, სენიორიტა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენს წინააღმდეგ სხვა არანაირი საშიხი არ მოგვეპოვება, მაინც უნდა დაგაკავოთ.

ზარს რეკავს.

ოთახში ორი ფორმიანი შემოდის.

მე უკვე ვიცი, რომ ყველაფერი რთული, აუხსნელი მოვლენების დაბლანდულ ძაფზეა აკონიშული და სანამ ეს ძაფი არ განყდება, არაფერი შეიცვლება. მე ისიც კარგად მესმის, რომ ქალაქში, სადაც შემადრწუნებელი სასიკვდილო ფეიერვერკები ეწყობა, სადაც მეორე დღეს ქუჩებს სისხლისგან რეცხენ და სადაც გამომძიებელს თავისი ცამეტი წლის ქალიშვილის გვამიც ვერ უპოვია, თავის მართლებას აზრი არ აქვს.

ვდგები და ხელებს ზურგსუკან მორჩილად ვილაგებ.

და ახლა აქ ვზივარ. მწვანედ შეღებულ პატარა საკანში. წარმოუდგენელი, აბსურდული ბრალდებით დატყვევებული ცის ნაჭრებს ვაერთებ და ამ წერილს გწერ. წერილს, რომლის ადრესატიც აღარ არსებობს.

მე მეტი ვერაფერი მოვიფიქრე... იქნებ შენ დამეხმარო. მორჩე კუკუდამალობანას თამაშს და დამეხმარო...

ანა.

23 თებერვალი. რიო-დე-ჟანეირო.

ფურცლებს იატაკზე ვაფენ. თავზე სულმეგუბებული სიჩუმე მადგას. რკინის საწოლზე ვწვები. მიძიმე, უსიზმრო, ყოვლისმომცველი ძილი მიპყრობს და სქელი თითებით თვალებს მიხუჭავს.

ასეთივე სიჩუმეში გათენდება, მაგრამ ვგრძნობ ატმოსფეროში რალაც იცვლება... სარკმლის ღრიჭოში ცის ფრაგმენტთან ერთად წვიმის წვეთების წყვეტილი ფარდა მოჩანს.

წვიმს. ცხელი, გვალვიანი დღეების შემდეგ რიოში წვიმა მოდის. წვიმა ტკივილებისგან შეკუმშულ ჰაერს წმენდს და ქუჩებიდან საბოლოოდ შლის სიკვდილისა და სისხლის ნაკვალევს. გახურებულ ასფალტს ახლა ალბათ პატარა რუები მიუყვებიან და ვარდისფერი, წვრილ-წვრილი ძარღვებით უერთდებიან იანვრის მდინარეს.

სიჩუმეს საკნის კარების ღრჭიალი არღვევს. გავეყვარ.

ისევ იმ ოთახში, ისევ იმ გამომძიებლის პირისპირ ვზივარ. ისევ ის კატტუსები და საქალაღდეები, მაგრამ ფანჯრებს იქით ახლა წვიმს და თითქოს ყველაფერი უფრო ადვილია.

- ბოდიში უნდა მოგიხადოთ, - მიძიმე იწყებს გამომძიებელი, - ალბათ გესმით, რომ თქვენი დაკავების გადაწყვეტილება საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მივიღეთ. თქვენ სრულიად უბრალო ხართ. კიდევ ერთხელ გვაპატიეთ. სასტუმრომდე ჩვენი თანამშრომელი მიგაცილებთ.

- ჰო... მაგრამ რა შეიცვალა?

- დღეს დილით ჟანდარმერიაში მოვიდა პირი, რომელმაც თქვენს უდანაშაულობაში დაგვარწმუნა. აღმოჩნდა, რომ თქვენ მხოლოდ გაგაფრთხილეს. თუმცა, ეს გაფრთხილება ყურად არ იღეთ. ერთი რამე კი ნამდვილად უნდა გისაყვედუროთ. წერილის შესახებ მაშინვე ჩვენთვის უნდა გეცნობებინათ.

- და ის პირი... ვინ არის?

- მას ახლა როგორც ექვტიტანილს ისე ვკითხავთ. მეტს ვერაფერს გეტყვით. შეთანხმების პირობებს ვერ დავარღვევ. როგორც იტყვიან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე...

დგება და ზარს აწკარუნებს:

- თავისუფალი ხართ, ანა...

* * *

ორ კვირაზე მეტია, რაც სამშობლოში დავბრუნდი. ჩემი ქალაქი გაზაფხულისთვის ემზადება. მარტი ძალზედ იკრებს და ქუჩებს გაჭრილი ლიმონის სურნელი ასდით.

ანრის ტელეფონით ვესაუბრები და ვუვხებ, რომ ჩვენს ქალაქში მსოფლიოში ულამაზესი გაზაფხული იცის. ის მპასუხობს, რომ მალე ჩამოვა, მანამდე კი შეგვიძლია ერთმანეთს წერილები ელექტრონული ფოსტით მივწეროთ. მე წერილების წერას ჯერჯერობით ვერიდება და მთელი დღეები ქუჩებში უმიზნოდ და უთავბოლოდ დავეხეტები.

დღეს ვაშლის ყვავილებით შეთეთრებულ ბულვარში მოვხვდი და მანიფესტაციას გადავეყარე. ხუთასამდე ადამიანი სლოგანებითა და პლაკატებით რაღაც მათთვის ძალიან მიუღებელს აპროტესტებდა.

ისევ ჯგუფური, საყოველთაო მსვლელობები... რატომ არის, რომ ადამიანებს ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. ყველგან და ყოველთვის - სისარული იქნება თუ მწუსარება - ერთად ყოფნას ამჯობინებენ. თვით ყველაზე მასშტაბური, მასობრივი უბედურებაც კი უფრო ადვილი გადასატანია, ვიდრე პირადი, ვინრთადამიანური ტრაგედია. მაშინ, როდესაც შენს დარდს მთელი ქვეყანა იზიარებს, შენს ტკივილს მსოფლიოს ყველა წამყვანი ტელეკომპანია აშუქებს, საკუთარ თავს ერთი დიდი, შთამბეჭდავი სანახაობის გმირად წარმოიდგენ. ადამიანებს სიკვდილაც კი სხვებთან ერთად უფრო ეადვილებათ. მარტოობა ყველაზე დამანგრეველი ტერაქტი, ყველაზე მომაკვდინებელი სენია კაცობრიობისათვის.

მეც ამ კაცობრიობის ნატეხი ვარ. ამიტომ ხალხით სავსე შენობაში შევდივარ. ფართო ეკრანებზე ცხენები მიქრიან. ხმა დღის შედეგებს აცხადებს. შესვენება საინფორმაციო გამოშვებამ გაჭრა. დიქტორი რიოს ტრაგედიის მსხვერპლთა აღრიცხავს. ამბობს, რომ დაღუპულთა რიცხვმა რვა ათასს გადააჭარბა. ღმერთო, რა ადვილია ყველაფერი. ადამიანური ცხოვრების გულისშემძვრელ ისტორიებს დღეს მხოლოდ ზეცაშია ადგენენ. აქ კი მთელი ჩვენი არსებობიდან, სიყვარულიდან და ტკივილიდან, ოცნებებიდან და იმედებიდან, დაბადებიდან სიკვდილამდე განვლილი მიხვე-

ულ-მოხვეული და შესლილი გზიდან მშრალი სტატისტიკალა რჩება. გულგრილი, უტყუარი ციფრები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან.

დიქტორი თხრობას განაგრძობს და გვამცნობს, რომ "საუკუნის ტერაქტის" ირგვლივ დაწყებული ძიება კვლავ ჩიხში შევიდა. ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ტერაქტი გლობალურმა, საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციათა სქელმა მოაწყო. დაკავებულია რამდენიმე ექვმიტანილი, თუმცა ტერაქტის უშუალო ორგანიზატორთა და შემსრულებელთა კვალს პოლიციამ ჯერაც ვერ მიაგნო.

ეკრანზე ექვმიტანილები გამოჩნდნენ - ერთი თეთრკანიანი ქალი და ერთიც სამხრეთული გარეგნობის, მხარბეჭიანი მამაკაცი - მაჯაზე ვერცხლის ჯაჭვი შეუბამს და თვალებზე ხელს იფარებს.


წამით მომჩვენა, რომ ექვმიტანილი მას... სანდროს ჰგავდა და გული მომაკვდავი ჩიტივით შემიფრთხილდა. მაგრამ მერე, ტელეკამერების შუქზე კარგად რომ დავაკვირდი, მღელვარება მოსალოდნელმა იმედგაცრუებამ შეცვალა - ხორბლისფრად ნამზეური სახე ოდნავადაც არ მიუგავდა სანდროს თბილსა და მომწუსხველ ნაკეთებს. მაგრამ ის ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა ჩემი ძველი ტკივილებსია და მოგონებების გასაცოცხლებლად, იმ მწარე სინამდვილის დასავიწყებლად, რომ ყველაზე ძლიერ და ცეცხლოვან სიყვარულსაც კი ადრე თუ გვიან ამქვეყნიური დავიწყების ნელ-თბილი მდინარე აქრობს და ანელებს.

მარტი. 2004 წ.

*Rios - მდინარე, de Janeiro - იანვრის.



სანილი



დალილა გელიანიძე

ციკლიდან “ლიქსები ლიზიზე”

ლიზი ქუჩაში

ლიზი, აჰ, ლიზი!..
 ტოპიკიდან მოვიჩინას ჭიბი,
 როგორც ცენტრი დედამიწისა.
 სად მიმსვენები,
 საით მიარხევ შიშველ წელს და
 მიაფართხუნებ ჯინსის ტოტებს?
 სად გელოდებიან შენისთანები,
 რომ შეუერთდე მათ სიცილს და მზიარულებას?
 ლიზი, აჰ, ლიზი!..
 შენ სულ თხუთმეტი წლისა ხარ და
 თხუთმეტჯერ მოესწარი გაზაფხულს.
 შენ თვითონვე ხარ გაზაფხული და
 აყვავებული ატმის ტოტი სიცოცხლის ხეზე.
 ნეტავ ახლა შენი ხნის ვიყო!
 ლიზი, აჰ, ლიზი!..
 მიმსვენები და მიგაქვს ქუჩა
 და გამვლელები შემოგზარიან.
 ტოპიკიდან მოვიჩინას ჭიბი
 და ჭიბის გვერდით შავი ხალი.
 შენ ხარ პირმშვი ოცდამეერთე საუკუნისა
 და გისურვებდი, ეს საუკუნე
 ყოფილიყოს შენთვის დედა
 და არა ვინმე დედინაცვალი.
 ლიზი, აჰ, ლიზი!..
 აი, კიდევაც წამსვენდი და თვალს მიეფარე.



ლიზის სახელი

დედამ დაგარქვა იღუმალი სახელი ლიზი.
 ისე გაიზარდე, ყვაილი არ მოგიწვევტია,
 რომ არ მომკვდარიყო.
 ბალახი არ გაგითელია,
 პეპელა არ დაგიჭერია...
 დადიოდი და ციცინათელების გუნდი გეხვია საღამოობით.
 დედამ დაგარქვა იღუმალი სახელი ლიზი.
 ლიზი! - შრიალებენ ფორთოხლის ხეები შენი ჩავლისას.
 ლიზი! - გეძახის შენი ანგელოსი.
 ყველგან ლიზი, ლიზი და ლიზი!
 აჰ, მშვენიერი ხარ ქალწულო, აჰა, მშვენიერი ხარ!
 თვალნი შენნი მტრედ არიან სავსებასა ზედა წყალთასა.
 ტანი შენი - ვითარცა კვიპაროსი,
 სახე შენი - ვითარცა მთოვარე შავ ღრუბლებში,
 ერთი ჰყავხარ დედას, ერთი.
 ლიზი - სიყვარულია შენი სახელი,
 განსხეულებული სიყვარული ხარ
 და შენი სოფლის პაწაწინა ეკლესიაში
 სიყვარულის საგალობელს ადავლენ ხოლმე

და შენს თვალებში აღბეჭდილია ზიარების და მარხვის სიწმინდე.
ლიზი! უყვარხარ შენს მფარველ ანგელოსს.
და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ემსგავსება შენს ანგელოსს.
დელამ დაგარქვა იდუმალი სახელი ლიზი
და ეს სახელი ისეთივე გრძნებით ითქმის,
როგორც "სულამით".

ლიზი ზღვაზე

შენ ზღვის ქაფიდან დაიბადე მეორედ, ლიზი!
ზღვა და მზეა შენი დედა და შენი მამა.
ზღვის სანაპირო შუადღისას სახე იყო -
ხალხი მზეს ეფიცებოდა, ზღვას ეთამაშებოდა,
იღგა ერთი ფივილ-ზივილი...
აქაფებული ზღვა ნაპირს ეხლებოდა
და მოულოდნელად კენჭებსა და ნიჟარებთან ერთად
შენ გამოგრიცა ლიზი, შიშველი.
შუბლზე მზის ნიშანი გაბრწყინავდა
და როცა წყლიდან გამოხვედი,
დაღუმა ყველა და ყველაფერი,
ზღვაც გაჩერდა და ტალღებიც გაქრა.
გიყურებდნენ და შემოსილი ეგონე ყველას,
არვის უხილავს შენი შიშველი სხეული და
შენი სამოსი იყო ნათელი თაკარა მზისა,
იყო აღმური - გაგარვარებულ ქვიშას რომ ასლიოდა.
შენ ზღვის ქაფიდან დაიბადე მეორედ, ლიზი.
დაიბადე თხუთმეტი წლისა
და ამის შემდეგ სულ თხუთმეტი წლისა იქნები.
ნეტავ არასდროს არ შეგეზოს ჭკნობა და კვლომა.
შენ ზღვის ქაფიდან დაიბადე მეორედ, ლიზი!
გამოხვედი სანაპიროზე,
ჩაიცვი შორტები და ტოპიკი
და თვალს მიფუარე
და მზილეკლებს აღმოხდათ ოხვრა.
ნეტავი იმას, ვინც შენ გიხილა ახალშობილი.



* * *

მოუნდელი რძისფერი ხარ, ლიზი
და რძის სურნელს აფრქვევ ირგვლივ.
შენი ღიმილი ადუღებული რძის გადმოსვლას ჰგავს,
დამატრობელი, მაცდუნებელი.
სულაც არ მიკვირს, რომ ყველას, ვინც გაგიცნოს
ელვის სისწრაფით უყვარდება.
შენ კი სიყვარული ჯერ არ გწვევია.
დამსევნები და ბუზს არ აიფრენ -
ამაყი, წმინდა...
მოუნდელი რძისფერი ხარ, ლიზი...
ჩაივლი და ჰაერი თრთის შენი სურნელით,
საკუთარ თავს თვითონვე შეჭარბი.
ეკლესიაში მესმის ხოლმე შენი ჩურჩული,
როცა ღვთისმშობელს შესთხოვ ქალურ ბედნიერებას.

ამინ! ლიზი - გისმინოს ღმერთმა,
 კარგი ბედი გეკუთვნის.
 როგორ შეცნობა, როგორ შეცნობა შენი ლოცვები.
 შენი ჩურჩული ჰგავს რძის გადმოსვლას.
 მოუხდელი რძისფერი ხარ, ლიზი!

ლიზი საღამოს

ლიზი მოემზადა დაბადების დღეზე წასასვლელად.
 ლიზიმ კაბა ჩაიცვა -
 ო, რა კაბა ჩაიცვა!
 ლიზიმ შალი მოისხა -
 ო, რა შალი მოისხა!
 ლიზი სარკის წინ დატრიალდა -
 სარკემ გაუღიმა.
 დედამ შეხედა ლიზის ქალის თვალით
 და აღტაცების ოხვრა აღმოხდა
 და დალოცა ლიზი მეგობრებთან წასასვლელად გამზადებული.
 წამსვედა ლიზი დაბადების დღეზე, წაცანცალდა,
 შეუერთდა თანატოლებს.
 იმათ უთხრეს - ლიზი, რა ლამაზი ხარ!
 ლიზიმ კი თქვა - თქვენი ლამაზები ხართ.
 ლამაზების კრებულში დაჯდა ლიზი, ინახად დაჯდა.
 ჭამეს, სვეს და გაიხარეს...
 იცეკვეს, იმღერეს და გაიხარეს...
 ლიზი ბიჭმა აცეკვა და საჭირბოროტო საკითხებზე დაელაპარაკა,
 მერე კი სთხოვა:
 "თუ შეიძლება, შინ მე გაგაცილებთ!"
 და გააცილა კიდევაც და ლიზი გულში ნატრობდა:
 "გზაო, გაგრძედი! გზაო, გაგრძედი!"
 მორჩა საღამო და შინ ბრუნდება ბელნიერი ლიზი,
 შინ ბრუნდება,
 რომ დედას თავის სიხარულზე ელაპარაკოს.

ლიზი დილით

აღრე დილით ადგა ლიზი -
 მზეს დაასწრო, ჩიტებს დაასწრო.
 აღრე ადგა დედის სიხარული,
 მამის სიამაყე.
 ერთი ჰვავს დედას მზოლოდშობილი.
 დილით აღრე ადგა ლიზი,
 ჩაიცვა, პირი დაიბანა,
 მერე გახედა აღმოსავლეთს და ლოცვა დაიწყო.
 მზე ამოდიოდა -
 ლიზის ბაკებიდან ლოცვა გადმოდიოდა,
 ეფინებოდა ოთახის სივრცეს
 და ავსებდა "მამაო ჩვენო".
 ლიზის ლოცვანი ამომავალი მზის სხივს ეკავა
 და იგრძნო ლიზიმ,
 ლოცვისას როგორ მაღლდებოდა,
 როგორ კარგავდა სიძმიეს და
 როგორ იწმინდებოდა.
 ლიზის სული ჰგავდა ღვთისმშობლისათვის დანთებულ სანთელს



და იწვოდა, სანამ ლიზი ლოცულობდა
და მისი შუქი მზის ნათელს უერთდებოდა.
ილით ადრე ადგა ლიზი,
ადგა, ილოცა, დღეს შეეგება.

ლიზი ერთადერთი

წვიმის ერთი წვეთი მეორეს არა ჰგავს,
თოვლის ერთი ფიფქი მეორეს არა ჰგავს,
ხის ერთი ფოთოლი მეორეს არა ჰგავს,
ლიზიც არავის არა ჰგავს.
ჩაიხედავს ხოლმე სარკეში და ილიმება
და საკუთარ თავს შეჰხარის და საკუთარ სინორჩეს.
ო, ლიზი! რჩეულო რჩეულთა შორის!
ღმერთმა მარადიული სილამაზით დაგაჯილდოვა.
"შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული".
უბნის ყველა ბიჭს ლიზი უყვარს,
ლიზის კი სიყვარული ჯერ არ სწყვევია,
არ დანწევია ეროსის ისრის ნაჭრილობევი.
ლიზი თავისუფალია და დაქრის თანატოლებში
და სრულებითაც არ აწუხებს შეყვარებულ ბიჭთა ვენებანი.
ო, ლიზი! რჩეულო რჩეულთა შორის!
ო, ლიზი! არავის არ ჰგავხარ!
ო, ლიზი - სულო კეთილო, სულო საყვარელო!

ლიზი თოვლის წინ

უეჭველად გათოვდება, ლიზი
და იბრწყინებს თოვლში შენი ტანი.
მოვა თოვლი შენებრ თეთრიყრიმიზი,
ცას მისწვდება თეთრი სეფიანი.

თოვლის ზურმუხტებს გაგიფენს ზეცა
და მიწა თოვლით გადიხურება
და თოვლის მტრედი ფრთებს შეიკეცავს,
იფეთქებს შენი ნაფეხურება.

შეიმოსება სტეები თოვლით
და გამვლელების თეთრი ქურქები
ააგებს ქუჩებს და შენი ტოლი
ლანდები თოვლში ჩაინუმქურება.

ლიზი, შეგამკობს თოვლის გვირგვინი!
ლიზი, გიმღერებს ფიფქების ქორო
და მანქანები ზრიგინ-ზრიგინით
გზას დაგითმობენ წმინდავ და შორო.

უეჭველად გათოვდება, ლიზი!
თოვას გიგონობს რა ხანია, ტანი.
ხელისგულზე ფიფქის ჩიტი გიზის -
ლიზი! ლიზი! განიხუნება ცანი.



“შემოდგომა

შეუდარველი“

წელიწადის დროთა მიმართ გალაკტიონს თავისი დამოკიდებულება აქვს. ისინი ხან დობილებივით კეთილნი არიან (“იგი ოთხი დობილი”), ხან აფთარით გლეჯენ გულს: “ოჰ! ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მინას აფთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი”. ზამთარი მკაცრი ფერებითაა დახატული. სამჯერ აფთართანაა შერითმული. გაზაფხულს მისაღმება, მაგრამ “სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავლისთვის” ეს აღფრთოვანება ეფემერულია.

ერთადერთი დრო - პოეტისთვის ყველაზე უფრო სასურველი, შემოდგომაა. გაზაფხულზე დაწერილ ლექსშიაც შემოდგომის მოლოდინია (“ყველაფერმა იცვალა ფერი”).

ორი ლექსი აქვს ერთი და იმავე სათაურით - “შემოდგომის დღე”. ორივეში ყვითელი ფოთლები და მკვდარი ყვავილებია მიმობნეული. საოცრად უყვარს შემოდგომის დღე, როცა “ილულება მზე, იძარცვება ტყე”.

ასევე ორ ლექსს “შენ და შემოდგომა” ჰქვია. ერთი “შენ” მერი უნდა იყოს, მეორე - საკუთარი თავი. ამაზე ლექსთა დასაწყისი მეტყველებს. “არის ნეტარება - ხშირად მოაგონდეს პოეტს შედარება - შენ და შემოდგომა”, მერისადმი უნდა იყოს მიძღვნილი. მეორე - თავისი თავისადმი: “შენს სიყმანველეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნს ქარის, როგორ უგონოდ განვალბედა ბედი, ვაიმე”. ორივე შემოდგომასავით ნაზია.

ჩვეულებრივად სატრფოს ღაუჭაღა ფერებით წარმოგვიდგენენ. გალაკტიონის სატრფო კი შემოდგომასავით ყვითელია (“ყვითელო, ჩემო ყვითელო ვარდო, შთენილხარ მარტო, სრულიად მარტო”). შემოდგომა და სატრფო გაიგივებულია. “შემოდგომა შენს ზაგებს მაგონებს” (“ო, დღეს შემოდგომაა”).

ზუსტად მისადაგებული ფერებით ხატავს პოეტი შემოდგომას. იგი ყვითელია და ქარვისფერია (“ისეთნაირად გაქრა ეს შემოდგომა ქარვის”). შინდისის ჭადრებს შემოდგომის მერთალი ბლონდები ახვევია, ცისარტყელის ერთი ფერი შემოდგომაზე დარჩეული სიმინდის ტაროს ნაირია და რამდენი და რამდენი. ყველას ვერ გაეწვდები, ამიტომ “არტისტული ყვავილებით” შემოვიფარგლები, რომლის პირველი ლექსია “შემოდგომა უმანკო ჩასახვების”

მამათა სავანეში“.

როგორც გალაკტიონის თითქმის ყველა შედევი, ეს ლექსიც გასაშიფრია, მაგრამ მე მის სიღრმეში შესვლას არ ვაპირებ. მხოლოდ შემოდგომის მოტივს გავადევნებ თვალს.

სათაურში გაცხადებულ “შემოდგომას” უშუალოდ მოსდევს “ნოემბრის ბალები”, ნოემბრის ბალებს - ყვითელი ფოთლები, ორივეს - სასახლის ჩაქმრალი ჭალები და მზურვალე ვნებების დაცხრომა.

სასახლიდან პოეტი განდევილ მამათა სავანეში გადაინაცვლებს, სადაც ჭვარტლითა და ბურუსით გაშვებული თოვლი (“შავი თოვლი”) დახედება და მკაცრი შემოხედვა: “ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!”

ირგვლივ უდაბნოა, მისი მტანჯველი ქარები დაჰქრიან, მოაქვთ “ფოთლების შვავები”. სამრეკლოს ჯვარზე ყვავები შემომსდარან და თებერვალს უხმობენ - ზამთრის დასრულებას. უკუნი ღამეა, მდუმარე საკანი და პოეტი ლოცულობს - “წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!”.

განდევილ მამათა სავანიდან ისევ სასახლეში გადადევიათ. რომანს, რომელზედაც შანდელი ასვენია, სასახლის მგოსნის ბაზელები ცვლის, მაგრამ აქვეა სასახლის მდივანი ხელთათმანით ხელში - დუელი, ხმაღში განვევაზე ფიქრი.

ასეთია ამ ლექსის შემოდგომა. ნოემბრის ბალებით იწყება და დუელით მთავრდება. კომპოზიცია მყარია. მისი ლექსიკაც გაშიფერის გარეშე გვეუბნება სათქმელს: “საშველი არ არის, არ არის, არ არის!”, რაც ლექსის ლოგიკურ-ემოციური ცენტრია.

მხოლოდ ერთადერთი ნათელი სხივი კრთის ამ ჭვარტლსა და ბურუსში, ამ ტრეგიკულ გარემოცვაში: “და ვიცი, გახსოვარ!” ამით სულდგმულვებს. ესაა საერთოდ გალაკტიონი. ეს პატარა ლექსი მისი პოეზიის ერთგვარი კვინტესენციაა.

ბუნებრივია, წიგნის ამგვარ დასაწყისს სათანადო გაგრძელება ექნება და შემოდგომის თემა ამ პატარა კრებულის ოციოდე ლექსშია გაბნეული.



შემოდგომა გამორჩეულია სხვა დროთა შორის. იგი შეუდარებელია: "ეტლს თან მიჰყვება მყუდრო სოფელი და შემოდგომა შეუდარებელი" ("დაამშვიდობება"). შემოდგომის სიახლოვე "ბურუს-დამსხმელია". იგი ნაზია ("დგება ნაზი შემოდგომა"; "და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლა მზე შემოდგომის"), მწუხარეა, როგორც მერის ჯვრისწერის დღე ("დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა"). საერთოდ, მერის მოტივს, რომელიც ბოლომდე მიჰყვება პოეტის ცხოვრების გზას, თან სდევს შემოდგომის იდუმალება.

გალაკტიონი შემოდგომის პოეტი. შემოდგომა მისი მფარველი ("გამოჩნდებოდა შემოდგომა ჩემი მფარველი"). იგი ხატავს შემოდგომას და იმავდროულად თავის განცდებს გადმოგიშლის, რომლებიც ურთიერთიდენტურია. შემოდგომა სულში ვარდების დაჭკნობაა. როცა "ნისლს ათამაშებს შემოდგომის ტყე", ცხოვრება ძნელდება ("სროლის ხმა მთაში"). "თიბათვე გავიდა, აჭრეულა ქათიბი" და "უნდა გავყიდო მამული, ჭალები".

შემოდგომის სურათი უფრო სრულადაა დახატული ლექსში "პოეტი ბრბოში". იგი ამ სტროფით იწყება:

*დღეს გაასვენეს შემოდგომით განვალებული
რეგიის ღერი.
მე მივეყებოდი მწუხარებას შეყვარებულ
და ქარვისფერი.*

ლექსი ყურადღებას იქცევს თავისი მეტრული წყობით. იგი ჰეტერორილბაზური საზომია - თოთხმეტმარცვლიანი ხუთმარცვლედთან (5/4/4 და 5), რაც იშვიათია ქართულ მეტრიკაში. ამ საზომითაა შესრულებული ბესიკის "ცრემლთა მდინარე", მაგრამ არც ერთ გამოცემაში იგი ამ გრაფიკით არ იბეჭდებოდა, ე.ი. ამ საზომად არ იყო მიჩნეული, ხოლო ავტოგრაფი, სადაც ეს ლექსი ამ სქემას მიჰყვება, გალაკტიონის ნაწიხი არ ექნებოდა. ასე რომ, ეს საზომი გალაკტიონმა შექმნა.

პოეტი მიჰყვება შემოდგომით განვალებული რეგიის (ყვავილის) გასვენებას. იგი მწუხარე და ქარვისფერია (გავისხენოთ: "ეს შემოდგომა ქარვის").

სექტემბერი, როგორც დარდი, ნელ-ნელა ეპარება მინდვრებს (უძლიერესი მხატვრული სახე: "ოჰ! ეწყნისთვე ეპარება დარდივით მდელოს"). ფოთლები უცხო, ზედმეტი და განდევნილია.

1927 წლის გამოცემაში ეს ლექსი "ფოთლე-

ბის ლანდის" სათაურით დაიბეჭდა, რამაც კიდევ უფრო დაამშენა იგი. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ცალკეული პასაჟებია. "არტისტულ ყვავილებში" შეტანილია ლექსი, რომლის სათაურში "შემოდგომა" იკითხება ("შემოდგომის ფრაგმენტი"), როგორც კრებულის პირველ ლექსში იყო.

"შემოდგომის ფრაგმენტი" მთლიანად და სავსებით შემოდგომის თემაზე ეძღვნება.

*ოჰ! ეს ფოთლები ცვენილი ქარით,
ეს უმანკო და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?*

(ერთხელ, შემოდგომისას, ხაშურში ჩასულს ჩემი მეგობარი ქალი ჯილდა გელაშვილი გალაკტიონის ამ სტრიქონებით შემომეგება. ამ წერილსაც მას ვუძღვნი).

შემოდგომის ზედმიწევნით ზუსტი დახასიათება: "ჰაერი ოხრავს ფოთლების ცვენილ ღონე-მილეულ მზის დალაღვაში".

ბუნების ოხვრას ადამიანის ოხვრაც ერთვის: "ბილიკებზე წყნარის მოწყენით დაბინდულ წყვილად მიდის ქალ-ვაჟი". კიდრე ამ წყვილის ვინაობას გაგვიმხელდეს, პოეტი ორ უკიდურეს ვითარებაზე გვესაუბრება: "ცხოვრობდა ვინმე", რომელსაც სურდა ამ ქვეყნად სიყვარული, "მაგრამ ვერაინ ვერ შეიყვარა". იყო მეორე: დასწევს, დადაგეს ვენებემა მისი მზურვალე გული". ამრიგად, სიყვარული ან საერთოდ არ არის, ანდა დამწველ-დამდაგველია.

შემდეგ ავტორი ისევ პირველ სტროფს უბრუნდება: ნუთუ ქართი ცვენილი ფოთლები, შემოდგომით დამჭკნარი ყვავილები "არავის თქვენგანს არ ენანება?" და დამჭკნარი ყვავილების სინონიმად დამჭკნარი ახალგაზრდობა მოაქვს: "და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა ნუთუ არავის არ ენანება?"

ფოთლებით დაფენილ ბილიკებზე მოწყენით მიმავალნი ოსკარ უაილდი, დორიან გრევი და სუმბათაშვილი-იუჟინის "ლალატის" ზეინაბი არიან: "და შემოდგომის გზებზე დაღლილი მიდიან გრევი და ზეინაბი" (საიდან სად დაწაყვილა!) და მერე რა კარგად: "ეი", "ეი").

ეს ლექსი, მართლაც, შემოდგომის ერთი სვედიანი ფრაგმენტია, სადაც გამთლიანებულია ბუნებისა და ადამიანის მწუხარება.



პარუკი მუკაპაი

- თქვენს რომანებში უხვადაა გაბნეული მითითებანი დასავლურ პოპკულტურაზე: ნიშნები, "Beatles"-ის სიმღერები, პოლივუდის ფილმები, ჯაზი. იყო თუ არა ეს ერთგვარი ამბოხი კავებატას და ტანიძაკის ყაიდის ტრადიციული იაპონური ლიტერატურის წინააღმდეგ?

- ახალგაზრდობაში ვუსმენდი Beatles-ს, Doors-ს და ვკითხულობდი წიგნებს, "mysteries"-ს, Science - fiction-ს, ვუყურებდი ოტო პრემინჯერის "ლაურას"... პოპკულტურის მუსიკაში, რომანებსა და ფილმებში ვცურავდი. მინდოდა მეკითხა ნაწარმოებები, რომლებიც იმის შესახებ მეუბნებოდნენ, რაც მიყვარდა და რაც დღემდე მიყვარს. ესაა ჩემი სამყაროს ერთი არსებითი მხარე და ამავე მიზეზის გამო მინდოდა წერაც, - ერთგვარი პატივისცემის გამოხატვა. მე ძალიან განვსხვავდები მისიძასა თუ კავებატასაგან. კერძოდ, სტილით, მაგრამ არა მხოლოდ. მათი პროზა მეტისმეტადაა გადაჯაჭვული ფორმალურ, მოჩვენებით სილამაზეს, დატვირთულია ორაზროვანი, მანერული ემოციებით. პირადად მე მინდოდა ბუნებრივად, უბრალოდ მენერა, მოქნილად და მკაცრად. ამ პრინციპით ვმუშაობ დღესაც - ესაა ის, რაც გამომარჩევს ბევრი ტრადიციული იაპონელი მწერლისაგან.

- მაგრამ ალბათ რაღაცას უნდა უმაღლოდეთ ფიცჯერალდს, კარვერს, რაიმონ ჩენდლერს, ჯონ ირვინგს, იმ ავტორებს, რომლებიც იაპონურად თარგმნეთ?

- ნამდვილად. ეს ის ტექსტებია, რომლებიც ვთარგმნე, რომელთაც გზა მიჩვენეს, რომელნიც ჩემს მეტრებად და მენტორებად იქცნენ. მით უფრო, რომ თარგმნა უახლოვდება წერის აქტს: როცა რომანს თუ ნოველას ვწერ, ჩემში ვატარებ დედნისეულ ტექსტს და შემდეგ სწორედ მას ვთარგმნი პროზად. იაპონური ენა სრულიად განსხვავებულია დასავლური ენებისაგან, იქნება ეს ინგლისური, ფრანგული თუ გერმანული. იაპონურად თარგმნისას ფრაზა ფაქტობრივად

“წერა იბივია, რაც სიზმარი ცხადში“



ხელახლა, წელიდან იგება. თარგმნამ დაიკავა და დღესაც უკავია ძირითადი ადგილი ჩემი წერისა თუ ფიქრის მანერაში.

- პოპკულტურის ნიშნებმა თქვენს წიგნებს მთელ მსოფლიოში გავრცელების საშუალებაც მისცა.

- სრულებით არ ვფიქრობდი მთელ მსოფლიოში პოპულარულ ავტორად ქცევაზე. ყველაფერს მხოლოდ სიამოვნებისათვის ვაკეთებდი. მეორე მხრივ, როცა ვწერ, რომ ჩემი რომანის გმირი უსმენს Radiohead-ს ან Prince-ს, მე და თქვენ ვიცით რაზეც ვლაპარაკობ. ჩვენ ვიზიარებთ ერთ შეგრძნებას, ვამყარებთ კავშირს. ეს მნიშვნელოვანია.

როცა ვამბობ, რომ ჩემი გმირი სასაუზმოდ შედის Burger King-ში ან Mac Do-ში, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სცენა. ერთგვარად, ეს ნიშნები, ეს ჯიხურები, ეს ლოგოები ერთი სახეა იმ სიმბოლოსი, რომელსაც დღეს ყველა ვინაწილებთ.

- ის, რაც არ უშლის ხელს თქვენს გმირებს სისტემის უარყოფაში: ისინი არ იზიარებენ ინტენსიური შრომისა და სწრაფი წარმოების კანონს, რაც, საზოგადოდ, იაპონურ ეთიკასთან ასოცირდება, მაგალითად...

- 1968-1969 წლებში, კონტრკულტურის და იდეალიზმის დროს, მე სტუდენტი ვიყავი. ვოცნებობდი რევოლუციასა და არსებული წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მერე ამ დღეებმა გადაიარეს; ავიღე უნივერსიტეტის დიპლომი. მაგრამ არ მინდოდა რომელიმე ჯგუფის, რომელიმე საზოგადოების წევრი ვყოფილიყავი. მინდოდა, ვყოფილიყავი ჩემთვის, მარტო და დამოუკიდებელი. ამის გაკეთება არც ისე ადვილი იყო ისეთ ქვეყანაში, როგორც იაპონიაა, რომელიც დამყარებულია კლანზე, კოლექტიურობაზე, მაგრამ მაინც მოახერხე. არ ვეკუთვნი არცერთ კლუბს, არცერთ სკოლას. ეს ბოლო ოცდახუთი წელია, ვწერ და არ მყავს არც კოლეგები, არც ლიტერატურული მეგობრები. როცა ნოველებისა და რომანების წერა დავიწყე, ბუნებრივია, მსურდა დამეხატა ინდივიდუალისტური გმირები, მეჩვენებინა, როგორ ცხოვრობენ ადამიანები საზოგადოებრივი ნორმების გარეშე.

- გაუცხოების თავიდან აცილების სიბრტყეზე თუ იქცევინა თქვენი წიგნები პარაბოლებად?

- ვფიქრობ, რომ კი. მაგრამ ამ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში იაპონური საზოგადოება შეიცვალა. სტრუქტურა, "სისტემა" მოსუსტდა. უწინ ძალიან მტკიცე, ძალიან მყარი იყო. ახლა ასე აღარაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ვიშრომეთ ქვეყნის ხელახლა აშენებისთვის, მზად ვიყავით დიდი მსხვერპლისთვის. ვფიქრობდით, რომ შრომა მოიტანდა სიმდიდრეს და სიმდიდრე - ბედ-

ნიერებას. შეიძლება გულუბრყვილოდაც ჩანდეს, მაგრამ ეს რწმენა დიდი ხნის მანძილზე გამოგვეყვა. ეს იყო მიზეზი იმ მძიმე შრომისა, რომელიც ჩემმა და ჩემი მეზობლების თაობამ გადავიტანეთ - მატერიალური კეთილდღეობა, რომელსაც 80-იან წლებში მივაღწიეთ, "ბარბაროსული ეკონომიკის" დროს. გაგმდიდრდით ყოველგვარი ბედნიერების გარეშე. თავგზა დაგვებნა, თავიდან უნდა დაგვესვა ჩვენი ღირებულებებისა და პრიორიტეტების საკითხი. "ბედნიერება"- ეს იყო ჩვენი ახალი კრედიო. შემდეგ იყო ეკონომიკური დეპრესია და დაქვეითების პროცესი, რომელიც ათი წელია შეუსვენებლად გრძელდება. ვფიქრობ, გარკვეული აზრით, ეს სასარგებლო უფროა ჩვენი ქვეყნისათვის, ახლა ფიქრისა და განსჯის, სხვა გზის ძიების დრო გვიდგას.

- თანამედროვე იაპონური ლიტერატურა ერთმანერად ირეკლავს ამ საზრუნავებს, საფიქრალებს, იქნება ეს რიუ მურაკამი თუ ბანანა იოშიმოტო...

- რიუ მურაკამი ერთი ჩემი იშვიათი მეგობრთაგანია, ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ და აღფრთოვანებული ვარ მისი ზოგიერთი წიგნით. ბანანა იოშიმოტოს რაც შეეხება, განსაკუთრებით მისი "Goodbye Tsugumi" მიყვარს, მაგრამ ვაღიარებ, რომ თარგმანებისა და საკუთარი წიგნების მიღმა, აღარ მრჩება დრო საიმისოდ, ჩემი იაპონელი კოლეგები ვიკითხო. ერთი რამ ცხადია, ოც წელიწადში იაპონურმა ლიტერატურამ სრული მეტამორფოზა, რადიკალური ცვლილება განიცადა. ბევრი ბორკილი დაიმსხვრა, როგორც სიღრმისეულად, ისე ფორმის თვალსაზრისითაც.

- თქვენ გიყვართ love story-ის, შავი რომანისა და SF-ის სქემებით თამაში. როცა კი შემთხვევა მოგვეცემათ, მათ ერთმანეთში აზავებთ ("სპუტნიკის საყვარლები", "ზამბარაიანი ჩიტის ქრონიკები"). რატომ?

- ეს მოდის ჩემი, როგორც მკითხველის ბიოგრაფიიდან, რომელიც ძალიან უცნაური და ქაოსურია. თვრამეტი წლის რომ ვიყავი,

XIX საუკუნის ევროპელ კლასიკოსებს ვკითხულობდი. ძირითადად ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, ბალზაკს, ფლობერს, დიკენსს. ისინი იყვნენ ჩემი გმირები. მთელ ჩემს დროს მათ რომანებში ჩაფლული ვატარებდი, შეუძლებლად მიმანდა ლიტერატურის სფეროში მათზე უკეთესად რაიმეს შექმნა. შემდეგ ვისწავლე ინგლისური და ნავიკითხე ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურა, აღმოვაჩინე შავი რომანის და "Science-fiction"-ის სამყარო, რაიმონდ ჩანდლერი, კურტ ვონეგუტი და რიჩარდ ბროტვიანი. აგრეთვე სკოტ ფიცჯერალდი. ყველაფერი წავიკითხე ინგლისურად. ეს იყო სრულიად ახალი გამოცდილება, რომელმაც ძალიან შემცვალა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ჩემი კულტურის სიღრმე არის კლასიკოსებისა და პოპკულტურასთან შერწყმული ლიტერატურის ნარევი, თუმცა ვამჯობინებ love story-ს, დეტექტიურ ჟანრსა და SF-ის სქემებსა და სტრუქტურებს, რათა ვკვებო ისინი საკუთარი ელემენტებით. თუ გნებავთ, უწოდეთ ამას დეკონსტრუქციის სავარჯიშო. მე ვისესხე სათავსი და არა შიგთავსი.

- თქვენ შემდეგნაირად თამაშობთ დეტექტიური ჟანრით: ხშირად მთხრობელი იდუმალებასთან დაპირისპირებული ადამიანია, მაგრამ აღმოაჩენს რაღაც ნიშნებს, რომელთაც იგი მიჰყავთ არა გამოცანის ამოხსნისკენ, არამედ თავისივე არაცნობიერი ნაწილისკენ.

- ჩემს წიგნებში გმირი უმთავრესად გარკვეულ მნიშვნელობათა ძიებაშია. მაგალითად, "ცხვარზე ნადირობა": მთხრობელი სათურში მოხსენიებულ ცხოველს ეძებს, "ზამბარიანი ჩიტის ქრონიკებში" მთავარი გმირი თავისი მეუღლის ხელახლა პოვნას მოინდომებს. ყველანი გაივლიან უცნაურ სიტუაციებს, უცვლიან კურსს თავიანთ ავანტიურებს და ბოლოს პოულობენ ყველაფერს, რაც სურთ, მაგრამ ამასობაში ძებნის ობიექტი კარგავს თავის აზრს. მიზნის მიღწევას იმდენი მნიშვნელობა აღარ აქვს. ამბავი კი სრულიადაც არაა ნეგატიური იმიტომ, რომ ამბის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ძიების პრო-

ცესშია, მოქმედების განვითარებაში. გმირი განსხვავდება იმისგან, რაც იყო ძებნის დაწყებამდე. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი.

- ეს ინიციაციის გარკვეული სახეობაა?

- დიას და ეს თავგადასავლები, რითაც გმირი იღებს გამოცდილებას, ამავე დროს არის თავგადასავლები, რომელთა მეშვეობითაც მეც ვიძენ გამოცდილებას, როგორც მწერალი. როდესაც ვწერ, მეც განვიცდი იმას, რასაც პროტაგონისტი განიცდის, მეც იმავე გამოცდებს გავდივარ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წიგნის დამთავრების შემდეგ მეც განვსხვავდები იმისგან, რაც ვიყავი წერის დაწყებისას. რომანის წერა ჩემთვის არადვილად ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არაა მხოლოდ "წერა"; ეს არაა ისეთივე სამუშაო, როგორც სხვა დანარჩენი; ესაა, როგორც თქვენ ამბობთ, ინიციაციის გარკვეული ფორმა. მე ვვითარდები ჩემი გმირებით, მათი დაბრკოლებების მეშვეობით.

- თქვენ განაცხადებთ, რომ ამ ისტორიების წერისას ეძებდით თქვენს საკუთარ ისტორიას, რომ არღვევდით ზღაპარს, რათა თქვენი სულის სიღრმეს ჩანვდომოდით...

- დიას. წერისას მრავალი ფენისაგან შედგენილ ნიადაგს ვარღვევ. ჩავდივარ ყოველთვის უფრო ღრმად! ზოგიერთები ამბობენ, რომ ესაა მეტისმეტად პირადი, ინდივიდუალური ქმედება. მე ასე არ ვფიქრობ. თუ მე ვწვდები სიღრმის ამ დონეს, შემიძლია საერთო სუბსტრატთან შეხება, ჩემს მკითხველებთან კომუნიკაცია, მაშინ კავშირი მყარდება, მაგრამ თუ არ ჩავდივარ საკმარისად ღრმად, არაფერი არ ხდება.

- თქვენს წიგნებში საქმე ყოველთვის ეხება რაიმე საზღვრის მიღმა გადასვლას, სხეულსა და სულს, სიცოცხლესა და სიკვდილს, რეალობასა და სხვა განზომილებას (პარალელური სამყარო, არაცნობიერი და ა.შ.) შორის. ზოგიერთი ცხოველი, როგორც ცხვარი ("ცხვარზე ნადირობა" და "დენს, დენს, დენს") ან მართორქა ამ საზღვრის გადალახვის სა-

შუალებას იძლევა. საიდან მოდიან ისინი?

- გიბასუბებთ ერთი მაგალითით. ვთქვათ, ადამიანი არის სახლი. პირველი სართული არის ის დონე, სადაც ცხოვრობთ, ამზადებთ სადილებს, ჭამთ, უყურებთ ტელევიზორს ოჯახთან ერთად. შემდეგ სართულზე გაქვთ თქვენი ოთახი. იქ კითხულობთ და გძინავთ. და აგრეთვე გაქვთ მიწისქვეშა სართულიც. ესაა სივრცე სიღრმეში, სადაც რაღაცებს ინახავთ ან თამაშებს აწყობთ, მაგრამ ამ სართულში არის იდუმალი სივრცეც, ადგილი, სადაც ჭირს შეღწევა იმიტიომ, რომ იქ საიდუმლო კარიდან შედიან. მისი პოვნა კი არაა ადვილი. მაგრამ თუ ბედი გაქვთ, შეგიძლიათ იმ კარის პოვნა და იმ ბნელ სივრცეში შესვლა. თქვენ არ იცით, რა არის შიგნით, არ იცნობთ არც ოთახის ფორმას, არც ზომებს. როცა აღწევთ ამ წყვიდადში, ზოგჯერ გეშინიათ, მაგრამ ზოგჯერ თავს ძალიან მოხერხებულად, ძალიან კარგადაც კი გრძნობთ. ბევრი უცნაური რამის ნახვა შეგიძლიათ; მაიმუნები, რაღაც გამოსახულებები, მეტაფიზიკური სიმბოლები წარმოდგენას მართავენ თქვენს თვალწინ. ისევე, როგორც სიზმარში: არაცნობიერი სამყაროს გარკვეული ფორმა. მაგრამ ადრე თუ გვიან უნდა დაუბრუნდეთ რეალურ სამყაროს. ჰოდა, თქვენც გამოდიხართ, კეტავთ კარს და ისევ ამოდიხართ ზევით. როცა ვწერ, ამ ბნელ, მისტერიულ სივრცეში ვიმყოფები, ვხედავ მრავალ უცნაურ ელემენტს, ხალხი ამბობს, რომ ყოველივე ეს სიმბოლური, მეტაფიზიკური, მეტაფორული ან სიურრეალისტურია. მაგრამ ჩემთვის ეს სივრცე არის ძალიან ბუნებრივი და წერაშიც ეს ელემენტები მესმარებიან. ავტორისთვის წერა იგივეა, რაც სიზმარი ცხადში. ნორმებს გარეშე გამოცდილება, რომელიც ყოველთვის ლოგიკით არ შეიცნობა.

- სექსიც სხვა განზომილებაში გადამყვან ხიდს ჰგავს... ესაა მიზეზი, რომლის გამოც მოგყავთ სექსუალური სცენები ("ზამბარინი ჩიტის ქრონიკები", "სპუტნიკის საყვარლები" და ა.შ.)?

- სავსებით. სექსი არის გასაღები. თქვენივე თავში შესასვლელად, არაცნობიერი ნაწილის შესამეცნებლად ძალიან მნიშვნელოვანია სიზმრები და სექსი. ხალხმა თქვა, რომ მეტისმეტად ბევრ სექსუალურ სცენას აღწერდი. "ზამბარინი ჩიტის ქრონიკებში" სექსუალური სცენების სიმძაფრე რამდენჯერმეა. ამისათვის გამაკრიტიკეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ მომენტების ჩართვა აუცილებელი იყო. ეს სცენები საშუალებას იძლევა, რომ გააღონ მკითხველებმა ის საიდუმლო კარი, რომლის შესახებაც გესაუბრებოდით. მე მათი გონების ამოძრავება, მათი შენჯღრევა მინდა, რათა თვითონვე ახადონ ფარდა თავიანთ იდუმალ ნაწილს. იქ კი რაღაც ხდება ჩემს და მათ შორის.

- თქვენ ცდილობთ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოთ საყოველთაო რწმენა და ღირებულებები, ყოველდღიური რეალობის ჩათვლით?

- ჩვენ გვწამს ცხოვრება შედარებით ჯანსაღ სამყაროში. მე ამ პერცეფციის, მსოფლხედვის არევე-დარევეს ვცდილობ. ზოგჯერ ქაოსში, სიგიჟეში, კოშმარში ვცხოვრობთ. მე მინდა, ჩავძირო მკითხველი სიურრეალისტურ სამყაროში, ძალადობის, შიშის, ჰალუსინაციების სამყაროში.

- ამავე დროს, თქვენი ნაწერები ატარებენ mono no aware-ს კვალს, ანუ "ნივთთა მტკიცეულ მელანქოლიას", ძვირფასს ტრადიციული იაპონური პოეზიისათვის...

- მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ერთ, გარკვეულ სამყაროში, ამ სამყაროში, მაგრამ ახლოს არსებობს სხვაც. თუ თქვენ ნამდვილად გასურთ, შეგიძლიათ გადახვიდეთ კედელს მიღმა და აღმოჩნდეთ სხვა განზომილებაში, რაღაც-რაღაცა საშუალებებით შესაძლებელია რეალობისგან თავის დაღწევა. სწორედ ამას ვცდილობ ჩემს ნივთებში. ვფიქრობ, რომ ესაა მეტისმეტად აღმოსავლური, მეტისმეტად აზიური კონცეფცია. იაპონიაში, ჩინეთში მიმაჩნიათ, რომ არსებობს ორი პარალელური სამყარო და საცალფეხო ხიდები, რომელთაც ერთიდან მეორეში ზედ-

მეტი სიძნელის გარეშე გადაჰყავხარ. სხვა ვითარებაა დასავლეთში, სადაც სააქაო სააქაოა, და საიქიო კი - საიქიო. მიჯნები მკაცრად და დედგენილი. გადასალახავად კედელი მეტისმეტად მალალი, მეტისმეტად მყარია. აზიურ კულტურაში კი სხვაგვარადაა საქმე და mono no aware, მე მგონი, სწორედ ამას გამოხატავს. ერთ-ერთ ჩემს რომანში ექვსი პერსონაჟია. სამი ინარჩუნებს სიცოცხლეს, სამი ქრება და სხვა სამყაროში გადადის - თავს იკლავს. სამი კი რჩებიან ამ სამყაროში, მაგრამ იციან, საბოლოოდ რამდენად არამყარია მათი მდგომარეობა. ეს mono no aware-ს ერთი გარკვეული ფორმაა. უცნაურია, მაგრამ როცა ეს რომანი, "ბალადა შეუძლებელზე" დავიწყე, იდეა, რომლის მიხედვითაც ექვსიდან სამი პერსონაჟი უნდა გამქრალიყო, უკვე მქონდა, თუმცა არ ვიცოდი, რომლები იქნებოდნენ ისინი. წერის დროს ჩემს თავს ვეკითხებოდი, ვის უნდა ეცოცხლა და ვინ უნდა მომკვდარიყო.

- სანამ დანერტ, არასდროს იცით, რაც უნდა მოხდეს?

- არასოდეს. ვარ ძალიან სპონტანური. თუ მეცოდინება ამბის დასასრული, მაშინ მისი დანერა არავითარ სიძნელეს აღარ შემიქმნის. მე ზუსტად იმის ცოდნა მინდა, რაც ეს-ესაა უნდა მოხდეს, მოვლენების, რომლებმაც ეს-ესაა უნდა იჩინონ თავი. ზოგიერთი ამბავი ფურცლიდან ფურცელზე არ წყვეტს განვითარებას და ესაა სწორედ ის სტილი, რა სტილითაც მინდოდა, რომ მენერა.


- "საზღვრის სამხრეთით, მზის დასავლეთით" ეხმინება "ბალადას შეუძლებელზე"?

- ორივე შემთხვევაში მინდოდა მელაპარაკა იმაზე, თუ რას განიცდიან, როცა საყვარელი ადამიანი იკარგება, ქრება. ადამიანი, სიყვარულით გაუმადლარი, რომელსაც ჰქონდა იმედები, სურვილები, მაგრამ გაუჩინარდა. მყავდა ბევრი ძვირფასი ადამიანი, რომლებიც შორ გზებზე დაიკარგნენ; ისინი ყოველთვის მაკლია. მინდოდა მენერა მათთვის. ეს იყო ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც შემძლო: მენერა მათზე. მათთვის. იმედზე,

რომელიც სადღაც ქრება, უმიზნობაზე, ყოველგვარი ორიენტირის დაკარგვაზე. ეს შეგრძნება უნდა ქცეულიყო ნიგნის მთავარ ძარღვად.

- კობეს მინისძვრა და შეტაკება ტოკიოს მეტროში ერთნაირად იყო თუ არა სათათ იმ "შეგრძნებისა", რომელმაც ერთი მხრივ მათზე წერის, მეორე მხრივ კი - იაპონიაში დაბრუნებისაკენ გიბიძგათ?

- დიას, გამოვდიოდი "ზამბარაიანი ჩიტის ქრონიკებიდან", რომელიც 1991-1994 წლებში დავწერე. სამი წელი მოვუნდი, რადგან ეს იყო ძალიან დიდი და ძალიან ამბიციური ნიგნი. პაუზა, რომელიც ძალების მოსაკრებად მჭირდებოდა, თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. სანამ ვისვენებდი, Aum-ის სექტა თავს დაესხა ტოკიოს მეტროს და დაახლოებით ორ თვეში კობეს მინისძვრაც მოხდა. ჩემთვის ეს დიდი შოკი იყო. იაპონია რამდენიმე წლის დატოვებული მქონდა, რადგან მოსაწყენ ქვეყნად ვთვლიდი და იქ არ გამაჩნდა წერისათვის საკმარისი სიმშვიდე. და ასე ვთქვათ, ჩემივე ნებით ვიყავი გადასახლებული შეერთებულ შტატებში, როცა ეს მოვლენები ტელევიზიით გადმოსცეს. მაშინ ვიგრძენი, რომ უნდა დავბრუნებულიყავი და რაღაც უნდა გამეკეთებინა ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი მკითხველებისთვის, ჩემი თანამემამულეებისთვის. ჰოდა, დავბრუნდი იაპონიაში, სადაც ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი შეტაკების მსხვერპლთ, ათეულობით და ათეულობით ადამიანს. მოვისმინე ამბები, რომლებსაც მანდობდნენ პირადად, პირისპირ. მთლიანად შეძრული ვიყავი. ესენი იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომელნიც მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ და დილით მეტროში ერთად გადიოდნენ თავიანთ ყოველდღიურ გზას... და შეძრული ვიყავი, როცა მათ მონაყოლს ვისმენდი. თუმცა ისინი საზოგადოების იმ ნაწილს ეკუთვნოდნენ, რომელსაც არაფრად ვაგებდი, ვერ ვიტანდი, მძაგდა. კონფორმიზმი, თავდაუზოგავი შრომა... მძულდა, ყოველთვის მძულდა ცხოვრების ასეთი წესი, მაგრამ თითოეული ადამიანის მონაყოლი, უბრალოდ სულისშემძვრელი იყო და



ვფიქრობ, რომ მათ მთლიანად შემცვალეს, როგორც ადამიანი და როგორც მწერალი. მერე გადავწყვიტე მინისძვრაზე დამეწერა. მე წარმოშობით კობეუდან ვარ, კობეა ჩემი მშობლიური ქალაქი. მინისძვრის დროს ჩემი მშობლების სახლიც დაინგრა. გადავწყვიტე არა ნონ-ფიქშენის, არამედ მოთხრობების კრებულის შექმნა. ამ თავდასხმის, შეტაკების თითოეული მსხვერპლის მოსმენის შემდეგ ჩემში იმდენი ხმა, იმდენი ამბავი დაგროვდა, უკვე აღარანაირ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, თავისუფლად მეწერა მოთხრობები საერთო თემაზე: "მინისძვრის შემდეგ", რაც ესება არა თვით მინისძვრას, არამედ მის შედეგებს, ამ კატასტროფის გამოძახილს სხვადასხვა პერსონაჟის ცხოვრებაში. ჩემთვის მთავარი იყო ეს მონათხრობი გადმომეცა, სწორედ ამის აუცილებლობასა და საჭიროებას ვგრძნობდი მაშინ.

- როცა იაპონიაში იყავით, პოპკულტურის გზით, ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობით მისგან თავის დაღწევა გინდოდათ. შეერთებულ შტატებში კი, ერთ მშვენიერ დღეს, იგრძენით სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობა...

- ეს იყო არა რაიმეს შეცნობის, არამედ უფრო როგორც რომანისტი და როგორც კაცის პასუხისმგებლობის საკითხი. ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, როგორც მწერალს. ამას ხელი ჩემმა ასაკმა და ზრდასრულობამ შეუწყო.

- ამავე საპასუხისმგებლო საზრუნავმა ხომ არ გაიძულათ, რომ "ზამბარიანი

ჩიტის ქრონიკებში" ის დანაშაულებანი და საშინელებანი გადმოგეცათ, რაც მეორე მსოფლიო ომმა გამოიწვია ჩინეთში?

- მე 1949 წელს, ომის შემდეგ დავიბადე. ზოგიერთები ამბობენ: "პასუხს არ ვაგებთ, ჩვენ ამ ყველაფრის შემდეგ დავიბადეთო". მე ასე არ ვფიქრობ. იმიტომ, რომ ისტორია არის კოლექტიური მესხიერება. ჩვენ ვაგებთ პასუხს ჩვენი მამების თაობაზეც, რადგან ვინაწილებთ იმ მესხიერებას, რაც მათ შექმნეს. ჩვენ ვაგებთ პასუხს იმაზე, რასაც ჩვენი მამები ომის განმავლობაში სწადიოდნენ. ამ მიზეზმა მიიძულა მთელ ამ სისასტიკეზე წერა. საჭიროა, ეს ყველაფერი თავიდან გავიზიაროთ და ჩვენში შევიწახოთ.

- და ახლა იაპონიაში ცხოვრობთ? აღარ გაქვთ ხელახალი გამგზავრების სურვილი?

- წლების მანძილზე სულ იაპონიის გარეთ ვცხოვრობდი, იტალიაში, საბერძნეთში და ძირითადად შეერთებულ შტატებში, რადგან უმთავრესად ამერიკის უნივერსიტეტებიდან მქონდა მიწვევები. მაგრამ მართალი რომ ვთქვა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ყოველთვის ვერ ვგრძნობ თავს თავისუფლად. მათ ჰყავთ თავიანთი, საკუთარი ჯგუფები და თავიანთი, საკუთარი star-ები. მათთან ვერ ვგრძნობ თავს მიანცდამაინც კარგად. ასე რომ, დღეისათვის იაპონიაში ვრჩები. უფრო ძლიერი და უფრო მტკიცე გავხდი, ვიდრე სხვა დროს და ვახერხებ, ჩემივე თავში დავიცვა ჩემი, საკუთარი სამყარო, თუმცა ვცხოვრობ ტოკიოში. გამოვიმუშავე ჩემი სტილი და არსებობის წესი. დღესდღეობით ჩემთვის ტოკიოში უფრო ადვილია ჩემებურად ცხოვრება, ვიდრე სხვაგან, მოგზაურობას კი ისევ ვაგრძელებ.

- თქვენს ნიგნებში არის ერთი აკვიატებული მოტივი: კატები. "ცხვარზე ნადირობა": პერსონაჟი თანახმაა აწარმოოს ძიება მხოლოდ ერთი პირობით, თუ მის კატაზე იზრუნებენ, "ზამბარიანი ჩიტის ქრონიკები": გმირი სანამ ცოლს დაკარგავს, კარგავს კატას, "საზღვრის სამხრე-

თით, მზის დასავლეთით“ ორ მთავარ პერსონაჟს კატების სიყვარული აერთიანებს...

- ჰაჯიმივიო დედისერთა ვიყავი. მშობლებთან ერთად მარტო ვცხოვრობდი და სახლში ცალკე მქონდა მონყობილი ჩემი სამყარო. იგი სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგებოდა: მუსიკა, წიგნები და კატები. მათ ეყრდნობოდა ჩემი სამყარო. მათ ვეთაყვანებოდი და დღემდე ვეთაყვანები. ყოველთვის განსაკუთრებულ სიყვარულს განვიცდიდი კატების მიმართ. დღეს კატები აღარ მყავს, რადგან მე და ჩემი მეუღლე ბევრს ვმოგზაურობთ და მათზე ზრუნვისთვის დრო აღარ მრჩება. მაგრამ როცა ქუჩაში ან პარკში ვხვდავ კატებს, ყოველთვის მივდივარ მათთან და ვეფერები. ისინი მშვიდები, მისტერიულები არიან. აი, რატომ ვწერ მათზე.

- თქვენი წიგნები ბევრ რამეს თქვენი გემოვნებისგან, მიდრეკილებებისგან, საყვარელი ნივთებისგან სესხულობენ. ეს ხომ არაა მიზეზი, ასე ხშირად რომ წერთ პირველ პირში?

- დიას, მაგრამ სტილი შევიცვალე. თავიდან ყველაფერს პირველ პირში ვწერდი, პერსონაჟებისათვის სახელის დარქმევაც კი არ შემეძლო... ასე გრძელდებოდა ექვსი წლის მანძილზე. მერე შევცვალე: “მინისფრის შემდეგ“ იყო პირველად, როცა არც ერთ მოთხრობაში არ გამომიყენებია პირველი პირი. და ჩემი ბოლო წიგნის Kafka on the shore-ის ნახევარი მესამე პირშია დაწერილი. მოგვიანებით იქ გვხვდება ერთი მოხუცი კაცი... რომელსაც შეუძლია კატებთან ლაპარაკი (იცინის).

- ერთი-ორი სიტყვით, რას იტყვით “Kafka on the shore“-ის შესახებ?

- ესაა ამბავი ერთი თხუთმეტი წლის ახალგაზრდაზე. ჩემთვის ერთგვარი გამოწვევაა. ჩემი პერსონაჟების უმრავლესობა ოცი-ოცდაათი წლისანი არიან. ახლამეთქი - ვიფიქრე - ოცდაათის ავირჩიო თუ ახალგაზრდა? მეორე ვარიანტზე შევჩერდი. საოცარი იყო ახალგაზრდა ბიჭზე წერა. შექმნილი, დაგვრუნებულიყავი იმ დროში, როცა

მე თვითონ ვიყავი თხუთმეტის. ჩემს ხელთ იყო იმ დღეების ძალიან ცხადი, ძალიან ნათელი მოგონებები, მეორე მხრივ, წიგნის სივრცე, სადაც სამყაროს მოზარდის თვალთ დავეხუწე ყურება. აი, რა არის მწერლობაში ყველაზე საოცარი: თუ თქვენ რაღაც ნამდვილად გინდათ, შეგიძლიათ იყოთ ის, რაც გინდათ. და თუ მე მართლაც თავიდან გამოვცდიდი იმას, რასაც თხუთმეტი წლის ასაკში გრძნობენ, მკითხველიც შეძლებდა ამის განცდას, ამ შეგრძნების ჩემთან ერთად გაზიარებას. ესაა ყველაზე დიდი საჩუქარი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ თქვენთვის წიგნებს. ესაა ის, რაც ცხოვრებას მიაღვივებს. ჩვენი არსებობა ზოგჯერ ძალიან იზოლირებულია, მაგრამ წიგნების წყალობით აღარ ვართ მარტო. შეგვიძლია გული გულს, გონება - გონებას დავეუკავშიროთ. ამას ყოველთვის ვერ ვაღწევთ, მაგრამ თუ მოხერხდა, ესაა ერთადერთი შესაძლებლობა.

- თქვენი ნათქვამი ძალიან ჰგავს თქვენივე წიგნის “სპუტნიკის საყვარლების“ ერთ-ერთ ეპიზოდს, როცა ერთი პერსონაჟი ხსნის, რომ “სპუტნიკი“ “თანამგზავრს“ ნიშნავს, მექანიზმს, სპუტნიკს, განწირულს ბრუნვისათვის თავის ორბიტაზე, დედამიწის გარშემო, ოდესმე მასთან მიახლოების შესაძლებლობის გარეშე...

- ჩვენი გზები ყოველთვის ერთმანეთს გვერდით გადის. შეგვიძლია გაეფუტოთ ერთმანეთს, მაგრამ, ჩვეულებრივ, დისტანციები იწელება, ერთმანეთს ვხვდებით და ვშორდებით და ვაგრძელებთ გზას, ვაგრძელებთ ცხოვრებას ძვირფას შეხვედრებზე მოგონებებით. როგორც ორი სპუტნიკი, სივრცეში თავის ტრანეპტორიას გადავნივთ, ერთმანეთს ვხვებით, ვუახლოვდებით, ვუერთდებით, მერე ვშორდებით და მიგვაქვს სლოენა იმისა, რაც გავეცით, ვინც გვათბობდა და გვანუგეშებდა. მთავარი აქ ესაა. ამისთვის არსებობენ კარგი წიგნები და კარგი ისტორიები. Kafka on the shore-ის შემდეგ ინტერნეტში საიტი გაეხსენი. 6000 e-mail-ი მივიღე და ყველა წავიკითხე. ვუპასუხე

1000-ს. ყოველდღე ვმუშაობდი მათ პასუხებზე. ეს იყო ძალიან მიმზიდველი, თან ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩემს მკითხველებთან უშუალოდ შემქმლო შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლა. ეს ყველაფერი, უბრალოდ, ფანტასტიკური იყო. უკვე შემქმლო, გარკვეული აზრი მქონოდა მათზე, ვინ იყვნენ, რას გრძნობდნენ, რას ფიქრობდნენ. მე არ ვკითხულობ, არ ვენდობი კრიტიკას, მე ვენდობი ჩემს მკითხველებს. Kafka on the shore-ის 300.000 ეგზემპლარი გაიყიდა, მაგრამ იაპონიაში რიცხვი არაფერს ნიშნავს. მასხადამე, ჩემთვის მთავარი ეს საიტი იყო. ჩემი მკითხველების ნყალობით თავი მყარად ვიგრძენი. ზოგიერთები აკრიტიკებდნენ ჩემს წიგნს, ამბობდნენ, რომ იმედი გაუტრუყვდათ, მაგრამ ეს კი არაა აქ მნიშვნელოვანი, მშვენივრად ვიცი, რომ შეუძლებელია ყველას მოთხოვნილება დააკმაყოფილო, არამედ საოცარი სწორედ ისაა, მათ რომ მისწვდები და ხელით შეეხები. ინტერნეტი ჩემთვის ნამდვილად იდეალური მედიაა, ესაა ანტიკური ათენის მსგავსი პირდაპირი დემოკრატია. შესაძლებელია პირისპირ, უშუალოდ საუბარი მაშინვე და ყოველგვარი სიძნელის გარეშე. თუმცა ამას იმდენად დიდი დრო მიაქვს, რომ იძულებული ვიყავი, საიტი დამეხურა.

- "სპუტნიკის საყვარლები" თქვენი მთავარი გავლენების, სიყვარულის ისტორიისა და ფანტასტიკური განზომილების ერთგვარი შერწყმა?

- ამ კუთხით არასდროს მიფიქრია. გადაწყვიტე დამეწერა სიყვარულის სამკუთხედზე, ოღონდ კლასიკური სქემისგან გადახვევით, რადგან ჩემს სამკუთხედში ლესბოსური ურთიერთობაა ჩართული. ესაა გმირის სუსტი წერტილი. იგი ყველა ორი ქალის ამბავს და რაც ხდება, იმის ცქერით კმაყოფილდება. ლესბოსელების შესახებ არაფერი ვიციოდი და ყველაფერი მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ვიციოდი, რაც ხდებოდა ორ ქალს შორის. "სპუტნიკის საყვარლები" მკვდრად-შობილ, დასაწყისშივე განწირულ სიყვარულებზე გვიამბობს. ეს ჩემი უსაყვარლესი

წიგნია, მაგრამ არ ვიცი, რატომ...

- და ახლა რაზე მუშაობთ?

- არაფერზე, პაუზა მაქვს. გუშინ კაზუო იმიჯურო შემხვდა და მითხრა, წიგნის წერას სამ წელს ვანდომებ, მერე ერთი წელი ვწერ-დები ტურნეებისათვის, პრესასთან შეხვედრებისთვის, უცხოეთში წასასვლელად. ამ შემოდგომით ისევ შეეუდგები მუშაობას. წერა ბევრ ძალას და ენერჯიას მოითხოვს. სამუშაოდ დილის ოთხ საათზე ვდგები და ცხრა საათამდე ვწერ. ხუთი საათის შემდეგ ვარ ძალიან კონცენტრირებული და სრულიად გამოფიტული. დანარჩენ დროს ძირითადად სპორტს ვანდომებ, ვცურავ, დავრბივარ... ესაა ყოველდღიური რიტმი, დისციპლინა, რომელიც ჩემს თავს დაუუნესე. წერისათვის იკონებენ და ადგენენ თავიანთ, საკუთარ წესებს, რომელსაც გაფრთხილება უნდა. წიგნის ბოლოს მე ცარიელი ვარ, აღარაფერი მამადია.

- ამჯერად ლონდონში ჟურნალისტებთან შესახვედრად მიემგზავრებით?

- დიახ. ესეც ძალიან დამოლეულია, მაგრამ სხვა თვალსაზრისით. არ მიყვარს ინტერვიუები, თავს ვერ ვგრძნობ თავისუფლად. ჩემი საქმე წერაა და არა ლაპარაკი. ზოგჯერ არც ისე ადვილია შეგრძნებების ახსნა, როგორ ვწერ, რისი დანერა მინდა და რატომ ვწერ. ეს ყველაფერი ინსტინქტურად ვიცი, როცა ვწერ, მაგრამ როცა ამის ახსნას ვცდილობ, მეჩვენება, რომ ვლაპარაკობ იმაზე, რაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

Magazine litteraire
 №421, 2003 წ. ივნისი


ფრანგულიდან თარგმნა
 ნათია ნაცვლიძე



რობერტ სტურუას ირგვლივ მყოფებს, როგორც ეს ბევრ მათგანს არაერთხელ უთქვამს კიდევ, ისეთი გრძნობა ეუფლებათ, რომ რეჟისორის ყურადღების არე ჩვეულებრივზე უფრო ფართოა და რომ იგი გარემომცველთა ემოციურ იმპულსებსა და აზრებს ძალდაუტანებლად “კითხულობს”. ეს განცდა ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციებშიც ჩნდება, მარტივი, სადა, ყოველდღიური ურთიერთობების დროს. შესაძლოა, ეს მხოლოდ ილუზიაა, “მითი”, მაგრამ მისი არსებობა უკვე საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიას ითვლის. შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორი ზემოქმედობიანე “კომუნეკატორია” და არავერბალური და “არაპირდაპირი” “დისკურსის” თვისებითაც არის დაჯილდოებული. სპექტაკლის ემოციური ველის დახასიათებისას, ის ხშირად ამბობს, რომ ყოველივე რაღაც ერთიან გარემოშია “ჩაძირული”, “ჩაფლული”. მის სპექტაკლებშიც, თანდათან, როგორც თემატურად, ისე “ტექნიკურადაც” უნივერსალური კომუნეკაციის თემა იკვეთება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მის ბოლო ნამუშევრებში ხდება მკაფიოდ საცნაური, ხოლო თეატრი, როგორც ფენომენი, ასეთი კომუნეკაციის განხორციელების საშუალებად წარმოგვიდგება. აქცენტი თანდასწრების, ერთობლივი ეგზისტენციის განცდის ეფექტზე კეთდება, რომელიც თავის თავში “ისრუტავს” ყველაფერს - ამბავს (მითს), სიტყვას, ხმოვანებას, “სამზერსა” და “სახილველს” და კიდევ ყველაფერს იმას, რაც წარმოდგენის ამ კომპონენტთა მიღმა იმალება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 2003 წლის შემოდგომაზე სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში გია ყანჩელის მიერ ალტისა და გუნდისათვის შექმნილი ნაწარმოების - “სტიქის” მიხედვით დადგმული სპექტაკლი. “სტიქის” სიუჟეტური “ხაზის” ამოკითხვა მხოლოდ მის სახელწოდებასთან დეკავშირებულ ასოციაციათა საშუალებით არის შესაძლებელი. აქ არ არსებობს ამბავი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არც მიზანსცენათა თვალსაჩინოდ ლოგიკური რიგი, არც მკაფიო მეტაფორათა მიერ მოთხრობილი “პარალელური” ისტორია. თავად სცენური მოქმედების ცნებაც უცნაურ მოდიფიკაციას განიცდის, და რა თქმა უნდა, აქ არც ტექსტია და არც აქტიორის მიერ თქმული სიტყვა ჟღერს, მხოლოდ უჩინარი მომლერალი ქოროს მიერ მოხმობილ “უსულთა” სახელები და ნაწყვეტ-ნაწყვეტად “ამოძახილი” სიტყვები ისმის მუსიკის ერთიან ხმოვანებაში.

“ილირიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე...”



- ბ-ნო რობერტ, მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში “სტიქის” შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში სპექტაკლს “უცნაოცეკვა” უწოდებს. “სტიქსს” არც ლიტერატურული საფუძველი აქვს, მაგრამ, ამასთან, ის ძალზე “მეტყველია”. რამდენად არის შესაძებელი “უსიტყვო სიტყვის” არსებობა?

- ვფიქრობ, რომ თვითონ ლიტერატურული სიტყვაც, სიტყვა ლიტერატურაში მხოლოდ რაღაც ფარია, რომლის მიღმაც დგას ნამდვილი სიტყვა. “მეფე ლირში” შექსპირი ამბობს, სიტყვებს ყურით კი არა, თვალით უნდა უსმინო. ეს სიმართლეს გავს.

- ვისი სიტყვებია?
 - ლირის, და ის დაბრმავებულ გლოსტერს მიმართავს.

- მეოცე საუკუნის ბევრი რეჟისორი წმინდა თეატრს “ეძებდა”, თეატრის განწმენდის, თეატრის, როგორც წმინდა ხელოვნების საფუძვლების კვლევის სურვილი ამოძრავებდა. სხვებისათვის თეატრი ერთგვარი სინთეტური თუ სინ-

თეზური ფენომენი, რამდენიმე ხელოვნების "კომბინაცია" იყო...

- ასეთი ძიებები არასოდეს წაიშლება. არა მგონია, რომ ის ფორმები, "სტიქსში" რომ მივმართეთ, ადრე არ არსებულყო. იყო პანტომიმაც. მეტყვამეტე საუკუნეში ფრანგმა მიმომბა თავისი ხელოვნება ისეთ სიმაღლეზე აიყვანეს, რომ ნამდვილი სპექტაკლების თამაში შეძლეს. უსიტყვო თეატრი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს... მეტყვაც ვიტყვი, მე მგონია რომ ბერძნული თეატრიც "უსიტყვო" იყო. მიუხედავად იმისა, რომ იქ ასეთი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას და ის აზრსაც ატარებს, გრძობასაც და სიუჟეტსაც, სიუჟეტი "მიყავს". მაგრამ მე თითქმის შეუძლებლად მიჩვენება, რომ ბერძნულ თეატრში "რეალურად" ელაპარაკათ. ისინი მღეროდნენ, ხოლო სიტყვას და მის უღერადობას უფრო რიტუალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე "ინფორმაციული".. სამჯერ მომინია ანტიკური თეატრების სცენაზე სპექტაკლების დადგმა - ორჯერ ეპიდავროსში და ერთხელ იროდიუმში, საბერძნეთის უდიდეს თეატრში, რომელიც აკროპოლისზე მდებარეობდა და სადაც, თავის დროზე 32 ათასი მაყურებელი ეტოდა. ესლა, განიადელი რესტავრაციის შემდეგ, ამდენი აღარ ეტევა. ჰოდა, იქ, სიტყვა, პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ის მაყურებლამდე ვერც კი მიაღწევდა. ისევე, როგორც ცნობილი თეატრალური ნიღბის გარეშე მაყურებელი ვერც სახეების დანახვას შეძლებდა. უზარმაზარი სივრცე იყო. ამას გარდა, ისინი დღის სინათლეზე თამაშობდნენ. ეს განსაკუთრებით მაოცებს. როდესაც ღამე ვთამაშობთ, ხელოვნური განათების პირობებში, ეს თავისებურ "მისტიკას" აძლევს მოქმედებას, გვეხმარება, მსახიობიც კარგად ჩანს. დღისით თამაში, მით უფრო იმ პაპანაქება სიცხეში, წარმოუდგენლად მიჩვენება. ამიტომაც მგონია, რომ, შესაძლოა, მათ განათების ჩვენთვის უცნობი სისტემა ჰქონოდათ, ისევე, როგორც ეგვიპტელ მხატვრებს პირამიდების ბნელი ტალანების მოხატვისას. ჩვენ რეპეტიციებს მხოლოდ მზის ჩახვლის შემდეგ ვინწყებით - 7-8 საათზე. დღისით თამაში შეუძლებელი იყო.

- თუ არ არის სიტყვა, მიმიკა, ფესტი,

როგორღა ხორციელდება კომუნიკაცია...

- ცნობილია, რომ სარა ბერნარი, რამოდენიმე წუთის განმავლობაში, მაყურებელთან ზურგშექცევით იჯდა ხოლმე თეატრის ისტორიაში ლეგენდებია ამ "ზურგის" შესახებ. და მე მიჩვენება, რომ ჩვენ უკვე მივედით განვითარების იმ რაღაც საფეხურამდე, როდესაც მსახიობის აზროვნებაც კი "გვესმის". მსახიობს ხშირად ემინია, რომ თუ მისი ფიქრი მიმიკითა და მოძრაობით არ არის გაყარებული, ის მაყურებლისათვის გაუგებარი დარჩება. უცნაურია, მაგრამ მე (ალბათ ეს პრაქტიკამ გამოიმუშავა) მესმის, რას ფიქრობს მსახიობი, თუკი ის საერთოდ ფიქრობს. საქმე იმაშია, რომ მსახიობები ხშირად საერთოდ არ ფიქრობენ, უბრალოდ მექანიკურად იმორებენ სიტყვებს და სიტყვა არის მათთვის ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება. ხშირად ვუბნები მსახიობს, რომ არ სჭირდება არავითარი მიმიკა, ნუ ფიქრობს ნურავითარ ლოგიკურ ამოცანაზე. პირველად ეს გავაკეთე, როდესაც შენ ტე სეზუანელში საკუთარი ნებით მიყვება მდიდარ დალაქს ცოლად, იმიტომ რომ "თავისი" ღარიბების სარჩენი ფული სჭირდება. თუ მფრინავს გაცემა, ის ხალხი, ვისი არსებობაც მასზეა დამოკიდებული, დაილუბება. ამიტომაც გადაწყვეტს, რომ შესწიროს მათ თავი და გაცემა კაცს, რომელიც არ უყვარს. თუმცა, ბოლო წუთს აზრს შეიცვლის. სპექტაკლში შენ ტეს შუ ფუსგან წასვლის სცენა ასეთი იყო: ქორწილი უკვე შედგა და ახალდაქორწინებულები ტაძრიდან ბრუნდებიან (მოქმედება მითიურ მოგონილ ჩინეთში ვითარდებოდა). ამ დროს შემოდის მფრინავი იანგ ზუნი, რომელმაც იცის რომ შენ ტეს იგი უყვარს და ეუბნება ნამომყვო. ვის მიყვები, შენ ხომ საკუთარ სასაკუთარე მიდიხარ, მე კი მიყვარხარო. და მე ელთხარი შენ ტეს: აი, აქ ნურაფერზე ნუ ფიქრობ. ბოდიში მოუხადე დალაქ შუ ფუსს, უბრალოდ, ისე, თითქოს მხოლოდ ფეხი დააბიჯე და ამისათვის ებოდიშები. დამნაშავედაც იგრძენი თავი, ასე რომ მოიქეცი. მიყვარს და მიგვივარ. ძალიან უბრალოდ. შენ ტე უეცრად "ხვდება", რომ თუ ბედნიერებას შეეღვევა, სიკეთის კეთებასაც ვეღარ შეძლებს, გაბოროტდება.

- რა არის ის, რამაც ლოგიკური ამოცანის, შინაგანი მონოლოგის კომპენსაცია უნდა გააკეთოს, "მხატვრული ინფორმაციის" გამტარად იქცეს. ესე იგი, არსებობს რაღაც ველი... ამასთან დაკავშირებით ექსპრესიონიზმი მახსენდება. რობაქიძე განმარტავს, რომ ექსპრესიონიზმი არის სიცოცხლე აბსოლუტურში. მე ასე მესმის, რომ, პრაქტიკულად, სანამ სპექტაკლი ან რაიმე სხვა მხატვრული მოვლენა დაიბადება, იქმნება მთელი უნივერსუმი თავისი ინდივიდუალური კანონებითა და კანონზომიერებებით და უკვე ამ უნივერსუმში ისახება რაღაც კონკრეტული ქმედება... არსებობს რაღაც უსიტყვო საკომუნიკაციო გარემო, ატმოსფერო, რომელშიც ეს ადამიანები არსებობენ და ერთმანეთისა ესმით.

- მე გგონია, რომ ეს ის ველია, რომელსაც მსახიობიც გრძნობს და მაყურებელიც, რომელიც იბადება მაშინ, როდესაც მსახიობი გამოვა სცენაზე და მთელი დარბაზი ჩუმდება, რაღაც უცნაური კავშირი მყარდება. მსახიობი შეიძლება რაღაცას ძალიან ბანალურს ამბობდეს. მის სიტყვებში არაფერი იყოს ისეთი, რითიც რვაასი კაცის გაჩერება შესაძლებელი. სინამდვილეში, ეს რვაასი კაცი იმ პროცესებს აკვირდება, რომლებიც მსახიობის "შიგნით" მიმდინარეობს. ამიტომ მსახიობები ტელეპატები და გიპნოზიტორები არიან, უნდა იყვნენ, ყოველ შემთხვევაში. ცხოვრებაშიც ყოფილა, რომ, მაგალითად, შევდივართ კაფეში და, რატომღაც რაღაც გვანუსებს, არ გვახვენებს, გავიხედავთ და ვხედავთ, რომ ვიღაც ზის კუთხეში მარტო და ყურადღების ცენტრი მასზეა კონცენტრირებული, მიუხედავად იმისა, რომ ის ამისათვის არაფერს აკეთებს. ან მანქანაში ზისარ და უკან სხედან ქალი და კაცი. აბსოლუტური სიჩუმეა, მაგრამ შენ გრძნობ, რომ რაღაცა ხდება. შეიძლება არც არაფერი ხდებოდეს, მაგრამ მათ შორის არსებულ დაძაბულობას ზურგით გრძნობ. ანდა, როდესაც სუფრას შეყვარებულები უსხედან - ერთი ერთ მხარეს და მეორე მეორე მხარეს და მთელი სუფრა მათ შორის გაბმულ ველში არის "ჩაფლული". ყველა გრძნობს, რომ ეს ორი ადამიანი, რომელიც

თითქოს არც უყურებს ერთმანეთს, რაღაც დიდი ვნებით არის დამუხტული. როდესაც მსახიობი კარგად თამაშობს, ის მთელ ყურადღებას თავის თავზე იკრებს. ამიტომ არ უყვართ მსახიობებს, როდესაც ამ მდგომარეობას რაიმე დაარღვევს. "კავკასიური ცარცის წრის" ბოლო სასამართლოს სცენაში, როდესაც კარლო საკანდელიძე და ლამპირა ჩხეიძე შემოდოდნენ (ისინი მოხუც ცოლ-ქმარს თამაშობდნენ, რომლებმაც გაყრა გადაწყვიტეს), მელოდრამას ამ საკმაოდ ცრემლიანი ფარსით ვარღვევდა, მაღალი ფარსით. მოფაფავლებული მოხუცები გაჩერებას ვერ ახერხებდნენ, ლამის საორკესტრო ორმოში ჩაცვნილიყვნენ, მხოლოდ დამსწრეების დახმარებით ხდებოდა მათი "გადარჩენა" შესაძლებელი. ეს "შემოჭრილი" სცენა კარგა ხანს გრძელდებოდა. რამაზს, რომლის აზღაქისათვის, ამასობაში, მთავარი მომენტი დგებოდა, მომენტი, როდესაც მას გრუსუსათვის უნდა მოესმინა და მიხვდარიყო, ეგრძელ, თუ რატომ სურდა ქალს ასე ძლიერ ბავშვის თავისთან დატოვება, თუმცა მდიდარსა და გავლენიან მშობლებს მისთვის, ერთი შეხედვით, ბევრად მეტის მიცემა შეეძლოთ, ჩართული სცენით გამოწვეული გახანგრძლივებული სიცილი ძალიან აღიზიანებდა. ეჩვენებოდა, რომ ის ხლეჩდა, წყვეტდა იმ ძაფებს, რომლებიც მასა და მაყურებელს შორის იყო გაბმული. მაგრამ, სინამდვილეში, პირიქით ხდებოდა, სიცილი კიდევ უფრო აძლიერებდა და აწყარებდა ამ კავშირს, რადგან, მართალია, სხვა ემოციის სფეროში გადაყავდა მაყურებელი, მაგრამ ამით მხოლოდ აცოცხლებდა, აახლებდა და აფაქიზებდა მის გრძნობებს. როგორც ეს ღვინის დეგუსტაციაზე ხდება, სადაც ღვინის სინჯებს შორის ყველი უნდა შეჭამო, რათა წინა გემოსაგან გაათავისუფლდე და ახლის გასახიზად მოემზადო, უკეთ რომ გაუგო მომდევნო ღვინის გემო. ცოტა ხნის წინ, მოსკოვში ყოფიანსას, სუნამოების მინლაზაში შევედი, ცოლისთვის მინდოდა სუნამოს ყიდვა, ერთი დავწნოვ, მეორე და ბოლოს გარჩევის უნარი დავკარგე. გამყიდველმა გოგონებმა ყავის მარცვალი მომიტანეს და დალექეო, მითხრეს. მართლაც, დავლექე და აღმიდგა სუნის შეგრძნების უნარი. შესაძლოა,

თემას გადაუხვებ, მაგრამ ესეც ატმოსფეროს შექმნის ოსტატობას, ადამიანის გრძნობისა და აღქმის გამძაფრებას შეეხება. სერგო მიყვებოდა, ზაქარიაძე: - მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ვიყავი და კაცური თვისებები მქონდა, სილამაზით არ გამოვიჩინე. დაახლოებით სეთი-ექვსი წელი დასჭირდა თურმე იმისათვის, რომ მაყურებელი მის გარეგნობას შეჩვეოდა და როლის ნებისმიერი პირობა მიველო. - მუდმივი ბრძოლა მიწვედა, სულ ვამბობდი შინაგანად, - მე მაყურებ, მე ლამაზი ვარ, - ასეთი შინაგანი განწყობით გამოვდიოდი და ვმოქმედებდი სცენაზე-ო, და შემდეგ ეს "საბრძოლო" განწყობა მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა-ო. სულ დაძაბული, დამუხტული იყო სცენაზე. არასოდეს ყოფილა მშვიდი. მისი ყველა სახე ნერვული დაძაბულობის მაქსიმუმს აღწევდა. - და როცა სცენაზე გამოსული ამ სიჩუმეს ვიგრძნობ, საოცარი ძალა მეძლევა, ვიცი, რომ მაყურებელი ხელში მყავს და შემძლია პაუზა იმდენ ხანს გაეჭიმო, რამდენ ხანსაც მინდა, შემძლია ის ვაკეთო, რაც მინდა და ეს ჩემთვის უბედნიერესი წუთებია, - ამბობდა ის. სწორედ ამ გრძნობის გამო გვიყვარს სინამდვილეში თეატრი, როდესაც მაყურებელი და მსახიობი ერთ ტალღაზე არიან და უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. ერთმანეთის გრძნობას, აზრს...

- ერთხელ ინტერვიუში თქვით, რომ რუსთაველის თეატრს თვითგანახლების უნარი აქვს. და ეს ერის ერთიანი ძალისხმევის შედეგია, რადგან სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ეს თეატრიო. რამ განაპირობა თეატრთან მიმართებაში ასეთი ძალისხმევის მოკრება, რა ყინი იყო ეს? კი, ენის აღდგენა, ყველაფერი, რაც დეკლარირებული იყო, მაგრამ რატომ იყო მაინც თეატრის შექმნის ასეთი სასიცოცხლო აუცილებლობა? იქნებ ეს რიტუალის არაცნობიერ საჭიროებას უკავშირდებოდა, რომელიც კულტურის თვითორგანიზებას ახდენს? რა არის თეატრი, ბოლოს და ბოლოს, თავად არის მიზანი, თუ რაღაც სხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა?


- მე მგონია, რომ, რაღაც თვალსაზრისით, საქართველოში თეატრი უფრო მეტადაც კი

არის აუცილებელი, ვიდრე მხატვრობა (შეიძლება ესღა რაღაც კრამოლურს ვამბობ), შესაძლოა, ვიდრე მწერლობაც კი. ამას, ალბათ, მუსიკაზე ვერ ვიტყვი, მეჩვენება, რომ მუსიკა, სიმღერა, თვითონ სიმღერის აქტი ძალიან ახლოს არის თეატრთან. ვოკალური შესრულებისას ან ერთი ადამიანი მღერის, ამ რამდენიმე, პოლიფონიური სიმღერაც თავისი ბუნებით ძალიან თეატრალურია, მარტო გურული სიმღერები რად ღირს. დრამატული თეატრი კი აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრებაც ჩაფლულია რაღაც თეატრში, და ჩვენ გვჭირდება ვნახოთ, რა დოზით ვატყუებთ საკუთარ თავს. თეატრმა კი მაყურებელს აუცილებლად სიმართლე უნდა უთხრას. ცხოვრებაში თეატრის საშუალებით თავსაც ვიტყუებთ და სხვასაც ვატყუებთ ან მასიური "სიცრუის" ატმოსფეროს ვქმნით. ავიღოთ თუნდაც ჩვენი სუფრა, სადაც მტრები ეუბნებიან ერთმანეთს სასიყვარულო სიტყვებს, არცერთს არ სჯერა, მაგრამ ამავე დროს, იმ მომენტში მაინც ორივეს სჯერა, და იქმნება ილუზია, რომ ისინი შეიძლება შერიგდნენ და ხვალ მტრები აღარ იყვნენ, მაგრამ ეს წმინდა ილუზიაა, იმიტომ რომ ისინი ხვალაც აგრძელებენ მტრობას. ხოლო თეატრი კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ქართველმა კაცმა ცხოვრების ამ მისთვის უსაყვარლეს ფანრსა და სტილში გაიგოს სიმართლე. მისთვის ეს უნდა იყოს დარტყმა. რადგან მაყურებელმა თეატრში ნახოს უფერული, მოსაწყენი, მიმალული ვნებანი, ეს მას არაფერს მისცემს. ძალიან ძლიერი უნდა იყოს თეატრი. აი, ეს-ლა "ჰამლეტის" მეორე ვერსიაზე ვმუშაობთ, რომელიც ბევრად უფრო გამძაფრებულია, შოკური, ზაზამ თვითონ შემოთავაზა, რომ ჰამლეტი შიშველი და სველი შემოსულიყო (ბ-ნ რობერტს კლავდიუსის მიერ ჰამლეტის "დაკითხვის" სცენა აქვს მხედველობაში, რომელიც სპექტაკლის მეორე "რედაქციაში" შევიდა). მეც ავყვი და გავამძაფრეთ სცენები, იმიტომ რომ ჩვენს სცენაზე აუცილებელია იყოს ჩვენივე ცხოვრება, მაგრამ კიდევ უფრო მძაფრ მდგომარეობაში, მაშინ შენ საშუალება გექლევა, რომ, ჯერ ერთი, გაიგო რა არის სამყარო, რა კანონები ამოძრავებს მას და მერე საკუთარ თავზეც იფიქრო და მიხვდე,

რომ შენ უფერულ ცხოვრებასაც, სინამდვილეში, იგივე ემოციური დატვირთვა და შინაარსი აქვს. რაც შეეხება რიტუალს, პირდაპირი მნიშვნელობით ვერ ვიტყვოდი, მაგრამ რაღაც რიტუალური ამაში არის; შენ მოდიხარ თეატრში იმისათვის, რომ განინმინდო, ანდა რაღაც გაიგო და წახვიდე ცოტა განახლებული, თუნდაც მხოლოდ რამდენიმე საათით. იმის ილუზია, რომ სამუდამოდ შეიცვლები, რა თქმა უნდა, არ უნდა გქონდეს. აღსარების შემდეგ მოდიხარ და ფიქრობ, რომ ხვალიდან აღარ შესცოდავ, მაგრამ ცოდვა აგრძელებს თავის საქმეს. თეატრში რიტუალური სანყისის მეტად გამოკვეთა და გაძლიერებაც შეიძლება, მაგრამ ამისათვის მაყურებლის მხრიდან თეატრალურ რიტუალში თანამონაწილეობის განსაკუთრებული სურვილი, ეგზისტენციური უფრო მძაფრი განცდაა საჭირო. მაშინ თეატრი გარისკავდა და ერთი "პროცენტის" ნაცვლად სამოც "პროცენტს" მოგანვდიდა. თუ თეატრალურ რიტუალს ბევრი ხალხი არ ესწრება, მაშინ ის რიტუალის მნიშვნელობას კარგავს. ისრაელში გაბიმას თეატრში მოლიერს ვდგამდი. ჩემი იქ ყოფნა კათოლიკურ შობას დაემთხვა. მოგვცეს სპეციალური საშვები და წავედი. მაგრამ გვითხრეს, რომ რადგანაც საბჭოთა პასპორტებით იქ წასვლა უსაფრთხო არ არის, ესპანელ პილიგრიმებად უნდა წარგადგინოთ.

- განსაკუთრებულად უნდა ჩაგვეცვათ?

- არა, თანამედროვედ გვეცვა. გაა ყანჩელს ვინმე ანა მარია ლუიზა ლოპესად ყოფნა მოუნია, რადგან მამაკაცის სახელზე გაცემული მონუმბები დააკლდათ. აღდგომას, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი და ცეცხლის გაჩენა ვერ ვახე, თუმცა სხვებისგან ვიცი და ფირვეტ მინახავს, რომ ეს ნამდვილად ხდება. მანქანა ხუთი კილომეტრის მოშორებით გაჩერდა. ღამეა, დაახლოებით 11 საათი. ებრაული ჯარი, თუმცა ეს პალესტინის ტერიტორიაა, ჩასულეხს იცავს, ევროპელებს, არაბებს, კომტებს, შავებსაც, უამრავი სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანი ჩამოიღის. როდესაც ავედით ტაძარში, რომელიც საქონლის იმ სადგომის ადგილას მდებარეობს, სადაც ქრისტე იშვა, უმჯაცრესად გაგვისჩვენეს. ატმოსფერო საკმაოდ დაძაბული იყო. არაბები



ქრისტიანების მიმართ ლოიალურები არიან, მაგრამ არავინ არაფრისგან არის დაზღვეული. ბოლოს და ბოლოს ტაძარში შევალნივთ. დაიწყო წირვა, რომელიც მთელი ღამე გრძელდება. შობას ადგილობრივი მართლმადიდებლებიც აღნიშნავენ, რომლებმაც ახალი კალენდარი მიიღეს. პირველი ერთი საათი საკმაოდ საინტერესო იყო, მაგრამ შემდეგ მისტერიის განცდა ნელ-ნელა ჩაქრა. შეიძლება, ეს ჩემი სუბიექტური შეგრძნება იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სიტუაციის ფორმალურმა ხასიათმა ყველას გაუტრუა გარკვეულად მოლოდინი. მით უფრო, რომ ტაძარამდე მოღწევის პროცესი ნამდვილ თავგადასავლად იქცა. ესტრადაზე ფრანგი მგალობლების შესანიშნავი გუნდი მღეროდა. მოგვიანებით, ტაძრის ეზოში სხვადასხვა ქვეყანასთან დაკავშირებული რიტუალური სანახაობაც მოეწყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ, სამწუხაროდ, თვითონ დამსწრეებს არ ჰქონდათ რიტუალში "ჩაძირვისათვის" ემოციური მზაობა და საკმარისი ინტერესი. ჩვენ სამ საათამდე დავრჩით, ისიც, ალბათ, ერთმანეთის მოგვერიდა და იმიტომ. ჩემზე გაცილებით უფრო მეტად იმოქმედა გოლგოთაზე ასვლამ და ჯვრის მიერ გრუნტში დატოვებულ ღრუში ხელის ჩაშვებამ. ამ აქტმა ძალიან ძლიერი ემოცია გამოიწვია. ანდა იმ ადგილის ხილვამ, საიდანაც დედა უყურებდა თავის ნამებულ შვილს.

- ბ-ნო რობერტ, სამოცდაათიან წლებში "სტურუას თეატრის" ცნება შეიქმნა, რომელიც იმ თეატრალურ ესთეტიკას გულისხმობდა, რომელიც თქვენი მაშინდელი ხელწერისათვის ყველაზე მკაფიოდ იყო დამახასიათებელი და რომელსაც ეპიკური,

მეტაფორული, პოლიტიკური, ანტიილუზიური თუ მოედნის თეატრის ეპითეტებით განსაზღვრავდნენ. აშკარაა, რომ სადღეისოდ თქვენი სპექტაკლები მხოლოდ ამ შეფასებათა ფარგლებს მკვეთრად სცილდებოდა. თქვენ ფართონ როგორ ხედავთ და აფასებთ ამ პროცესს?

- სტუდენტობისას ორი სპექტაკლი დადგა - კარაჯალეს "ბატონი ლეონიდასი რეაქციის პირისპირ" და ტურგენევის "ძაფი იქ წყდება, სადაც წერილია". კარაჯალეს პიესაში ორი პერსონაჟია, მოხუცი ცოლ-ქმარი, ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც ძილის წინ რუმინეთში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ბჭობენ. ქმარი რევოლუციური იდეებით ინფორმაციას თავს და ამბობს, რომ ქვეყანაშიც და საერთოდ მსოფლიოშიც რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ცოლს თან ეშინია მისი სითამამის და თან მოსწონს, რომ ასეთი გაბედული და თავისუფლად მოაზროვნე ქმარი ჰყავს. ამ საუბარში არიან, რომ ქუჩაში სროლის ხმა გაისმის. ფიქრობენ რევოლუცია დაიწყო და საშინელი შიში აიტანთ, კანკალდებენ, პანიკურად აგროვებენ ნივთებს, არ იცნავენ თავს როგორ უშველონ, საით გაიქცნენ. ამ ყოფაში არიან, როდესაც მსახური ქალი შემოდის და ატყობინებს, რომ გარეთ მთვრალებმა დეზოში და სროლა ატყეს, ეს იყო და ეს... მოკლედ, საკმაოდ პრიმიტიული პიესაა. რაც შეეხება ტურგენევის "ძაფი იქ წყდება, სადაც წერილია", რომლის სახელწოდებებს თარგმანს რამდენიმე რედაქცია აქვს, მე მას დავარქვი "რა გინდათ, მესივ გორსკი?", ნაწარმოების ადაპტაცია გავაკეთე და საკმაოდ რეალისტური სპექტაკლი დადგა. სხვათა შორის, გორსკი სტანისლავსკის ერთ ერთი საუკეთესო როლი იყო, ძალიან რეალისტური, თუმცა პოეტური. ჩემი ვერსია გმირებს შორის მკაცრ ფსიქოლოგიურ დრამა-ჭიდოლს წარმოადგენდა. გმირი სიყვარულს ეწინააღმდეგება, ვინაიდან ეჩვენება, რომ სიყვარული მას რაღაც ნაირად აკნინებს და თავისუფლებას აკარგვინებს, რა თქმა უნდა ცდება, მაგრამ როგორც ამაყი კაცი, უარს ამბობს თავის გრძნობაზე და ამით თავსაც იღუპავს და სხვასაც ღუპავს. დღეს მგონია, თითქოს მაშინვე ჩამოყალიბდა

ჩემი ორი გზა - ერთი, ასე ვთქვათ, გრძელსკულ-პოლიტიკურ-ფარსული და მეორე თეატრალურ-ფსიქოლოგიური, მკაცრი, და ამავდროს ძალიან გრძნობიერი. ორი მიმართულება... ამას მერე მივხვდი, თანდათან, როდესაც სამოცდაათიან წლებში ჯერ "ყვარყვარე" დავგავი, შემდეგ კი "კავკასიური", სადაც ეს ორივე მიმართულება შეერთდა. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა პრობოითია.

- მე მეჩვენება, რომ მეტაფორულობა, რასაკვირველია, რჩება, რადგან არც შეიძლება არსებობდეს თეატრი მეტაფორის გარეშე, მაგრამ თქვენი მხატვრული ენა, რაღაც თვალსაზრისით "მინიმალისტური" გახდა, უფრო ინტენსიური, შემცირდა ფესტი...

- ეს დანყოფილება, ან ვიტყვოდი - ჩაისახა კალდერონში, შემდეგ "სერუანელის" რამდენიმე სცენაში განვითარდა და კულმინაცია "ლამარაში" მიაღწია. ჩვენი საუბრის დასაწყისში ითქვა, რომ სიტყვა, მისი "პირდაპირი ფორმით", პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს თეატრში. "ლამარაშიც" სიტყვა მუსიკას დაემსგავსა. უნდა ითქვას, რომ პიესაში არის ადგილები, რომლებიც შესანიშნავი პოეტის მიერ არის შექმნილი. სულ ეხსავანს, ახალი წლის ღამეს, სუფრასთან, ტრისტან სარალიძემ თავისი როლიდან წაიკითხა ლექსი, რომლითაც მისი გმირი დაგვიანებულ სტუმარს მიმართავს და მისი მოსვლის გამო სიხარულს გამოხატავს. თითქოს სულ უბრალო ლექსია, მარტივი, მაგრამ რაღაც უცნაური ხიბლი აქვს. ტრისტანმა თქვა, ვერაფრით ვერ ამოვიგდე თავიდან, თითქოს "დამდეგს" ეს ლექსიო. პიესაში კიდევ არის ძალიან პოეტური ადგილები, თუნდაც მინდიას მონოლოგი...

- "უსახელოო, მალალო..."

- როდესაც კითხულობ, გრძნობ, რომ შესანიშნავია ლექსია, მაგრამ სცენაზე, სამყაროში, რომელსაც თავისი საკუთარი კანონები აქვს, ეს სიტყვები რაღაც განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, ალბათ რიტუალურ მნიშვნელობასთან მიხედვით. უკვე აღარც კი განიტერგება ლექსის შინაარსი, ეფლობი საერთო განწყობილებებში, ეძლევი "მასიურ ექსტაზს", რომელსაც ყველა რელიგია მოითხოვს,

მედიტაციას, რომელიც გაერთებს იმ საერთო ძალასთან, რომელსაც ხან რას უწოდებენ და ხან რას.

- ანდრეი ბელი წერს, რომ სიტყვა, პოეტური ტროპი უკვე ნარმოთქმის პროცესშია "მზავია" და საერთოდ მთელი ყოფიერების ინიცირებას ახდენს. მე მგონია, თეატრიც ამასვე აკეთებს, ყოველჯერზე ახალ რეალობას, რეალურზე "უფრო რეალურ" სინამდვილეს ქმნის... ამჟამად, ჩვენი თეატრი თავისი ისტორიული არსებობის მორიგი "ახალი რეალობის" შესაქმნელად ემზადება. სულ ცოტა ხნის წინ რუსთაველის თეატრის დასში ათი ახალგაზრდა მსახიობი მიიღეთ. რამ განაპირობა ეს ნაბიჯი, მხოლოდ პრაქტიკულმა საჭიროებამ, თუ კიდევ რაიმე სხვა მოსაზრებამ?

- მიზეზი მხოლოდ პირდაპირი საჭიროება არ ყოფილა. როდესაც, მოსკოვში გამგზავრების წინ, რეპეტიციებს გავდიოდით და მსახიობები შევეკრიბეთ, მომავლის გეგმებზეც ვისაუბრეთ. ეს არ ყოფილა სპეციალური საპროგრამო შეხვედრა, ეს საუბარი უბრალოდ სიტყვამ და სიტუაციამ მოიტანა. მე ვთქვი, რომ როდესაც, უკვე სულ მალე, ჩვენს სცენაზე დადგურუნდებით, უფლება ალბათ გვაქვს, რომ იგივენი ვიყოთ, რაც ვიყავით. თუ ეს ორი წელი, რომელიც საკუთარი სცენისა და თეატრის გარეშე გავატარეთ, დამლუპველი არ გამოდგა და ჩვენი არსებობა არ შეწყდა, უნდა მოვახერხოთ და ვუთხრათ ხალხს, თაობას, რომ ეს უკვე "სხვა" თეატრია. ამ ბიჭებისა და გოგონების მიღება ამანაც განაპირობა. მე მინდა, რომ ახალი სპექტაკლი მართლაც ახალი იყოს, და, რა თქმა უნდა, ეს სიასლე მხოლოდ ახალი სახეებით არ უნდა განისაზღვრებოდეს. თუ ჩვენი იმედი და მოლოდინი გამართლდება, ეს ყველასათვის დიდი ბედნიერება იქნება. წინ "ვეფხისტყაოსანის" დადგმა გველის. ეს ძალიან რთული ამოცანაა და ვფიქრობ, რომ "სტიქის" გამოცდილება უნდა გამოგვადგეს. ეს ხომ პოეზიაა და ჩვენი მიზნის მისაღწევად მხოლოდ სიუჟეტის მოყოლა არ იქნება საკმარისი. სიუჟეტის მოყოლა ვიღაც 12 წლის ბიჭუნამაც შესანიშნავად შეძლო. პიესის მის მიერ მოთხრობილი

შინაარსი პატარა წიგნად გამოსცეს კიდევ. ძალიან კარგად ყვება, გასაგებად, თავისი ხედვაც აქვს. ამიტომაც ვიფიქრე, რომ, სიუჟეტის გარდა, ნაწარმოების პოეტური არსის გადმოცემაც უნდა ვცადოთ. მინდა "დედაო ღვთისას", "ანბანის", "სტიქის" გამოცდილებას დავეყრდნო და ამ ძიებებში კიდევ უფრო შორს წავიდე. მართალია, "ვეფხისტყაოსანის" შემთხვევაში ეს ადვილი არ იქნება... ცოტა მეშინია კიდევ.

- რა გაქვთ მხედველობაში, როდესაც ნაწარმოების პოეტური არსის გადმოცემაზე საუბრობთ?

- უნდა მოიძებნოს ისეთი ხერხები, რომლებიც ლიტერატურულ პოეზიას თეატრალურ პოეზიაში გადაიტანს. "ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, / შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა..." ამის სცენიდან დეკლამირება გაუმართლებელი იქნება, ამიტომ მოქმედებამ მხოლოდ ამბავი არ უნდა გადმოსცეს, მან პოეტური სიტყვა თეატრალური პოეზიით უნდა შეცვალოს და ამით მაქსიმალურად შეინარჩუნოს ის.

- ანუ, როგორც დასაწყისში ითქვა, "უსიტყვო სიტყვა" უნდა შეიქმნას. თუ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ხელოვნება "ენაა", მაშინ ერთი ხელოვნების ფარგლებში და მისი ხერხებით შექმნილი მხატვრული ნაწარმოების მეორე ხელოვნების ენაზე გადატანას თარგმანაც კი შეიძლება ვუწოდოთ. თვით თეატრისათვის შექმნილი დრამატურგიული ნაწარმოებიც, სცენური ხორცშესხმის შემდეგ, რაღაც თვალსაზრისით, თავის თავად ყოფნას წყვეტს და ახალ სტატუსში იბადება. ეს ბუნებრივიც არის, რადგან, თეატრალური ხელოვნების "თხრობითი" ენა მოქმედებაა, ხოლო პოეზიისა - სიტყვა. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ სიტყვა მოქმედებამ "ჩაანაცვლოს". ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმანა კი არც მის შეურაცხყოფას გულისხმობს და არც მის "ღალატს".

- ზიჩის ილუსტრაციებიც ხომ არ არის სწორედ ის, რაც ჩვენ წარმოგვიდგენია.

- აღმოსავლურ სტილში შესრულებული...

- უფრო თურქულ-უნგრულში. ქობულაძის ილუსტრაციები სხვანაირია, პლასტიკური, ეს ერთგვარი ქართული კლასიკაა, რომლის საფუძველი სადღაც სხვგან დევს... ამ საუბარმა "დაისის" წუნუნავას დადგმისათვის, თუ არ ვცდებო, ოცნების დეკორაციის ესკიზები გამაბსენა - სრულიად მოულოდნელი და არაჩვეულებრივი. ხომ არის დონ კიხოტი დორესი, დონ კიხოტი პიკასოსი, დონ კიხოტი ბროდკისი... როდესაც რუსთაველს დგამ, ამბობ რომ ეს "შენი" რუსთაველია. მე ასე მესმის, თუ კაცი არ იტყვის, რომ ეს "მისი" რუსთაველია, ის უკვე ხდება "არავისი".

- არავისი და ამდენად, "არარსებული".

- მე ასე მესმის. ბიბლიაც კი ჩემია, სახარებაც კი ჩემია. იმიტომ რომ იქ არ არის დეტალურად აღწერილი, რა მოხდა და როგორ, "ფსიქოლოგიურად" არ არის "განმარტებულნი". ერთხელ, როდესაც მნიგნობრებმა და ფარისევლებმა მაცხოვრის ცდუნება განიზრახეს, მასთან მრუშობისას შეპყრობილი ქალი მოიყვანეს, რათა იესოს მოხეს რჯულის კანონით განესაჯა ის. იესომ კი, პაუზის შემდეგ უთხრა მათ: "ვინც უცოდველია თქვენს შორის, პირველმა იმან ესროლოს ქვაო". ამ ცნობილი არაკის გაგება ათასნაირად შეიძლება. შეხედეთ, თუნდაც, როგორ დაიბუნ მეცნიერები იმის თაობაზე, თუ რომელი სტროფი და ტაეპი ეკუთვნის რუსთაველს და რომელი არა, უნდა დარჩეს სადავო ტექსტი საბოლოო რედაქციაში, თუ უნდა ამოვარდეს.

- შექსპირის ინტერპრეტატორები სხვადასხვაგვარად უდგებიან მისი ნაწარმოებების ტექსტის ანალიზს, მათ ერთ ნაწილს ნაწარმოების მთლიანობის, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების შესახებ თავისებური წარმოდგენა აქვთ. შეიძლება მთელი კვლევა ან ლექცია ერთი ნაწარმოების სათაურის ანალიზს დაეთმოს, მაგალითად "ზაფხულის ღამის სიზმარს" და გაირკვეს, რომ უკვე ამ სამი სიტყვის ერთობლიობაში ნაწარმოების განუმეორებელი მთლიანობაა "ღამიფრული". ამას იქითკენ მივყავართ, რომ შესაძლებელია თუნდაც ნაწილის, ფრაგმენტის შეწყობით ნაწარმოების მთლიანობის რეკონსტრუქცია მოხდეს. შე-

იძლება გაუგებრად ვამბობ...

- არა, გეთანხმებით. მე თვითონ ვყოფილვარ ასეთი პროცესის მოწმე. 1981 წელს შექსპირის საზოგადოებამ კონგრესზე მიმინვია სტუმრად. კონგრესი სტრატფორდში ტარდებოდა და ერთი კვირა გრძელდებოდა. მე "რიჩარდ მესამის" ჩანაფიქრისა და დადგმის პროცესის შესახებ წავიკითხე ლექცია. ცნობილი რეჟისორი პიტერ ჰოლი ეს. "ვორქშოუს" ატარებდა. "ვორქშოვისათვის" "მეფე ლირიდან" ერთი მცირე სცენა ჰქონდა შერჩეული - როდესაც გლოსტერის ვაჟი ედმუნდი ესუბრება ვინმე სერჟანტს და მას ლირისა და კორდელიას მოკვლაზე ითანხმებს. ისე მოხდა, რომ რაღაცამ მუშაობის პროცესში ამ ნაწყვეტში მონაწილე მსახიობის უკმაყოფილება გამოიჩინა. სიტუაცია შესანიშნავმა მსახიობმა იან მაკკელენმა იხსნა, რიჩარდ III როლის ბრწყინვალე შემსრულებელმა. მან ედმუნდის ტექსტის ამ მონაკვეთის ანალიზი ითავა და ეს ისე გააკეთა, რომ ამ პატარა სცენის პრიზმაში მთელი ნაწარმოების დანახვა გახადა შესაძლებელი. მან დაგვანახა, თუ როგორ იბადება ამ პატიოსან სერჟანტში მეფისა და მისი ქალიშვილის მკვლეელი, როგორ ხვდება ედმუნდი თუ ვისთან აქვს საქმე და როგორ "ათავისუფლებს" სერჟანტში პოტიენტურად არსებულ ბორტომოქედს, როგორ აცდუნებს, არწმუნებს და ხრწნის მას. ამიტომ, მეც მგონია, რომ ყველა პატარა სცენის კუთხით შეიძლება ნაწარმოების რეკონსტრუქცია. თუმცა, ასეთი ნაწარმოების შექმნა მხოლოდ გენიოსის ხვედრია, თან ის ამას ცნობიერად არ აკეთებს, ნიჭი აწერინებს ასე.

- ითვლება, რომ ქართველი რეჟისორების უმრავლესობა არ ქმნის "სკოლას", "სწავლებლას", არ განაზოგადებს თავის პრაქტიკულ გამოცდილებას. თქვენ ხომ არა გაქვთ ამის გაკეთების სურვილი? რამდენადაც მიგზვდი, თქვენ, ფაქტობრივად, თვლით, რომ თეატრი ქართველებისათვის ჭეშმარიტი ეგზისტენციის განცდის, ყოფიერების არსის "შემცენების" ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. მართლა ასე ფიქრობთ?

- დიხა, მე ეს ცნობიერად ვთქვი. მე მაქვს ჩემი შეხედულება ქართულ თეატრზე, ქართ-

ველ მსახიობზე, მაგრამ ამის დაწერის სურვილი არ გამაჩნია. მირჩევნია რომ ეს სხვებმა დაინახონ და დაწერონ. მე ისიც კი მგონია, რომ როდესაც ბრესტი თავისი თეატრის თეორიულ საფუძვლებზე წერს, ის ერთგვარ მისტიფიკაციას მიმართავს, რომელიც ე.წ. "წარმოდგენის" თეატრის რეაბილიტაციასა და "განცდის" თეატრთან მის "უფლებრივ" გათანაბრებასა და ამ პრიმიტიული დაყოფის (ეს ტრადიცია, გარკვეულწილად დღემდე გრძელდება) დაძლევის ისახავს მიზნად. ბრესტს სტანისლავსკის ლოგიკისათვის თავისი თეორია უნდა დაეპირისპირებინა. ამ მიზნით მან გერმანული კლასიკური ფილოსოფიის გამოცდილებას მიმართა და თავის საკმაოდ ვიტალურ თეატრს მყარი თეორიული ბაზისი შეუქმნა. შეიძლება მას "ბრესტის ეპიკური თეატრის" ცნება არც კი მოეფიქრებინა, ასეთი განზრახვა რომ არ ჰქონოდა. მე მაინც მგონია, რომ ეს მისი ირონიული ჩანაფიქრი იყო. რადგან, როდესაც მისი შრომები წავიკითხე, იქიდან, პრაქტიკულად, ვერაფერი გავიგე, სანამ მისი სპექტაკლი არ ვნახე. მხოლოდ თეორიული ნაშრომებით ვერაფერს გაიგებ, თავი უნდა იმტვირო. და საერთოდ, მეჩვენება, რომ ეს მასალა თეორიული ინტერესის საგანს უფრო წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკულის ...

- თეორეტიკოსს შეუძლია თავისი ხედვა შემოგვთავაზოს, მაგრამ მუშაობის პროცესში განცდილს და ნაფიქრს ის ვერ აღადგენს...

- როდესაც მკითხველი ჯოისის "ულისეს" გვერდზე გადადებს, ის ამბობს - არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ, რომ გენიალურია. იგივეს ამბობენ რთულ თანამედროვე მუსიკასა და მხტვრობაზე, თეატრისაგან კი მოითხოვენ, რომ ყველაფერი ცხადი და გასაგები იყოს. ალბათ იმიტომ, რომ თეატრი ცხოვრებას ცხოვრებისეული ხერხებით ასახავს, ადამიანი დადის, ლაპარაკობს, ვიღაცა უყვარს... ეს კი მაყურებლისათვის ნაცნობი ვითარებებია და მას ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება აქ რაიმე არ ესმოდეს. ის რეალობის "პირველ ფენას" აღიქვამს და უფრო ღრმად ვეღარ მიდის. ამიტომ, მე მეჩვენება, რომ სწორედ ცხოვრებისეულ რეალობასთან გარეგნული მსგავსების გამო, თეატრის გაგება უფრო



რთულია, ვიდრე სხვა ხელოვნებებისა. მეტაფორებისა და პოეტური ტროპების ამოცნობა და გაშიფვრა უფრო იოლია, ვიდრე აზრებისა სცენის მიღმა. ამიტომაც არის, რომ ხშირად, მაყურებელი თუ კრიტიკოსი ერთი ან რამდენიმე სცენის საზრისზე საუბრობს და არა მთელ პროცესზე, რაც, ზოგჯერ, ჩემი აზრით, შეუსაბამო დასკვნების გაკეთების მიზეზი ხდება. მაგალითად, მოსკოვში, ერთ ერთ რეცენზიაში "სტიქის" შესახებ, ავტორი წერდა, რომ სტურუამ გაბჭურის სცენაში ჯოჯოხეთის სურათი გამოხატაო. არც კი მიფიქრია. თუმცა, ამას კიდევ არა უშავს, პოეტური ახსნა...

- რაც შეეხება ზედაპირულსა და სიღრმისეულ რეალობას - მეთორმეტე ღამეში, თქვენ ორი პარალელურად არსებული და, ამავე დროს, ურთიერთგადაჯაჭვული რეალობა შექმენით. რისი ჩვენება გასურდათ, იმისა, რომ ადამიანი მრავლობით რეალობაში არსებობს და მისი ეგზისტენცია ერთდროულად "რამდენიმე" სივრცესა და დროში არის განფენილი? და რომ თვითეულ რეალობაში, ადამიანს, შესაძლებელია, განსხვავებული ცხოვრებისეული ამბლება და ბუნება ჰქონდეს? ხომ ამტკიცებენ თანამედროვე ფიზიკოსები, რომ თორმეტამდე სხვადასხვა განზომილება და, შესაბამისად, სხვადასხვა სამყარო არსებობს?

- ამდენი რამ არ გვქონია მიზნად... ამ წარმოდგენის ასე ჩაფიქრების მიზეზი კი ის იყო, რომ გვინდოდა ქრისტიანობის მიგვეძღვნა სპექტაკლი. თავიდან სახარების დადგმას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე, იმიტომ,

რომ მივხვდი, ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დავდგებოდი - ვის უნდა ეთამაშა, ვთქვათ, თუნდაც, თორმეტი მოციქუალი? ეს ქრისტეს მის მშობლიურ ქალაქ ნაზარეთში შესვლის ამბავს დაუმტკიცებოდა, სადაც მასში ხურო იოსების შვილი იცნეს. სწორედ მაშინ თქვა ქრისტემ ცნობილი სიტყვები: "არცერთი წინასწარმეტყველი არ შეუწყნარებიათ თავის მამულში". აქაც იგივე განმეორდებოდა. პაზოლინიმ, თავის შესანიშნავ ფილმში, ქრისტეს როლი, სწორედ ამ მოსაზრებით, ყველასათვის უცნობ ესპანელ სტუდენტს მისცა. ასევე მოიქცა ძეფირელიც, და ამბობენ, რომ რომის პაპმა ძეფირელის ფილმში ქრისტეს როლის შემსრულებელს, იმისათვის, რომ მას სხვა ფილმებში აღარ მიელო მონაწილეობა, დიდი მატერიალური კომპენსაცია შესთავაზა. მე სხვა გამოსავალი მოეძებნე და გადავწყვიტე, რომ ქრისტეს ცხოვრება ილირიაში, ჰერცოგ ორსინის კარზე ეთამაშათ. წარმოდგენაში თვითონ ორსინოც მონაწილეობს და მთავარანგელოზს ასახიერებს. ასეთი საშობაო წარმოდგენები, მოგესხენებათ, კათოლიკური სამყაროსათვის ტრადიციულია. ბევრი ევროპული ქვეყნის თეატრს სწორედ ამ ტრადიციამ ჩაუყარა საფუძველი. შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ცოცხალ სცენებს წარმოადგენდნენ, თოჯინურ სანახაობებს მართავდნენ. ამას სახელწოდებებიც ადასტურებს. მაგალითად "პოზორიში" - სამხრეთ სლავიანების თოჯინური თეატრია, სადაც სწორედ ქრისტეს ცხოვრებიდან და ბიბლიიდან თოჯინების მიერ გათამაშებულ სცენებს აჩვენებდნენ.

შემდეგ, როდესაც მუშაობა დავინწყე, მივხვდი, რომ გამირები სიუჟეტიდან უნდა "გამოვიდნენ" და რეჟისორს აღარ უნდა დაემორჩილონ. ისინი არღვევენ რეპეტიციის ჩარჩოებს და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, სწორედ ასე ხორციელდება მათი ჩარევა "დღევანდელ" ცხოვრებაში. მაგალითად, ჰეროდესი, რომლის გამოჩენა თავიდან სიუჟეტურად ლოგიკურია, შემდეგ კი ის მოქმედებაში თვითნებურად იწყებს ჩართვას. ხოლო რაც შეეხება მაცხოვრის გოლგოთაზე ასვლას, ეს გამირებისათვისაც ისევე მოულოდნელად ხდება, როგორც მაცურებლისათვის. როდესაც

ჩვენ ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებს მივმართავთ, მით უფრო, თუ ის რელიგიური ხასიათისაა, პერსონაჟები მართლაც იწყებენ ჩვენს ცხოვრებაზე ზემოქმედებას. არა გაცოცხლებით, რა თქმა უნდა, არამედ იმით, რომ მათ არსებობა უფრო "მატერიალურია", ვიდრე ნებისმიერი რეალური ადამიანის, რომელმაც შენი ბედი შეიძლება გადაწყვიტოს. დონ კიხოტმა შეიძლება უფრო მეტი გააკეთოს ჩვენი ცხოვრებისათვის, რომელიმე ლექსმა შეიძლება მეტად იმოქმედოს ჩვენს ცხოვრებისეულ არჩევანზე, ვიდრე მზრუნველმა და მოხიყვარულე მშობლებმა.

- თქვენ ისაუბრეთ "სტიქსზე", "მეთორმეტე ლამზე", სექტაკლებზე, რომლებშიც სცენაზე მოქმედების პირობა, ტრადიციულთან შედარებით, რადიკალურად შეცვლილია. როგორ გრძნობენ ასეთ ვითარებაში თავს მსახიობები, რას განიცდიან ისინი? განსაკუთრებით "სტიქსი" მაქვს მხედველობაში.

- მე ვერ ვიტყვი, რომ მსახიობები რაღაც განსაკუთრებულ მედიატაციაში იმყოფებიან და მათგან დარბაზისკენ რთული აზრები თუ ტელეპათიური იმპულსები მოედინება. ისინი მე ვერ მომატყებენ, მე კი თქვენ. მაგრამ მათი მდგომარეობა მანც ჩვეულებრივისაგან განსხვავდება, ისინი ერთგვარ ტრანსში არიან და ვგრძნობ, რომ დროთა მანძილზე, ამ მდგომარეობისაგან სულ უფრო მეტ სიამოვნებას იღებენ. ფაქტიურად არაფერს აკეთებენ, დაიდან, არც ცეკვაა, არც პანტომიმია, არც სიუჟეტი, მაგრამ დარბაზი საათნახურის მანძილზე დაძაბულობაში ყავთ. მათ შეუძლიათ "აიძულონ" მაცურებელი, რომ მათთან ერთად "სიჩუმიში" იარსებოს.

- როგორ მიაღწიეთ ამას, როგორი ტექნოლოგია აქვს ამ პროცესს?

- მისი წინაპირობები ჯერ ცხრა აპრილთან დაკავშირებულ წარმოდგენაში შეიქმნა, მაშინ ყველას ერთი გრძობა გვაერთიანებდა და მსახიობები ძალიან იყვნენ ჩემზე თანდობილი. შემდეგ "დედა ენა" დაიდგა. საერთოდ, ძალიან ძნელია მსახიობის ასეთ ექსპერიმენტზე დაყოლიება, მძიმედ მოგყვება, რცხვენია კიდევ. ქართველი მაცურებელის ერთ ნაწილსაც ვატყობ იმავეს, ალბათ ამბობენ, "ნუ რა

არის ეს, რა უნდოდა რომ ეთქვა?“. თუ ამ განწყობაში თავიდანვე არ ჩაერთო, მერე უკვე ვეღარ ჩაერთვები, იღლები, გეძინება, აქეთ იქით იყურები... შემომჩნევია ასეთი მაყურებელი. მასსოვს, დეიდაჩემი, ჩარლი ჩაპლინს ვერ იტანდა, ერთი ჩემი მეგობარი მსახიობიც ვერ იტანს და ამბობს, რომ ჩვენ ავტორიტეტის გავლენის ქვეშ ვართ და იმიტომ მოგვჩონს. ზოგი ასეც ფიქრობს.

- ახალი თაობის მაყურებელთან და მსახიობებთან ურთიერთობა როგორ გამოგდით, ბევრი რამ შეიცვალა, ინფორმაციულ-კულტურულმა ცნობიერებამ თითქოს წყვეტა ან ერთგვარი ნახტომი განიცადა...

- მოსკოვში “რომეო და ჯულიეტა“ დაედგი, მუშაობისათვის სულ ერთი თვე გვქონდა და ველეადი, რომ ვერ მოვასწრებდით. ახალგაზრდა მსახიობებმა გამაოცეს, საოცარი სისწრაფით ითვისებდნენ და ხვდებოდნენ ყველაფერს. რასაც წინათ ორ თვეს მოვუნდებოდით, ესლა ორ რეპეტიციაში ვასწრებდით. იგივე თვისებები აღმოვაჩინე ახალგაზრდა ქართველ კურსდამთავრებულებში რუსთავეში მუშაობის დროსაც. ხარისხი არა მაქვს მხედველობაში. ინტუიციას, აზროვნების, ადაპტაციის ტემპს ვგულისხმობ. ადვილად ცვლიან ამოცანებს. ბევრს მუშაობენ და თანაც სხვადასხვა თეატრებში - სარდაფში, თავისუფალ თეატრში. შეიძლება ამას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდეს, მაგრამ არაჩვეულებრივია მათი მუდმივი მზადყოფნა რაღაც გააკეთონ, მუდამ “ბასრ“ პოზიციაში იმყოფებიან, ალესილები არიან. ეტყობა რაღაც მართლაც იცვლება. მართალია, ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ გარეგნული მხარეა და იქით არის რაღაც პრობლემები, რომელთა შესახებ მათ ჯერ კიდევ არც კი იციან, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. მათთან ურთიერთობით მეც დიდ გამოცდილებას ვიღებ, ვცდილობ, რომ ის, რაც მათ ჩანასახში აქვთ, გაგზარდო და “ჩემად“ ვაქციო. ან ჩემად “გავასალო“. მე “ვპარავ“ მათ პატარა ნაპერწკლებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ალად არ ქცეულა. მასწავლებლობა, ხომ ორმხრივი პროცესია და უკუკავშირზეა აგებული. მასწავლებელიც სწავლობს და სტუდენტიც. ეს

პროცესი თეატრისათვის აუცილებელია.

- თქვენ თქვით, რომ ბრესტი მისტიფიკატორი იყო. ბათუმში თქვენი მოსალოდნელი გადასვლის ამბავი რეალობაა თუ მისტიფიკაცია?

- რა თქმა უნდა მისტიფიკაცია. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მისტიფიკაციები. თუმცა, რაც შეეხება ბათუმს, აქ რეალობის დიდი დოზაც არის. როდემდე უნდა იყო რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი? ან უნდა გაგაგდონ, ან თვითონ უნდა წახვიდე. ასე უნდა დამთავრდეს. რასაკვირველია, ჯობია რომ გაგაგდონ.

- გინდათ რომ გაგაგდონ?

- ეს უფრო ლოგიკური, შეიძლება ითქვას, კანონზომიერი დასასრული იქნება. მაგრამ, თუ კიდევ დიდხანს არ გამიშვებს, მაშინ მე თვითონ უნდა წავიდე დროზე, რომ დაჩაჩანაკებული და აზროვნებადაკარგული არ “გამათავისუფლონ“. და სად წავალ? წავალ ბათუმში. მართალია, სახლი გრიგოლეთში ვიყიდე, მაგრამ ბათუმში მირჩენია. მინდა მქონდეს ერთთახიანი ბინა და “სოიუზპეჩატის“ ჯისურში ვმუშაობდე. ახალ ჟურნალებს წავიკითხავ. მერე რამდენი გამოდის და ვერ ვასწრებ წაკითხვას.

- როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი დასჭირდებათ ბათუმელებს, რომ სტურუას მათთან ახალ სტატუსში ყოფნას შეეჩვიონ?

- ქართველები ძალიან სწრაფად ეჩვევიან ყველაფერს. მგონი, უკვე მართლა ელიან, რომ წიგნის მაღაზიას გაეხსნი და იქ დაესახლდები.

ესაუბრა თამარ ბოქოშვაძე



წინათმბა

ამ რამდენიმე ხნის წინ მეგობარმა გამომიგზავნა ბ-ნი. ემზარ ჯგერენიას ოპუსი "ქართული სუფრის სოციოფილოსოფია და ზოგიერთი სხვა რამ" - ესაა, რაზეც მემარჯვენეებმა აურზაური ატყვეს პარლამენტში. მე ეს ამბავი არ ვიცოდი და ინტერესით წავიკითხე ბ-ნი ემზარის ეს მცირე ნაშრომი. კარგად უხუმრია-მეთქი, მივწერე მეგობარს პასუხად და მაშინ არც მიფიქრია, რომ ჩემი პოზიციის დაფიქსირება მეცადა. რამდენიმე დღის შემდეგ ბ-ნი ემზარს რადიო თავისუფლების ეთერში მოვუსმინე. კიდევ რამდენიმე დღეში მეორე გადაცემა მიმდევალა ამ თემას და შემდეგ კვლავ არაერთხელ გაისმა ბ-ნი ჯგერენიას სახელი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მე პატარა წერილით შევეხმიანე რადიო თავისუფლების ქართულ რედაქციას, სადაც ვამბობდი, რომ ქართული სუფრის "პრობლემა" სინამდვილეში უფრო დიდი პრობლემის მხოლოდ ნაწილია და მისი "გამოკლეჯიანი" განხილვა სწორ პასუხამდე ვერ მიგვიყვანს. ქალბატონმა მარიამ ჭიაურელმა, რომელსაც ამ წერილით მივმართე, შემომთავაზა მონაწილეობა მიმელო "სადისკუსიო მაგიდაში", სადაც საშუალება მომეცემოდა გამომეთქვა ჩემი მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. მე რამდენიმე წელია, რაც სერიოზულად აღარ მიმუშავია არც ამ, და არც რაიმე მომიჯნავე საკითხზე და ამიტომ ცოტა ფიქრი დამჭირდა, სანამ დავთანხმდებოდი. თუმცა, რაღაი დავთანხმდი, იმის პასუხისმგებლობაც ვიგრძენი, რომ შეძლებისდაგვარად სერიოზულად მიმეხედა საკითხსათვის. ამის შედეგია სწორედ წინამდებარე მცირე სტატია.

* * *

ერთ ლექციაზე, სადაც განხილვობოდა კულტურის გავლენა სახელმწიფოს ქცევაზე, პროფესორმა მოიყვანა მე-19 საუკუნის ჩინეთის მაგალითი და იკითხა, რატომ იყო ჩინეთი ასე პასიური პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, როცა რეალური შესაძლებლობები გაცილებით მეტის შანსს აძლევდა? წარმოშობით ჩინელმა სტუდენტმა კითხვას გაუბედავი კითხვითვე უპასუხა: "ამის მიზეზად კონფუციანური

უკულტურო სახელმწიფო?

პბსუხი ბ-ნი ემზარ ჯგერენიას

კულტურა ხომ არ შეიძლება მივიჩნიოთ? "შესაძლებელიაო", - დაეთანხმა პროფესორი, - "მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება, რომ კულტურით რაციონალური ფაქტორის ნაკლებობა ავხსნათ?"

მოკლედ, ესაა ჩვენი საკითხავი: რამდენად აუცილებელი კავშირი არსებობს კულტურასა და რაციონალობას შორის? შეიძლება თუ არა კულტურა იყოს "პრაგმატული"? ჩინეთის მაგალითი, ბუნებრივია, ერთადერთი არაა. ამაჟამად აშშ-ში ვიმყოფები და ერთ-ერთი კითხვა, რასაც ალბათ ყველაზე ხშირად ვაწყვენი, შეეხება იაპონელების გადანაცვლებას, განესორცოვლებინათ ცნობილი "პერლ ჰარბორის" იერიში. "რატომ გააკეთეს ეს, რისი იმედი ჰქონდათ?" - ამის ახსნას დღესაც ბევრი ეთნოლოგი, პოლიტოლოგი თუ ისტორიკოსი ცდილობს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ყველაზე დამაჯერებელი პასუხი ისევ კულტურის თავისებურებებში მოიძებნება. როგორც ერთი იმდროინდელი იაპონელი მთავარსარდალი მთავრობის სხდომაზე ამტკიცებდა სრული სერიოზულობით, უმჯობესი იყო იაპონელი ნაცია ბრძოლაში გამქარალიყო "ვით ლამაზი ყვავილი", ვიდრე მტრისაგან იაპონიის შევიწროება აეტანა...

რისი იმედი აქვთ დღეს პალესტინელებს? რისი დაცვის პრეტენზია აქვთ მათ? რისი იმედი აქვთ ტერორისტებს? როგორ ახერხებენ ისინი, რომ აშკარად არამომგებებიანი პირობების მიუხედავად ახალ წევრებს იზხრობენ? რაზე აკეთებენ მათი ლიდერები აპელირებას და რას იცავენ?

დაბოლოს, რისი სიმბოლოა დღეს ირანი? რატომ წარმოგვიდგება იგი ასეთ "საერთაშორისო საფრთხობელად" და რას უფრთხის ყველაზე მეტად დღევანდელი "ცივილიზებული მსოფლიო"?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენი სტატიის არც ამბოციაა და არც - მიზანი. ჩვენ ისინი გვჭირდება იდენ საილუსტრაციოდ, რომ შევხედოთ ორ რასმე; თუ რამდენად საფრთხილია

იდენტობაზე ზენოლა და რამდენად საშიშია კულტურის პოლიტიკება...

თანამედროვე დასავლური სახელმწიფო, სრულად გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ-და კონკრეტული კულტურის ნაყოფს წარმოადგენს. კერძოდ, ესაა პროტესტანტული კულტურა და მისი სოციალური ინკარნაცია - კაპიტალიზმი. ამის მიუხედავად, გამოცდილება გვიჩვენებს იმასაც, რომ მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა ამ ორს შორის ყოველთვის პირველის სასარგებლოდაა, ანუ ჯერ არის კულტურა და მერე - სახელმწიფო. ხოლო ძალადობრივი მოდელები, ანუ სადაც ჯერ სახელმწიფოა და მხოლოდ ამის შემდეგ - "ახალი კულტურის მცდელობა", შედეგად გვაძლევს არალიბერალურ რეჟიმებს, რისი მაგალითიც ასევე მრავლადაა დღევანდელ მსოფლიოში. არაფერი იქნება ახალი იმაშიც, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ არჩევნების ჩატარება დემოკრატის ვერ უზრუნველყოფს. უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი მკვლევარი აღიარებს, რომ ჭეშმარიტი დემოკრატის მისაღებად ძირითადი საკმაზია სწორედ ლიბერალური კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ - მისი "გაფორმება" დემოკრატიადა... ანუ, იმათ თვალსაზრისსაც თუ გავითვალისწინებთ, ვინც უწინარესად "სახელმწიფოთა მშენებლობის იმპერატივზე" ლაპარაკობს (უწინარესად ბ-ნ ფუკუიამას ვგულისხმობ), კაცმა არ იცის, სინამდვილეში რა არის "მთავარი" და რა რას ემსახურება. ვიცით მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ: ხოლო ვხედავთ, რომ არსად მსოფლიოში არ შექმნილა ჭეშმარიტად დასავლური ყიდის სახელმწიფო, სადაც ეკონომიკის დასავლურ მოდელთან თანაარსებობდეს დასავლურივე ლიბერალიზმი. თითქოს ერთგვარ გამოწაკლისს წარმოადგენს იგივე იაპონია, და სწორედ ესაა ჩვენი ინტერესის ერთი საგანი: როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო, სადაც ეროვნულ ტრადიციებს (ერთობ "არადასავლურ" ტრადიციებს) ამ სახელმწიფოს მხრიდან არათუ საფრთხე არ შექმნია, არამედ - ყოველგვარი მხარდაჭერითაც კი სარგებლობდა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ისეთ მოდელად, რომელიც მსოფლიოს მრავალი მკვლევარის აზრით სწორედ დასავლურ მოდელს წარმოადგენს? რა არის მასში "დასავლური"? ის ხომ არა, რომ აქ სახელმწიფო (ანუ ფორმალური ინსტიტუტები) არ ძალმომრეობენ საზოგადოების არაფორმალურ ინსტიტუტებზე? ის ხომ არა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა არ ხდება "მოდური" მეცნიერთათვის

და ისინი უწინარესად მიანიც ობიექტურობას არჩევენ და არ აძლევენ თავს უფლებას, რომ საზოგადოებას უბიძგონ ასიმილაციისაკენ ისეთი მერყევი და დროებითი მოვლენების მიმართ, როგორიც პოლიტიკური პრიორიტეტებია?

უნდა ვთქვა ისიც, რომ პირადად მე სწორედაც რომ "სახელმწიფოს კაცი" ვარ და, ამასთან, საზგასამთ პროდასავლური. ამიტომ, იქნებ უცნაურიც იყოს ჩემგან ასეთი რეფლექსია, მაგრამ საქმე ისაა, რომ არც მე მინდა "დაუკრებელი გამოცვლა", სახელმწიფოა და ერის ინტერესში კი უპირველეს ყოვლისა სწორედ იმას ვხედავ, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ერთმანეთს გუნდრუკი კი არ უკმონ, არამედ - თიანამშრომლონ და ფასეულობები შექმნან.

იდენტობებსა და კულტურებზე როცა ვლაპარაკობთ, ალბათ ღირს ყურადღების მიქცევა იმაზეც, რომ დემოკრატის დღევანდელი მცდელები ძირითადად ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენადაა დაცული უმცირესობათა უფლებები, რამდენად ექცევა ყურადღება სუბკულტურებს და ა.შ. და მართლაც არიან - ეს ხომ ის სფეროებია, რომელთაც ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება არალიბერალურ საზოგადოებებში. თუმცა, საზოგადოების ლიბერალიზმმა მხოლოდ სახელმწიფოსგან თავს მოხვეული სავალდებულო ტოლერანტობით ვერ მიიღწევა, და ეს მით უმეტეს მართალია ისეთი საზოგადოებებისთვის, რომელთაც ჯერ საკუთარი იდენტობის პრაბლემაც კი არ გადაუწყვეტიათ. ალბათ არაა სადაო, რომ ტოლერანტობის დეფიციტი ერთგვარი კომპლექსია და სათავეს სწორედ საკუთარი იდენტობის დეფიციტში იღებს. ამიტომაც რომ ყველაზე ტოლერანტული საზოგადოებები იმპერიებში ცხოვრობენ და ყბადღებულები "ქართული ტოლერანტობის" ფესვებიც, ალბათ, აქვე უნდა ვეძიოთ...

ძალიან ბევრი მაგალითია ისტორიაში იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იქმნება რეფლექსია იდენტობის მიმართ (რაც შეიძლება ნაციონალიზმშიც გადაიზარდოს). ამ რეფლექსიას არ ქმნის კულტურა როგორც ასეთი, თუმცა კულტურა იდენტობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს (ასეთივე საფუძველად შეიძლება გამოდგეს წმინდად სოციალური ფაქტორებიც და იქნებ რაიმე სხვაც). ამ რეფლექსიას ქმნის კულტურაზე ზენოლა, ანუ ძალადობა კულტურაზე, მის იდეურ თუ სივრცობრივ მხარეებზე. ამის საუცხოო მა-

გალითს იძლევა პოსტკოლონიური აფრიკის ისტორია და არამართო ის, და ამაში ალბათ დამეთანხმება ყველა, ვისაც "შავ" კონტინენტზე პოსტკოლონიური "ერი-სახელმწიფოების" წარმოქმნა-ვერწარმოქმნის პროცესისათვის თვალის გაუღვენება.

ამრიგად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეპყროს სწორედაც დომინანტური კულტურის რობიქტურ განსაზღვრებას და აგრესიით კი არ უკუაგდოს იგი, არამედ - თვითშემეცნებას მოემსახუროს და წინ წავიდეს. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი "არადომინანტური" კულტურები ოდნავ მაინც უგულვებელყოფილ იქნას. მაგრამ დომინანტური (ამ სიტყვას წმინდად როადენობრივი აზრით ვახსენებ) კულტურის სწორი გააზრება გაცილებით მნიშვნელოვანია აქედან გამომდინარე საფრთხის აცილების თვალსაზრისით.

რეფორმაცია, რომელმაც ევროპაში თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი, ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. ის ვითარდებოდა რენესანსის საფუძველზე და პარალელურად, რაც, თავის მხრივ, წარსულის ღრმა გააზრებასა და შესწავლას გულისხმობდა. ამის გარეშე ვერ იქნება ჩვენთანაც. ჩვენ თუ გვინდა, რომ ავაშენოთ ისეთი ქართული სახელმწიფო, სადაც საზოგადოება ორიენტირებული იქნება პროგრესსა და მომავალზე, მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სახელმწიფოში ცხოვრობს ერი, და არაერთი ერი, რომელსაც პირველ რიგში სჭირდება პასუხები ისტორიაზე, კულტურაზე, მსგავსებებსა და განსხვავებებზე, და სჭირდება იმის დანახვა, რომ ეს განსხვავებებები არის არა დამაბრკოლებელი, არამედ - ხელისშემწყობი ფაქტორიც კი ერთიანი და წარმატებული სახელმწიფოს ასაშენებლად.

შეიძლება ამის მოხერხება ზერედე ფილოსოფიური სპეკულაციებით? ვფიქრობ რომ - არა. ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვიძახოთ, რომ განსხვავებებს "აზრი არა აქვს" და რომ "სახელმწიფო ყველას ერთნაირად მოექცევა", მაგრამ ხალხის სიბრძავის მოიმედება ბევრს ვერაფერს მოიტანს ალბათ. გაცილებით მნიშვნელოვანია არა განსხვავებების წაშლა და ასიმილაცია, არამედ - განსხვავებების დადგენა და ურთიერთობების ვისცემა. ხოლო პატივისცემას რაც შეეხება, ჯერ საკუთარ თავს უნდა სცე პატივი, რომ მერე

სხვებისკენაც გაიხედო...

აქვე მინდა ვთქვა, რომ ბ-ნ ემზარ ჯგერენაიას, რომელსაც ეკუთვნის ზემოსხენებული ოპუსი, იმაზე ბევრად მეტში ვეთანხმები, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მეტიც, მერაიმეს მტკიცებას არ ვაპირებ და ქვემოთ მხოლოდ შევეცდები, რომ დავსვა ისეთი კითხვები, რომლებიც იქნებ უფრო ნაადგეს საკითხის სამომავლო შესწავლას. ასევე დავსქენ, რომ ჩემის აზრით, ბ-ნი ჯგერენაია არაა ამ სტატიის "პირდაპირი ადრესატი", რადგან აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან ეთნოგრაფებმა, ლიტერატურის მკვლევარებმა და ისტორიკოსებმა. მე თუ რამეში ვეღვალება ბ-ნ ემზარს, ესაა არა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ქართველების ამა თუ იმ ნაკლოვანებების შესახებ, არამედ ის, რომ იგი ამ მოსაზრებების ილუსტრაციას (და იქნებ, განმარტებასაც) ქართული სუფრის ფენომენზე დაყრდნობით ცდილობს. ამ სტატიის დაწერა კი გადაამწყვეტინა იმ გარემოებაზე, რომ ალბათ ძნელია ქართველს უთხრა, შენი ქვიფი სინამდვილეში გეიფიაო, და მერე განმარტებაც არ მისცე... ჩემი გადმოსახედიდან, ცოტა ხუმრობაგაშვებით თუ ვიტყვი, ესაა ერთგვარი "მოდური ონფრობა", რომლის სანინააღმდეგაც მე პირადად არაფერი მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ ვგრძნობ ამ პასუხის საჭიროებასაც.

მოდით, თავიდან დავიწყოთ. ბ-ნი ემზარი დასაწყისში საუბრობს ქართული კულტურის "უფორმოზაზე", "მოზაიკურობაზე" და "უპირცილობაზე", რაშიც მოიაზრება არანაებობა ისეთი ერთიანი კონცეფციისა, რომელიც შეკრავდა სისტემას. სხვაგან ბ-ნი ემზარი ამას "უიდეოობას" ეძახის. "ვართ კი ქართველები იდეის ხალხი?" - "თუ მხოლოდ ამ იდეებით ვთამაშობთ?" - კითხულობს იგი იქვე. ის, რომ "ქართული კულტურა ქამელონის მსგავსად იცვლის ფერს იმისდა მიხედვით, თუ საიდან მოედინება" რძისა და თაფლის მდინარეები", ბ-ნი ჯგერენაიას თავიდანვე გადანყვეტილ საკითხად მიაჩნია. შესაბამისად, "ქართული უნივერსალური კონფორმიზმი" წარმოადგენს ავტორის მთავარ ტვივილს და სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს.

მე მინდა აქ სრული გულწრფელობით აღვნიშნო, რომ კარგი იქნებოდა ბ-ნ ემზარს ცოტა მეტი განმარტება მოეცა, რადგან მე პირადად ძალიან მეპარება ეჭვი ასეთი უნივერსალური კონფორმიზმის არსებობაში და რაღაი მას სჯე-



რა, ალბათ არგუმენტებიც საკმარისად ეწეობოდა. თუმცა, ალბათ ბ-ნი ემზარი ამას თავისთავად გასაგებ ამბად მიიჩნევს და ამიტომაც ზედმეტად ყურადღება აღარ შეუწერებია.

ამიტომ მე იმას ვიტყვი, რაც მე დამინახავს და შემიტყვია და ვნასთო "რომელი აჯობებს"...

ის, რომ ქართული კულტურის ნიშანი "მოზაიკურობაა", შესაძლოა მართალიც გახლდეთ. მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ეს? მკითხველს ალბათ, და ბ-ნ ემზარს ნამდვილად მოესხენება, რომ კულტურა ფერწერულ ტილოს არ ნიშნავს მხოლოდ. ესაა ადამიანის გარემოსთან რეფლექსიის სახე, ანუ ცხოვრებასა და ყოფის, ანუ ყოფა-ცხოვრების წესი. ის, რომ შიშველი გრძობები კულტურაში იჩქმალება, ბუნებრივია, მართალია, მაგრამ ეს კულტურის ნაკლი კი არა, ღირსებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ კულტურა არის ის, რის ძალითაც ადამიანი არის ადამიანი, რისი ძალითაც და რის წიაღაც ხორციელდება ადამიანის არსებობის არაღაც ფორმა, იდეა თუ კონცეფცია. შესაბამისად, მოზაიკური იქნებ უნდა დავარქვათ კულტურას, თუ იგი მრავალსახეობრივია და მრავალფორმიანი, ხოლო რაიმე გამაერთიანებელი ძაფი ამ ფორმებს შორის არ არსებობს? თუმცა, იმიტომ რომ კულტურის ასპექტი აღწერა (არადა, "მოზაიკურობა" სწორედ ასპექტია), ჯერ უნდა განსაზღვრო ის.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ბერძნული კულტურა არის თუ იყო პოლისური კულტურა. ვიცით ასევე, რომ ეს იყო პოლითეისტური, მონათმფლობელური, და ა.შ. საზოგადოება. ვიცით ასევე, რომ ამ კულტურას ჰქონდა პერიოდები, ჩავარდნები, აღზევებები და ა.შ. ვიცით ასევე, რომ ბერძნული კულტურა იყო ძალიან მიდრეკილი ხელოვნებისაკენ და განსაკუთრებით მისი რამდენიმე ფორმისაკენ. ვიცით, რომ ეს კულტურა ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს მეცნიერების განვითარებისათვის და ა.შ. რისი ძალითაა ეს ერთიანი და არამოზაიკური კულტურა? მე ამისი პასუხი არ მაქვს. ჩემთვის კულტურის ერთიანობის ძირითადი განმსაზღვრელია ის, რაც ამა თუ იმ კულტურას ზოგადად აერთიანებს. ანუ, ბერძნული კულტურა არის ბერძნების და საბერძნეთის კულტურა; რუსული კულტურა არის რუსებისა და რუსეთის და ა.შ. თუმცა, არსებობს სუბ-კულტურებიც, მაგრამ ეს ყველგან არსებობს და არც ამის უარყოფას აპირებს ვგონებ ვინმე.

ერთი სიტყვით, ჩემთვის სრულიად ცხადია,

რომ ნებისმიერი კულტურა მოზაიკური აღმოჩნდება თუ მას დროში განვიხილავთ, და ეს - მიუხედავად იმისა, რომ ამ მოზაიკის ელემენტებს შორის გასაგები (და არა მაინცდამაინც რაციონალური და ლოგოკური) კავშირები მინც არსებობს. ამიტომაც ვფიქროვ, რომ ბ-ნი ემზარი გულისხმობდა კულტურას მის სინქრონიულ კვეთაში, ანუ იმას, რომ იმ ტერიტორიაზე რასაც საქართველო ჰქვია და იმ საზოგადოების ყველა ფენაში, რასაც ქართველები ეწოდება, დროის ერთ რომელიმე მონაკვეთში ვერ ნახავ ერთიან ქვევას, ერთიანი რეფლექსიას გარემოს მიმართ. მაგრამ, ხომ არც ესაა მართალი? ხომ სრულიად ცხადია, რომ იგივე სუფრა ერთნაირად ახლობელი და "თავისია" ყველასათვის, ვინც საქართველოში ცხოვრობს (და არა მაინცდამაინც ეთნიკური ქართველები-სათვის)? ხომ ყველა ერთნაირად თანხმდება, რომ "ჩაშვება" ცუდია, მშობელს და მოხუცს პატივი უნდა სცე, ბავშვი ქუჩაში არ უნდა გააგდო და ა.შ. მაშ, სადაა პრობლემა, რომელ "მოზაიკაზეა" საუბარი? იმაზე, რომ რაც წესად ითქმება ყველა არ ასრულებს? ცხადია, ამაზე არაა საუბარი.

ერთი სიტყვით, აქ სინამდვილეში ლაპარაკია არა მოზაიკურობაზე, არამედ იმაზე, რომ საუკუნეების მანძილზე არ არსებულა ქართული ოფიციალური კულტურა. ბ-ნ ემზარს უკვირს, რომ არ არსებობს ქართული ანდერგრაუნდი, მაგრამ როგორ უნდა არსებულებოდა, როცა "მთელი კულტურა" ანდერგრაუნდში იყო გასული? რის მიმართ უნდა გასჩნოდა საქართველოში გაზრდილ ახალგაზრდას წინააღმდეგობა - რაც ისედაც არ იყო აქტუალური? მოკლედ, ამ ნაწილშიც ნამდვილად ვერ დავეთანხმები ბ-ნ ჯგერენიას.

ცხადზე უცხადესია ისიც, რომ ქრთამისა და კორუფციის მოვლენა არ არის "ქართული წარმოშობის" ფენომენი. ეს არ ნიშნავს, ბუნებრივია, იმას, რომ ჩვენ ეს არცთუ სახარბილო ტრადიცია კარგად ვერ გავითავისეთ, მაგრამ აქ საუბარია მის ფესვებზე და არა დღევანდელ მდგომარეობაზე. არ ვიცი რა არგუმენტები აქვს ბ-ნ ემზარს, მაგრამ მე პირადად გამიგონია უფროსი თაობისაგან და არაერთხელ, რომ იმავე ქუთაისში, სადაც დღეს კანონის ერთ-ერთი ყველაზე არაპატივისცემელი ხალხი ცხოვრობს, უმცირეს სამეზობლო დავაზეც კი ხალხი სასამართლოში დარბოდა და ეს ხდებოდა ისეთ "შორეულ" წარსულში, რომ ამის მომყოლი

ხალხი დღესაც ცოცხალია.

ცამდე მართალია ბ-ნი ეშვარი, როდესაც ამბობს, რომ ქართულ კულტურაში მოშლილია “ტრანსმისია“, თუმცა, ისევ და ისევ, ვერ დავეთანხმები მას განმარტებაში. იგი მას განმარტავს სამი ძირითადი მიზეზით, რომელიც კვლავ რეფორმაციის (თუ “უფორმაციის“) პრობლემასთან გვაბრუნებს. მე მინდა ყველას შევასხენო, რომ ძველ საბერძნეთში რეფორმაცია აზრადაც არავის მოსვლია და არც არაფერი იყო სა-რეფორმაციო, მაგრამ როგორც იტყვიან, კანონი კანონობდა. ასევე იყო რომში (ოლონდ, კორუფციის მოზრდილი ნაზავებით, იმპერიული სპეციფიკიდან გამომდინარე), იგივე იყო ალბათ შუამდინარეთის უძველეს ცივილიზაციაში და იგივეა ნებისმიერ შერეულ სოციუმში, სადაც ადამიანებს ერთმანეთამდე “ხელის მიწვდენა“ შეუძლიათ. ზოგადად კანონი ბევრგან მუშაობს და ამას არ საჭირდება მაინცდამაინც დასვლური ღირებულებების ერთგულება. დასავლური ის, თუ როგორია კანონი, რა ფილოსოფია უდევს საფუძვლად და რა ტიპის სახელმწიფოსთვისაა მომართული.

რაც შეეხება ტრანსმისიის მოშლას და მის მიზეზებს, რა თქმა უნდა, ეს კულტურის პრობლემაა, მაგრამ არა კულტურის როგორც ასეთის და არა კონკრეტული კულტურის, არამედ - კულტურის მის დაქარონიულ ქრილში, მის ამჟამინდელ გასაცოდავებულ მდგომარეობაში და იმაში, რომ საქართველო, დღეს კვლავ უკულტურო სახელმწიფოა. შესაბამისად, ჩვენი პრობლემა ის კი არაა, რომ გვაქვს ქართული სუფრა, არამედ ის, რომ ქართული სუფრის ტრადიციის განმარტებაც კი პრობლემა გამსდარა. მე არ ვიცი რატომ ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ სახელმწიფოს მშენებლობას ქეიფი (ან თუნდაც გეიფი) შეუშლის ხელს? რამდენსაც გინდათ იმდენ მოგვიფე სახელმწიფოს გაჩვენებთ, წარმატებულ სახელმწიფოთა რიგში პირველ ადგილზე რომ ინანილებენ. ბოლო-ბოლო დასავლური ლიბერალიზმის ადვოკატები გამსდარა. მე არ უნდა ამბობდნენ, რომ “გეები“ რაღაცას ისე ვერ გააკეთებენ, რასაც “ნამდვილი მამაკაცები!“ ეს - ხუმრობაგაშვებით, მაგრამ მართლაცდა, თუკი ასეა საქმე, მაშინ შემოვიღოთ კანონი და ავუკრძალოთ ჰომოსექსუალობის სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა... მაგრამ, ბ-ნი ეშვარი ამის წინააღმდეგეცაა!

ბ-ნი ეშვარი ვებერს ასევეებს და მისი ოპუ-სი მართლაც გაჯერებულია ვებერის იდეებით,

მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ ამ იდეების (რომელიც სრულიად განსხვავებულ რეალობას შეეხება) საქართველოზე და, მით უმეტეს, ქართულ სუფრაზე ექსტრაპოლაციის ავტორისეული მცდელობის წარმატებულად ჩათვლა შეიძლება. ტრანსმისიის დაფუძრუნდეთ. ბ-ნი ეშვარი რეფორმაციის სიკეთებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ რეფორმაციამ ეკლესია და საზოგადოება ერთმანეთს დაუახლოვა, მოხდა სახარების “საერო ნაკითხვა“. საქართველოში არც ეს და არც რომელიმე სხვა “ერესი“ არ განხორციელდა და შესაბამისად, ესაა ყველა ჩვენი უზედურების სათავეც. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ: არის კი რეფორმაცია ეკლესიისა და საზოგადოების “დაახლოების“ ერთადერთი ფორმა? შეიძლება კი იმის თქმა, რომ ყველგან, სადაც ეს “ერესი“ არ განხორციელდა, უწმუნო და კანონის ურჩი ადამიანები ცხოვრობენ? იქნებ, სწორედ კანონის უზენაესობის გადამეტებული გრძნობით იყო განპირობებული ის, რომ ამ “ერესის“ ადგილი ვერ იქებებოდა ასეთ საზოგადოებებში?

სიმართლე რომ ვთქვა, ვითვალისწინებ რა იმ როლს, რაც ზოგადად საგანმანათლებლო ტრადიციას მიუძღოდა ევროპაში და რაც ენციკლოპედისტების მოღვაწეობით ერთგვარად დაგვირგინდა, ჩვეთვის ეს უცილო სიმართლეა. თუკი სადმე კანონის უზენაესობა ექვემდებარება და თუკი სადმე კანონის საბოლოო დესაკრალიზაცია და რუტინიზაცია მოხდა (და სადაც წმინდა წერილი საერო [დედნილად - რომის] კანონს მიესადაგა), ეს ადგილი სწორედ ევროპაა. საქართველოს რაც შეეხება, უეჭველია, ასეთი არაფერი მოხდარა, მაგრამ რატომ უნდა იქცეს ეს ფაქტი იმის საფუძვლად, რომ ზოგადად კანონიერების შეუძლებლობაზე დაეინყოთ ლაპარაკი, სრულიად გაუგებარია.

ისტორია გვეუბნება, რომ თუკი სადმე ეკლესია მიზიდებოდა ერთან, ჩვენთან ერი მიზიდებოდა ეკლესიასთან. თუნდაც ის რად ღირს, რომ მე-12 საუკუნის საქართველოში სახელმწიფოს მიერ მმართველობის ფორმების ეკლესიიდან “გადმონერის“ მაგალითები გვაქვს და არა - პირიქით. აღარაფერს ვამბობ უფრო ადრინდელ ტრადიციაზე, როდესაც ეკლესიას თითქმის მთლიანად ეყვრა სახელმწიფოს მართვის სადავეები. ბ-ნი ეშვარი ამბობს, რომ “საბოლოო ჯამში, კანონი (სადვირო წერილი) [საქართველოში, ა.ბ.] არ მონაწილეობდა თაობების აღზრდისა და სოციალიზაციის პროცესში.“

არა მგონია, საქართველოში არსებობდეს ადამიანი, ვინც ამას დაიჯერებს. უბრალოდ, უნდა ვიკითხოთ: როდის? თუკი საუბარია კომუნისტური მმართველობის პერიოდზე - კი ბატონო, გასაგებია. ან, თუკი ვლაპარაკობთ საქართველოს რომელიმე ნაწილის ისტორიის ნებისმიერ ისეთ პერიოდზე, როცა რომელიმე რეპრესიული მმართველობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო გაბატონებული, მაშინ ასევე გასაგებია ეს მტკიცება, მაგრამ ვერასდევებით ვერ გამოდგება იგი ისეთ არგუმენტად, რომ საკუთრივ კულტურის მახასიათებლად დავსახოთ. დამაჯერებლობას არგუმენტი სჭირდება, ის კი აქ არ ჩანს.

რა ეთქვათ საკუთრივ ქართულ სუფრაზე? ვერ ერთი, ეს არაა ორი დღის ტრადიცია და არც ორი საუკუნის, როგორც გაიხსნა ერთ-ერთ რადიო-გადაცემაში. სამწუხაროდ მე არ მაქვს ამჟამად საშუალება, რომ უშუალოდ ტექსტებთან დეტალურად ვიმუშაო, მაგრამ რამდენიმე მაგალითის მოტანას მაინც შევძლებ. ერთი ასეთი არის, რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსანი, რომელიც საკმაოდ მდიდარ მასალას გვანვდის სუფრის მაშინდელი ტრადიციის წარმოსადგენად. რუსთაველი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს სუფრის ხორაგს, რომელსაც ბ-ნი ეშვარი ასე განუცვიფრებია. საგანგებოდ აღნიშნება ასევე ქვიფების ხანგრძლივობა (რვა დღე, სამი დღე და ა.შ.). თუქცა, არ ჩანს თამადა და სადღეგრძელოები. რასაკვირველია, ის, რომ რუსთაველი სუფრის ამ ატრიალებებს საგანგებოდ არ ახსენებს, ვერ იქნება იმის საბუთი, თითქოს ასეთი რამ სრულიად არ არსებობდა, მით უმეტეს, რომ გვაქვს არაერთი ირიბი მინიშნება: მაგალითად, ფრიდონთან გადახდილი რვა თუ ცხრადაღიანი ქორწილის ერთ დღეს ტარიელი ასე მიუგებს ფრიდონს:

*უთხრა: ძხო რა გარდისხდის შენგან ჩემსა
ჭირ-ნახულსა!
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით
შესახულსა!
თუ ვერა ვიქმ სანადელსა შენსა, შენთვის
განზრახულსა,
არა ენახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა,
არც ახულსა... და ა.შ.*

ვისაც ეს სუფრის ერთ ჩვეულებრივ მიმართვას არ მოაგონებს, თავად იკითხოს, თუქცა, ეს მხოლოდ ერთი პატარა მაგალითია. "ვეფხისტყაოსანშიც" და სხვაგანაც მოიპოვება მართლაც

ძალიან ბევრი მაგალითი იმისა, რომ სუფრის ტრადიციულ ნიშნებს თვალთ ვაგადადევნოთ.

აგილოთ, მაგალითად, "ამირანდარეჯანიანი". აქ სუფრა და ნადიმი ყოველ დღე იმართება. "ამირანდარეჯანიანის" წაკითხვისას გრჩება შთაბეჭდილება, რომ აქ მხოლოდ სვამენ და იბრძვიან და მართლაც, სხვა რას უნდა ელოდეს სარიდო რომანისაგან? "ამირანდარეჯანიანი" მართლაც უმდიდრეს მასალას გვანვდის ნადიმის აღწერილობისათვის. აქ ვხედავთ, რომ სუფრას აქვს თავისი წყობა (ნადიმი ამირანდარეჯანის მუშაობისას), რომ ნადიმად ძირითადად ლაშქარი ჯდება, სამი კაცი კი მხოლოდ "სვამს" (როდესაც ამირანი ამბირი-არაბის ამბავს გაიგებს), რომ ნადიმის დროს მღვრიან და ილხენენ და ა.შ. ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, აქაც ვხედავთ, რომ ნადიმი გაიგივებულია წყალობასთან, საბოძვართან, სიუხვსთან. არავინ იხდის ნადიმს ისე, რომ სიუხვე არ აჩვენოს და საბოძვარიც არ გასცეს. აქედანვე ჩანს სუფრის სიმდიდრის, ხორაგის მნიშვნელოვნება.

ერთი სიტყვით, ჩემთვის პირადად, საკმაოდ სიციხადი დგას, რომ ქართული სუფრა - ეს არის უწინარეს ყოვლისა სარიდო ტრადიცია, სადაც გრძელდება შეჯიბრი მაშინ, როცა ბრძოლის დრო და ადგილი არაა. ამის მიუხედავად, პირდაპირ ნადიმის დროს იმართება ბუმბერაზთა შერკინებები და ა.შ.

ბუნებრივია, რომ ეს ტრადიცია ფართოდ იქნებოდა გავრცელებული საქართველოში და იყო კიდევ. ბუნებრივია ისიც, რომ მის შინაარსს შექმნიდა ის ძირითადი რწმენები, რაც საზოგადოებაში იყო გაბატონებული-ფესვადგმული და ასეთი იყო ქრისტიანობა. არ ვიცი, რატომ უკვირს ბ-ნი ეშვარს ის ამბავიც, რომ სუფრაზე ხდება "გულის გადაშლა" და მისთანანი (თუქცა მე ვერ ვისხენებ, რომ ვინმე ნორმალურს სუფრაზე "მიყვარხარ" ეთქვას). გულის გადაშლა სინამდვილეში უნდა მომდინარეობდეს რაინდული ალიარებიდან, თანამეინახის შექებიდან, მასპინძლის სიუხვის შექებიდან, რაინდისთვის მკლავისა და გულის შექებიდან და არა - რაიმე ფსიქიური გადახრიდან თუ სიმახინჯიდან. არ უნდა დავივიწყოთ ალბათ, ალსარების ქრისტიანული ტრადიციაც და ა.შ. და ა.შ.

ერთი სიტყვით, მე მიმაჩნია, რომ ქართული ნადიმი ჩამოყალიბდა როგორც სარიდო სერობისა და ქრისტიანული ტრადიციის ერთგვარი ნაზავი, თუქცა უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადოების ფენების მიხედვით, ნადიმი



“მიმოდის“ ღრეობასა და სერობას შორის, და ქრისტიანობაც - შესაბამისად, ღრმა ფილოსოფიასა და ბალაგანურ ვერსიას შორის. ესაა და ეს! არაფერი განსაკუთრებული საფრთხე ქართულ სუფრას არ მოუტანია და “არა აპირებს“ არც ამის შემდეგ. არანაირი მტერი მის სახით არ ჰყავს საქართველოს პროდასავლურ პოლიტიკურ კურსს! თუ გაგივლიათ მიუნხენის იმ ლუდხანაში, მგონი ათასსუთას კაცს რომ იტყვს და ავი ენების თანახმად, ჰიტლერის საყვარელი ბარი რომ ყოფილა, რასაც დღეს იქ განიციდით ორმოციოდ ვეროს ფასად (ამის ზემოთ თქვენი ჯიბე და გაძლებათ...), იმაზე საშიში ნაღდად არაფერია ქართულ სუფრაში.

დაბოლოს, მივუბრუნდეთ ისევ ტრანსმისიას. იგი რომ მოშლილია და არ მუშაობს - ფაქტია. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართულ ნადიმს აქვს დამაჯერებელი “ალიბი“ და არაა აქ რამეში დამნაშავე. მაგრამ, ხომ ფაქტია მაინც, რომ გადაცემთა კოლოფი ჩაშლილია?!

თუმცა, ამაში დამნაშავე ჩანს იგივე ფაქტორები, რამაც თავად ნადიმის გადაგვარება გამოიწვია იმ ზომამდე, რომ თურმე ზოგიერთები ერთმანეთს “მიყვარხარ“-ო ეუბნებიან და მეორე რცხვენიით თავიანთი აღსარების, კერძოდ, ესაა საბოლოო ფაქტში ძალიან ბანალური მიზეზი - რომ არ გვექონდა ქართული სახელმწიფო, ხოლო სხვის ომში ყოყონობაც არ იყო, როგორც ჩანს, დიდად სახალისო. შესაბამისად, არ არსებობდა სუფრის ალტერნატიული სარიდო სივრცეც. ამიტომაც მხოლოდ სმაში და ქილიკ-ში შეჯიბრებდა თანდათან აზრიც დაკარგა და დამარუხებაც იწყო.

აქ ალბათ იმ მკითხველისთვის, ვისაც ბ-ნი ემზარის სხენებული ოპუსიც წაკითხული აქვს, ცხადი უნდა იყოს, რომ მის არაერთ ფორმულას პირდაპირ ვიზარებ, თუმცა იმ განსხვავებით, რომ სხვა განმარტებები მაქვს. მე მიმაჩნია, რომ ქართულმა სუფრამ, ისევე როგორც ქართულმა კულტურამ ზოგადად, შესარულა განმსაღვრელი როლი ერის იდენტობის გადარჩენის საქმეში, როცა ამის პოლიტიკური საფუძვლები უბრალოდ არ არსებობდა. ეს გარემოება კი პირადად მე კიდევ ერთხელ შემახსენებს, კულტურას თავისი გზა აქვს და პოლიტიკას კი - თავისი. სხვისა არ ვიცი და, საქართველო კი ამ გზით ივლის კიდევ დიდხანს... და ნუ მოვიტყუებთ თავს, რომ ჩვენ “ვერსემდგარი ევროპელები“ ვართ, და ნუ ვინაღვლებთ ამაზე. ჩვენ ვართ ის, ვინც ვართ, არც ვინმეზე ნაკლებ

ბები და არც ვინმეზე მეტები. ძირითადი, რაც ჩვენ მოგვეთხოვება (არა როგორც სახელმწიფოს, არამედ - როგორც კულტურის მატარებლებს), არის ის, რომ გახდეთ ცივილიზებულიები და ჩვენი თავისათვის გარედან (და არა ჯურღმულიდან ან უკანალიდან) შეხედვა შექმლოთ.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ კანონი კანონობდეს და კაცები ერთმანეთს სიყვარულს არ უხსნიდნენ, საჭიროა სახელმწიფომ დროზე დაიწყოს საზოგადოების სარკის ფუნქციის შესრულება და ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ ისევე სუფრაზე არ იქნეს დატოვებული, თორემ სუფრა სარკედ კი გამოდგება, მაგრამ ვერაა ისეთი მონუმენტური სარკე, რომ შიგ მთელმა ერმა ერთბაშად დაინახოს თავისი თავი. სუფრა ერთგვარი ჯიბის სარკეა, რომელშიც მხოლოდ თმების ზერევე შესწორება თუ ივარგებს, ან მიუნუქების გამოწევა...

სათაურში კითხვას ვსვამდი: “უკულტურო სახელმწიფო?“ ამაზე დღეს მხოლოდ თეორიული პასუხის გაცემა შეიძლება. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. ვარდების რევოლუციამ საქართველოში ძალიან ბევრი რამ შეცვალა და ისეთი შეგრძნება მაქვს, საუკუნეების შემდეგ პირველად გაჩნდა შანსი, რომ ქართული სახელმწიფო ქართულივე საზოგადოების სარკედ იქცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა - მტყუნიც და მართალიც ამ სარკეში იყურებოდეს და თავის გარეგნობაზეც შესაბამისად ზრუნავდეს. ჩვენ ყველამ ამ სარკის ფუნქცია შევასრულოთ უნდა ერთმანეთისათვის. მე მივესალმები ბ-ნ ემზარს, რომელმაც ეს საინტერესო თემა წამოწია და იმედი მაქვს, რომ არ დამირღვევია კორექტული დისკუსიის საზღვრები. ხოლო თუ რამეში ვცდები, კონტრარგუმენტების მხოლოდ მოხარული ვიქნები, მით უმეტეს, რომ პირადად მე ნაკლები შანსი მაქვს, კონკრეტულად ამ თემას ოდესმე უფრო დეტალურად და ღრმად “ჩაუჯღღ...“

3 იანვარი, 2005 წელი
მონტერეი, კალიფორნია





<http://www.opentext.ge/arili>

წაას HERE

